644
1996/3

(22)
7-10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

7-8

1996



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ივლისი–აგვისტო № 7-8

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები – გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

პოეზია და პროზა

7. **დავით მჭედლური** – ლექსები
12. **ბივი ჟალულარია** – მეხვედრა გამზირზე. რომანი. გაგრძელება
35. **ნილოვან ნარიმანიძე** – ლექსები
37. **ილია ბარამიძე** – ლექსები
39. **შალვა საბაშვილი** – ლექსები
42. **ეკატერინა დოლიძე** – დღიური. მოთხრობა
69. **ანოლენ ჯინჯოლია** – ლექსები
71. **ვახტანგ ტალახაძე** – დანაშაული და განაჩენი. მოთხრობა
89. **ნატო ბოგიევილი** – ლექსები
91. **ზაურ კოდუა** – უბრალოდ – სიკეთე. ჩანახატი

ახალი თარგმანები

93. **პოლ ვერლენი, ბიიოთ ანოლინერი, ჟან კოკ-ტეი** – ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა **ბადრი თევზაიძემ**
95. **ბაბრიელ გარსია მარკესი** – გენერალი თავის ლაბირინთში. გაგრძელება. ესპანურიდან თარგმნა **თეა გვასალიამ**

გიორგი შარვაშიძე – 150

119. **ოთარ ჭურღულია** – „რაოდენი სიტყვლე და რაოდენი თავვაზი...“

თვალსაზრისი

126. **თეიმურაზ ფანჯიკიძე** – ეროვნული ურთიერთობები საქართველოში
131. **ლეშურ ქერკაძე** – ქართული სახელმწიფო და ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემები

წერილები

135. **გრიგერ ფარულავა** – ასკეზი – მხედრობა. გაგრძელება
153. **ბეჭან ხოროავა** – ჩიქვანთა გადადგილება და ოდიშის სამთავროს ისტორიის ზოგიერთი საკითხი

გამოსათხოვარი

158. **გიორგი ბაკანიძე**

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო სამეჭვო:

ბალთერ არაბული
ირაკლი ბაზაკე
გიორგი ბაკანიძე
(მთ. რედაქტორის მოადგ.)
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო სამეჭვო

ნოდარ გრიგალაშვილი
ბივი ბებეშაკორი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ეგზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსულ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მორიგე რედაქტორი:
ჯემალ ქირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

20707

ფსალმუნები

ფსალმუნი 58

ლოტბარისადმი. „არ შეიმუსროს“.
დავითის საგალობელი.

2. ნუთუ სიმართლეს ლაპარაკობთ,
მოსამართლენო,
სამართლიანად განიკითხავთ,
ადამის ძენო?

3. უკეთურებას აღასრულებთ
თქვენსავე გულში,
რომ საწუთროულ სასწორზე წონოთ
ბოროტეული ნაღვაწი თქვენი.

4. გარემოიქცნენ ცოდვილები
შობისთანავე,
გზას აცდნენ დედის მუცლიდანვე
სიცრუის მთქმელნი.

5. სამსალა მათი
სადარია გველის სამსალის —
ყრუ ასპიტისა,
რომელიც მდუმრად
დაიგმანავს და
დაიხშობს ყურებს.

6. და არად აქნევს
შემლოცველთა იდუმალ ჩურჩულს,
დაბრძენებული
გრძნეულის
გრძნებას.

7. ღმერთო,
შემუსრე მათი კბილები,
ლომებს ეშვები დაუმსხვრიე,
ჩვენო უფალო!

გაგრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-8, 1993 წ., 1, 1994 წ., 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1995 წ., 1-2, 3-4, 5-6, 1996 წ.

საბჭოთა ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაათხიე და
წარახდინე,
ვითარცა წყალი,
წარსადინელად რომელიც წარვალს,
ოდეს საომრად მოზიდონ მშვილდი,
ნამუსრალივით მიმოიბნეს
ისრები მათი.

9. ლოქორასავით გაილიოს,
გალღვეს და
გადნეს,
დედის საშოდან მოწყვეტილივით ვერ მოიხილოს
ნათელი მზისა.

10. მაგრამ ვიდრემდე იეკლებდეს
რბილი ეკალი,
ჩამოიქროლებს მეუფის რისხვა
ბოროტეული ნაშიერის
წარსახოცავად.

11. და გაიხარებს წმინდანი ხილვით:
და შურისგების სიხარულით ატაცებული
ცოდვილის სისხლში
განიბანს ფეხებს.

12. და იტყვის კაცი:
„ჰა, აღსრულდა,
ეს არის მისი საზღაური სიწმიდისათვის,
რამეთუ მართლაც არსებობს ღმერთი,
ვინც ასამართლებს ქვეყნიერებას“.

ფსალმუნი 59

ლოტბარისადმი. „არ შეიმუსროს“.
საგალობელი დავითისა, ოდეს საულმა
მეთვალყურენი მიავლინა დავითის სახლში
სათვალთვალოდ და მოკვდენად მისად.

2. ღმერთო,
დამიხსენ მტერთაგან ჩემთა,
უკეთურთაგან მოძალებას
გადამარჩინე.

3. განკვეთე ჩემგნით სიმრუდის მქნელი,
სისხლისმსმელ სულებს
გამომარიდე.

4. რამეთუ ჩემს სულს ჩაუსაფრდნენ,
აჰა, ესერა,
გარემომერტყა ძლიერთა მოდგმა,
არც ცოდვა რამე ჩამიდენია,
არცა ვყოფილვარ ბრალეული,
უფალო ჩემო!

5. გამორბიან და
სისხლისხეკად ემზადებიან
არა ჩემეულ ცოდვათა გამო,
გამოიღვიძე,
გამოეჩქარე
მოახლებად და
მოხილვად ჩემდა!

6. და შენ, უფალო,
ღმერთო ძალთაო,
საბაოთ ღმერთო,
ისრაელის ღმერთო ძლიერო,
აღიძრებოდე წარმართის განსჯად,
უნდოს და ორგულს
უმოწყალოდ განაკითხავდე!

7. შინ ბრუნდებიან შელამებისას,
ქოფაკებივით იწყებენ ყმუილს,
ქალაქის კედლებს
ბორგნეულად გარეუვლიან.

8. აჰა, პირიდან ანთხევენ ბალღამს,
ორლესულები უბასრავთ ბაგეს,
მაინც ვერავინ გაიგებსო —
ამგვარად ბჭობენ.

9. შენ კი,
უფალო,
იცინებ მათზე
და ყველა წარმართს
განქიქებით მოიხსენიებ.

10. შენ, ძალო ჩემო,
ვისწრაფი შენდა,
რადგან ღმერთია
მეოხი ჩემი.

11. წინ შემეყრება ჩემი ღმერთი,
ღმერთი მოწყალე,
რომ დამანახოს განადგურება
მოსისხართა და
მდევართა ჩემთა.

12. ნუ მოსრავ შენ მათ,
რომ შენმა ხალხმა
არ დაივიწყოს შენეული სჯული და
წესი:
შენ შენი ძალით ახეტიალე
და დაამდაბლე ყოველთაგანი,
ფარო ჩვენო და
უფალო ჩვენო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. აღბეჭდილი აქვთ
ცოდვად და ბრალად
მათივე ბაგით ნათქვამი სიტყვა;
დე, საკუთარი ქედმაღლობა
ექცეთ ბორკილად
იმავ წყევის და
სიცრუის გამო,
რასაც თვითონვე აღმოთქვამენ
ლაქარდი ენით.

14. შერისხე ყველა,
შენეული რისხვით შემუსრე,
დე, აღსრულოს ყოველთაგანი,
წარიხოცოს და
წარხდეს იავარ,
რომ თვითეულმა შეიმეცნოს ქვეყნის კიდემდე,
ვით მეუფეობს იაკობზე
ხელმწიფება და
უფლება უფლის.

15. მობრუნდებიან შედამებისას,
ქოფაკებივით იწყებენ ყმუილს,
ქალაქის კედლებს
ბორგნეულად გარეუვლიან.

16. დაწრიალებენ,
ეძებენ სარჩოს,
მაგრამ ამაოდ დამაშვრალები
დაშთებიან და
დამშეულნი შეჰყეფენ ღამეს.

17. მე კი —
შენს ძალას შევასხამ ქებას,
შენს წყალობაზე ვიღაღადებ
ყოველცისმარე,
რადგან შენ იყავ საყრდენი ჩემი
და ჭირსა შიგან
საიმედო თავშესაფარი.

18. ო, ძალო ჩემო,
ვიგალობ შენდა:
შენა ხარ ჩემი ხელთამპყრობელი —
ღმერთი წყალობის,
მფარველი ღმერთი!

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

დავით მჭედლური

სალამი სულო, მშვენიერო

სალამი სულო, მშვენიერო,
სალამი რაინდო ლამანჩელო!
აბმე, როსინანტი მომცა,
შევეჯდე, შენებურად გავაჭენო.

ხმა: — ბრძოლას, ველად ხეტიალს
და დიდ სიყვარულს დაგაჩვევს,
— ყური არ უგდო ლამანჩელს!
— ყური არ უგდო ლამანჩელს!

— ვერა, მაინც ვერ გაგიშვებ,
უნდა დარჩე ლამანჩელო!
— დევებთან საომრად მივალ,
კარგს იზამ, არ გამაჩერო!
— მაშინ მეც თან გამოგყვები,
დიდო ბატონო, რაინდო ლამანჩელო!

ჩემი გულის სისხლი მართებს
აგერ, იმ დევს, აი, ამ დევს,
მთლად მხარ-მკლავი დამილეწა,
ახლა შესაჭმელად დამდევს.

აღარ ვიცი, ძმა გიწოდო,
ანთუ მამის ადგილს დაგსო,
ვაჰ, თუ ვინმემ შემიკურთხოს —
რა უნდა ამ შობელძაღლსო.

მთლად ქვეყანა აირია,
ამას ვკვნეს და ამას ვოხრავ,
პიტნის სუნი უდის დაფნას,
დაფნის ფერი ადევს ოხრას,
ზოგი ცდილობს კარგად მოთლას,
უმეტესი — კარგად მოხრას,
ერთი როსინანტი მომცა,
ოხ რას...
ოხ, რას...

გიკითხე და იუმეხეს:
— აქ არ ჩაუელია ჯერო!
— ჩქარა საქართველოსაკენ!
ჩქარა საქართველოსაკენ!
დიდო ბატონო, რაინდო ლამანჩელო!

ხმა: — ბრძოლას, თავისუფლებას
და დიდ სიყვარულს დაგაჩვევს,
— ყური არ უგდო ლამანჩელს!
— ყური არ უგდო ლამანჩელს!

...სალამი სულო, მშვენიერო,
სალამი რაინდო ლამანჩელო,
მეც იმ გუნებაზე ვდგები —
შევეჯდე, შენებურად გავაჭენო!

ჯავრისა

„გზაბილიკი ვარ ჯავრისა“.
ჟრეელა უპილაური

მე ვარ გზაბილიკი
სამყაროს ქართა მიმოქცევისა,
წელიწადის ოთხივე დრო
და ოთხივ მხარის მრისხანე ქარი
ზედ ჩემს გულზე ჩაივლის ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ გზაბილიკი
ქართველთა ძველი მხედრობისა
და დიდგორისკენ მიმქროლავი
მეფის ცხენიც აღტაცებით დამაყვირებს,
როცა გულზე ფლოქვს დამკრავს ხოლმე.

მე ვარ გზაბილიკი
დიადი და თავგანწირული მგზავრებისა,
წიწამურისკენ წამოსული
თავადის ეტლიც ზედ ჩემს
გულზე ჩაივლის ხოლმე.

მე ვარ გზაბილიკი
სალალატოდ წამოშლილი
ბაღვაშისა და მაკანბერდელისა,
და შადმანისა და ფარსადანისა,
და იმათგან გაცემულთაც
ზედ ჩემს გულზე მისთრიან ხოლმე.

მე ვარ გზაბილიკი
ზღვისპირს მომდგარი თურქისათვის
გარეკილი ტყვეებისა
და იმათი მდუღარე ცრემლი
გულზე დამღას ამომწვავს ხოლმე.

მე ვარ გზაბილიკი
არაბთა და მონღოლთა,
და ხვარაზმელთა და სკვითთა ლაშქრებისა,
და იმათგან დაჩეჩქვილი, სიკვდილ-სიცოცხლის
ზღვართან ახლოს ვაგდივარ ხოლმე.

მე ვარ გზაბილიკი
სამშობლოდან დამფრთხალთა,
ლტოლვილთა და მონად თავმიცემულთა,
და იმათი ბორკილის ჯაჭვი,
სანამ შეჰკრავდნენ,
შიგ ჩემს გულში გაივლის ხოლმე.

მე ვარ გზაბილიკი
სასაფლაოსკენ მიმავალი,
შვილმოკლული დედებისა
და შავფერი ჯავრის მდინარე,
ზედ ჩემს გულზე გადმოსჩქეფს ხოლმე.

მე ვარ გზაბილიკი
ჩემი სამშობლოს მომავალი დარდებისა,
და მომავალი ღალატებისა,
და მომავალი დამარცხებებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამარჯვებებისაც,
გამარჯვებებისაც, მე ვარ გზაბილიკი,
და მომავალ საუკუნეთა საქართველოც
ზედ ჩემს გულზე,
ზედ ჩემს გულზე ჩაივლის ხოლმე!

ᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

დღეს ჩემი სამშობლო მონათა ბაზარია,
იყიდეთ,
იყიდეთ,
იყიდეთ მონები!

იყიდეთ ყველაზე მორჩილი,
იყიდეთ ყველაზე მშრომელი,
იყიდეთ ყველაზე ერთგული,
იყიდეთ ყველაზე ეაფი,
მონები, მონები, მონები იყიდეთ:
— თქვენ, სინიორ!
— თქვენ, მისტერ!
— თქვენ, ბეი!
— და თქვენ, ჰერ!

ნუ გექნებათ ამბოხების შიში,
მაგათ მხოლოდ თავის ქვეყანაში უყვართ ამბოხება,
ნუ გექნებათ უსაქმურობის შიში,
მაგათ მხოლოდ თავის ქვეყანაში არ უყვართ შრომა,
ნუ გექნებათ ორგულობის შიში,
მაგათ მხოლოდ თავის ქვეყანაში უყვართ ღალატი,
ნუ გექნებათ გაქცევის შიში,
ეგენი მხოლოდ თავის ქვეყნიდან გარბიან.

დღეს ჩემი სამშობლო მონათა ბაზარია,
იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ მონები!
იყიდეთ უმწეო ჩვილები,
იყიდეთ სარეცლის გოგონები,
იყიდეთ მწყემსები,
იყიდეთ მებარგულები,
იყიდეთ ჭურჭლის მრეცხავები,
იყიდეთ პირისფარეშები,
იყიდეთ საფხანელთა დამამებლები!

დღეს ჩემი სამშობლო მონათა ბაზარია,
იყიდეთ ბატონებო, მონები იყიდეთ!
— იყიდეთ, სინიორ!
— იყიდეთ, მისტერ!
— იყიდეთ, ბეი!
— იყიდეთ, ჰერ!

სიტყვებისადმი

სიტყვებო, სიტყვებო,
მე ვარ თქვენი სულთამხუთავი,
მე ვარბევ თქვენს ბანაკს,
მე წამოგყრით ხოლმე შუაღამისას,
მე ვცვლი თქვენს სახეს და ცხოვრებას,
მე გიბორკავთ სულსა და სხეულს,
მე გჭედავთ სტრიქონის კუბოში
და ვერლიბრის სამარეშიც ცოცხლად მე გმარხავთ.

სიტყვებო, სიტყვებო,
მე ვარ თქვენი სულთამხუთავი,
მე გაქცევთ მაწანწალებად,
მე დგათრევთ ქვეყნის შარაზე,
და ვცდილობ, რომ ორიოდ გროშად
შევასაღო თქვენი თავი ვინმე მამაძაღლს,
მაგრამ რა ვქნა, აღარავის აღარ სჭირდებით.

სიტყვებო, სიტყვებო,
მე ვარ თქვენი სულთამხუთავი,
მე გამოგხრავთ ხოლმე ობობასავით,
მე გაქცევთ უხერხემლო და უსისხლო არსებებად,
მე გაიძულებთ მოძრაობას ტვინის მარტივ ხვეულებში
და გრძნობების ჩამოწყვეტილ მდინარებაში.

სიტყვებო, სიტყვებო,
მე ვარ თქვენი სულთამხუთავი,
ჩემი აბეზარი ჩრდილი ახშობს თქვენს ბრწყინვალებას,
ჩემი სიტლანქე ეხეხება თქვენს ჰარმონიას,
არგანივით მოუქნელი ჩემი კალამი
მიგერეკებათ დავიწყების უფსკრულისაკენ,
და ათასი ცრუბატონის ფეხთა მტვერით შებილწული
ჩემი ბაგე კენჭებივით გადმოგყრით ხოლმე.

სიტყვებო, სიტყვებო,
მე ვარ თქვენი სულთამხუთავი,
მე გხარჯავთ ყოველ სანიადაგო დედაკაცთან,
მე ვარ ღამის მონადირე, მწევრებივით წამოგყრით ხოლმე,
როცა პურის და სიყვარულის საძებნელად გავეშურები,
მე ვარ უიღბლო პროვინციელი,
და ხელმოცარული კაცის ყინით,
ამაოდ ვცდილობ გამოგფინოთ სამყაროს შუქზე.

სიტყვებო, სიტყვებო,
მე ვარ თქვენი სულთამხუთავი,
თქვენ კი ისევ მოედინებით
ჩემი სამშობლოს უბერებელი ხორხიდან და ბაგეებიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ათასი დროის ყელი განა იმიტომ გამოიარეთ,
რომ ვინმე გლახაკს მონის ძონძებში გაეხვიეთ
და ველურის თავგანწირვით დაუფლებოდა თქვენს
მხურვალებას.

ვაი, სიტყვებო, სიტყვებო,
მე ვარ თქვენი მწვალებელი
და თქვენც ერთხელ იძიეთ შური:
ამომიყვანეთ ამ ნაცრისფერი ჯამაათიდან,
გამიყვანეთ სამყაროს გზებზე,
უცხო მზეების და უცხო ხმების
თავბრუდამხვევ სიმხურვალეში,
იმათ დიად სომარტოვეში განაზავეთ
სული ჩემი,
და წყურვილები ჩემი,
და გულისფეთქვები ჩემი,
და დაუოკებლობა ჩემი,
და ტკივილები ჩემი...

ვაი, სიტყვებო, სიტყვებო,
ერთხელ მაინც,
ერთხელ მაინც
იძიეთ შური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

შეხვედრა გამზირზე

რომანი

თენგიზ ღვინერიამ იმდენი ახალი და სასიამოვნო ამბავი უამბო, რომ მართლაც ღვინის სმის ხასიათზე დადგა, ერთბაშად მოსცილდა ის ხუნდები, აქამდე რომ ბოჭავდა, ნათლად გამოჩნდა ის გზა, რომელსაც უნდა დადგომოდა. ამაში დამსახურება მის ჭკუას, გამჭრიახობას და იმ ნაბიჯის გადადგმასაც მიუძღოდა, რომლის მოფიქრებამაც ღამე თეთრად გაათენებინა და ახლა, ღვინით შეხუერებულს, უმძიმესი დღეებიც კი არ მიაჩნდა ბნელეთის ნაფლეთებად. ანდა, რა ჰქონდა სანანებელი და სადარდებელი, ფიზიკურად ჯანმრთელი იყო, ოჯახი ჩაცმულ-დახურული და ვამოკვებილი ჰყავდა, ხოლო იმ საბუთების წყალობით, რუსეთიდან რომ ჩამოატანა, სამსახურში უთუოდ მიეწყობოდა. მის მომავალს არაფერი ჩრდილავდა, არაფერი ეღობებოდა წინ და დრო იყო, საქმეს შესდგომოდა, თანამემამულეებისთვისაც დაენახვებინა თავისი ნიჭი და უნარი.

— ჩაის ჭიქებზე ხომ არ გადავიდეთ? — ჰკითხა მან თენგიზს.

— შენ თუ გინდა, დიდი სიამოვნებით.

— აქამდე ვერ გკითხე, მეგონა, თავისთავად გაირკვეოდა: სადაა შენი მაშენკა?

— მაშენკა იმაევ ქალაქში გავისტუმრე, საიდანაც ჩამოვიყვანე.

— დროებით თუ სამუდამოდ?

— დროებით მე არაფერს ვაკეთებ.

— იოლად დგიღწევია თავი.

— ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა ტალღაზე ვიყავით აწყობილი. საერთოდ, მე ქალების დიდი მოყვარული არა ვარ, განსაკუთრებით ისეთების, ცხოვრებას რომ არიან დახარბებულნი. სანამ ქალაქს ეცნობოდა და თავისთვის მიდიმოდიოდა, ხმას არ ვიღებდი, ხმაურსა და აურზაურს ვერიდებოდი, მაგრამ ბოლოს მთლად გავიდა თავს. ერთი ორჯერ შუაღამეზე გამოცხადდა და თანაც მთვრალი, რისთვისაც ისეთი სალაქი მიიღო, როგორიც ეკადრებოდა. ვიცოდი, ამას რომ ისტერიკა მოჰყვებოდა და ასეც მოხდა. მთელ სახლს ესმოდა, რომ მე აზიელი, დესპოტი და რეგვენი ვარ, რომ უმაღლესის დამთავრებამაც კი ვერ გადამაჩვინა ქალის დარაგვრასა და წვალებას, მაგრამ მისმა პრიმიტიულმა დედაგოგიამ არ გაჭრა, მეზობელთაგან მისი სიტყვები გულთან ახლოს არავინ მიიტანა, არავინ გამოექომაგა, ქალებიც კი არა. ხოლო იმ სიტყვებისათვის, მე რომ მაკადრა, ერთი სალაქი კიდევ მიიღო. ბოლოს მიხვდა, რომ აქ ის არ გაუვიდოდა, რაც ქალებს რუსეთში გაუდით და დამშვიდდა, ვინს მოეგო. იმის გამეორება, რაც მოხდა, აღარ მინდოდა და ამიტომ პირდაპირ განეუცხადე, ან ჩაალაგე ჩემოდანი და მომწყდი თავიდან, ანდა ლოთობასა და მაწანწალობას თა-

———

გაგრძელება. დასაწყ. იხ. „ცისკარი", № 7-8, 1995 წ., № 1-2, 3-4, 5-6, 1996 წ.

ვი დაანებე და უმიზეზოდ სახლიდან ფეხი არ გადგა, მოსაფიქრებლად ერთ ღამეს გაძლევ, დილით პასუხი უნდა მომცე-მეთქი. მიხვდა, ჩემი გადაწყვეტილება რომ მტკიცე იყო და ჯანჯალი არ დაუწყია. დილით ჩემოდანი ჩალაგებული დამხვდა. ამან ისე გამახარა, რომ სიამოვნებით გავიცალე სადგურზე. საწყალმა დედაჩემმა შვებით ამოისუნთქა, სირცხვილისაგან მეზობლებს თვალს ვერ უსწორებდა.

— ამით შენს ოჯახსა და შენს ქალაქს არაფერი დაკლებია.

— პირიქით, ოჯახსაც და ქალაქსაც ერთი ჭირი მოშორდა.

დედა დარომ ცხელ-ცხელი ხინკლები შემოიტანა, თმა შეისწორა და მთ შეუერთდა. ის კმაყოფილება, მის სახეზე რომ იხატებოდა, რაღაც ძველთან, უკეთეს დროსთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ახლის დამკვიდრებასთან და იმ მყვირალა ფრაზებთან, მისთვის რომ გაუგებარი იყო. დროის შეფასების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შვილსა და დედას ერთმანეთისა არ ესმოდათ, მაგრამ ამის გამო ურთიერთობას არ ამწვავებდნენ, დედაშვილურ სიყვარულს გაუკებრობას არ ანაცვალებდნენ. ეს კი ოჯახში სითბოსა და სიმყუდროვეს ქმნიდა. ამატომაც ვერ სცილდებოდა თენგიზ ღვინერია ძველ ბუდეს, ამატომაც დადიოდა აქამდე უცოლოდ. დედა დაროს თენგიზის უცოლობა ისე არ აწუხებდა, როგორც უშვილშვილობა, მაგრამ ამასაც გრძნობდა, ვინც უნდა შემოსულიყო სახლში, ოჯახი მაინც აერეოდა და ამიტომ შვილს სისხლს არ უშრობდა. იყდა დაღლილი, ქალური ღირსებით სავსე, ღვინოს წამალივით წრუპავდა და ცდილობდა კიდევ უფრო გაეთბო, კიდევ უფრო გაეხალისებინა ის განწყობილება, ამ საღამოს მის ოჯახში რომ სუფევდა. შეიძლება ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ბოლო დროს მათ ოჯახში იშვიათად დადიოდა ვინმე, რაც, ალბათ, თენგიზს ისე არ აწუხებდა, როგორც დედა დროს. საერთოდ კი, იმ რეპრესიებმა, განუკითხაობამ და შიშმა, რაც ხალხმა გადაიტანა და რაც თავის მასშტაბებით ისტორიულ კატაკლიზმს არაფრით ჩამოუვარდებოდა, ადამიანები შინაგანად მოშალა, დაამცრო, გააუცხოვა და ახლა ცდილობდნენ ყველა საშუალება გამოეყენებინათ იმისათვის, რომ შიშის, უნდობლობისა და კოშმარებისაგან გთავისუფლებულიყვნენ, თუ მთლიანად ვერ გაადამიანურდებოდნენ, ადამიანის სახე მაინც დაებრუნებინათ. იმ საღამოს ისინი სხვა სულისკვეთებით განიმსჭვალნენ, სხვაგვარად სუნთქავდნენ და ამიტომ ღხინი თითქმის გათენებამდე გაგრძელდა.

XIX

ბერიკაკი თავჩაქინდრული მიჰყვებოდა ტროტუარს და ვიტრინებისაკენ აღარ იყურებოდა. ყოველი ანარეკლი იბრიცებოდა და მუქარის რაღაც ნაწილს შეიცავდა, ყოველი მანეკენი გადაკეთებას, სულის ჩადგმას მოითხოვდა და არაფრად აგდებდა იმას, რომ შიგნით ფუტურო იყო, ადამიანისა არაფერი ეცხო. თუმცა მის მეხსიერებაში ადამიანიც ბევრი ირეოდა ისეთი, მანეკენზე უკეთესი არაფრით რომ არ იყო. პრეტენზიები მათაც იმგვარივე ჰქონდათ, როგორც ვიტრინიდან მომზერალ ნიღბებს, მათაც არ უნდოდათ ფუტურო და სახეგაფინულნი ყოფილიყვნენ, მაგრამ ახლა მას თვითონ სჭირდებოდა დახმარება, გამხნევება და ამიტომ არც ცოცხლებისათვის ეცალა და არც მკვდრებისათვის. აქამდე ეგონა, რომ ცხოვრება ისაა, რასაც ადამიანები ამბობენ, აკეთებენ, გასცემენ ან ისაკუთრებენ, ჭკუა კი ის, რომ ამ გაცემა-დასაკუთრებაში უღონო, უკბილო, უუნარო არ აღმოჩნდე, ხელიდან დაუსხლტე ყოველდღიური მზაკვრობასა და უგუნურებას, არ გაება არც საკუთარი თავისა და არც სხვების მიერ დაგებულ მახეში, მაგრამ ახლა ყველაფერს იმ ხალხისაგან თავის დახსნა ერჩია, მის მეხსიერებაში რომ ირეოდა და იმ სიმუდლის დავიწყება; გაჩენის დღიდან რომ დაჰყვა თან. მოგონებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო ღლიდა, აცარიელებდა, არამედ საკუთარ თავთან მარტო დარჩენის საშუალებასაც არ აძლევდა. არადა, ყველაზე მეტად ახლა სწორედ საკუთარი თავის დასაკუთრება სჭირდებოდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ რაღაც ჰქონდა გადასასინჯი, გადასაფასებელი, მოსანანიებელი, სიწმინდე და ღვთის მადლი ენატრებოდა, არამედ იმის გამი, რომ ცოტა ხანს მაინც მოეცალა, საკუთარ სულში ჩაეხედა, იქაურობა მიელაგ-მოელაგებინა და იმ ნაგვისაგან გაეწმინდა, ათეული წლების მანძილზე რომ დაგროვდა. უამისოდ ვერ დამშვიდდებოდა, სულიერ წონასწორობას ვერ დაიბრუნებდა. სულის გაბინძურებასა და დანაგვიანებას ყველა ქვეყნ ვრძნობის გაღვივებმა უწყობდა ხელს, ბრალი იმაშიც მიუძღოდა, რომ მათი მოთოკვა საჭიროდ არ მიაჩნდა, ეგონა თავს ასე უფრო იოლად გაიტანდა ცხოვრებაში, დასაჯანმდა დაჯაბნდა და დასასაკუთრებელს დაისაკუთრებდა. საბოლოოდ კი რა გამოვიდა. ვიღაც ნაცამბრალი, ნატ-ყვევარი, ნაჯახირევი ბერიკაცის ნახატებს შედევრებად თვლიდნენ, ფასს აღებდნენ, მას კი ზედაც არავინ უყურებდა.

მართალია, მხატვრობაში ბევრი არაფერი გაეგებოდა, ამის არც ნიჭი ჰქონდა და არც მოწოდება, მისი საქმე რკინის დამუშავება იყო და არა საღებავების შეზავება, მაგრამ იმდენი კი ესმოდა, რომ ნამდვილი და ნათითხნი ერთმანეთისაგან განსხვავებინა. არ უყვარდა სიცხადის დაჩრდილვა, სათქმელის ბუნდოვნად, მიკიბულ-მოკიბულად თქმა, განსაკუთრებით არ უყვარდა კუბისტები, აბსტრაქციონისტები, პოპარტისტები. მათ გაუგებარ, ფრაგმენტულ, აბსურდულ ტილოებზე ამ ცხოვრების ფრაგმენტულობა და უაზრობა ისეთ წერტილში იყრიდა თავს, სადაც საძებარი აღარაფერი იყო, სადაც სიცოცხლისა და ბუნების მოკვლას უფრო ახერხებდნენ, ვიდრე მკვდრის გაცოცხლებას. ასეთ ტილოებზე აღარც ფერი ჰგავდა ფერს, აღარც სივრცე სივრცეს და აღარც სიმბოლო სიმბოლოს. არაბუნებრივი ფერებით კი არ ხერხდებოდა ბუნებრივის გამოხატვა, მწარი ფანტაზიაით ფანტასტიკურის წარმოჩენა, ხაზებით არაბაზობრივის მოდელირება. მისთვის ისინი არ ამკვიდრებდნენ ვემოვნებას, სილამაზეს, სიკეთეს. არ ენდობოდა არც იმათ, ვინც უაზრობაში აზრის სიღრმეს ხედავდა და არც იმათ, სიმახინჯეს ესო�ტურ საფუძვლებს რომ უძებნიდნენ. ამიტომ ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა ავანგარდისტთა მანიფესტებს, არც მათი ექსტრავაგანტურობა და ბოჰემური აღვირახსნილობა მოსწონდა. ამ ექსტრავაგანტურობისა და აღვირახსნილობის მოწმე არაერთხელ ყოფილა სტუდენტობის დროს. მაშინ მოსკოვში ისეთი ამბები ხდებოდა, დღევანდელი მასთან შედარებით მოგონილი ჩანდა. რა მიმართულებები არ ყალიბდებოდა, რა მანიფესტები არ იწერებოდა, რა სიგიჟე და სიშლეგე არ ცხადდებოდა ხელოვნების უკანასკნელ სიტყვად, რევოლუციის უბადლო მონაპოვრად. იმ კაფეში, სადაც მხატვრები იკრიბებოდნენ, იყო გაუთავებელი არყის სმა, ათასგვარ სისულელეებზე დავა, ყვირილი, ყაყანი და ღრიანცელი. საერთოდ, მხატვრებზე უფრო მოუწესრიგებელი და ჭუჭყიანი ხალხი იშვიათად უნახავს. არაფერს არ ღებდნენ თავის ადგილს, არაფერს არ გადაწმენდნენ და გადახვეტდნენ. მათ მაგივრად ამას სხვები აკეთებდნენ, მაგრამ რიცა სხვები არ იყვნენ, ჭუჭყში ინრჩობოდნენ. პაპიროსი რომ პაპიროსია, იმასაც კი არ ჩააქრობდნენ საფერფლეში, მაინცდამაინც იატაკზე უნდა დაეგდოთ და ფეხით გაესრისათ. არც თავის შრომასა და პროფესიას აგდებდნენ რამედ. ხატვის ჟინი სწორედ მაშინ მოუვლიდათ, როცა მთვრალები იყვნენ. ხატავდნენ ყველაფერზე, რასაც კი სიბრტყე გააჩნდა, ხატავდნენ ყველაფრით, რაც კი ხელში მოხვდებოდათ და მერე იმ ნახატს ან შლიდნენ, ან ხევდნენ, ანდა იმათ ჩუქნიდნენ, ვის პორტრეტსაც ხატავდნენ ან ნატურად იყენებდნენ. იმ დროს ჩუსეთში მხატვრობა ჯერ კიდევ არ იყო ისე დაფასებული, რომ მხატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრებს სურათების გაყიდვით ერჩინათ თავი და ამიტომ ყოველთვის ვალში იყვნენ, განსაკუთრებით ავანგარდისტები, რომელთაც არ ჭკუა მოეკითხებოდათ და არც სინდის-ნამუსი. დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ეცვათ თუთიყუშებივით, ერთმა კი ამხანაგს მთელი სხეული მოახატვინა სხვადასხვა ეროტიკული სურათებით და დედაშობილა გამოვარდა სცენაზე, სადაც ერთი სქელი დედაკაცი ბოხი ხმით ბოშურ სიმღერებს მღეროდა. ადამიანურსა და ნორმალურს იმ კაფეში ვერც დღე შეეხვრებოდა კაცი და ვერც ღამე.

ერთხელ საქმე არაფერი ჰქონდა, არ იცოდა, სად მოეკლა დრო და სეირის საყურებლად სწორედ იმ კაფეში შევიდა, სადაც მხატვრები იკრიბებოდნენ. ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ მის მაგიდასთან წვერგაბურძგნული, ტურტლიანი ტიპი ჩამოჯდა. მას უკვე კარგა მაგრად ჰქონდა ნახუნი, მაგრამ ჩაფსკვნილი, ჯანიანი ჯელი იყო და ხელი ჯერ კიდევ არ უკანკალებდა.

— შენ თუ ვიგინდარა არა ხარ, აქ რისთვის შემოეთრიე? — ჰკითხა ნაღვინევმა მხატვარმა და მის გემოვნებით შეკერილ კოსტიუმს და თეთრ პერანგს ამრეზით შეავლო თვალი.

— რა შენი საქმეა?!

— შენ რა, ვინდა სიფათში მიიღო?

— არ გირჩევ, შეიძლება საავადმყოფოში ამოჰყო თავი და ერთხანს ველარ გაილეშები.

— შენისთანა ჩიტბრეკეები აქ ბევრი შემოსულა. მაჩვენე ერთი შენი მკლავი და მაშინვე გამონჩდება, რაცა ხარ.

— ინებე!

მხატვარი ღონიერი კი იყო, მაგრამ მის ღონეს აკლდა წვრთნა, ვარჯიში. გაუვარჯიშებელი კუნთები კი დაძაბულობას დიდხანს ვერ უძლებენ და უეცრად დუნდებიან. მოწინააღმდეგის მკლავი სულ რამდენიმე წამს იყო შემართული, შემდეგ კი მოტეხილ ფრთასავით დაეშვა.

— ვნებდები. შენთან ჩხუბი მართლაც არ ღირებული. პიჟონი მეგონე, მაგრამ პიჟონებს რკინის კუნთები არა აქვთ. შენ ან ცნობილი სპორტსმენი იქნები, ანდა უცხო ქვეყნის აგენტი და ავანტიურისტი.

— ეტყობა, მხატვრად არ ვარგიხარ, უფრო სწორად, ფიზიოგნომისტი არა ხარ, თორემ ასე მწარედ არ მოტყუვდებოდი.

— მე არ ვვარგივარ მხატვრად? ჰკითხე, აი, ამ დარბაზს, აქ მე ყველა მიცნობს.

— დარბაზის აზრი არ მაინტერესებს. მე იმის უფრო მჯერა, რასაც საკუთარი თვალით ვხედავ.

— რაკი ასეა, მოდი, პირდაპირ საქმეზე ვადავიდეთ. თუ ძალიან არ გაიფზორები, დაგხატავ და მაშინ გამოჩნდება, მხატვარი ვარ თუ არა, მხოლოდ ერთი პირობით.

— რა პირობით?

— ნახევარი ლიტრი უნდა ჩამოხვიდე.

— ნახევარ ლიტრს ისედაც ჩაგაცეცხლებ. უბრალოდ, მაინტერესებს, ასე დიდგულზე რომ ხარ, ერთი ვნახო, რას წარმოადგენ?

მხატვარმა გაზინთული ჩანთიდან, მხარზე რომ ჰქონდა გადაკიდებული, ალბომი და მსხვილი ფანქარი ამოიღო, საყრდენად ფეხზე გადადებული ფეხი გამოიყენა და ხატვას შეუდგა. სახე თანდათან დაეძაბა, დაუსერიოზულდა. პროფესიონალი რომ იყო, ფანქრის მოსმაზე ეტყობოდა. კაფეში ლუდისა და შებოლილი თევზის სუნი იდგა. ამ სუნს ამიტომ გრძნობდა უფრო მძაფრად, რომ ძალაუნებურად თვითონაც დაიძაბა, შინაგანად შეიკუმშა. მათ ურთიერთშეთანხმებაში იყო რაღაც რიტუალური, საკალდებული.

— იცი, რას გეტყვი, — უთხრა მხატვარმა, — ხასიათში რუსული არაფერი გაქვს, არც დედის და არც მამის მხრიდან.

— ამას რა დიდი მიხვედრა უნდა.

— მიხვედრა იმიტომ უნდა, რომ მხატვრისათვის მთავარი ხასიათია და არა სიფათი. რუს კაცს, ასე თუ ისე, ვიცნობ, ვიცი, ხასიათს რომელი მხარე წარმი-

ვაჩინო და რომელი მივჩქმალო. შენი კი ვერაფერი გავიგე. შენ ან საერთოდ არა გაქვს ხასიათი, ანდა მთლიანი მასში არაფერია.

— თქვენ რომ მთლიანობაზე არ იყოთ გაგიჟებული, ხატვაც უკეთესად გეცოდინებოდათ და უცხო კაცის ხასიათსაც უფრო ღრმად ჩასწვდებოდით. ვინც ამას ვერ ახერხებს, ის მხატვარი კი არა, პროვინციელი მჯღაბნელია.

— შენ რომ მართალი არ იყო, კინწის კვრით გაგაგდებდი აქედან, მაგრამ მართალთან ომი ჭირს, მთელი ჩვენი ავანგარდიზმი პროვინციალიზმის წინააღმდეგ ამბოხებაა, ამიტომაც ვორიგინალობთ და ვიმანჭებით, ამიტომაც ვილუშებით და ვბღავით, მაგრამ ჩვენი ხასიათის გამო, პროვინციალიზმისათვის მაინც ვერ დავიდწევია თავი.

— ეს კი გაგულისებთ, გბოჭავთ, გულჩათხრობილობას გაჩვევთ. ამიტომაც არ იგრძნობა თქვენი ხელის მოძრაობაში სილაღე, სიმსუბუქე. თუ რამეს აკეთებთ, აკეთებთ ძმიმედ, მოუხეშავად.

— ეგეც მართალია. შინაგანად შებოჭილება რომ არ ვიყოთ, შინაგანი თავისუფლება რომ არ გვესტრეხოდეს, ამ კაფეში ამხელა აურზაურს არ ავტეხდით.

— იცი, რატომ ხართ ერთმანეთზე ატრიალებულნი და რატომ ტეხთ ამხელა აურზაურს?

— არა.

— მარტოობას არა ხართ მიჩვეული, მარტოობისა გეშინიათ.

— შეიძლება მართლაც გვეშინია და აქ იმიტომ კი არ ვიყრით თავს, ერთმანეთს რამე გავუზიაროთ, ამხანაგობა და ძმობა გავუწიოთ, არამედ იმის გამო, რომ ჯოგურობის გრძნობა დავიკმაყოფილოთ. პირადად მე ჯოგში ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე მაშინ, როცა მარტოს მიმიშვებენ „საბალახოზე“. ცოტა კიდევ ილაპარაკე, იქნებ შენი ხასიათი ოდნავ მანიც გავაძოლიანო.

როცა მხატვარი თავს ასწევდა და თვალს შეავლებდა, ისეთი უსაამო გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს რაღაცას სტაცებდა, ძარცვავდა. ამ ნაქეიფარ, დაუბანელ, არყისაგან გამომშრალ კაცში მართლაც იყო რაღაც მტაცებელური, მძარცველური. ამას ისიც ადასტურებდა, თუ როგორ ჭუტავდა ცალ თვალს და როგორ იკრიებდა აბეზარ ბუზს იმ ხელით, ფანქარი რომ ეჭირა. თავისი გარეგნობით, ქცევითა და ცხოვრების წესით იგი ისე შეეფერებოდა იმ კაფეს, სადაც ჭამდა, სვამდა და შეიძლება ეძინა კიდეც, რომ სხვა გარემოში მისი წარმოდგენა უსაშველოდ ჭირდა. უმისოდ აქაურობა თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ცარიელი, დამუჯეული, სხვა რატმზე გადართული იქნებოდა. აქ იგი იმაზე უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, ხმაც უფრო ძლიერი და მჭექარე ჰქონდა და მიმოხვრაც უფრო თავისუფალი და ბუნებრივი. სადმე სხვაგან, რომელიმე სუფთა, მზიან, ვემოვნებით მორთულ დარბაზში იგი ყველა ამ უპირატესობას დაკარგავდა და ის, რაც აქ შთაბეჭდილებას ახდენდა, უადგილო და ულაზათო გამოჩნდებოდა.

— შენ რომ დალაგებული ცხვირ-პირი არ გქონდეს, ბევრად უფრო საინტერესო კაცი იქნებოდი, ვიდრე ახლა ხარ, — უთხრა მხატვარმა და ქაღალდზე რაღაც მოჯღაბნა, გააბუნდოვნა.

— რით სჯობია დალაგებულს დაულაგებელი?

— იმიტომ, რომ ნაკლი ადამიანში ყოველთვის ტოვებს არასრულფასოვნების კვალს და ამ არასრულფასოვნებასთან ბრძოლაში მისი ხასიათი იწრთობა, სიმტკიცესა და სიმკვეთრეს იძენს. გარდა ამისა, ასეთი კაცი ყოველთვის ცდილობს ნაკლი სხვა ღირსებებით, სხვა მიღწევებით გადაფაროს და ამიტომ ცხოვრებაში უფრო აქტიურია.

— შენ თუ აქტიურობას მგელივით ყურებას და გამეხებული პირით ბღავილს ეძახი, ძალიან ცდები. იმ საქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

20707

ში, რა საქმესაც ვეწევი, მე არც აქტიურობა მაკლია და არც ენერგია.

— მე იმ აქტიურობაზე ვლაპარაკობ, უკან დასახევ გზას რომ არ ვიტოვებს და იდეის მონად უფრო გხდის, ვიდრე ზნეობისა. მე ისეთი კაცი მყავს მხედველობაში, კედელს რომ თავით გაანგრევს და თავისას ბოლომდე გაიტანს.

— გასაგებია. ისეთი კაცი, რომელიც იმათ, ვინც არ დაემორჩილება და დაემონება, თავებს დააყრევინებს.

— რა მოხდა მერე? თავის გაგდებინება არც ისე დიდი ცოდვაა, როგორც ბევრს ჰგონია. ჩვენში, რუსეთში ცხოვრება მხოლოდ მაშინ იძვროდა წინ, როცა გაჭრიველენ რეგვენებს თავებს აყრევინებდნენ. ამ ცხოვრებას გამარგვლა უნდა, თორემ დაჭაობდება, დალუბა.

— მართალი გითხრა, მიკვირს შენისთანა აქტიური კაცი ჩემი და ჩემისთანების ხატგაში რომ კარგავ დროს. აფეი და დახატე შენი თავი სისხლიანი ნაჯახით ხელში. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ნახატი სახელსა და დიდებას მოგიტანს.

— ყოჩაღ, დიდებული აზრია. ხვალიდანვე შეუდგები ხატგას და მეც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ერთადერთი შედევრი სწორედ ეს ნახატი იქნება.

მას უკვე მობეზრდა პოზიორობაც. ძმატკვართან ლაყბობაც და გადაწყვიტა სეანსი შეეწყვეტინებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს მხატვარმა პორტრეტს ხელი მოაწერა, ალბომიდან ამოხია და იხე გამოუწოდა, თითქოს ხელი მოეცარა, ნახატით თვითონაც უკმაყოფილო იყო. პორტრეტი რომ არ ივარგებდა, თავიდანვე გრძნობდა, მაგრამ ნახევარი ლიტრა არყის ფული მაინც დაუდო წინ. მხატვარი მაშინვე წამოხტა და ბუფეტისკენ გაიქცა.

რაც უნდა უსიმპათიო იყოს მხატვარი, სხვისი თვალით დანახული საკუთარი თავი მაინც იწვევს ინტერესს და მან პორტრეტს დახედა. მორღვეული პირი, დაგრძელებული პირისახე, არაბუნებრივი ფერი, რაღაცნაირი, გადაგლესილი თმა და რაღაცნაირი, შეტეხილ-შემოტეხილი ნოჭები, და ეს იმ დროს, როცა სახეზე ერთი ნაოჭიც კი არ ჰქონდა. ამ სურათზე არც ბებერი იყო და არც ახალგაზრდა, ასაკი უფრო ივულისხმებოდა, ვიდრე აღინიშნებოდა. ყველაზე მეტად ის არ მოეწონა, რომ თვალებში ბინდნარევი, არაჰქვეყნიური სევდა ედგა. მხატვრისათვის რაიმეს კითხვას აზრი არ ჰქონდა, ეტყოდა, მე ის დავხატე, რაც დავინახეო და ამით დამთავრდებოდა საქმე. საკუთარ თავსა და ამ პორტრეტს შორის, ხელში რომ ეჭირა, ვერც ფიზიკური მსგავსება დაინახა და ვერც სულიერი. კუთხოვან შტრიხებს და გრიმასებს მის ხასიათთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამიტომ ერთხანს ყოყმანობდა, არ იცოდა, დაეხია თუ შეენახა პორტრეტი, როშლის მიხედვითაც მას მაინც ვერავინ იცნობდა. ბოლოს ლუდის კათხას მისწვდა, სქელი ქაღალდი შუაზე გადახია, დაანაკუწა და ლუდის კათხაში ჩაყარა. ის ლუდი შემთბარი იყო და მაინც არ დაალეოდა.

მირიან ზარდაშელის რამდენიმე ნახატი საყმაწვილეში ჰქონდა ნანახი. მაშინ მათ მასზე განუმეორებელი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ. შემდეგ კი მისი ერთი ესკიზისათვისაც არ მოუკრავს თვალი. ანდა როგორ მოჰკრავდა, როცა შეხვედრითაც კი არ შეხვედრია. ამიტომ მირიანის შემოქმედების შეფასების არც უფლება ჰქონდა და არც სურვილი. იგი მისთვის არ იყო უცხო, გარეშე კაცი და მის ტილოებს დიდი ოსტატების შედევრებს მაინც ვერ გაუტოლებდა, რადგან ბუნებით იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისთვისაც შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. შეიძლება ამის მიზეზი სივწრეავ, ჩამორჩენილობა იყო, მაგრამ მას არც მოჰქონდა თავი გლობალურად მოაზროვნე კაცად. თუ მირიანი მართლაც ისეთი გამორჩეული მხატვარი იყო, როგორც ბოლო დროს ლაპარაკობდნენ, რატომ არ გამოჰქონდა თავისი ნამუშევრები საზოგადოების სამსჯავროზე? ამ ხნის კაცს აკამდე ერთი გამოფენა მაინც უნ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და მოეწყო. იქნებ ტილოებს იმიტომ აჯდა კრუხივით, რომ სხვებზე უკეთ იცოდა მათი ფასი? ამბობდნენ, ფერებით სხვადასხვა განწყობილების გადმოცემის, ფორმის მაქსიმალურად შეკუმშვის უნარი შესწევსო. შეიძლება არ აჭარბებდნენ, არ აზეიადებდნენ, მაგრამ ვის რაში სჭირდება ცარიელი ფერი და ცარიელი ფორმა, თანაც ისეთი ცივი, რომ არც გულს ეკარება და არც თვალს ეტაცებს? პირადად მას სულ სხვა რამ აინტერესებდა. როგორ ხედავდა სინამდვილეს ის კაცი, ვისაც ამ ქვეყნად ტანჯვისა და წვალების მეტი არაფერი უნახავს? ალბათ, ცალმხრივად, იმ თვალით, ნათელს რომ გაურბის და ბნელს ეტანება. საიდან უნდა ჰქონდეს დიდი მხატვრის ღონე და ძალა ისეთ მხატვარს, რომლის მიერ განვლილი გზა ეროს კი არა, ათ კაცს გამოფიტავდა, გამოაშრობდა? გამოფიტულ და გამომშრალ კაცს კი არ შესწევს იმის უნარი, რომ მართლაც სანიმუშო და ორიგინალური ნაწარმოებები შექმნას. მის სულში, ალბათ, უკუნია გამეფებული, ამ უკუნიდან ყველაფერი მოქმედ მოჩანს, ცხოვრება ჩამუქებული და გაუქმურებულია და როგორ უნდა მიანიჭოს მაყურებელს სიამოვნება კაცმა, რომელსაც სხვა ფერების დანახვა არ შეუძლია, რომლისთვისაც სინათლე, სიხარული და სილამაზე არ არსებობს.

ბერიკაი სულ უფრო ღრმად იძირებოდა განვლილი ცხოვრების მღვრე მორევში, რომლის დამყაყებისა და დაჭაობების მოწმე ყველაზე მეტად თვითონ იყო. წუმპე წუმპეა და მისი გემო ყველას უგრძენია ამქვეყნად, მათ შორის მასაც, მაგრამ ახლა ის კი არ აწუხებდა, რომ ჭუჭყი შიგნით ვერ ეტეოდა და გარეთ მოედინებოდა, არამედ ის, რომ წლების მანძილზე ერთმანეთში არეული სიბინძურე და სიწმინდე ცალკე ელემენტებად იშლებოდა და ისიც კი არ რჩებოდა გაუსვრელი, რასაც მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს ისეთმა წერილმანებმა წამოყო თავი, რასაც ადრე არავითარ ანგარიშს არ უწევდა, დაფიქრების ღირსადაც კი არ თვლიდა. წინდაუხედობა, თავქარიანობა იყო მისი ამ გამზარზე გამოსვირნება, ასეთ რამეს მხოლოდ მაშინ სჩადის კაცი, როცა თავგზა აერევა, როცა იმ ძალების გავლენაში მოექცევა, აჩრდილებად რომ ქცეულან და თავი წმინდა-ნაბიჯ მოაქვთ. არაფრით არ ეგონა, ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო მის მეხსიერებაში ამხელა აურზაური, ამხელა შეხლა-შემოხლა თუ ატყდებოდა. საკანგაშო ისიც იყო, რომ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მუქდებოდა ტალახი, მით უფრო ჯოჯოხეთურად ბუყბუყებდა და ისეთ რაღაცებს სვრიდა, რისი გასვრაც მთელ მის ცხოვრებას აუფასურებდა, სწორედ იმას უთხრიდა ძირს, რაც დიდი ხანია შეიტკბო და შეისისხლხორცა. მართალია კიმფორმიზმი ძალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, თავის შეუწუხებლად, შეძლებულად ცხოვრება ერჩია, მაგრამ თავის წარსულზე თვითონ აგებდა პასუხს და არავის შიში და რიდი არ უნდა ჰქონოდა. ვინ იყო მირიან ზარდაშელი, რას წარმოადგენდა ისეთს, რომ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და დამსახურება აბუჩად აეგდო, გაეუფასურებინა ყველაფერი ის, რაც საკუთარი ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით შექმნა? ვის რაში სჭირდებოდა შეშლილი ბერიკაცის ნაბოდვარი და ნაცოდვილარი, მისი დახლეჩილი, დაქუცმაცებული სამყარო, როცა ჭკუადამჯდარნიც კი ორიენტაციას კარგავდნენ და აღარ იცოდნენ, ვის მიკედლებოდნენ, ვის ბუნაგში ამოეყოთ თავი? იმ ქვეყანაში, სადაც ყველა ცოდვილს თავი წმინდანი ჰგონია, ვინ დაუთმობდა ყოფილ შლეგსა და შეამბოხეს წმინდანობას, ვინ გამოარჩევდა და გარევდა იმათში, რომელთაც ძველები ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაიდგეს? რა თქმა უნდა, არავინ. მოწმეებსა და გამკითხავებსაც ისევე გაუვიდათ ყაელი, როგორც დამსჯელებსა და ჯალათებს.

მირიანისთანა შლეგი მას სხვაც ბევრი უნახავს, მათ შორის თავდადებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც და უმწეონიც, საქმიანებიც და არაფრის მაქნისებიც, რომლებიც ვადასატანს როგორღაც იტანდნენ, მაგრამ შინაგანად არ იცვლებოდნენ და ახლა ვინმეს რომ ეთქვა მისთვის, მირიანი შეიცვალაო, არაფრით არ დაიჯერებდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად ცხოვრობდა ამჟამად მირიანი, ნამდვილ ბინაში თუ სახელოსნოდ წოდებულ სარდაფში, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული იყო: მის ბინაში თუ სახელოსნოში, ალბათ, არ შეისვლებოდა. დაუგველი იატაკი, გაურეცხავი ჭურჭელი, ნამწვავებით სავსე საფერფლეები, კედლისაკენ პირშექცეული ტილოები, კარადის მაგივრად, უბრალო თაროები, პირსახოცის მაგივრად — ჭუჭყიანი ჩვარი. ფარდებზე და თეთრეულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ეტყობა, წვერიც იმიტომ მოუშვა, რომ გაპარსვა და პირის დაბანა ეზარებოდა. დროდადრო, ალბათ, მის ბუნაგში მისნაირები იკრიბებიან, ღარიბულ სუფრასთან ყბედობენ, ხოლო, როცა შეზარხოშდებიან, ერთმანეთს აქებენ და ადიდებენ, თორემ საიდან. დაირხა ხმები, ასეთია და ისეთიაო, როცა არც ერთ ღირსეულ კაცს მისი არაფერი უნახავს, როცა არც ერთი გამოფენაც კი არ მოუწყვია.

ბერიკაცს დაძაბულობისაგან სახე წამოეწოო, დასცხა, შუბლი ოფლით დაენამა. უნდოდა შეჩერებულიყო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოეღო, შუბლი მოეწმინდა, მაგრამ უეცრად ყველაფერი ეს ისეთ უაზრობად მოეჩვენა, რომ ჯიბიდან ხელი ამოიღო და გზა განაგრძო. ფიქრით არაფერი აწუხებდა, თავის ტკივილი შუადღეზე დაეწყო და თანდათან უმძაფრდებოდა, კეფისაკენ ინაცვლებდა. პორტფელი ტყვიასავით მძიმე ეჩვენებოდა. ბუნებით მხდალი არ იყო, სიკვდილის სიახლოვე არ ზარავდა, მაგრამ ახლა რაღაცნაირი, მისთვის უჩვეულო შიში იპყრობდა, შიში გარეთ ყოფნისა, ქუჩაში უპატრონოდ წანწალისა. ამგვარი შიში არასოდეს დაუფლებია და ამიტომ არ იცოდა, საიდან გამოტყვრა. ქუჩაში მარტო სიარულს არასოდეს მორიდებია, ყველა ქალაქში, სადაც კი უცხოვრია, მშობლიური იქნებოდა იგი თუ უცხო, ღამითაც ისე თავისუფლად დადიოდა, როგორც დღისით. პირიქით, ღამე მარტო ხეტიალი ერთგვარ სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა, რადგან დამინებულ ქალაქში ღამეული ჩრდილების, იდუმალებისა და დაჩეხილი სივრცის სუნთქვა იგრძნობოდა. ამ დროს მის გულში შიში ფეხს ვერ იკიდებდა, საფრთხე რეალურ კონტურებს ვერ იძენდა და ეს მაშინ, როცა ყოველი საბჭოთა ქალაქი სავსე იყო ქურდებით, მძარცველებითა და ჯიბეგრეებით.

პირველად მძარცველებს მშობლიურ ქალაქში გადაეყარა. ეს მოხდა მისი კრასნოიარსკიდან დაბრუნების შემდეგ. ომი უკვე დაწყებული იყო, ცივი ზამთარი იდგა, ცივი ქარები ქროდა და გათოშილი ქალაქი უზარმაზარ ოდებში ხელებს იფშვნეტდა, ფეხებს აბაკუნებდა. ამა თუ იმ ბინიდან მხრჩოლავი ნავთის ისეთი სუნი გამოდიოდა, რომ მთელ სახლს მსჭვალავდა. ომი რომ სასტიკი იყო, ამას ყველაზე მეტად ჯვარედინად ქაღალდგაკრული ფანჯრები, ჩაბნელებული ქუჩები და უკიდურესი სიდუხჭირე მოწმობდა. დამშეული იყო არა მარტო სტომაქი, არამედ თვალიც, მაგრამ ომი მძვინვარებდა სადღაც, ჩრდილოეთში, კიდევ უფრო გათოშილ და დამშეულ მხარეში, თბილისში კი არაფერი იყო დამწვარი, დანგრეული, გაპარტახებული. მობუზული, აჟღურტულებული ბელურებიც კი გრძნობდნენ, რომ ხვალ ან ზეგ დათბებოდა, ცივი ქარები ჩადგებოდა, თოვლი და ჭყაპი გაქრებოდა და თბილისი ისევ ამჩატდებოდა, ისევ გამოეფინებოდა ხალხი გარეთ.

იმ დღეს შეზარხოშებული ბრუნდებოდა შინ. ისეთმა კაცმა დაპატიჟა, რომ უარი არ ეთქმოდა. როცა საკუთარ ქუჩაზე შეუხვია, სიბნელეს ორი სილუეტი გამოეყო და მისკენ წამოვიდნენ. როგორც ყოველი ომის დროს, ახლაც უზომოდ იმატა ქურდობამ, ძარცვამ, ყაჩაღობამ. მართალია, გაზეთები ამის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე არაფერს წერდნენ, მაგრამ ხალხმა მაინც ყველაფერი იცოდა, ისეთი დეტალებიც კი, რეპორტიორებს აზრადაც რომ არ მოუვიდოდათ. შენიღბული ნათრა ოდნავ ანათებდა ქუჩას. ირგვლივ კაცაშვილი არ ჭაჭანებდა. სილუეტები უფრო მოიპარებოდნენ, ვიდრე გამართული მოდიოდნენ. იმ დღეს მოსკოვში შეკერილი, ძვირფასი ბეწვისაყელიანი პალტო ეცვა, თავზეც ბეწვის ქუდი ეხურა. შეიძლება სწორედ ამან დაანტერესა მძარცველები. იმ დროს თბილისში ნახმარი ტანსაცმელიც კი ძვირად იყიდებოდა, მით უმეტეს, ბეწვეული. თვალი მათ მხოლოდ მაშინ შეავლო, როცა წინ მომავალმა ჯიბიდან გალესილი ბებუთი ამოიღო. შესახედავად ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭები იყვნენ, ასე, საშუალო ტანისა, უფრო გამხდრები, ვიდრე ძალ-ღონით სავსე ვაჟაცები. იმას, დანა რომ ეჭირა ხელში, კეპი ეხურა, თვალები ავად უელავდა, ყბა უთრთოდა და ᲐᲘᲛ ᲯᲣᲠᲘᲡ ავაზაკი იყო, სისხლის დღვრა რომ არაფრად უღირს. მეორეს ქუდიც კი არ ეხურა, თავი მანქანთან ჰქონდა გადახტრილი და ფერზე ეტყობოდა, რომ ცახიდან ახალგამოსული იყო.

— აი, რა, ძაკაან, ეგ ქურქი გაიხადე, ეგ ქუდიც ზედ მოაყოლე, საათიც მოიხსენი და ჯიბეებიც ამოატრიალე, — უთხრა კეპიანმა კბილებში გამოცრილი მუქარით, დანა მაგრად ჩაბღუჯა ხელში და ისეთი გაბოროტებული მზერით აათვალ-ჩაათვალიერა, რომ უკან არაფრის დიდებით არ დაიხევდა.

— რომ არ გავიხადო?

— წელებს დაგაყრვენინებ!..

სხვა დროს შეიძლება ერთი წამით მაინც შეყოყმანებულიყო, მუქარასათვის ანგარიში გაეწია, მაგრამ ახლა შეზარხოშებული იყო, გული ერწოდა და ამ ლაწირაკებს ისე როგორ უნდა გაეფუფუჭებინათ, რომ სახლში გაძარცული, ნიფხავ-პერანგის ამარა მისულიყო. ხოლო ძარცვის ეშხში შესულნი რომ არაფერს შეარჩენდნენ, შარვალსაც რომ გახდიდნენ, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მათთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ არც ჯანი აკლდა და არც ღონე, მაიზე ჯაბანი არც სულით იყო და თუ აიწევდა, თუ სიკვდილ-სიცოცხლის წინაშე აღმინდებოდა, ასეთ ქურდაცაცებს ერთსა და ორს კი არა, ათს დაიფრენდა. ამიტომ ბევრი აღარ უფიქრია, ხელთათმანები გაიძრო, პალტო გაიხსნა, თვალის დახამხამებაში მოსწყდა ადგილიდან და სანამ კეპიანი ხელს გაანძრევდა, ისეთი ლეწა სახეში, რომ ჯერ კედელს დაეჯახა თავით, შემდეგ ტროტუარზე გაგორდა და წამოდგომა აღარ უცდია. მეორე ამას არ მოელოდა და როგორც კი ამხანაგი ტროტუარზე გაშხლართული დაინახა, გაქცევით უწველა თავს.

შეიძლება იმ დღეს ისინი მშიერები, გათოშილები და გაბოროტებულები იყვნენ, შეიძლება არც შეწე ჰყავდათ ვინმე და არც ღამის გასათევი ჰქონდათ სადმე, მაგრამ მან კრასნოიარსკის პოლიტპატიმრებისაგან იცოდა, რა ცინიკურად, სასტიკად, არაადამიანურად ექცეოდნენ ეგრეთ წოდებული ქურდები მათ გარეშოში მოხვედრილ პატიოსან ხალხს, განსაკუთრებით კი ინტელიგენტებს, რა იარლიყებს არ აკერებდნენ, რას არ ართმევდნენ. ბევრი მათგანი სწორედ მათ ჩაიყვანეს სამარეში. უკეთესად არც მას მოექცეოდნენ, ციხეში ან ბანაკში რომ მოხვედრილიყო და რადგან ამისაგან საბჭოთა კავშირში არავინ იყო დაზღვეული, ინსტინქტურად სხულდა ქურდი, ავაზაკი და ჯიბგირი.

XX

ცისკიდურს ოქროსფერი აკლდებოდა და კი არ იწმინდებოდა, არამედ იმღვრეოდა. ბერიკაცი ტუჩებს ილოკავდა, დაღლილობას ებრძოდა და არაფერი აწუხებდა ისე, როგორც ქუჩის ხმაური. ის გზა, რაც გაიარა, მესამედი იყო იმისა, რაც უნდა გაევლო და ესეც საფიქრელი შეექმნა. სანამ სახლში მივიდოდა, ღმერთმა იცის, კიდევ რა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახდებოდა თავს, რა ქარბუქი დატრიალდებოდა მის სულში, რა დაამწუხრებდა და დაამდაბლებდა, და ამის გამო ახლა იმ ლოთს ჰგავდა, სახლამდე მიღწევისა და იატაკზე წაქცევის მეტი რომ არაფერი ახსოვს. მაგრამ მას ამგვარი შესაძლებლობაც წართმეული ჰქონდა, ერთი ჭიქა ღვინოც კი ვერ დალია და ამიტომ მთელი ძალ-ღონე უნდა მოეკრიბა, თავი გაემხნევებინა და ისე მიეღწია სახლამდე, რომ არავის დახმარება არ დასჭირვებოდა. დღეს პირველად აერია ცხოვრებაში გზა, პირველად მოუხდა რაღაც ისეთის დაცვა, რასაც აქამდე დაცვა არ სჭირდებოდა, პირველად უღალატა საკუთარ თავს. ის, რაც მთლიანი ეგონა, მოლიანი არ აღმოჩნდა, რაც გაუხუნარი — გახუნდა, რაც შეუმუსრავი — თვალსა და ხელს შუა შეიმუსრა. ძველი შუქნიშნები გამოიჩრთო, ორიენტირები დაიღეწა, მზეს სითბო მოაკლდა და უგზო-უკვლოდ სწორედ მაშინ დარჩა, როცა არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. ანდა რა უნდა გამოესწორებინა, რაც იყო — იყო, წავიდა, ისტორიას ჩაბარდა და თან წაიღო ყველაფერი, რასაც იმ სახით, როგორც სინამდვილეში იყო, ვეღარავინ აღადგენს. ახლა ყველა ითხუნარბოდა, როგორ მოხდა, რომ ჯოჯოხეთი და მისი ჯურღმულები რეალობად აქციე და თითქოს ყველა დაბნეული იყო, ყველა აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ყველა იმას გაჰყვიროდა, რომ დადგა მეორედ მოსვლის დრო, დაიწყო არნახული კრიზისი, ეს ქვეყანა დასაღუპავადაა განწირულიო, მაგრამ საკუთარ სულში არავინ იხედებოდა, არავინ იყრიდა თავზე ნაცარს. პირადად მას არც მეორედ მოსვლა სწამდა, არც ტანჯვის გზით სასუფევლის მოპოვება და არც იმის იმედი ჰქონდა, რომ დაზაფრული, დაბნეული ადამიანები თავს რაიმეს გაართმევდნენ. ამას თვითონაც გრძნობდნენ და ბოლო დროს ეკლესიას ისეთი ხალხი მიაწყდა, მთელი ნიცოცხლე რომ ღვთის გმობის მეტი არაფერი უკეთებიათ. ეკლესიაში სიარული, პირჯვრის გადაწერა და სანთლის ანთება არც ისე მძიმე საქმე იყო, რომ ამისათვის თავი აერიდებინათ, მაგრამ განწმენდისა და განკაცებისათვის რომ ტანჯვა და ქენჯნა იყო საჭირო, ამის არც გაგება უნდოდათ და არც დაჯერება. ამიტომ ეკლესიაში სიარული კი არ ამხნევებდათ, კი არ ამაღლებდათ, არამედ, პირიქით, აცოდვიანებდათ, ამდაბლებდათ. თუმცა, ის ჭეშმარიტ, მათ რომ აბინძურებდა, მასაც ეცნო და აზრებიც უნდა მოსულოდა თავში, ვერ განიწმინდებოდა, ვერ ჩამოირეცხდა იმ ლაქას, ერთ დროს არაფრად რომ არ მიაჩნდა. ეს რომ ასე იყო, ამას არა მარტო დღევანდელი თავქარიანობა და ახირება ადასტურებდა, არამედ ისიც, რომ უილუზიოდ ცხოვრობდა, ეკლესიაში არ დადიოდა, პირჯვარს არ იწერდა და არსაიდან არავითარ ხსნას არ ელოდა.

ბერიკაცს სრულებით არ გაკვირვებია, აზრი რომ გაუწყდა და აწმყო წარსულმა შეცვალა. ასეთი რამ დღეს არაერთხელ მოხდა და ამიტომ ბუზღუნი არ დაუწყია, იმ აზრს მიჰყვა, თავისთავად რომ ჩამოყალიბდა. ორმოცდაერთის გაზაფხული ისეთი ფოთლიანი და ყლორტიანი იყო, არ იცოდა, სიმწვანესად წაელო, თბილისი არავერ საბედისწერის არ ელოდა და იგიც შეუდგა საკუთარი საქმეების მოგვარებას. დროებით არაფერი უყვარდა და ამიტომ თავიდანვე დაისახა მიზნად ისეთი სამსახური ეშოვა, რომ მერე გაქცევა-გამოქცევა არ დასჭირვებოდა. საქმეს ის არაულებდა, თანამდებობებზე ახალი ხალხი მოვიდა და ურთიერთობის ახალი სტილი დამკვიდრდა. მართალია საბუთები ისეთი ჰქონდა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა, მაგრამ ქართველებს საბუთები იმდენად არ აინტერესებდათ, რამდენადაც მისი ხედვის კუთხე, კაცობა და იმგვარი გამტანანობა, ყოველგვარ კანონზე მაღლა რომ დგას. მაფიიზურ სტრუქტურებს მაშინ უკვე საფუძველი ჩაყრილი ჰქონდა. უფრო მეტიც, თავიდანვე მაფიიზური იყო ის სისტემა, რომელმაც, რაც მისატაცებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო, მიიტაცა და ამის შემდეგ კერძო საკუთრება მოსპო. მის საბუთებს მხოლოდ მაშინ გაუწევდნენ ანგარიშს, თუ თავისიანად მიიჩნევდნენ და საბოლოოდ დარწმუნდებოდნენ, რომ იგი მათ არ აუხარდებოდა, სიმართლისა და კანონიერების ძიებას არ დაიწყებდა. იგი რომ სიმართლისა და კანონიერების მაძიებელი არ იყო, ამაში სულ მალე დარწმუნდა ის, ვისაც საიდუმლო ძმობაში მისი მიღება დაავალეს.

კრასნოიარსკისაგან თბილისი იმით განსხვავდებოდა, რომ ქველი, დიდი ქალაქი იყო, თავისი ტრადიციები, თავისი ზნე-ჩვეულებები ჰქონდა და უცხო სხეულს ან ითავსებდა, ან იკვეთდა. მოსახლეობა აქაც იმ ძალას ემორჩილებოდა, მთელ კავშირში რომ ამყარებდა წესრიგს, მაგრამ საქართველოში ადამიანებსშორის ურთიერთობას სხვა ხასიათი, სხვა სიმწკვივე, სხვა ღირსებები და სხვა ნაკლი ჰქონდა. იმგვარი ინდივიდუალიზმი, ქართველებს რომ ჰქონდათ ძველ-რბილში გამჯდარი, კრასნოიარსკელებს არც დაესიზმრებოდათ, არც ისეთი თვალთმაქცობა შეეძლოთ, თვით თვალთმაქცობასაც რომ თვალში ნაცარს აყრის. ქართველები კანონებსა და ინსტრუქციებს გაცილებით ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ, ვიდრე პირად სიმპათიებს და ანტიპათიებს, იცოდნენ თავის დაფასებაც, ერთი ბოთლი არყის ფასად არ იყიდებოდნენ და, საერთოდ, საქმეს სამართხვრიდ არ იხდიდნენ. უფვარდათ სიკოხტავე, ჩაცმადახურვა, თავის გამოჩენა, პოლიტიკისა ბევრი არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ მაინც ბევრს ლაყბობენენ, თანაც პათეტიკურად, კატეგორიულად. ღვინის სმა მოსაწონი იცოდნენ, მაგრამ ლხინსა და დროს ტარებაში მეტისმეტად ბევრ დროს ხარჯავდნენ. ორაზროვნება, უზრდელობა, უხეშობა და უწიგნურობა გარეთ არ გამოჰქონდათ, მზაკვრობას ღიმილით ნიღბავდნენ, არაკომპეტენტურობას — ამბიციებით, უსამართლობას — დემაგოგიით, უპასუხისმგებლობას — ობიექტური მიზეზებით, უნიჭობას — ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით, უსაქმურობას — მოუცლელობით, კარიერისტობას — საზოგადოებაზე ზრუნვით, არამამულიშვილობას — პატრიოტიზმით, ხოლო გამცემლობას, ღალატსა და გამყიდველობას — ცინიზმით. ბევრი რამ ამ შეუთავსებლობებიდან ახალი დროის მოტანილი იყო, მაგრამ ახალი დროის მოტანილი ქართველებმა გაუჭიანურებლად მოირგეს. ისინი, რატომღაც, დარწმუნებული იყვნენ, რომ ბუნებას არაფრით არ ჩამორჩებოდნენ სოციოცხლისუნარიანობასა, მანიპულირებასა და შემგუებლობაში და თავი სხვა ხალხებზე უფრო იოლად გაჰქონდათ. საქართველო თავისი ბედითა და ხვედრით დიდს ვერაფერს დაატრაბახებდა, მაგრამ ქართველება მაინც შეყვარებული იყვნენ თავიანთ ბედ-იღბალზე და დედამიწა მათთვის უცხო, ცივი, მიუსაფარი პლანეტა კი არ იყო, არამედ აყვავებული, მზით გამბარი, ნაყოფიერი ბაღნარი. აი, ასეთ ხალხად ჰქონდა საქმე, თვითონაც ამ ხალხის განუყოფელი ნაწილი იყო და მისი არაფერი ეთაკილებოდა, არაფერი ეუცხოებოდა.

კაბინეტში დახდა სიმპათიური, თითქმის მისი ხნის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ულვაში კი ჰქონდა ქართულად დაყენებული, მაგრამ არც ღიპი აუშნიებდა და არც გვერდზე გაჭრილი ხალათი. ეცვა თეთრი პერანგი, ნაცრისფერი კოსტიუმი და ყელსახვევიც სწორად ჰქონდა გაკეთებული. მხოლოდ კილოზე ეტყობოდა, რომ თბილისელი არ იყო და პაპოროსის წევის ისეთ მანერებზე, რომ ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას. კომთარის მოადგილეს მისი საბუთები წინ ედო, ისიც იგრძნობოდა, რომ გადაკითხული ჰქონდა, იცოდა, უმაღლესი სასწავლებელი მოსკოვში რომ ჰქონდა დამთავრებული, კრასნოიარსკში რომ დიდი ქარხნის დირექტორი იყო და მთავრობისაგან დაფასება და ჯილდოები არ აკლდა. მათ ურთიერთობაში უკვე ისახებოდა რაღაც, კონტაქტის მაგვარი, და უეცრად კომთარის მოადგილემ რუსულად დაუწყო ლაპა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რაკი, რაც არ ესიამოვნა. არა ამიტომ, რომ საშინელი აქცენტი ჰქონდა და დროს ერთმანეთში ურევდა, — მაშინ რუსულის არცოდნა სირცხვილად არ ითვლებოდა, — არამედ იმის გამო, რომ რუსულს მათ ურთიერთობაში დისტანცია, უცხოობის ელემენტი შემოჰქონდა. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ მათ საუბარში კვლავ ქართულმა ინტიმმა იჩინა თავი და ოფიციალური ინტონაცია შინაურულმა შეცვალა.

— ციმბირზე იმდენი ცუდი რამ მსმენია, რომ გიყურებთ და არ მჯერა, რომ აქედან ზარი ჩამოსული. აქამდე მეგონა, ციმბირი თავისებურ დაღს ასვამს ადამიანს,—უთხრა კიმისრის მოადგილემ უფრო ხუმრობით, ვიდრე სერიოზულად.

— დაღს იმას ასვამს, ვინც იქ დასადაღად ჩამოჰყავთ. ამიტომაც გსმენიათ ბევრი ცუდი რამ ციმბირზე. სინამდვილეში კი ისიც დედამიწის ნაწილია და, თანაც, უზარმაზარი, თავისებური. მართალია ცივა, ყინავს, ქარბუქი თოვლს ხან აქეთ მიხვეტავს, ხან იქით, ზაფხულში ფეხშიშველა ვერ გაივლი და თუ მიჩვეული არ ხარ, მდინარეში ვერ შეხვალ. სამაგიეროდ სივრცეებია უკიდეგანო და უსაზღვრო. ღმერთმა, ეტყობა, წიაღისეული იმ ადგილებში ჩამალა, საცხოვრებლად რომ არ ვარგა. ამას ადასტურებს არაბეთის უდაბნოები და ციმბირის მარად გაყინული მიწა, ანუ როგორც იქაურები ეძახიან — ტაიგა. ამ ტაიგაში არის ადგილები, სადაც ჯერ კიდევ ფეხი არ დაუდგამს და გაღორებულ ადამიანს ჯერ არაფერი წაუბილწავს და გაუმურდლებია. სწორედ ამის ჯავრი კლავთ ახლა იქაურ ხელისუფალთ და ერთი სული აქვთ, როდის დაჩეხენ და დაჯიჯგნიან.

— რა ყრია მერე ასე უხვად იმ ტაიგაში?

— რაც გინდა, სულო და გულო. უზარმაზარი ტყეები, უზარმაზარი მდინარეები, უზარმაზარი მინდვრები, გამოულეველი ნადირი და თევზი, წიაღისეულთაგან — ოქრო, ვერცხლი, ალმასი, პატიოსანი თვლები, რკინა, ქვანახშირი, ბოქსიტები და, რა თქმა უნდა, უამრავი კოღო. სამაგიეროდ არ არის გზები, არ არის ელექტროგადაცვალნილობა, არ არის კავშირგაბმულობა. ზოგჯერ შეიძლება მთელი დღე იარო გაკავალულ გზაზეც კი და კაცაშვილს ვერ შეხვდე. სივრცეებია რადაგნაირი, კოსმოსური, შეუღწეველი, გამაოგნებელი და როცა მათ ზეგავლენაში ვექცეოდი, სულ იმას ვფიქრობდი, ვინ შეეჭიდება, ვინ მოერევა, ვინ აითვისებს ამ სივრცეებს-მეთქი.

— ისე ლაპარაკობთ, სივრცეებიო, თითქოს ზებუნებრივი არსებანი, ღვთაებანი იყვნენ და ადამიანების ბედს განაგებდნენ.

— განაგებენ კიდეც. იმპერიები სივრცეებმა, მათთან ჭიდილმა დაანგრია. ხალხებმა, რომლებმაც მთებსა და ვიწრო ხეობებს შეაფარეს თავი, დღემდე მოაღწიეს, ხოლო ისინი, ვინც დიდ სივრცეებს შეეჭიდნენ, მოისრნენ და განადგურდნენ. სივრცეს ან უნდა შეეშვა, ანდა იმდენი დაისაკუთრო, რამდენსაც მოერევი. თუ ვერ მოერიე, აქეთ მოგვრევ, მიგიტყუებს, ჩაგითრევს და გაგსრესს. იმ ტაიგაში სივრცის დაპყრობის მიზნით ბევრს შეუდგამს ფეხი, მაგრამ უკან ვეღარ გამოუღწევია. ის ტაიგა ერთსა და იმავე დროს ილუზიების ამშლელიცაა და ილუზიების გამაცამტვერებელიც.

— მადლობა ღმერთს, ეგ პრობლემები ჩვენს წინაშე რომ არ დგას, იკითხონ ციმბირელებმა და იმტვრიონ თავი. ჩვენ ნუ რაფერს მოგვთხოვენ და, მათი ჩვენ არაფერი გვინდა. თუმცა, ამბობენ, იმ ციმბირში ისეთი ბეწვეულია, მთელ მსოფლიოს ზედ რჩება თვალიო. განსაკუთრებით თურმე სასამურის ბეწვი ფასობს.

— სიასამურზე უფრო სხვოსანი მე არაფერი მინახავს, დამუშავებულიც კი ისევე თბილია, როგორც ცოცხალი.

— ისიც წყალში ცხოვრობს?

— არა. წიწვიან ტყეებში უყვარს ბინადრობა, სოროს ხის ფესვებს შორის და ფუღუროებში იკეთებს. სიგრძით

ორმოციოდე სანტიმეტრია, წონით კი, საშუალოდ, კილო-ნახევარს იწონის. ზოგი ღია ყავისფერია, ზოგი მუქი ყავისფერი. მოქნილი, ძნელად შესამჩნევი, ცოცვივით მარდი ცხოველია. მისი დაჭერა ჭირს, მაგრამ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ბრაკონიერებს რა გამოლევს და ამიტომ კრასნოიარსკში სიასამურის დამუშავებული ბეწვი საკმაოდ იაფად იყიდება.

— მერედა, მთავრობა რას უყურებს, რატომ არ ებრძვის ბრაკონიერებს?

— ებრძოლე, რამდენიც გინდა, იქაური ტყეებს ვინ დაუდარაჯდება.

მან ისიც უამბო კომისრის მოადგილეს, როგორ ნადირობენ სიასამურზე, როგორ ატყავებენ, როგორ გამოჰყავთ მისი ტყავი. არც ის დავიწყნია, ერთხელ იქაურებს დათუნე სანადიროდ რომ წაჰყავ. მოკლული დათვი იმხელა იყო, რომ მისი ტყავი თითქმის მთელი ოთახის იატაკს ფარავდა. იგონებდა სხვა ამბებსაც, — როგორ იჭერდნენ თევზს, როგორ ამარილებდნენ ხიზილალას და ყველაფერ ამას ყვებოდა მსუბუქად, ამ კაცის იერით, რომელსაც ბევრი უმოგზაურია და ბევრი რამ უნახავს, რამაც კომისრის მოადგილეზე საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბოლოს საქმეზე გადავიდნენ. კომისრის მოადგილემ იმდენი პატივი დასდო, რომ ეკანტური ადგილების სია გამოუწოდა. სია დიდი არ იყო, სად ჰქონდა მაშინდელ საქართველოს იმდენი ქარხნები და საწარმოები, რომ თანამდებობები მარჯვნივ და მარცხნივ ერიგებინა. ამიტომ გონივრულობა გამოიჩინა და ახალშენებული ჩარხსამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე დათანხმდა. თუ შეეგუებოდა და იმუშავებდა, ხომ კარგი, თუ არადა, საქართველოში ფეხის მოსაკიდებლად მაინც ვამოადგებოდა. იყო კიდევ ერთი მიზეზი, რისთვისაც არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია: გუშანი აჩქარებდა, ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა.

— თქვენ აქ ისე ლაპარაკობდით დიდ სივრცეებზე, საქართველო რომ გეპატარავოთ, ისევ ციმბირში ან რუსეთში ხომ არ გაიქცევით? — ჰკითხა კომისრის მოადგილემ ისეთი ღიმილით, რომ დარწმუნდა, ამ კაცს თანდაყოლილი იუმორის გრძნობა ჰქონდა.

— ღმერთმა დამიფაროს, მეყოფა, რაც ვიხეტიალე. დადგა ის დრო, როცა კაცი საკუთარ სახლში და საკუთარ ქვეყანაში უნდა დაეტიოს.

— მე ისიც მაკვირვებს, იმ ყიამეთში ამდენ ხანს რომ გაძელით. როცა მოსკოვში ან ცენტრალური რუსეთის რომელიმე ქალაქში მაგზავნიან მივლინებით, ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები თბილისში. განსაკუთრებით მაკლია ჩვენებური კერძები და ჩვენებური ღვინო. რა ვქნა, როგორც გინდათ, ისე ჩამითვალეთ, მაგრამ მოყვარის მწვანილეულობა, ფხალეულობა, ჩვენებური მჭადი, ჩვენებური ლობიო, ერთი სიტყვით — შეკაზმულ-შეწყობაებული კერძები, და ვერ ვიტან რესტორნის ან სასადილოს უწამაგო კერძებს. იმ ციმბირში ღვინო თუ იყო მაინც?

— არა, ღვინოს წამლად ვერ იშოვიდი.

— აბა, რას სვამდით?

— იქაური სასმელი არაყი და სპირტია.

— სპირტი დავილევიათ?

— რამდენჯერმე.

— როგორია, დაილევა?

— სპირტის დალევას ცოდნა უნდა, ისე უნდა გადაუშვა ხახაში, რომ პირს არ მიაკარო. თუ მოიყუდე და დალიე, სუნთქვას შეგიკრავს, ცრემლებს გადენინებს.

პირველად მას სწორედ ასე დიმარია და ახლა სპირტზე რომ არ ჩამივარდნილიყო სიტყვა, არც კი გაახსენებოდა. ანდა, რა გასახსენებელი იყო გამჭვარტლული, თევზისა და წეკოს სუნით გაჟღენთილი ბუნაგები, სადაც სპირტს სვამდნენ და ერთმანეთის დედაკაცებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ, როცა ყველაფერი ბურუსში, ირეალობაში იძირებოდა და არ არსებობდა სამყაროში არავინ, ვისთვისაც

საკუთარ ცრემლებსა და ნარწყევში განბანილს შეეძლო რამე ეთხოვა.

— მერე ესაა საქმე? რა პირში ჩასაშვებია ისეთი საჭმელი თუ სასმელი, სუნთქავს რომ შეგიკრავს და ცრემლს გადენს, — უთხრა სახალხო კომისრის მოადგილემ.

— სამაგიეროდ, უცბად გათბობს და უცბად გთრთბს.

— მინახავს მე ასეთი მთვრალები ქუჩაში დაყრილი და არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც. იმასაც შევსწრებივარ, ერთი კათხა ლუდისათვის უზარმაზარ რიგებში რომ დგანან მობუზულები.

— ციმბირში ისეთი ჰავაა, რომ უარყოფ და უსპირტოდ ადამიანი ვერ გაძლებს. მაგრამ მოვეშვათ ამას. ყველა ხალხს ცხოვრების თავისი წესი აქვს და თვითონ იცის, რა სჭირდება და რა არა. მე სულ სხვა რამ მაინტერესებს: ის ქარხანა აშენებულია თუ ჯერ კიდევ შენდება?

— მიმდებმა კომისიამ მიიღო, მაგრამ ხარვეზები მაინც დარჩა და ყველა იმ ხარვეზს აღმოფხვრა სჭირდება.

— დაზგები და ჩარხები თუა დამონტაჟებული?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი. ერთი კაცი ყველფერს ვერ გასწვდება, მიხვალთ და ნახავთ.

— დირექტორი თუ ჰყავს ქარხანას?

— კი ჰყავს, მაგრამ ამ საქმის სპეციალისტი არაა.

— ესე იგი, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები?

— მე მვონი, კი.

მან ამ კაბინეტში შემოსვლამდეც იცოდა, რომ ახალაშენებული ქარხანა სწორედ ისეთ დღეში იქნებოდა, როგორც კომისრის მოადგილემ დაუხატა. კრასნოიარსკთან შედარებით თბილისი დიდი ქალაქი იყო, მაგრამ მიუხედავად ამ სიდიდისა, ნამდვილი მუშათა კლასი, ნამდვილი ტექნიკური სპეციალისტები მაინც არ ჰყავდა. თბილისში ჩამოსახლებული ქართველები ქარხნებსა და ფაბრიკებს გაურბოდნენ, მათი ტექნიკური აღჭურვილობისა ეშინოდათ, უფრო იოლ და სარფიან საქმეს ეძებდნენ. ამიტომაც თბილისს არასოდეს ჰქონდა ინდუსტრიული ქალაქის სახე, არ ჰყავდა ისეთი პროლეტარიატი, მაოლაც პროლეტარებისაგან რომ ყოფილიყო შემდგარი. იცი წლის მანძილზე ისიც კი მოისპო, რაც იყო და ახლა მართლაც მუშათა კლასი აღარავის სჭირდებოდა. ახლა სჭირდებოდათ უენი, წინასწარ დაპროგრამირებული რობოტები და ეს მასზე უკეთ იცოდა ამ კაცმა, მის პირდაპირ რომ იჯდა და პაპიროსს ისე ეწეოდა, რომ ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას.

— იმ ციმბირში როგორაა კვალიფიციური მუშახელისა და სპეციალისტების საქმე? — ჰკითხა კომისრის მოადგილემ და ამ კითხვაშივე იგრძნობოდა, რომ მას ეს ამბავი ისევე აინტერესებდა, როგორც იმათი ბედი, ვისაც ქარხანაში უნდა ემუშავა.

— ამ მხრივ საქმე იქაც ცუდადაა, მაგრამ კრასნოიარსკის მხარეში იმდენი და იმხელა ბანაკებია და ამ ბანაკებში იმდენი პატიმარი იხდის სასჯელს, რამდენიც მთელი თბილისის მოსახლეობაც კი არაა. თანაც იმ მხარეში ისეთ ხალხს უფრო ასახლებენ, ვინც რაღაცა იცის და სადღაც უმუშავია. ამიტომ გასაკვირი არაა, ამდენ ხალხში რომ კვალიფიციური მუშახელიც მოიძებნოს და სპეციალისტებიც.

— მერე, აკეთებენ რამეს, მუშაობენ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, თუ სამუშაო აზრიანია, სიბეჯითესაც კი ინერნენ. გარდა ამისა, აქ ისე არ უჭირთ პატიმრებს, როგორც იქ. იქამდე ამანათიც კი იშვიათად აღწევს და დამატებით ულუფას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

— ჯერ ეს ამიხსენით, რას ჰქვია აზრიანი სამუშაო?

— როცა შრომას შედეგი მოაქვს, როცა მართლა კეთდება და შენდება რამე, როცა შენი ნახელავი წყალს კი არ მიაქვს, არამედ შთამომავლობას რჩება.

— ჩარხმშენებელ ქარხანასაც პატიმრები აშენებდნენ, მაგრამ ჩვენ მათგან

ᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲔᲠᲘ ᲔᲜᲐᲮᲔᲗ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲘᲡᲘᲐᲜᲗᲘ ᲮᲐᲡᲚᲘᲐᲜᲗᲘ ᲑᲐᲠᲚᲔᲜᲐ, ᲐᲜ ᲘᲛᲘᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲓᲔᲪᲐᲡ ᲣᲒᲠᲐᲖᲘᲜᲓᲔᲜᲔ; ᲗᲣ ᲐᲠ ᲣᲒᲠᲐᲖᲘᲜᲓᲔᲜᲔ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲕᲔ ᲝᲚᲘᲓᲔᲜᲔ, ᲦᲔᲑᲐᲕᲓᲔᲜᲔ, ᲬᲔᲑᲐᲕᲓᲔᲜᲔ ᲠᲐᲓᲔᲪ-ᲠᲐᲓᲔᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲣᲛᲘᲐ ᲞᲣᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲢᲠᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲩᲰᲜᲔᲗᲐᲜ.

— ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲘᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐᲪᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲙᲠᲐᲡᲚᲝᲜᲘᲐᲠᲡᲬᲘᲜ ᲩᲐᲕᲘᲓᲔ, ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲘᲥ ᲘᲙᲚᲐᲕᲓᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲝᲗ.

— ᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲓᲠᲘᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲘᲧᲐᲕᲗ?

— ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲛ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲓ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲡ, ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ.

— ᲩᲕᲔᲜ ᲠᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲕᲯᲝᲑᲐᲗ.

— ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲯᲝᲑᲐᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲘᲐ ᲐᲥᲕᲗ. ᲛᲔ ᲘᲥ ᲘᲡᲘᲝᲑᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲬᲘᲕᲔᲓᲠᲔᲗ, ᲥᲕᲘᲤᲘᲡᲜᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲘᲓ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲐᲜᲘᲨᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲢ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲓᲘᲡᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲐᲮᲛᲐᲠᲔᲜ. ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲝᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲗᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲫᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲪᲓ, ᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲣᲠᲐ ᲮᲔᲚᲡᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ. ᲐᲘ, ᲘᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲣᲮᲐᲠᲛᲐᲮᲐᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲰᲭᲜᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜ ᲐᲥᲕᲗ. ᲛᲔ ᲘᲥ ᲘᲡᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲬᲘᲕᲔᲓᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲮᲐᲠᲛᲐᲮᲐᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲪᲘᲓᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘᲜ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘᲗ, ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲘᲡᲔᲑᲘᲜᲐᲗ.

— ᲛᲔᲠᲔᲓᲐ, ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲨᲝᲕᲐᲗ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲘ. ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲝᲗᲘᲡᲔᲑᲘᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲗᲝ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

— ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲮᲘᲙᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲥ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ.

ᲙᲛᲝᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲘᲡᲘᲝᲜ ᲡᲐᲮᲔ ᲒᲐᲣᲮᲓᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲚᲘ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲙᲐᲠᲔᲒᲕᲘᲜᲝ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲓᲒᲘᲚᲐ ᲐᲠ ᲰᲭᲘᲜᲓᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘᲝᲗ ᲘᲛᲐᲛ, ᲕᲘᲡᲐᲒᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲛᲘᲗᲐᲕᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲰᲭᲓᲜᲓᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲝᲪᲐᲮᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲧᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲣᲤᲚᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲬᲘᲜ ᲩᲐᲕᲘᲓᲔ, ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲘᲥ ᲘᲚᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲕᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲥ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗᲘᲐᲜ ᲪᲘᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲐᲮᲛᲐᲠᲔᲜ. ᲞᲐᲢᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲗᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲫᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲪᲓ, ᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲣᲠᲐ ᲮᲔᲚᲡᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ. ᲐᲘ, ᲘᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲣᲮᲐᲠᲛᲐᲮᲐᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲰᲭᲜᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ. ᲐᲘ, ᲘᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲣᲮᲐᲠᲛᲐᲮᲐᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲰᲭᲜᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲙᲘᲓᲔᲕᲠᲘᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲐ.

— ᲛᲔᲠᲔᲓᲐ ᲐᲡᲔᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲪ.

— ᲠᲐᲡ ᲰᲭᲕᲘᲐ ᲐᲡᲔᲪ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲪ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაცის მოკვლა ტყვიითაც შეიძლება და შიმშილითაც.

— ახია მაგათზე. რა ეგეგმებათ და რა ემეფისრუსეთებათ, როცა შიგნითაც და გარეთაც უამრავი მტერი გვარტყია ირგვლივ და თუ არ ვიმარჯვეთ, ჩვენს სისხლს დალევენ. ცომბირის ათვისებაზე იმათ იფიქრონ, ვინც უკვე იქაა და აქეთ აღარ ჩამოვსვლება.

შეიძლება კომისრის მოადგილე ასე იმიტომ ცხარობდა, რომ საბჭოთა კავშირში არავინ არაფრისგან არ იყო დაზღვეული და თუ ბედი გაწირავდა და საბრალმდებლო სკამზე აღმოჩნდებოდა, არ უნდოდა, ცომბირისა და შორეული აღმოსავლეთის დაუსახლებელი ადგილების ამთვისებელთა შორის ყოფილიყო. იქ ფხალეულსა და შეკაზმულ-შეწოწაკებულს არავინ არაფერს მოართმევდა და თუ ამოვიდა, სპირტსაც სიამოვნებით გადაჰკრავდა. ქარიშხლიანი ცხოვრების დროებითი დამშვიდება ვერ ატყუებდა, ვერ ათავისუფლებდა იმ შიისაგან, თვით ქვეყნის მმართველებსაც რომ ჰქონდათ ძვალ-რბილში ვამპადარი.

— სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, გრძელი საუბარი გამოგვივიდა, მაგრამ, ეტყობა, ჩვენ მეტის შემძლენიც ვართ. ხომ არ გავიდეთ ჰაერზე და ხომ არ ვისადილოთ სადმე? — უთხრა მან კომისრის მოადგილეს და ფეხზე წამოდგა.

— ურიგო არ იქნება. თქვენისთანა ჭკვიან და გამოცდილ კაცთან საუბარიც სასიამოვნოა და პურის ჭამაც. ხომ არ ავიდეთ პლატონზე?

— არა, სადაც ვნებავთ, ოღონდ პლატონზე არა.

— არ მოგწონთ იქაური კერძები?

— იქაური არაფერი მომწონს, გამდაბიურდა, გავულგარულდა იქაურობა.

— მაშინ ორიანტში ჩავიდეთ.

— დიდი სიამოვნებით.

კაბინეტიდან ერთად გამოვიდნენ. კომისრის მოადგილემ მდივან ქალს დაუბარა, ობიექტზე მივდივარ და დღეს არ დავბრუნდებიო. რესტორანში სიგრილე და სიმყუდროვე დახვდათ. იმ დღეს დიდებულად ისადილეს, დიდებული „წინანდალი“ დალიეს, დამეგობრდნენ და ამ დამეგობრებამ შემდეგაც გაუწია სამსახური.

XXI

ბერიკაკი გრძნობდა, იმდენად დაღლილი არ იყო, რამდენადაც შეძრული, კალაპოტიდან ამოვარდნილი. ერთ საათში აწმყო და მომავალი გაქრა და მხოლოდ წარსულის ამარა დარჩა. მეხსიერება ბნელ, უძირო უფსკრულს ჰგავდა, სადაც ათეული წლების მანძილზე შეუფასებლად იყრიდა თავს ყველაფერი და ახლა წარმოდგენა არ ჰქონდა, რა განძის პატრონი იყო, რა ფასი ჰქონდა იმ ცხოვრებას, დღემდე რომ უფრთხილდებოდა. მისი ფიქრები და გრძნობები მუდამ გაწონასწორებული იყო, ამიტომ იშვიათად მომხდარა, რომ ასე მოულოდნელად საიდანმე რამე გამომტყვრალიყო. დღეს კი არა მარტო გამოტყვრა, არამედ ყველაფერი აამღვრია, არია და ახლა აღარც საკუთარი თავი ეკუთვნოდა, აღარც დრო და ერთი მოგონებიდან ისე გადარბოდა მეორეზე, რომ თანამიმდევრობას არავითარ ანგარიშს არ უწევდა. ამგვარ გადახტომა-გადმოხტომას კი მიჩვეული არ იყო და ამიტომაც ღიზიანდებოდა, წიწმატდებოდა. არც ის მოსწონდა, დროდადრო მის შეგნებაში სიცარიელე რომ ისადგურებდა. აქამდე ცხოვრებასთან, ამქვეყნიერ არსებობასთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე სიკვდილთან, სიკვდილთან ღლაბუცი, შეხუმრება არ უყვარდა, მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ მანძილი მას და სიკვდილს შორის მოკლდებოდა და რასაც უნდა ჩაბღაუჭებოდა, ყველაფერი ხელში აღნებოდა. მის მეხსიერებას მისდა დაუკითხავად აეტორღიალა რაღაც ისეთი, რაც მისთვის დამახასიათებელი არ იყო და ახლა სწორედ ის ითხოვდა ყველაზე მეტ ყურადღებას, თანაც ისე დაჟინებით, თუ რამე აუხსნელი, გაუგებარი რჩებოდა, კვლავ და კვლავ ახსენებდა თავს.

ბერიკაკისათვის გამვლელ-გამომვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნი უკვე აჩრდილებად იყვნენ ქცეულნი და ამიტომ არც ერთ მათგანს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ უეცრად საპირისპირო მხრიდან მომავალი მღვდელი დაინახა და ძალაუნებურად შეაჯერო თვალი. მღვდელს ჭაღარაშერეული წვერი, მსხვილი ნაკვთები და ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა. ეცვა ძვირფასი შალისაგან შეკერილი ანაფორა, მკერდზე კი მოზრდილი ჯვარი უბრწყინავდა. მოდიოდა დინჯად, თავისუფლად, იმგვარი ღირსებით, ღვთის მსახური რომ უნდა დადიოდეს. სახეზე აღარც შიშის კვალი ემჩნეოდა და აღარც ისეთი მიუსაფრობა, ომის დაწყებამდე რომ შეინიშნებოდა. მიუხედავად ამისა, მღვდლის დანახვა მაინც ეხამუშა, მისი მორთულობა შუა საუკუნეების გადმონაშთად, ანაქრონიზმად მოეჩვენა. იყო ამ მორთულობაში რაღაც ისეთი, რაც ჩვეულებრივი ცხოვრების ფარგლებში ვერ ეტეოდა. შეიძლება ეს გრძნობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ რევოლუციის შემდეგ ეკლესიაში ფეხი არ შეუდგამს და ღმერთზე და ხსნაზე ფიქრით თავი არ შეუწუხებია. თუმცა, დიდი ღვთის მოშიში არც მანამდე ყოფილა, ბევრი რამ, რასაც ღვთისმეტყველების გაკვეთილებზე ასწავლიდნენ — შვიდ დღეში სამყაროს შექმნა, ნოეს კიდობანი, წარღვნა, ცის მანანა და სხვა ამდაგვარი რამ ზღაპრებად, თქმულებებად მიაჩნდა და ვერაფერ სიმბოლურს მაინც ვერ ხედავდა. მას უფრო რეალობა იტაცებდა, ისეთი მოვლენები, ხელშესახები და გასაგები რომ იყო და ისეთი ამბები, მის თვალში რომ ნდობას იმსახურებდა. ასეთი კი ყოველი ახალგათენებული დღე იყო და ამ ყოველდღიურობაში იმდენ საინტერესო რამეს პოულობდა, რომ მათი იდუმალებით შეშოსვა და გაუგებრობამდე განზოგადება ისეთი ხალხის მოთხოვნილებად მიაჩნდა, ვისაც ამქვეყნად გაძლება უჭირდა, საკვდილის შიში ზარავდა და ირეალურ, უკვდავების მომნიჭებელ სამყაროს ეძებდა. ამას ისიც ადასტურებდა, რომ ყველაფერი კარგი, ლამაზი, სანატრელი, შორს, ზეცაში იყო განლაგებული და საკვდილამდე ვერავინ იხილავდა, ვერავინ იგემებდა, ვერავინ შეიცნობდა. ეს სიშორე, მოუწევდომლობა კი ამგვარი სამყაროს არსებობაში აიჭვებდა და ეჭვი ისეთ რაღაცებზეც ვრცელდებოდა, რასაც ეკლესიასთან და რელიგიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მაგალითად, იმაზე, რომ გიმნაზიაში სუსტება და მანკიერნი არ უყვარდათ, ძლიერებსა და თამამებს კი რიდით, პატივისცემით ექცეოდნენ და ამ ურთიერთობაში სათნოების მაგვარი არაფერი ერია. ამიტომ მას ყოველთვის საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და იმგვარი სიყვარულით, სახარება რომ ქადაგებს, არავინ უყვარდა. პირიქით, არაფრად არ მიაჩნდა, აბუჩადაც კი იგდებდა იმათ, დაცვასა და მფარველობას რომ საჭიროებდნენ. ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლის შემდეგ ყველაზე მეტი დაცვა და მფარველობა მღვდლებს, ეკლესიის მსახურთ სჭირდებოდათ, მაგრამ იმის გამო, რომ დამარცხდნენ, დასაწყლდნენ და გასაცოდავდნენ, მათ მიმართ ერთგვარი ზიზღის გრძნობაც კი დაეუფლა და ამ გრძნობისაგან დღემდე ვერ გათავისუფლებულიყო.

ბავშვობაში მშობლებს ყოველ კვირა დაჰყავდათ წირვაზე, სხვებთან ერთად ქადაგებასაც ისმენდა, მაგრამ ყველაზე მეტ სიხარულს მაინც საეკლესიო ღღესასწაულები ანიჭებდა და იმ დღეს ფილდან დადამებამდე ეკლესიაში და მის ეზოში ატარებდა. ქადაგება და დამოძღვრა ისე არ იტაცებდა, როგორც რიტუალები. მოსწონდა, ზარებს რომ აგუგუნებდნენ, დროშას რომ აფრიალებდნენ, სანთლებს რომ ანთებდნენ, ეკლესიაში დაბანილ-დავარცხნილი, საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი რომ იყრიდა თავს და ბუნდი რომ ძველებურ, მართლაც ღვთაებრივ საგალობლებს მღეროდა. იმ ადამიანთა შორის, მოწიწებით რომ იჩოქებდნენ ხატების წინ და ზეცისაკენ თვალაჭყრობილნი გულმოდგინედ ლოცულობდნენ, ბევრი წე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რა-კითხვის უცოდნარი იყო, მაგრამ ღმერთი და იმქვეყნიური ცხოვრება რომ არსებობდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ. ეჭვი არც მას ეპარებოდა მანამდე, სანამ საღვთო რჯულის სწავლება არ დაუწყეს. ბიბლიაში იყო რაღაც, მისთვის გაუგებარი, გაქვავებული, ძველ წარმოდგენებში ჩარჩენილი. ერთი სიტყვით, ვერც ქართულმა და ვერც რუსულმა ბიბლიამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ღვთის მოშიში ვერ გახდა. ამიტომ არც მარხვას ინახავდა და არც ჭამისა და ძილის წინ იწერდა პირჯვარს. რელიგიის ისტორიაში ყველაზე მეტად ქრისტეს მიმდევრების ფანატიზმი, თავგანწირვა, რწმენისათვის ჯვარზე ასვლა აკვირვებდა. ადიოდნენ ახალგაზრდებიც, ჭარმაგებიც, მოხუცებიც და ამას აკეთებდნენ იმისათვის, რომ ერთი წამით მაინც მიახლოებოდნენ ღმერთს. მას არც მაშინ ესმოდა და არც ახლა, როგორ შეიძლება ღმერთთან ერთი წამით მიახლოებისათვის კაცმა ასეთი საშინელი წამებისთვის გაიმეტოს თავი? პირადად ივი ასეთი ილუზიისათვის ჯვარზე კი არა, მწიფე ბლის ხეზე არ ავიდოდა. თუმცა ჯვარზე არც ის მღვდელი ავიდოდა, დარბაისლურად რომ ჩაუარა გვერდით. ამსელელი რომ ყოფილიყო, ამის საბაბი ცხოვრებაში არა ერთი და ორი ჰქონდა. არ ავიდოდა იმიტომ, რომ ღმერთსაც დაშორდა და ეკლესიასაც, არც თვითონ იყო თავისუფალი და არც თავისუფალ სამყაროში ცხოვრობდა. არათავისუფალი კაცი ჯვარზე ვერ ავა, წამებას ვერ გაუძლებს, ღმერთს ვერ დაუახლოვდება. ამის გარეშე კი ჯვარზე ასვლა პირადად მას თვითმკვლელობად მიაჩნდა და სხვა არაფრად.

შეიძლება მირიან ზარდაშელსაც ეგონა, რომ ჯვარზე ადიოდა, რწმენას ეწირებოდა, უფრო სწორად — ახირებას, მაგრამ ჯვარზე კი არ ასულა, ციმბირში ამოჰყო თავი. ციმბირში კი, თუ ძალიან გაჭირვეულდებოდა, შიმშილით უფრო ამოხდიდნენ სულს, ვიდრე ჯვარზე გაკვრით. მას არავინ ასწავლნებებდა სხვებისაგან გამორჩევას, იმ მკაცრი რეჟიმის დარღვევას, წვრილმანებამდე რომ იყო თავიდან ბოლომდე გაჯზრებული, და ძალიანაც რომ ნდომოდა, ეკლის ვკრავენს მაინც არავის დაადგამდნენ თავზე, მით უმეტეს, ისეთ კაცს, ამისკენ მიდრეკილება რომ ჰქონდა. საბჭოთა რეჟიმის დამცველები თავიდანვე მიხვდნენ, მირიან ზარდაშელი იმაზე რიცხვს რომ ეკუთვნოდა, ვისაც ან ჭკუა აწუხებს, ანდა საკუთარ ტყავში ვერ ეტევა და ამიტომ კი არ გაამართლეს, კი არ გაათავისუფლეს, არამედ იმ საზოგადოებას მოაშორეს, სადაც ტვინგამრეცებულები არ სჭირდებოდათ.

მირიანის საქმე არც ქუჩა-ქუჩა ხეტიალი და ავად თუ კარგად დალაგებული ცხოვრების აწეწ-დაწეწა იყო. ასეთი რამ არც მას და არც სხვას კარგს არაფერს მოუტანდა და ამის ნიშნები უკვე ცხადად იკვეთებოდა. იმ ხალხის რიცხვსა, დასამწყვდევები რომ იყვნენ, უსაშველოდ იმატა და აღარც ციხეებში ეტევიდნენ, აღარც ბანაკებში, აღარც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში და არც პროფილაქტორიუმებში. ყველა ეს დაწესებულება ცხოვრების ჩვეულებრივ ატრიბუტად იქცა და ამიტომ ნაძირალებსა და გარეწრებს შიშის გრძნობა დაუწლუნგდათ, აღარ ძრწოდნენ იმათ წინაშე, ვისაც მათი წამება და სულის ამოხდა შეეძლო. უზნეობამ, განუკითხაობამ და აღურიცხავმა ცოდვებმა თავის შედეგი გამოიღო, დვებოდა ანარქიის, ტოტალური რეჟიმის რღვევის, დიდი სისხლის ღვრისა და დიდი უბედურების ჟამი. ბზარები უკვე ფართოვდებოდნენ, იტოტებოდნენ, პირს აღებდნენ და როგორც კი კედლები ნამოიქცეოდნენ, ნანგრევებიდან მაშინვე გამობობღდებოდნენ შლეგები, დამთხვეულები, მანიაკები, ნარკომანები, მეამავნი, ქურდები და ყაჩაღები, ისევ ძველ გზას დაადგებოდნენ, უამრავ სისხლს დაღვრიდნენ, უამრავ ცოდვას ჩაიდენდნენ და როცა ყველაფერი ყელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ამოუვდოდათ, ხსნის იმედს ჩაებღაუჭებოდნენ, ეკლესიას მიაშურებდნენ. აი, მაშინ კი დამდიდრდებოდნენ მღვდლები და ეკლესიის მსახურნი, ძველებურად გასუქდებოდნენ, გალაღდებოდნენ, ძველ პრივილეგიებს დაბრუნებდნენ, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლებოდა. მღვდლებს რომ ხალხის მოვლა შეძლებოდათ, რევოლუციამდე მოუვლიდნენ და თავს არ გააჟლეტინებდნენ. მღვდლებზე კიდევ ამიტომ იყო გამწყრალი, რომ კრასნოიარსკიდან დაბრუნების შემდეგ ერთმა მათგანმა სიმწრით დალაგებული ცხოვრება კინაღამ მთლიანად აუწყწ-დაუწეწა და მშრალზე დატოვა.

ამ საღამოს, კომისრის მოადგილესთან რომ ისაუბილა, სიდედრი გარდაეცვალა. საშვილოსნოს კიბო ჯერ კიდევ მის ჩამოსვლამდე აღმოაჩნდა და საშინლად იტანჯებოდა. ბუნებით ავი, ანჩხლი, უკეთური ქალი არ იყო, არც ზრდილობა, სიდარბაისლე და განათლება აკლდა, მაგრამ ყველფერი ეს ისეთ ზნეობრივ საფუძვლებს ეფუძნებოდა, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდს სრულიად არ შეეფერებოდა. მისი ჩვევები, შეხედულებები, მიდრეკილებანი იმ დონეზე დარჩა, სკოლაში რომ ასწავლიდნენ და უნერგავდნენ. შეიძლება იგი ზნეობრივად ბევრ მის თანამოქალაქეზე მაღლა იდგა, შეიძლება აკსა და კარგშიც სწორად ერკვეოდა, მაგრამ ამ ზნეობას არ სცნობდნენ ისინი, ვის ხელშიც მოეღი ძალაუფლება იყო თავმოყრილი. დაჩემებული ჰქონდა, ადამიანები, რომელთაც პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნიათ, ან ბოროტნი და უზნეონი არიან, ანდა არ სწამთ იმ საქმისა, რომელსაც ემსახურებიანო. ამგვარი და მსგავსი სენტენციები მისთვის ურყევი ჭეშმარიტებანი იყო და არაფრით არ უნდოდა იმის დაშვება, რომ ცხოვრება ლოგიკასა და ურყევ ჭეშმარიტებებს ანგარიშს არ უწევს, რომ ადამიანები ჯერაც ცხოველები არიან და იმპულსებითა და ქვენა გრძნობებითაც ხელმძღვანელობენ. მისი სიდედრის თვალწინ ბევრი უბედურება მომხდარა, ბევრრამ ისე შებრუნებულა და შეტრიალებულა, არავინ რომ არ მოელოდა, მაგრამ დედაბრის მრწამსი და შეხედულებები ისე იყო გაქვავებული, რომ მათი შერბილება და გათანამედროვება მამაზეციერსაც კი არ შეეძლო. ის დრო, სიდედრს რომ ნორმალურ, ადამიანურ დროდ მიაჩნდა, აღარ არსებობდა და აღარასოდეს იარსებებდა. შეიძლება ესმოდა კიდეც, მაგრამ არ უნდოდა გაეგო. რაც უფრო ხანში შედიოდა, მით უფრო გულჩახხრობილი და სიტყვაძუნწი ხდებოდა, მით უფრო მარტოდდებოდა და უცხოვდებოდა. ციმბირიდან დაბრუნებულს ისე შეხვდა, თითქოს მეზობელთან იყო გასული. არ მოუკითხავს, არ უკოცნია, ერთი თბილი სიტყვა არ გაუმეტებია. ამიტომ მისი მოკითხვით არც მას მოუკლავს თავი. ცხოვრობდენ ზურგშექცევით, დამდურებულებივით. დედაბრის ახირებას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა, ერთი გარემოება რომ არა: ეკლესიის გარდა, არსად დადიოდა, ხატის მეტს არაფერს ყიდულობდა და ამ ხატების წინ საათობით ლოცულობდა. მთელი ოჯახი ქალიშვილს შეატოვა ხელში. არც მას და არც შვილიშვილებს არავითარ ანგარიშს არ უწევდა. ერთხელ სცადა დედაბერი გონს მოეყვანა, მოეთოკა, აეხსნა, რომ მის ახირებას შეეძლო ოჯახისათვის უსიამოვნება მოეტანა, დამსჯელი ორგანოების ყურადღება მიექცია. დედაბერი ისე შეხვდა, როგორც ქუჩიდან შემოსულ, სრულიად უცხო კაცს, რომელსაც მის ოთახში შესვლის არავითარი უფლება არ ჰქონდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა დედაბერმა მკაცრად, შეუწყნარებლად.

— მე მგონი, ერთი ოჯახის წევრებს ერთმანეთთან შესვლის უფლება აქვთ, — უპასუხა მან.

— მე თქვენი ოჯახის წევრი არა ვარ.

— აბა, ვისი წევრი ხართ?

— მე ამ ოჯახის წევრი ვარ, რომელსაც თქვენ და თქვენისთანები ძირს უთხრიან და ანგრევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერედა, ვისია ეს ოჯახი?

— ვისია და ღვთის. მე იმ ოჯახის წევრი ვარ, რომელსაც ეკლესია ჰქვია და არავითარი სხვა ოჯახი არ მჭირდება.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თქვენ ჩემი სიდედრი ბრძანდებით და შეიძლება თქვენმა გადამეტებულმა ღვთისმოსაობამ ჩემს ოჯახს უსიამოვნება მოუტანოს. მე რომ პარტიიდან გამრიცხონ და სამსახური დამატოვებინონ, თქვენი ეკლესია ჩემს ოჯახს არ შეინახავს.

— ამით თქვენი ოჯახი თუ მოიგებს რამეს, თორემ არაფერს წააგებს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ღვთის მგმობელებსა და ეკლესიის მტრებს ოჯახი საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ. ადამიანი იმისათვის არ გააჩინა ღმერთმა, რომ ნათელი დაგმოს და ბნელი აღამაღლოს. თქვენი ოჯახი კი, თქვენი წყალობით, წყვდიადშია ჩაძირული.

— ამ ოჯახს ჯერჯერობით მე ვინახავ და მე ვპატრონობ.

— თქვენ ანტიქრისტე, სატანის ყურმოჭრილი მონა ხართ და კი არ ინახავთ და პატრონობით, არამედ ყრვნით და აცოდვილებთ.

ასეთი შეურაცხყოფა აქამდე მისთვის არავის მიუყენებია და უნდოდა მისწვდომოდა და ერთი მაგრად შეეჯანჯღარებინა, მაგრამ დედაბერი ისე პირგამეხებული იდგა, ისე იყო თავის სიმართლეში დარწმუნებული, რომ ადგილიდან ფეხი ვერ მოიცვალა, მიკარება ვერ გაბედა.

— რა ვუთხრა იმ ღმერთს, თქვენისთანა მოწამლული დედაბრების დაცვა და გამოქომაგება რომ სჯჭირდება, — უთხრა სიდედრს და ეკრძნობდა, რომ სიბრაზისაგან არა მარტო ხმა, ყბაც უკანკალებდა.

— ახლავე გადით აქედან და ამიერიდან ამ ოთახში ფეხი არასოდეს შემოდგათ! — უბრძანა დედაბერმა ისეთი ხმით და ისეთი გამომეტყველებით, რომ მაშინვე უკუიქცა და მას შემდეგ მის ოთახში ფეხი მართლაც აღარ შეუდგამს. დედაბრის მზერაში იყო რაღაც ფანტეზიური, მწვალებლური, რაღაც ისეთი, სიკვდილიც რომ ვერ დაახვევინებდა უკან. იმ საღამომდე მას არ უფიქრია იმაზე, მოსწონდა სიდედრს თუ არა, კაცად მიანნდა თუ არაკაცად. ციმბირში გადახვეწამდე მისგან ურიგო არაფერი სმენია, არაფერი უსაყვედურებია, არაფერი დაუშავებია და ამიტომ ამ საკითხის გარკვევა არც აინტერესებდა. მხოლოდ იმ საღამოს გახდა მისთვის ცხადი, რომ სიდედრი ანტიქრისტეტ, ბნელეთის მოციქულად, უპასუხისმგებლო არამზადად თვლიდა, რომელსაც, რა თქმა უნდა, არც ზნეობრივი პრინციპები გააჩნდა და არც კაცური ღირსებები. მართალია ეს სიტყვები სიდედრს არც ხმამაღლა უთქვამს და არც წყევლითა და ჩურჩულით წაუსისინებია, მაგრამ მის თვალებში ყველაფერი ზემოთქმული ისე იკითხებოდა, როგორც მსხვილი ასოებით აწყობილ ტექსტში. მაშინ იგი შეცბა, ცოტათი შეშინდა კიდეც, არ ეგონა, დედაბერი თუ ასე მწყრალად დახვდებოდა, ამდენ სიძულვილს, ზიზღსა და შხამს თუ გადმოანთხევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც თავზარი დასცემია, არც სინდისის ქენჯნა უგრძნია და არც იმაზე დფიქრებულა, ვინ ან რამ მოწამლა დედაბერი ასე უსაშველოდ.

ბერიკაცი ერთი წამით შეიშმუშნა, მიხედა, რომ საკუთარ თავს ესარჩლებოდა, იმის გამართლებას ცდილობდა, რის გამართლებასაც აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ წლობით გამომუშავებულ ჩვევას ვერ ღალატობდა. მისთვის ბნელსა და ნათელს ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც დედაბრისათვის, ნათლისაგან ბნელის დაჯაბნა ხეირიანად ვერც კი წარმოედგინა, არც იმის გაშიფვრა შეეძლო, რასაც ღვთისმეტყველნი ქარმაგულად წინასწარმეტყველებდნენ, მისთვის ისიც კი ძნელი ასახსნელი იყო, რატომ აღმოჩნდა დღევანდელი დღე უფრო გრძელი, დახლართული

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და დღვარჭნილი, ვიდრე ხხვა დღეები. შემოდგომას და მის ფერებს ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღოდა, იყო დრო, როცა ყველაფერი იმას უწყობდა ხელს, რომ მასაც ეცნო ეს ქვეყანა და ამ ქვეყანასაც — იგი, დღეს კი ყველაფერი ისეთი აგონდებოდა, რაც ედიდგულებოდა, ეწყინებოდა, მოშხამული დედაბრის თვალებით უყურებდა.

სიდედრი ავად მის ჩამოსვლამდე გახდა, ხოლო როცა იგი თბილისში დაბრუნდა, სენი მის სხეულში უკვე მძვინვარებდა. ერთხანს უძლებდა ტკივილსა და წამებას, არ უწვებოდა, შინაც ლოცულობდა და ეკლესიაშიც, მაგრამ იმ დღიდან, რაც მან მისი ჭკუაზე მოყვანა მოინდომა, ლოგინად ჩავარდა და ფეხზე აღარ წამომდგარა. ტკივილის დამაყუჩებელ წამლებს ახლის არ იკარებდა, ეტყობა ისევე, როგორც პირველი ქრისტიანები, ტკივილსა და წამებას ღვთის წყალობად თვლიდა. კენესითაც კი იშვიათად კენესოდა და მხოლოდ ერთ რამეს ითხოვდა: ისე ნუ მომკლავთ, მღვდელმა არ მაზიაროს და ჩემი სული უფალს არ შეავედროსო. ცოლი, რა თქმა უნდა, მზად იყო მღვდელი მოეყვანა და მომაკვდავი დედა ეზიარებინა, მაგრამ მან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ამდენი ხნის ნაწინწალებმა ძლივს მოაღწია სახლამდე, მალე სამსახურს დაიწყებდა, თავს გამოიჩენდა, ზურგს გაიმაგრებდა და ახლა მღვდლის სახლში მოყვანა მისთვის და მისი ოჯახისათვის იგივე იქნებოდა, რაც იმ ტოტის მოჭრაა, რომელზედაც ზიხარ. ღირდა კი დედაბრის ზიარება ამად, რომ ოჯახის მომავლისათვის საფრთხე შეექმნა, საკუთარი კარიერისა და კეთილდღეობისათვის ძირი გამოეთხარა? ამიტომაც არ გაუწია ანგარიში დედაბრის ახირებას, თუმცა ეს უკვე ახირება კი არა, უმადურობა, რაღაც მსხვერპლის მოთხოვნის მაგვარი იყო. რა უნდოდა, საჭმელი არ აკლდა და სასმელი, ტანი და ფეხი, მომკვდარიყო ადამიანურად, უხმაროდ, უსკანდალოდ. გამოეჩინა პატივისცემა, შემწყნარებლობა შვილისა და შვილიშვილების მიმართ, მაგრამ დედაბერი რომ გაჯიუტდება და გაკერპდება, მისი მომრჯულებელი აღარავინაა.

დედაბრის საწოლთან თანამორწმუნეებმა, მეზობლებმა და ახლო ნათესავებმა მოიყარეს თავი. ქალები თან ჭირისუფლობდნენ, თან ჭორაობდნენ. შეიქმნა ისეთი აუტანელი სიტუაცია, მას რომ ყოველთვის აღიზიანებდა და უდიერობად, ჩამორჩენილობად მიაჩნდა. ვიღაც ხნიერი მამაკაცები სამზარეულოში ისხდნენ და ღვინის სვამდნენ, ვიღაც-ვიღაცები სახლში ისე შემოდიოდნენ, არც კითხულობდნენ, სჭირდებოდა მათი დახმარება ვინმეს თუ არა. დედაბერი უკვე სულს ღაფავდა, მაგრამ ვინებას მაინც არ კარგავდა და, როცა მიხვდა, რომ მღვდელს არავინ მოუვანდა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, საწოლზე წამოჯდა, არაადქვეყნიური მზერა ქალიშვილს მიაპყრო და ისეთი ხმით უთხრა, მისგან რომ აღარავინ მოელოდა: „თუ მღვდელს არ მომიყვანთ, წესს არ ამბგებთ და ძაღლივით ჩამაგდებთ მიწაში, წყეული იყავით უკუნთი უკუნისამდე შენც, შენი ქმარიც და შენი მონავარიც“. დედაბრის სიტყვები ისე გაისმა ოთახში, როგორც მეხის გავარდნა. ყველაფერი, — ყველაფერი და ასეთ წყევლას სიდედრისაგან მაინც არ მოელოდა. ცოლს ჯერ მკვდრის ფერი დაედო, შემდეგ კი იქვე, საწოლთან ჩაიკეცა. ატყდა ერთი წივილ-კივილი, აურზაური, გაქცევ-გამოქცევა, ხოლო როცა ცოლი მოასულიერეს, დედაბერი უკვე მკვდარი იყო და ვიღაცას ამ აურზაურში მისთვის თვალების დახუჭვაც მოესწრო და ყბის აკვრაც.

ცხოვრებაში რას არ შესწრებია, რა უბედურება და ავკაცობა არ უნახავს, რა არ მოუსმენია მომაკვდავთაგან, მაგრამ დედაბრის წყევლამ და სიკვდილმა ოჯახში ისეთი დუმილი შემოიტანა, ისეთი გაჩხეოქილება ჩამოაგდო, თითქოს მას საკუთარი ხელით დაეხრჩოს იგი. ცოლმა იცოდა, რომ მღვდლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახში მოყვანას ცოცხალი თავით არ დანებებდა, არადა, დედის წყევლაც თავზარს სცემდა და იტანჯებოდა, ცოცხალ-მკედარი დალასლასებდა. მის ტანჯვას ისიც ამძაფრებდა, რომ ღმერთი მასაც სწამდა, არ ამყღავნებდა, მაგრამ სწამდა და ახლა არ იცოდა, სად იყო დედამისის სული, რა ელოდა, რისთვის ემზადებოდა. ნერვულად დაბიჯებდა, ტუჩებს იკვნეტდა და დედას ისე არ ტიროდა, როგორც ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა და ბოლოს მიაგნო კიდეც. მაშინ მანქანა სად იყო, ფეხით ან ეტლით უნდა გვევლო და სანამ იგი ყველა იმ წვრილმან და მსხვილმან საქმეს მოაგვარებდა, რაც მიცვალებულის გაპატიოსნებასთან და დამარხვასთანაა დაკავშირებული, ცოლმა სახლში მღვდელი მოიყვანა და დედამისს წესი აუგო. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩა არც ქუჩას და არც ეზოს. იმ დროს მღვდლის სახლში მოყვანა და რაიმე რელიგიური რიტუალის ჩატარება ანტიკომუნისტურ გამოხდომად ითვლებოდა და იმდენ ძაღლსა და მამაძაღლში, ვინც ეს ამბავი იცოდა, ალბათ, ბევრი ერია ისეთი, ინფორმაციას რომ სთხოვენ და არც ერთ შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან.

მისი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. შესაძლებლობა მართლაც არ გაუშვეს ხელიდან. დაკრძალვის მეორე დღეს რაიკომში დაიბარეს, და, როგორც მაშინ ამბობდნენ, ტყავი გააძრეს. დაიბარა არა რაიკომის მდივანმა, არამედ იდეოლოგიის განყოფილების გამგემ, რომელსაც ვვერდით ერთი დაბალი, შავი, წარბშეკრული კაცი ეჯდა. ის ყვავი, ურომლისოდაც ცხოვრებას ეშხი და სიმძაფრე ჰკლდა. იდეოლოგიის განყოფილების გამგეს გარეგნობაზე ეტყობოდა, რომ რეგვენი, გარეწარი და ბიუროკრატი იყო, დამუქრება, დასჯა, პარტიიდან გარიცხვა რომ უყვარდა. მიიღო ისე, როგორც დამნაშავე, რომელიც მკაცრ სასჯელს იმსახურებდა. დასჯიდნენ კიდეც, მაგრამ მაშინ იგი ფორმალისტისაგან სწორედ ფორმალიზმა იხსნა.

— დაჯექით! — უბრძანა განყოფილების გამგემ მკაცრად და საწერი მაგიდის გვერდით მდგარ სკამზე მიუთითა. შავგვრემანი ისე იჯდა, თითქოს აქ შემოხვევით იყო მოსული.

სიტუაცია გულის ამრევი იყო, მაგრამ მაინც მორჩილად ჩამოჯდა სკამზე.

— თქვენ მოიყვანეთ ოჯახში მღვდელი რელიგიური რიტუალის აღსასრულებლად?

— მე მორწმუნე კაცი არა ვარ.

— აბა, ვინ მოიყვანა?

— ჩემმა მეუღლემ.

— დაუკითხავად?

— დაუკითხავად.

— სად მუშაობს თქვენი მეუღლე?

— არსად.

— დიასახლისია?

— დიახ.

— თქვენ სად მუშაობთ, ხართ პარტიის წევრი თუ არა და, თუ ხართ, რომელი პარტორგანიზაციის წევრად ირიცხებით?

— პარტიის წევრი ვარ. ის პარტორგანიზაცია კი, რომლის წევრადაც ვირიცხები, ქალაქ კრასნოიარსკშია.

— სად არის კრასნოიარსკი?

— ციმბირში.

ციმბირის ხსენებამ განყოფილების ვამგე კიდევ უფრო გაამკცრა და გაარეგვენა.

— რა გინდოდათ ციმბირში?

— მთავრობამ გამაგზავნა.

— რისთვის?

— გემთშშენებელი ქარხნის დირექტორად.

მისმა განცხადებამ განყოფილების გამგე ჩააფიქრა. დაბნეა იმან, რომ ამ ხელა ქარხნის დირექტორად, მორწმუნე, არასაიმედო კაცს არ დანიშნავდნენ, მაგრამ მისი მოავარი გასაჭირი მაინც სხვა იყო. რომელ პარტორგანიზაციაში, სად და ვისთვის მიეწერა, რომ ამა და ამ კაცმა საძრახისი საქციელი ჩაიდინა, შინ მღვდელი მოიყვანა, რელიგიური რიტუალი აღასრულებინა და პასუხი

აგებინეთო. კრასნოიარსკი მეტისმეტად შორს იყო, სადღაც, ციმბირში და ჯანდაბაში, და წარმოდგენა არ ჰქონდა, მიაღწევდა კი იქამდე მისი ხმა და რომ მიეღწია კიდეც, გამოიჩენდნენ იქაურები საჭირო სიფხიზლეს?

— ახლა რას აკეთებთ? — ჰკითხა განყოფილების გამგემ სხვათა შორის, დრო რომ მოეგო და რაღაც გადაწყვეტლებამდე მისულიყო.

— ახლა არაფერს. თბილისში შვებულებით ვარ ჩამოსული.

— ამის დამადასტურებელი საბუთები თუ გაქვთ?

მან წინასწარ იცოდა, რა ხალხთანაც ექნებოდა საქმე და ყველა საბუთი, რომელიც მის სასარგებლოდ მეტყველებდა, თან წამოიღო.

საბუთები დიდხანს ათვალიერეს. როცა განყოფილების გამგე ცნობისმოყვარეობას დაიკმაყოფილებდა, შავგვრემანს გადასცემდა, შავგვრემანი კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდა და უკან უბრუნებდა.

— მაშ შვებულებით ხართ ჩამოსული და უკან უნდა გაბრუნდეთ, არა? — ჰკითხა განყოფილების გამგემ ცოტა უფრო დარბილებული ხმით.

— რა თქმა უნდა. დირექტორობიდან ჯერ არავის გავუთავისუფლებივარ, ხოლო თუ გამათავისუფლებენ, სამუშაოდ, ალბათ, მოსკოვში გადამიყვანენ.

— რა სპეციალობის კაცი ხართ?

— ინჟინერი.

— თბილისში გაქვთ დამთავრებული?

— არა, მოსკოვში.

განყოფილების გამგე ისევ ჩაფიქრდა. კაცი, რომელიც სადღაც, ციმბირში ცხოვრობდა, რომელიღაც იქაურ ქალაქში იყო ჩაწერილი და იქაურ პარტორგანიზაციაში ირიცხებოდა, არავის და არაფერს წარმოადგენდა, საერთოდ არ არსებობდა და ამიტომ ვერც დასჯიდა ისე მკაცრად, როგორც ამას იმსახურებდა. შეიძლება განყოფილების გამ-- გეს გაეხარდა კიდეც, რომ მძიმე ტვირთი ასე უდავიდარაბოდ მოიშორა თავიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გაუწყრა, დატუქსა, პირობა დაადებინა, რომ მის ოჯახში ამგვარი რამ აღარ განმეორდებოდა. მან დღემდე არ იცოდა, რა გვარი იყო ის კაცი, თვითონ არ უთქვამს, არც მას უკითხავს, რადგან ერჩია, საქმე ამ დონეზე დამთავრებულიყო და ზემო ინსტანციებამდე არ მიეღწია. გარეთ მშვენიერი ამინდი იდგა, სიმწვანე პირდაპირ თვალებში სცემდა და უეცრად გული აუჩუყდა. და არა იმიტომ, რომ დიდ უსიამოვნებას დაადწია თავი, არამედ ბავშვობა გაახსენდა, ის დრო, როცა თამაშს, სირბილსა და ცხოვრებით დატკბობას არავინ უშლიდა.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სილოვან ნარიმანიძე

ცნობილ ქართველ პოეტს, ბატონ **სილოვან ნარიმანიძეს**, დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

„ცისკრის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ სილოვანს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

მყინვარწვერი

დიდი ხანია ველარ ვნახე შენი სახება,
დიდი ხანია ცად მზირალი ო, დიდებულო!
ველარ ავმაღლდი შენებრ მაღლით გადმოსახედად,
ველარ აღვმართე სული ელვად ალამპრებული...
დამდგარხართ მცველად, ვით მხედარნი დაუღლებულნი,
მყინვართ კრებულნი, ამაყნი და გაცისკრებულნი.
მამულის მკვიდრნი და მამულის უნჯნი მაყარნი,
ჩრდილოს ქარიშხალს უმკლავდებით ეჰა, რა ხანი!
შენა ხარ ჩვენი ბრეტანი თუ ანდალუზია,
სამყაროს შფოთვით და წამებით ჩაფიქრებული.
საუკუნეებს ჩაუვლიათ, თან წაუღიათ
ათასი დარდი, ჭირ-ვარამი ჟამისეული.
იბადებოდნენ, ოცნებობდნენ, იხოცებოდნენ,
რა არ იხილეს, ვინ არ ნახეს, — სივრცე ვნებული,
მინდა, მთსავით შენს კალთებზე ვილოცებოდე,
შენს სიდიადეს და მშვენებას დამინებული!
გაუძელ დროთა ფერისცვალებას,
ათას გრიგალებს, ათას წამებას,
სამყაროს შფოთვას, თაკარა მზეს თუ უმზეობას,
ათას ცოდვა-მადლს თუ უზნეობას!
რა არ გინახავს, რა ტანჯვა არ გამოგვილია,
ოდეს შებმიხარ სტიქიონებს, დროს ქარიშხლიანს...
ხარ და იქნები მოიმედე სამშობლოისა,
იდექ გულფიზიზლად, სიამაყევ ყველა დროისა.
რა არ გინახავს, გმირობა თუ დრო ფერწასული,
ის, რაიც კაცთა ხსოვნისათვის არის წარსული,
ხარ ერთადერთი და შენს სულში ბინადრობს ღმერთი;
დედა-სამშობლოს მადლს რომ აფენ, — ეს ხომ ასეა!
გერგეტის მთებში ისევ ელავს ყოდანის სვეტი,
ჟუსოს მწვერვალიც ხომ უბადლო სილამაზეა!
იდეს შეგიცან, სიამაყით შენით ვბნდებოდი,
შენ კი მოსეულ შავ ნისლებით იმოსებოდი,
შენკენ ვილტვოდი დასევდილი ჩუმ სიმარტოვით,
როს გაზაფხულის მგზნებარებით ფრთებს შლიდნენ რტონი,
შენს ამაყ მკერდზე თავს მივდებდი წამით ვნებული,

ყველა ძვირფასი მოკვეთისგან დავიწყებული.
ჩემთა გულისთქმას შენ განდობდი, ხხვას, შენზე დიადს,
ვერსად ვპოვებდი, შენ კურნავდი ჩემს გულს ნატყვიარს.
შენს გადატანილ დროკამეულ უმძიმეს ვარამს,
გაყიდვას, ტკივილს, ქართლის ბედის უთვალავ ღალატს...
შენგან ვისმენდი თავს დატეხილ ავბედით რისხვას,
ჭაბუკი ვიყავ, ვინ არ ელტვის გარდასულს ძვირფასს!..
ერეკლე გახსოვს?.. მისი ფიცი, მისი ვარამი?..
დიდი დავითი, ვინც ააგო თერგზე კარავი?
მანვე უწვენა ყველა ქართველს გზა უმკვიდრესი,
მან შეიფარა თავის ფრთებში კეთილი მწყემსი, —
შენ არ დაბადე?.. შენ არ მიეც რწმენა ასწილად?..
ჩვენს გმირ ამირანს, ის, ვინც ბედმა მწარედ გასწირა,
შენს ამაყ მკერდზე დამხობილი ვედრებით გიმზერ,
როგორ გავიდე ულრანიდან, — ამ ფიქრებს მისევ,
შენ ხარ მაღალი, შენ ფიქრი ხარ, ხარ მრავალძალი!..
შენით მზეობდნენ ფარნავაზი და გორგასალი!
დღეს ისევ ისე, ჩვენს არეულ და სასტიკ დროში,
იქნები ჩვენი მოიმედე შენს სამკვიდროში!
დიდება შენდა, ხან მცინარო, ხან რისხვად მჩენო,
ინათე მარად ძლევის სვეტად, ცად, მყინვარწვერო!

დიდება უდაფნო!

(ლევან გოთუას ხსოვნას).

დიდება უდაფნო; სოლოვეცკის
კუნძულები;
ყინულეთის უდაბნო, — ვორკუტის
ჯურღმულები...
ბიისკი, ნარინი, ღრიანკალი, დილეგები,
სამყაროს ჯოჯოხეთი, — დამცხრალი
იმედები!
შფოთავ გმირებისა, რისხვად ანანთები,
ურვა დილეგისა, ნატვრის ბარათები...
ო, ლევან ბატონო!
დაგაქცეს თავზე
ჭერი,
ნატვრამ მშობელ ქვეყანაზე
მაინც არ დავტოვა —
წელს კი მიჭყვებოდა წელი!..

კლდეთა უფსკრულები, მთათა
ღარტაფები
ხომ გახსოვთ, მწვერვალებო!
მბორგავი, მარტოსული, ქართან
ნატარები...
ძველი კრწანისიდან სევდის
მოყოლებით
ლურჯი გრანიტი და გრემის გოდოლები.
მყინვარმა დარეკა ავობა ქარების,
გრიგალმა წალეკა დარობა ნეტარების...
მერე არმაზი და
ლოცვა წმინდანური,
მხარე ლამაზი და
ხოტბა წინანდლური...
მერე ქარი თქვეშით, ჯვარი უფლისაი,
იმერეთს ხარი გეშით, ბღავის
გუთნისაი...
რად ვეღარ დატორე ელვის ღამე,
გმირო?
ო, ლევან ბატონო, სევდით დამეხილო!..

ქვეყანაა ცრემლით სავსე
დრო კი ზლაზვნით მიდის,
ო, რამდენი ტანჯვა ნახე,
ყველგან კვნესა მიწის;
აუგი და სივაგლახე
ირგვლივ კიდით-კიდით,
შენ კი, მხნე და მოვალალე,
სულ სიკეთეს მკიდი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ბარამიძე

შერეკილი

«Боже, прости, но поэзия
должна быть немножко
придурковатою».
А. Пушкин.

არასოდეს ვისურვებ ლექსს
დამჯერეს და ავშარიანს.
ლექსში ცოტა სისულელე
იმავ ლექსის ჯაჟანაა.
კი, ლექსს უყვარს მასკარადი,
ფრაკს მოირგებს რვაღილიანს.
ლექსი მეფის მასხარა და
ქვეშევრდომთა მახვილია.

ქოხებს სწყალობს, მერე, კიდევ,
გვერდს აუვლის ფართო ბინებს.
ლექსი მიყვარს შერეკილი,
ქალსაც ასეთს ვამჯობინებ.
იმედებო, შორო, ეგზომ,
სიზმრებივით მისრულდებით.
გაგიმარჯოს, ჩემო ლექსო,
ნიჭი მოგცეს სისულელის!

მუდმივ თევაზე

ო, სიყვარული წილნაყარი არის წუხილთან,
დაკარგვის შიშთან, რომ გვაგონებს
ზვავსა და მეწყერს.
ეჭვის გარეშე სიყვარული ჩირად თუ ღირდეს,
იმ სიყვარულის ღმერთი გამიწყრეს.
გაზაფხულია, გაეჯიბრენ შაშვებს მერცლები,
თავის იაზონს ელის პონტის პირზე მედეა.
„მიყვარხარ“, როცა ამბობს კაცი თმაშეეერცხლილი,
ვერ გამიგია, რის იმედზეა.
დრამაა!
აღარც ევრიპიდე, აღარც ესქილე!
თუნდაც აყმუვლდი სიყვარულის გამო, ვინ გისმენს!
რაღა ეს ქალი, ღმერთო ჩემო, რაღა ეს ქალი,
ასე მაცდური და მოგიზგიზე.
მოირიჟრაჟა, გაერია ღამეს ჭაღარა,
მოდის ავრორა, ორიალეთზე დგება მუხლებით.
მეტით არაფრით, გათენება შენით მახარებს,
მოვალ, გნახავ და დავიმუხტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

უშანგი გაბიტაშვილის ხსოვნას

დრო დადგება და შემაფასებს,
ალბათ, მეც ვინმე,
ხმით, სულის წონით, განვლილი გზით,
მისხლით, ადლობით.
ვამაყობ იმით, საკუთარ თავს
თვით რაც შევძინე,
დანარჩენისთვის მშობელს მადლობა.
დღეს ვინ გაიგებს, მე რაც მსურდა
და რაც არ მსურდა,
მოხიბლულს მიწის, მშობლიურის,
გობელენებით,
ვინაც აწმყოში, ღვთის განგებით,
ვიქეც წარსულად,
მერმისში აწმყოდ მოგვევლინებით.

●

ავად ვარ. მარტო ვარ. და ვადგენ ანდერძებს.
ალბათ, ძმისშვილები მოვლენ და მიშველიან.
მეფე თუ შიშველია, რას ერჩი ანდერსენს,
ან თერძებს რას ერჩი, მეფე თუ შიშველია.
შიშველი მეფე კი არ ვარგა მეხრედაც,
ამაოდ იღვწის და ამაოდ მბრძანებლობს.
რასაც ყველა ხედავს, მეფე თუ ვერ ხედავს,
ვაი იმ მეფეს და ვაი იმ ხამეფოს.

სიყმაწვილის ქვეყანა

ჯემალ ქირიას

ესპანეთი, ასტურია,
ვენახებით, ბაღებით.
ჟინი ისევ მაცდურია
თავზე ხელის აღების.
შორი გზების ნარ-ეკალი
და საგზალი ასკეტის,
ჩემი მიწის ანარეკლი —
შორეული ბასკეთი

ისევ მიხმობს, როგორც წინათ,
(იქაც ჩემი სისხლია),
ისევ მიხმობს ხისჩაჩქნიანს,
ხისთოფიანს, ხისხმლიანს.
ძველებურად მათრობს ისევ,
შორი, ჩუმი ალერსით,
სიყმაწვილე, სანჩოს ვირზე
ოდნავ უჭკვიანესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა საბაშვილი

ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

წავიდა, ფიქრად განიფანტა, გადაიკარგა,
გაჰქრა, განიბნა სივრცეებში, მომაკლდა, მიწყდა,
გადაიწვიმა, მიილია, სითეთრე ჰქარგა,
მთებს მიეფარა, ნისლს მიენდო, ქარს მიავიწყდა;
ცის სიღრმეებში ჩაიძირა, ნაზ ფერთა ჭავლით
შორს, მიუღწეველ სილურჯეში დაიდო ბინა,
ცაგთა თრთოლას დაებერა გრძნობის სიმრავლით,
უცხო ლაჟვარდებს დაეთოვლა და შეეფინა;
დროს შეერია, განეზავა რიჟრაჟის ფერებს,
ვით ერთი ბგერა, ჩაექსოვა ყვავილთა შრიალს,
სუნთქვად ჩაედგა ვარსკვლავთ ობოლ სხივების ჩქერებს,
სიოდ მიაწყდა უიმედო გრძნობების კრიალს;
დამთმო, დამტოვა, მორჩილებით, ბედსშერიგებით,
ერთგულად, წყნარად, საყვედური არ დასცდა სულაც,
აწ ვერსად ჰპოვებ, ის გამქრალა ურიცხვი გზებით,
ის მხოლოდ სივრცედ და ტკივილად გადაქცეულა...

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲖᲛᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ

დღეს სევდა ასათუთებს
ხსოვნას, მრავალჯერ კეცილს,
ამ მაცთუნებელ წუთებს
შენ ერთხელ გაექეცი.

ნელი ხმაური შუკის
ახლა ყრუდ აღწევს შენთან,
მზის ალმაცერი შუქი
და მყუდროება გთენთავს.

ეზოებს სერავს თხრილი,
ცხვრები მოჩანან სერზე,
მზე არის გადახრილი
და ნელა გიალერსებს.

ცა — შუქით დანატბორი,
გზა — ჩრდილით დაბინდული;..
მოდის ფერები შორი
და ატოკდება გული.

ჩიტების მთელი გუნდი
ეზოს აბნელებს მუქად,
ხელახლა დაუბრუნდი
მას, რაც დატოვე უკან...

ორმხრივი ქანილი

ისევ საშორე მომეძალება
შეუმჩნეველი, წმინდა ძაფებით,
თითქოსდა ცდილობს მოხიბლვას ჩემსას
სხვა დაჟინებით, სხვა მისწრაფებით,
ლურჯ ცას მოჭყვება, სივრცეში მოდის,
ატანს ყველაფერს — ყველაფრის მძლეავი,
იცის, ვერაფრით ვერ უკუვაგდებ,
იცის, ვერაფრით ვერ შეველევი;
ის არ მიხატავს რაიმეს ნათლად,
რაიმე ფერის, რაიმე სახის,
ის მარტოოდენ მომელოდება,
ის მარტოოდენ მიხმობს, მეძახის,
და ყოველივე, რაც გარშემოა, უნდა უარვყო,
თუ წასვლა მინდა,
აი, ღრუბლებიც გადაიყარა,
გაიხსნა გზები, ცა გადაწმინდა.
მე კი ისეც ვგრძნობ მომჯადოებელ
ჭეშმარიტებას შორეულ ხმათა,
მე არ მჭირდება დაძაბვა სმენის,
შორი ძახილი შევიგრძნო რათა,
მაგრამ არსაით აღარ მივდივარ,
თუმცა ეს ბრწყინვა უფრო ხშირდება,
რადგან რაც არის უსაზღვროდ შორი —
უსაზღვროდ ახლოს უკავშირდება.
და როცა ჩემი სულის უფსკრულებს
მივაპყრობ სმენას და იქ ვინთქმები,
მე იქიდანაც, იმავე ძალით
მომიწოდებენ იგივე ხმები.
ეს შორი ბრწყინვა — შორი მოხმობა
აშინებს მზერას და თითქოს ველი,
რომ განმიმარტავს ვინმე ყველაფერს,
მაგრამ არვინ ჩანს განმმარტებელი.
და ასე, ორი უსასრულობის
შუაში ვდგავარ და ვუმზერ ხეებს,
შეუცნობელი სამყაროების
ფერი მიტაცებს, სიღრმე მატყვევებს;
თვალწინ კი არის გაშლილი ველი
და ულამაზეს ყვავილთა კრება
და უხილავი ორი სამყარო
სხვადასხვა მხრიდან მესაუბრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲐᲕᲘᲓᲐ?

წავიდა? შეწყდა? მთებზე დავარდა?
სივრცე აკლია?
გაიშრიალა? გაინავარდა?
ცას მიაკვლია?

ვიდარდო? ვიგრძნო? ავანთო? ვქებნო?
მარად ვიარო?
სადაა: გული გაუბზარავი,
ცა — უიარო?

დაიწვა? გაჰქრა? განიბნა? მიწყდა?
სად არის ხატი?
რა დაწყა? წვიმები? ნისლი?
სიცივე? ხვატი?

იყო? მიხილავს? მეზმანა? ვგრძნობდი?
რა იყო მასში?
სად ვნახე? ველზე? ღრუბელთა შორის?
ქარის გნიასში?

რა სჭირდებოდა? თანდევნა? მზერა?
ფერება? მოვლა?
ქარი დაცხრა? წყალმა ჩააქრო?
თოვლმა დათოვლა?

რატომ სცემს გული? დაეძებს? ისევ
ხილვა უნდება?
წავიდა? გაჰქრა? მიწყდა? განიბნა?
არ დაბრუნდება?

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐᲜᲘ

გაიშრიალებს, გამახსენებს და სადღაც წყდება,
გადაიშლება ჩემს წინ წიგნი იისფერყდება,
შეიმოსება მწუხარება ხელახალ ღვივით,
დაითოვლება ოცნებები ეულ ბაღივით
და ჩემი სული ამყე მიხაკს, უნაზეს იებს
მცირე ხნით ფიქრზე და ლუმილზე დაიყოლიებს.
გაიშრიალებს და უეცრად მიიმალება,
ნაცნობი არის ჩემთვის მისი იდუმალება,
თვით კი რა არის, მე არ ვიცი. რაღაცა ჯადო
წინ მეღობება, რომ მე მისი შეგრძნობა ვცადო.
თითქოს ამ ხმებით მეთხოვება უცნობი მხარე,
საყვედურს გზავნის გზა, რომელიც არ გავიარე,
მიხმობს ზამთარში ჩარჩენილი ფერმკრთალი ხახე
ან კრთის ყვავილი, რომელიც მე არ დავინახე.
მე კი გულგრილი როდი ვრჩები, მე მელანდება,
რომ დათქმულ დროზე სადღაც ძლიერ მაგვიანდება,
მაგრამ არ მახსოვს დათქმული დრო, ან მოწოდება,
ან ის ადგილი, ან თუ ოქ მე ვინ მელოდება.
და ზოგჯერ ვფიქრობ, ამრეკლავი შორი გუგუნის,
რომ ეს ხდებოდა სიღრმეებში სხვა საუკუნის,
რომ ეს ძახილი თვითონ დროის სევდაა წყნარი,
წლებიდან წლებში განუწყვეტლივ გადამდინარი.
და თუ ასეა, შთამაგონე, ციურო ძალო,
რით შემიძლია, რომ ეს მძაფრი სევდა წავშალო?
...გაიშრიალებს და დამტოვებს მე შეშფოთებულს,
ვგრძნობ გულდაწყვეტას, უსაზღვროდ და მძაფრად მოდებულს,
მერე იწყება დამქანცველი, ხშირი თენება
და ღრმად ჩამარხულ სივრცეების მსურს გახსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

დ ღ ი

მოთხრობა

დამთავრდა უდარდელი ცხოვრება და დადგა შეჯიბრებაზე გასვლის დღე. დედამ დოღისთვის საგანგებოდ შეკერილი ჟინჟილებიანი პერანგი და ტყავამოკრული შარვალი გადმოუღო, ჯაგრისით დაუვარცხნა თმა. მამა მოღუშული გასცქეროდა სახეამღვრეულ, ნაბახუსევ ქალაქს. ბაბუა, ჩვეულებრივ, მიჩერჩეტებული იყო რადიოს, რომ სტვენასა და დაფლეთილ ბგერებში ქვეყნის ამბები ამოეცნო. მხოლოდ დედა დაფუსფუსებდა, ათასნაირად რთავდა და აკოხტავებდა თავის ერთადერთ, ასე ძნელად გასამეტებელ ბიჭს.

— გეყოფა, დაამთავრე! — დაუღრიალა მამამ და ნახევრად დაცლილი ბორჯომის ბოთლი მაგიდას დაანარცხა.

— ახლავე, სულიკო, ახლავე! — ისევ დაფაცურდა ქალი.

— ერისთავებმა უკვე მანქანაში ჩასვეს ბიჭი, — ფარდა გადასწია ბაბუამ. — უფროსი შარშან გაუშვეს, წელს უმცროსი გამოყავთ, ყველაფერში როგორ უნდა გვაჯობონ!

— გაათავე! — ისევ დაიყვირა მამამ. — გასაუბრებაზე თუ დაგვგვიანდა, მოედანზე აღარავინ გაგვიყვანს!

დედამ, როგორც იქნა, ფეზზე ჩააცვა, ჩამოუფერთხა შარვლის ტოტი, პერანგი ჩაუტნია და საკინძე ჯვარედინად შეუკრა.

ზუსტად რვა საათზე სახლიდან გავიდნენ. მამა გოლიათის ნაბიჯით მიიწევდა ავტობუსის გაჩერებისაკენ, დედა გვერდით მისდევდა, რჩევა-დარიგებებით გულს უწვრილებდა, თანაც ძეხვიან ბუტერბროდს ატენიდა პირში. მართალია, კარგად ისაუზმეს, მაგრამ ზედმეტი კალორია, თუ ცილა, თუ ნახშირწყლები, რაღა თქმა უნდა, არ აწყენდა შეჯიბრებაზე გამსვლელს.

— მოეშვი, გათავდა რეგისტრაცია! — ისევ ღრიალებდა მამა და თავისი უშველებელი ტორით გასაქცევად ყალყზე შემდგარ ავტობუსს იჭერდა. — გამოიქეცი, ბიჭო, რა უკან გრჩება ფეხები!

ბიჭს პირჯვარი გადასახა დედამ, უკანასკნელი ლუკმაც ჩაუტენა პირში და ხელი ჰკრა. წუთიც და ავტობუსიდან გადმოკიდებული მამა-შვილი უკვე სტადიონისკენ მიქროდა.

ბიჭს სუნთქვა შეეკრა სისწრაფისაგან. ავტობუსმა თითქოს ფრთები გამოისხა და ელვის სისწრაფით გაკვეთა ჯერ კიდევ ძილად მიდგებული ქალაქი. გაკვეთა სანახევროდ, რადგან მოედანი, სადაც გასაუბრების მერე მოზარდები გაყავდათ, შუა ქალაქში მდებარეობდა. ქალაქი ხეირიანად არც იყო გღვიძებული, მაგრამ სტადიონის ჭიშკართან უკვე თავი შეეყარა ხალხს. აქვე მცველების კორდონი იყო აღმართული, რომელიც ნელ-ნელა ცხრილავდა და ათითოკაცებდა შეჯიბრებაზე გამსვლელთა ნაკადს.

მამას საშვი ჰქონდა, თუმცა ისედაც ყველა სცნობდა, ვით დოღის ბილიკებზე გამობრძმედილ მეძარს. ზოგი ღიმილით ესალმებოდა, ზოგი კრძალვით უხრიდა თავს. ბიჭს ზედაც არავინ უყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა, თითქოს მამა იყო მონაწილე და არა შვილი, თითქოს მამას უნდა ბევრლო უმკაცრესი გამოცდა საგანგებო მსაჯულთა წინაშე და დაეცვა თავისი გვარისა და ჩამომავლობის ღირსება.

— სულიკოს გაუმარჯოს! — შორიდან მიესალმა მათ ლომისფაფრიანი, უზარმაზარი კაცი.

— მიესალმე! — შვილს კეფაში ხელი წაკრა მამამ. — მის ხელთაა შენი ბედი!

ვიდრე ბიჭი თავის დაკვრას მოისაზრებდა, ლომისფაფრიანი უკვე შეერია სტადიონის მესვეურთა ტალღას.

— შე ლოქი, შენა! — ისევ წაუთაქა მამამ, — რომელი მედლის მომპოვებელი ხარ, ბოლოდან პირველი არ გამოხვიდე.

ამ დროს ერბაშად იხუვლა ხალხმა, კორდონი გაარღვია, ჭიშკარი შელეწა და მამა-შვილი პირდაპირ საკინიბოში შეაგდო.

— სულიკო, შენა? — შეეგება მათ ლამაზი, ოდნავ გადამწიფებული ქალი. — მოიყვანე?

— მოვიყვანე, — გაიღიმა მამამ და ბიჭს უთხრა: — მიესალმე თინა დეიდას!

—თვალები შენი აქვს, ცხვირ-პირი — იმისი, — შესცინა ქალმა, — ღღეს უკვე დავამოვრეთ მიღება, მომიცადე, რაღაცას მოგიხერხებთ.

თინა სწრაფად გაუნიარდა და სწრაფადვე გაჩნდა ლომისფაფრიანი კაცის თანხლებით.

— შენი ბიჭია? — მამას მიუბრუნდა გოლიათი. —ეს როგორ გამოგიწყვიათ?!

— ცოლებს რას გაუგებ! — ხელი ჩაქნია მამამ.

— შენი სახელი? — ბიჭს მიუბრუნდა კაცი.

— სანდრო, ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე ვეძახდით.

— იყოს სანდრო, — თავი დააქნია გოლიათმა. — საერთო კონკურსში არ გავიყვან, ერთ ადგილზე ცხრა სული მოდის, ინვალიდების სიიდან ჩაგრთავ.

— რა- გვჭირს საინვალიდო!

— რა მნიშვნელობა აქვს, თუ ძმა ხარ, რომელი სექციიდან გავა, იქ უკვე აღარავინაა განმკითხავი...

— ასე აჯობებს, — თავი დააქნია ქალმაც, — რად უნდა ამისთანა ოქროსავით ბიჭს გასაუბრება?

— მაღლობის მეტი რა მეთქმის, — ხელები გაშალა მამამ.

— სამადლობელო არაფერია, — თქვა გოლიათმა, — შენ ჩვენიანი ხარ, უნდა წაგეხმაროთ. ერთი, კბილები მაჩვენე...

სანდროს ორი თითით გაუხსნეს პირი. კობამ შუბლზე სარკე აიკრა და ღრმად, ხახაში ჩახედა. გოლიათი უცებ ციკლოპად იქცა, შუბლზე აელვარებული უზარმაზარი თვალით.

— კარიესი აქვს, ნიბრძნის კბილი ჯერ არ ამოსვლია. აქედან არ ჩანს, მაგრამ ფარული ჩირქიც უნდა ჰქონდეს...

— კარგი რა, კობა, ნუ იცი თავის დაფასება, — შეაწყვეტინა ქალმა, — როგორ შეიძლება სულიკოს ნაშიერი არ ვარგოდეს?

—მე არაფერს ვამბობ, — თვალი მოიხსნა ციკლოპმა, — იქ არ გაფუჭდეს, ტრიბუნების წინ, თორემ ახლავე გავაფორმებ, ბატონო.

ამ სიტყვებით ჯიბიდან მუშტისოდენა ბეჭედი დაიძრო, დაორთქლა და ბიჭს ზედ შუბლზე დაჰკრა. სანდროს წამით დაუბნელდა გონება, წამით მდუმარებასა და ბინდში ჩაიძირა სივრცე, მაგრამ ბიჭმა გაუძლო დარტყმას.

— ვაჟკაცი ყოფილხარ, — მხარზე ტორი დაჰკრა კობამ და გასასელელისკენ უბიძგა. — ოლონდ ეს ენინჟილები მოიძრე, თავიდან რაც უფრო მოკრძალებული და შეუმჩნეველი იქნები, მერე და მერე უფრო გამოგარჩევს ბედი.

●

სანდროს ვერც კი წარმოედგინა, რომ ქალაქით გარშემორტყმული მოედანი ასე ვრცლად გადაიშლებოდა მის თვალწინ. ტრიბუნები შორს ციმციმებდნენ, შეუძლებელი იყო სტრიქონებივით ჩამწკრივებულ სახეთა ერთმანეთისგან გარჩევა, თუმცა მხოლოდ სიშორეში არ იყო საქმე, მაყურებელი უფრო იმიტომ ერწყმოდა ერთმანეთს, რომ ერთი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდინით, ერთი ჟინით იყო შეპყრობილი. არ არსებობდა სხვა განწყობა, განსხვავებული აზრი, ერთი სანახაობის მოლოდინი აერთიანებდა და ერთმანეთს ამსგავსებდა მათ.

სასტარტო ხაზზე ვარდისფერი ზონარი იყო გაბმული. ასეთივე ფერი დაკრავდა ალაინთან შემღვრეულ სივრცეს, მიწიდან ცამდე. სილუეტები და შავ-თეთრი შტრიხები ხორხოცით, ჭიხვინითა და სტვენით აწყდებოდნენ მოედნის საზღვარს.

— კიდევ ერთი მოგიყვანე, ვალერი! — გასძახა კობა-ციკლოპმა მსაჯს, — ნადი კაცის შვილია, არ შეგვარცხვენს.

— თავს არ დამანებებ!

— არ შეგარცხვენს-მეთქი! — მუქარა გამოკრთა ციკლოპის ხმაში.

— ესაა, ბიჭო, ინვალიდი? საერთო სექციიდან რატომ არ უშვებ?

— ერისთაველის ბიჭი გაუტარებიათ იქიდან, მეორეს ვეღარ გავიყვან.

მსაჯმა ამოიხვნეშა, უხეშად სტაცა ბიჭს ხელი და წინ, ჯებირებს შორის შეაგდო. სანდროს კინაღამ მეორედ არ დაეკარგა გონება, გადაჭედილ დერეფანში კინაღამ სული არ ამოართვეს, ამასობაში ციკლოპმა გარედან შემოუარა ჯებირს და ჭყლეტაში მოხვედრილი ბიჭი სტარტზე გაათრია.

— რაზე შევსვათ? — ხელები გაშალა მსაჯმა. — თუკი რამე, ჯიშიანი და წმინდა სისხლისა გვყავდა, ყველას უნაგირი დაადგეს.

— ჩემი მარაგიდან გიეცი, — თავი გაანია ციკლოპმა. — გუშინ რომ შევამზადეთ, წვივმაღალი, შავ-თეთრი...

— იმაზე ერისთაველ ბიჭი დავსვეთ, დაგვრეკეს და გვიბრძანეს.

— ავთო?

— ავთო უფროსია, ეს შუათანაა, ტარიელი.

— ჯანდაბას მაგათ თავი. ერთი კიდევ შეგულება. ზუსტად ისეთი, ისიდორე სვეილიელს რომ აქვს აღწერილი: ნესტოებიდან მფრქვეველი ცეცხლის, გაბვეული ვნების ფაფარში, უკარები, ყელმაღალი, ალივით ავარდნილი, ბრინჯაოს ფერი... მხედარი თუ გაუძლებს, თორემ წინ ვერაფერი დაუდგება...

— სად არის მერე ასეთი ცხენი?

— აქ.— კობამ უბიდან დაფლეთილი რვეული ამოიღო. — ცალკე ამოვიწერე და ჩვენს ხარჯთაღრიცხვაში ჩავსვი.

გადაშალა თუ არა კობამ ფურცლები, სანდროს ლაჯებქვეშ უცერად ცეცხლივით აელვარდა ცხენის ზურგი. იმ წამსვე გადაქანდა მაყურებელთა ზოლი, შექანდა და ცერად დაეკიდა ჭიშკარი. ათამაშდა, აცეკვდა მოედანი... კობა-ციკლოპი სადღაც, ქვემოთ დარჩა, ნაპერწკლების მფრქვეველ ფლოქვებთან... სადავეთა ქსელში მომწყვდეული ცეცხლი კი გულ-მუცელს უწვავდა ბიჭს, წინ ეწეოდა ისეთი ძალით, რომ ალარაფერს შეეძლო ამ სწრაფვის დაოკება. არ არსებობდა სიტყვა, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ ელვარებას და თამაშს... იმავე წამს ვარდისფერი ზოლიც გაირღვა და ტრიბუნებადხუნძლული მოედანი ელვის სისწრაფით გამოქანდა მისკენ...

— სადავე მიუშვი! — ქარს მოჰქონდა კობა-ციკლოპის ღრიალი. შემდეგ ქროლვით გაფანტული ხმა ტრიბუნების სტვენამ წაფარა, ეს სტვენა-ყიჟინაც მიწყდა და უცერად სრული სიხუმე ჩამოვარდა. სანდრო მიხვდა, რომ სმენა დაკარგა, სამაგიეროდ თვალი გაუმახვილდა, თუმცა ვერაფერს არჩევდა წინ გავარდნილ მხედართა გარდა, სამაგიეროდ მათ შეიგრძნობდა მთელი სისრულით, ტკივილითაც კი, ხედავდა, რომ არც პირველი იყო, არც უკანასკნელი, სადღაც, შუაში იბრძოდა და ცხენ-კაცების ერთ სიბრაზედ, ერთ მისწრაფებად ქცეული ტალღა შეუცნობელ ისტორიაში მიაქანებდა.

რაღა თქმა უნდა, ვერ გაუძლო. ვერ გაუძლო იმიტომ, რომ სტარტზე მოუმზადებლად გაიყვანეს, ხელისგულზე მიართვეს ის, რასაც სხვები წვრთნითა და ბრძოლით იხვეჭნენ. თუქა, როგორც სტენოგრამა მოწმობს, იმ გარბენზე მრავალი ჩამოვარდა უნაგირიდან. მრავალმა მიასხა ტკინი ჯებრის, მრავალთა სისხლით შეიღება ბილიკი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდროს კი ბედმა გაუღიმა. შეიძლება სულაც იმიტომ, რომ მრავალთა შორის სწორედ მას შეეპარე იმედის თვალი, მასში ჩავაქსოვე ყველაფერი ის, რაც ასე მაწუხებდა და სიტყვაღქცევას ლამობდა...

ბიჭი იღბლიანად დაეცა: როგორც კი იგრძნო, რომ ცხენი გამოეცალა ლაჯებიდან, წინ გადაეზნიქა, გადაფრინდა ფლოქვებს და ბილიკის მიღმა, ბალახში ჩავარდა.

— ნუ ჩერდები! იმოძრავე! — გადმოხტა მოედანზე კობა. — არა უშავს, ერისთავის ბიჭიც ჩამოვარდა, არადა ეგ ჩათვლას მაინც მიიღებს; მაშინ ჩვენც ვეღარ გვეტყვიან უარს. ჩქარა!

კობამ ჩაიმუხლა და ხელი ჰკრა. ხოხვა-ხოხვით მიაღწიეს მოედნის ცენტრს და მეორე მხარეს გადაეიდნენ. კარგა დიდი მანძილი მოჭრეს. მხედართა გუნდმა მხოლოდ ახლა შემოუხვია და ბალახში ჩაფლულებს უნებლად გადაუქროლა.

— არ მინდა ასეთი ჩათვლა, — უნებურად აღმოხდა ბიჭს.

— რა? — შემობრუნდა კობა.

— ვხსნი ჩემს კანდიდატურას, — წამოდგა სანდრო, მაშინვე გაშლილი ხელი მოხედა სახეში და ისევ დაეცა.

— მეორედ ეგ არ წამოგცდეს, შე უნამუსო! — შეუღრინა კობამ. — რაც შენი გულისთვის ძალა და ნერვები ვხარჯე...

— გამიშვი! — დაიყვირა თუ არა, იგრძნო, როგორ სტაცეს ქეჩოში ხელი და სულმოუთქმელად მიარბენინეს მოედნის ბოლომდე.

— მართალი ინვალიდი არ გაგხადონ, ბიჭო! — გაუღიმა მსაჯმა და დროშა აუქნია.

●

ზუსტად ისე მოხდა, როგორც კობა-ცალლიპი ფიქრობდა. დღის ბოლოს ვიღაცამ დარეკა სტადიონის დირექციაში და მსაჯმა აკანკალებული ხელით შეეტანა ერისთავის ბიჭი მეორე ტურის სიაში. მასთან ერთად სანდროსაც ჩაეთვალა პირველი ეტაპი, რადგან ერთი და იგივე მოსახვევიმა ჩამოაგდო ისინი უნაგირიდან.

მეორე დილით პირველ ეტაპზე გასულნი სასახლეში დაიბარეს. კობამ იმდენი ქნა, რომ ჩათვალა კი არა, წამაბალისებელი ჯილდოც კი გაუფორმა „სულიკოს ვაჟკაცს“, შესაბამისი თანხა კი ჯიბეში ჩაიდო.

ჯილდოებს ქალაქის თავი გადასცემდა. ეს იყო თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, ძალიან ეროვნული სახის მოხუცი. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მოკაუჭებული ცხვირისა და ხშირი წარბების წყალობით ეწია ამ თანამდებობას. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი იერ-სახის მოქალაქეს უპირველესად მხოლოდ სამშობლოსათვის უძგერდა გული.

რჩეული ბიჭები გაჯიმული იდგნენ მის წინ. სცემდნენ დაფდაფებს, შუშის გუმბათიდან უხვად იღვრებოდა მზე. მოშორებით გამარჯვებულთა მშობლები და ნათესავები ისხდნენ, წინ პეპლებივით ტრიალებდნენ ქსოვილთა ნისლში გახვეული ქალები... სანდროს თვალთ აუჭრელდა. ფერთა სიუხვე და ქალების გამაბრუებელი ლაცლიცი მის ბინებაში ათასფრად ირეკლებოდა და ამ ანარეკლთაგან იქსივებოდა რაღაც, ხალიჩისა თუ ფარდის მსგავსი, და ეს ფარდა კი არ ფარავდა, გამჭვირვალედ ეფინებოდა სივრცეს და კიდევ უფრო მკვეთრსა და შთამბეჭდავს ხდიდა მერიის დარბაზს.

როცა ქალაქის თავი მას გაუსწორდა, როცა მოხუცის ხელი შეეხო და ყველაზეაპათან მებრძოლი მხედარი აუბრჭყვიალდა მკერდზე, ბიჭს ისევ დაეხვა თავბრე, წამიც და დაკარგავდა გონებას, მაგრამ სწორედ ამ დროს ქსოვილთა ნისლიდან უცებ გამოანათა სახემ, იმ გოგოს სახემ, რომლის ირგვლივ ტრიალებდა მისი ბავშვობა და ამ გამონაბეამ მოასულიერა... უცებ იგრძნო ძალა, მოიგლეჯა ურჩხულთან მებრძოლი გმირის ორდენი და გაეცალა იქაურობას. ნისლში შეეჭრა, რომ ეშველინდა იმ სახეს, დაბრუნებოდა თავის მშვიდსა და ბედნიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებას: რომ არსად გარბოდა, რომ არავინ მისდევდა, არავის უსწრებდა, ვერავის ჩამორჩებოდა... ეს სახე იზიდავდა მას, როგორც სინათლის, სიმშვიდისა და სიკეთის ძალა, ძალა რომელიც გაარღვევდა ამ კედლებს, გააქარწყლებდა დღიით მოპოვებულ ჯილდოებს. ამ ძალას ერქვა სიყვარული და სიყვარულს ვერაფერი დაუდგებოდა წინ.

სანდრო უკვე კიბეზე ჩარბოდა. მისი ნათესაობა ახლაღა მოეგო გონს. თინა დეიდა რაღაცას უყვიროდა, მამა გაცოფებული მისდევდა. სანდრომ უკვე მოასწრო მეკვლეებს შორის გასხლტომა და გარეთ გამოვარდნა. აგუგუნებული, ყველასა და ყველაფერზე გულმოსული ქუჩა უცებ დააცხრა თავს... სანდრო ახლა სანაპიროზე გარბოდა, ნათესავთა გუნდი ჯერ მხოლოდ ხიდს მოაწყდა, იქიდან პირდაპირ მოკლეზე დაეშვა. წინ ბული ტრიალებდა. სანდრო მიარღვევდა ამ ბულს, მიარღვევდა მით უფრო ძლიერად, რაც მეტი სიმკვეთრით ნათდებოდა მასში ნანატრი სახე, ის ბედნიერი დრო, როცა არავის ეჯიბრებოდა, თამაშობდა მხოლოდ თავისთვის და ეს თამაში იყო მისი ცხადიც და სიზმარიც...

სასტუმროსთან ზემოთ აუხვია და თითქმის შვეულ ფერდობზე იწყო აცოცება. სწორედ დროზე გადავიდა გზიდან, რადგან ქვემოთ უკვე მოგროვდნენ მანქანები. იქიდან გადმოცვენილი ნათესავები უცებ შეეხიენ ფერდობს. ხუმრობა საქმე იყო? მათი გვარისა და ჩამომავლობის იმედი უარს აცხადებდა ბრძოლაზე, თმობდა ასე ვაგლახად მოპოვებულ გამარჯვებას! თითქოს მარტო იყო და უფლება ჰქონდა თავად განსაზღვრა საკუთარი ბედი! ამ თავზეღს აღარც კი ახსოვდა, რომ უამრავი მოყვარე იდგა მის უკან, ვინც ტკბებოდა მისი მიღწევებით, ვისაც უნდა გაენაწილებინა მისი ყოველი მარცხი, რათა ამით წილი ჩაედო მის მომავალ გამარჯვებებში.

გამწარებული ნათესაობა უკვე აღარაფერს ერიდებოდა. გაგლიჯეს რკინის ბადე, გადაანგრიეს დიბე... კიბე სასტუმროს ტერასაზე უცებ გადაშავდა ფერდობიდან ამოვარდნილი ხალხით. სანდრომ კი უკვე მიაღწია მოედანს. ბედად, იქვე, სასტუმროსთან ელოდებოდა ცარიელი ექსპრესი.

ბოლო მოეღო დევნას. ბოლო მოეღო რაღაც ისეთს, რაშიც ცურავდა და ვერ ჩერდებოდა აზრი. აზრი კი არა, ქარიანით მქროლავი სახეები და სანგნებიც ვერ იკავებდნენ ფორმას, იშლებოდნენ შტრიხებად და ელემენტებად... ავტობუსის ფანჯარას მოწოლილ ფიდეას გაუფართოვდა და გაეფლაშა სახე. თვალებგადმოკარკლული, უამრავ ნაოჭებად და სისხლძარღვებად ქცეული ეტმასნებოდა შუშის კედელს. მაღლობა უფალს! გაიღღვა სახეთა ქსოვილი, ავტობუსი მოსწყდა სასტუმროს და გემივით გაცურდა ასფალტის მოედანზე.

●

შინდისფერი „იკარუსი“ გემივით მიცურავდა სივრცეში. შუშის კედლებს მიღმა სანაპიროს ზედი იშლებოდა. სანდრომ არ იცოდა რა მარშრუტი იყო ეს, ქალაქის რომელი მხარე შეიფარავდა მას. მთავარია, გაცლოდა აქაურობას, რაც შეიძლება შორს ნათესავ-მოყვრებისაგან...

ავტობუსი ცარიელი იყო. სავარძელს შერწყმული მძღოლი უკანმოუხედავად მიაქროლებდა მანქანას. სანდრო ერთხანს აკვირდებოდა მას, შემდეგ წინ წავიდა და კარს ჩაეჭიდა. ავტობუსმა სვლას უმატა. სანდრო მთელი ძალით დაეძგერა კარს, აღარ სურდა აქ ყოფნა, რაღაცა აფორიაქებდა, გონებას უმღერევდა ამ სიცარიელეში — შეიძლება ახდილი ჭერიდან შემოსული ნისლი, ან ძრავიდან ამომავალი დამწვარი ზეთის სუნი; რაღაც ხიფათი იგრძნობოდა აქ, იგრძნობოდა მანქანის ჩამუქებულ, შიდა სივრცეში და, ალბათ, ავტობუსშიც არ იყო საქმე: შიში და მოუსვენრობა მის სულში იყო ჩაბუდებული. სანდრო წინაალმდეგობას ვეღარ უწევდა ამ შიშს, რომელიც მისგან გადმოღვრილი, მის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საპარისპიროდ და სამტროდ განაწყობდა ყოველივე გარეშესა და უცხოს. ბიჭი ამაოდ ებღაუჭებოდა ხსოვნის შუქ-ჩრდილში გახვეულ სახეს, ამაოდ ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას. უკვე გაჩნდა მასში გადასწრების ენინი, დაირღვა სიმშვიდე. ახლა მან იცოდა, რომ ვეღარ გაარღვევდა კარს, ვეღარ მოსწყდებოდა ამ შინდისფერ ურჩხულს და ცარიელ სალონში გაფანტული ჩრდილებიც უცემ შეისხამდნენ ხორცს, იმად იქცეოდნენ, ვისაც გაურბოდა და ვერც გაურბოდა...

სანდრომ ვეღარ გაუძლო ამ ეჭვებს და უკან მოიხედა. ავტობუსი ხალხით იყო სავსე. წინ, მარცხნივ კობა-ციკლოპი იჯდა და ეხუტებოდა თინა დეიდას, მარჯვნივ ოჯახის წევრები ისხდნენ, შუაში და უკან კი ახლო და შორეული ნათესავები... მას ზედაც არავინ უყურებდა, თითქოს არც არსებობდა... სახეგაქცევებული ნათესავები მძღოლის ზურგს მისჩერებოდნენ; დედის გამჭოლი მზერა მასში, როგორც სიცარიელეში, ისე ატანდა. მამა ფეხზე იდგა, ორანგუტანივს უზარმაზარი ხელებით ეკიდა სახელურს. ბაბუა ისე შესცქეროდა, თითქოს ხედავდა, მაგრამ ვერ ცნობდა მას. იქით ბიჭი უკვე ვეღარ არჩევდა დაბინდულ, ჩაშავებულ და ერთმანეთს შეწებებულ სახეებს, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ ისინიც ნათესავები იყვნენ.

— გამიშვით! — დაიყვირა და ძალით გაწელა ერთმანეთს მიტყუპებული კარები, შემდეგ შემობრუნდა და კობა-ციკლოპს დაეყარა მუშტები.

ციკლოპი უცემ მოიბუზა, დაპატარავდა და კიდევ უფრო ჩაეხუტა თინას, შემდეგ ჩაცურდა და სკამის ქვეშ შეძვრა.

— გამოდი! — უყვიროდა სანდრო და სკამის ქვეშ ნიხლებს ურტყამდა. — გამოდი და გამაგებინე: ვინა ხარ, ან ვინ ვარ მე და რაში გგზირდები!

— რაში გგზირდებით! — დაიყვირა და ახლა ნათესაობას მიუბრუნდა, სახეგაქცევებულნი რომ გასცქეროდნენ გზას. — არა ვარ მე თქვენი ამედი! არა ვარ მე არავის შვილი, არაფრის გამგრძელებელი, მე ვარ მე, მხოლოდ მე, და ამიტომაც ვერასოდეს გაგაგებინებთ, რა მინდა და რისთვის ვარსებობ!

ისევ სიჩუმე. პირქუში, გახევებული სახეები. ესმით და არც ესმით მისი, ხედავენ და ვერც ხედავენ მას. თითქოს გაიღიმასავით დედამ, მაგრამ ეს უფრო ჩრდილთა თამაში იყო მის გაქვავებულ სახეზე...

მალე სტადიონიც გამოჩნდა. ავტობუსი სამხრეთის მხრიდან მიადგა ტრიბუნებს. კარი მიიკეცა და ახლობელთა დაძაბული მზერით მონუსხული ბიჭი მთვარეულივით წაპარბაცდა შესასვლელისკენ.

●

დაიწყო მეორე ტურის მოსამზადებელი ვარჯიშები. სანდროს საჯინიბოს სხვეწზე ერგო პატარა ოთახი. ოთახში რკინის ლოგინი იდგა, ტანსაცმლის კარადა და ასაკეცი სკამი. კარადაში ეკიდა ჯაჭვის პერანგი, მოკლე, ელვასავით დაგრეხილი ხმალი და ფარი. სიმყუდროვეს ვერ გრძნობდა აქ. თითქოს მისი მარტოობა სცენაზე იყო გამოფენილი. ეს ოთახიც იმ შინდისფერ ექსპრესს აგრძელებდა, რადგან ერთი და იმავე ეჭვედან ამოდიოდა ეს ყოველივე, მის გრძნობა-გონებაში ჩაბუდებული ეჭვიდან, რომელმაც ავტობუსის ცარიელი სალონი აავსო და პირქუშ სახეებად აქცია. ეს ოთახიც მისგან იყო აღმოცენებული. შიში და მოლოდინი ძერწავდა მის კედლებს, შუქ-ჩრდილთა თამაში ქმნიდა მის ნივთებს. ფანჯრის მიმდებარე კუთხე კი რაღაცას ან ვიღაცას ჩაებნელებინა, ვიღაცა იდგა ფარდის უკან და ანთებული თვალებით შესცქეროდა... სანდრომ ვეღარ გაუძლო ამ მზერას, ხმალი გადმოიღო და ფარდა გაკკეთა. იგრძნო ადამიანის სხეული, იგრძნო, ტარამდე როგორ შევიდა ამ სხეულში ხმალი, სისხლით შეღება ხელი. უკან გამოსწია და ისევ გაკკეთა ფარდა, ღრმად დაატრიალა ხმლის წვეტი, ვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე თვალებანთებულ წყვდიადს ყვირილი აღმოხდა... ვეღარაფერი აჩერებდა ბიჭს, გაჩნდა მასში რაღაც, უცნაური ტკბობა, აკრძალული ნაყოფით ტკბობა, როცა გადადიხარ ყოველგვარ საზღვარს და დანის ერთი მოქნევით, სისხლის პირველივე შადრევანთან ერთად გადიხარ სრულ თავისუფლებაში, სადაც გაყინულია დრო, გაჩერებულია წამი, რადგან ამ წამის იქით ისევ ეშვებალესილი, შურისძიების მოლოდინში შემარული ქვეყანა დგას.

ყვირილი შეწყდა. ვიღაცა მოსწყდა კედელს, სანდროს გადმოაწვა და იატაკზე დაგორდა. მზის სხივი შიშით შეეხო ძირს დაცემულს. უცებ განათდა და ისევ ჩაქრა კობა-ციკლოპის გახევებული სახე...

გული კი არ სცემდა, მთელი ოთახი ძგერდა სანდროს გულთან ერთად; ადიჩადიოდა ძირი, თრთოდა კედელი, თამაშობდა ჭერი. ოთახის რხევა თუ გულის ცემა სტადიონსაც გადაედო. ხალხ ტრიბუნებიდან ცვიოდა, მანქანების ნაკადი ასკდებოდა ჯებირებს. ოთახის ჭერი ჩამოირღვა, ჩამოიშალა. ძლივს მოასწრო გარეთ გამოვარდნა, რომ სახურავიც ჩამოიქცა და მთელი საჯინიბო ქაღალდის შენობასავით ჩაიკეცა და მიწასთან გასწორდა. მოედანი ზანზარებდა, ღმუოდა, გული კი მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა. მიწისძვრა იყო ეს თუ სისხლში ჩაძირული გულის ამბოხი? სანდრო გრძნობდა, აზრი აღარ ჰქონდა ამ კითხვას, იყო რაღაცა, ერთი, რაც თრთოდა, ზანზარებდა და ამ რხევა-ვიბრაციაში ზღვარი იყო წაშლილი სულსა და სამყაროს შორის. სისხლძარღვებით დაიქსაქსა მთელი მინდორი, შიშით ჩამუქდა ტრიბუნების სივრცე... სადღაც ნთელი იდგა, სადღაც წყვდიადი ფეთქავდა... ხანჯლის ერთმა შემოქნევამ მოიტანა ეს ყველაფერი და ახლა აღარ არსებობდა სიტყვა, რომელიც კვლავ სტრიქონთა კალაპოტში ჩააყენებდა მას.

სანდროს ირგვლივ ხალხი შეიყარა.

— ეს რა გვიქნა! — ხელი სტაცა თინა დეიდამ. — რა დღეში ჩაგვაგდე!

ხალხი დაიძრა მისკენ. რომ გაქცეულიყო, უეჭველად მიეწეოდნენ, მაგრამ ბიჭი არც განძრეულა, მშვიდად აღუდგა წინ მის ჩასაქოლად აზვირთებულ ბრბოს.

— რატომ მოკალი კობა ბიძია, რაც მაგას ამაგი აქვს შენზე? — ატირდა თინა.

მამა მოშორებით იდგა, შვილს თვალს არიდებდა და ჭმუნვით გასცქეროდა ნანგრევებით მოფენილ მინდორს. აცრემლებულმა დედამ ხელი გაუწოდა. სანდრომ გაიწია დედისკენ, მაგრამ ვერ შეეხო. უცნაურია: დედა-შვილი ერთმანეთისკენ მიიწევდა და ვერ ეკარებოდა ერთმანეთს! საყვარული, მათი ურთიერთობის სათავე, გაუგებრობის ქსელში იყო გახლართული. ისინი თითქოს სხვადასხვა განზომილებაში მოძრაობდნენ...

დედას ისევ ჩამოეფარა უცხო სახეთა კედელი. სანდროს არ ესმოდა მათი ყვირილი, ვერ ხვდებოდა, რა უნდოდათ მისგან, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მაჯებზე ბორკილები დადეს, ამოტივტივდა მის გონებაში კობა-ციკლოპის უსიცოცხლო სახე.

დამთავრდა თავისუფლება. მკედარი წერტილიდან დაიძრა დრო და ცოდვაში ჩავარდნილს პასუხი მოსთხოვეს. ბიჭს ახლა ჯარისკაცები ამოსდგომოდნენ აქეთ-იქიდან. ჯარისკაცების მწკრივი იცავდა მას მის ჩასაქოლად აზვირთებული ხალხისგან. რამდენიმე ქვა მაინც მოხვდა ზურგში, მაგრამ მათ უკვე გაარღვიეს ბრბო, გაიარეს დერეფანი და დირექციის დარბაზში შეეგდნენ.

დარბაზის სიღრმეში, უზარმაზარ საწერ მაგიდასთან, კობა-ციკლოპი იჯდა და ქალალდებს ქექავდა! ახალმა იერსახემ და ჩაცმულობამ ვერ გადაასხვაფერა იგი. მსგავსება გარეგნობაში კი არა, სადღაც, სიღრმეში იყო ჩაფარული. თითქოს ერთი მსახიობი ქმნიდა ორ განსხვავებულ სახეს.

— კირილე, ჩემი სახელია კირილე, — თავი ასწია კობამ და ხელი გაუწოდა. — მე გადმომცეს თქვენი საქმე. არადა ზა-

ფხული გავიდა, შეებულება აღარ უნდა მაღირსონ?

ისე შეუბღვირა, თითქოს ამაშიც სანდრო იყო დამნაშავე.

— მოკლედ, გადავხედე, გადმოვხედე, გაუგებარი საქმეა. ფაქტი სახეზეა, მაგრამ მოტივი? რატომ? რატომ ჩაიდინე ეს? ახლანდელ თაობას მწვანე გზა გაქვთ გახსნილი, რა გინდათ? რისთვის ხოცავთ აღმზრდელებს?

ხმა გაებზარა. ტირილი მოერია. კარგა ხანს ღვარა ცრემლი, გული რომ იყვარა, უცებ მრისხანე სახე მიიღო და მუშტი ხეთქა მაგიდას.

— ყველას მოგარჯულებთ! ყველას!

— თმა ჩამოგძვრა.

— რაო?

სანდრომ ხელით გაუსწორა შუბლზე ჩამოცურებული პარიკი.

— ხელი! როგორ მიბედავ!

— ვეყოფა ჯამბაზობა. თქვი, რას მიპირებთ.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია კობა-კირილემ. — მამაშენის ხათრით, თორემ გიკრავდი თავს ქვეყნის კიდეზე, მაგრამ რა ვქნა? ხათრიანი კაცი ვარ, გული კეთილი მაქვს...

უცებ ჩაუწყდა ხმა, ფანჯარაზე ამომძვრალ თინა დედას გაუშტერა თვალი, შემდეგ გონს მოეგო.

— სად გავჩერდი?

— გული რომ კეთილი გაქვს.

— ჰო, ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობას გაძლევ, ბრძოლა უნდა მოიგო.

●

გაირკვა, რომ ღიღის კომიტეტთან არსებობდა ცოდვილთა სექცია, სადაც შეიძლებოდა სასჯელის მოხდა და განწმენდა. ბრალდებული ერკინებოდა სანიტეიკურ ურჩხულს, რომლის გრეხვასა და ტრიალს კომპიუტერი მართავდა. ურჩხულთან ბრძოლა ასოციაციას იწვევდა უხსოვარ წარსულთან, ოღონდ, ეპიკური ტრაგედიის ნაცვლად, ეს ყველაფერი თამაშისა და ირონიის გროტესკულ ფორმებში იყო გადაწყვეტილი: გამოყავდათ ჰოკეისტივით ჯავშანგაბერილი ვმირი, რომელსაც ბურთის სატყორცნი ჯოხის ნაცვლად მახვილი ეჭირა ხელში და მაშინვე გალიიდან გამოენთებოდა ცხრათავიანი ვეველშაპი, ნამდვილივით რომ იკლაკნებოდა და ბროწეულისფერი ხახიდან ცეცხლის კორიანტელს აფრქვევდა.

სანდროს ორი დღე მისცეს რეპეტიციებისთვის. კვირა დილით გველშაპთან ბრძოლით უნდა მოეხადა თავისი სასჯელი; თუ გადარჩებოდა, ორშაბათიდან მეორე ტურის მარათონში ჩაებმებოდა.

პარასკევს კობა-კირილე ესტუმრა. ლოთობისაგან შეშუპებულ სახეზე თითქმის არ მოუჩანდა თვალები. მე დამნიშნეს შენს მწვრთნელადო! — ამოიოხრა და რის ვაი-ვაგლახით ჩამოდღლიზა კედლიდან ელვასავით დაგრეხილი ხმალი.

„თავი თუ მოგიშვირა, აი, ასე დაჰკარი“, — კირილემ ზემოდან დაიქნია ხმალი, მაგრამ ვერ მოზომა და მისი ალესილი პირი პლიტუსებს შორის ჩაეჭედა. როგორ არ ეჭიდავა, ვერ იქნა და ვეღარ ამოაძრო ხმლის წვეტი, ხელი ჩაიქნია და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— შენი გულისთვის მაგარ ხათაბალაში გამხვიეს, — თქვა. — თუ გადარჩი, დამსახურებას თვითონ მიიწერენ; თუ დაიღუპე, მე მომიხსნიან პედაგოგის სტაჟს და გამინახევრებენ ხელფასს. მიდი, ივარჯიშე, ნუ ჩერდები! — უცებ დაუღრიალა და ხელი ჰკრა.

ახლა სანდრო დაებღაუჭა ხმალს, მაგრამ ბორკლების თრევისაგან ისე იყო დასუსტებული, ძვრაც ვერ უყო ხმლის პირს.

— არ გამოვა შენგან გმირი, — ხელი ჩაიქნია კირილემ. — დასალევი არა გაქვს?

პასუხს აღარც დაელოდა, ეცა სანდროს ტომარას და იქიდან ოქროსეტიკეტიანი „ვარციხე“ ამოაცოცა.

— აი, ჩვენი იარაღი! — ხელში შეარხია ბოთლი. — წამოდი!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კირილემ კარი გააღო და პატიმართა სარდაფიდან ისევ დირექციის დარბაზში ამოყვეს თავი, ოღონდ ამჯერად ამ სართულზეც არ შეჩერებულან, კირილემ უკანა ფარდა გადასწია და მეორე, აბლაბუდებიანი კარი შეაღო, საიდანაც დახვეული კიბე ზედ ხხვენზე ადიოდა.

— დაივიწყე ეს გზა, — უთხრა კირილემ, — მომავალში თავი ისე უნდა გეჭიროს, ვითომ არც ის გინახავს, ვისაც ახლა ნახავ...

კიბე-სპირალი აათავეს და პირდაპირ ხით მოპირკეთებულ კაბინეტში შევიდნენ. მაგიდასთან თავგვივით მოცუცნული არსება იჯდა და დღიის ისტორიათა დავთარს ავსებდა. კირილემ ოდნავი ჩახველებით მიიქცია მისი ყურადღება.

— ხომ გითხარი, არ შემაწუხო-მეთქი? — თავი ასწია კაცმა. — აღარ უნდა მაცალო ისტორიის შედგენა? ვერ ხედავ, ისე აირია ეს ქვეყანა, ძაღლი პატრონს ვერა ცნობს? გვაცალეთ, ბატონო, გავიაზროთ რა ხდება, შევიგრძნოთ ჩვენი მდგომარეობა, განვჭვრიტოთ მოსახდენი...

კირილემ ხმის ამოუღებლად ამოაცოცა „ვარციხე“ და ვირთხა-კაცუნას ცხვირწინ დაუდგა.

— ოჰ! — თვალები დაუელამდა მასპინძელს. — რა საჭირო იყო, თანაც ამ გაუბედურებულ დროში.

— ამ ბიჭს უნდა დავეხმაროთ, — ახლა სანდროს სტაცა ხელი და წინ წაიგდო. — იცით თქვენ, ბატონო თეიმურაზ, კაცი რომ შემოაკვდა საცხენისნო სექციაში.

— მოიცა, მოიცა, სულიკოს ბიჭი, არა?

— ის გახლავს, შენი კვნესა მე, თვით პატიების რა ღირსია, მაგრამ მამამისს ხათრით...

— ურჩხულს უნდა შეებრძოლოს, — ხელები გაშალა თეიმურაზმა, — მაგრამ შევეცდები კომპიუტერთან ჩვენი კაცი დავსვა.

— აბა, დავლოცოთ მასპინძელი! — ბოთლს ხელი წამოაჭერ კირილემ.

— რა საჭიროა, — თეიმურაზმა ხელიდან გამოსტაცა „ვარციხე“ და უჯრაში ჩადო. — მგონი, კობა ერქვა აწ განსვენებულს.

— ღმერთო, ნუ მიწყენ და ბევრი ცოდვა ეღო კისერზე. ბერიას დროინდელი მეთოდებით წვრთნიდა ახალგაზრდა კონტინგენტს.

— ამ საქმეს მაინც ვერ მივაფუზეჩეთ. ჟურნალისტებმა უკვე იყნოსეს სისხლის სუნი. ყველაფერი ისე უნდა გათამაშდეს, როგორც წესი და რიგია.

როგორც წესი და რიგია? მაგრამ განა აქ, ამ ჯამბაზების ხელში არსებობს წესი და რიგი? თამაშს წესს კი იცავენ თითქოს, მაგრამ იცავენ მანამ, სანამ გარედან ჭვრეტენ ბრძოლას, სანამ მოვლენათა სიმძაფრე რომელიმე მათგანს არ ჩაითრევს, მერე კი ავიწყდებათ წესი და ყველაფერს კადრულობენ. სანდროსთვის უკვე ცხადი იყო, რომ აქაურობას კანონი კი არა, ძალა განაგებდა. მართალი ის იყო, ვინც იმარჯვებდა, იმარჯვებდა ნებისმიერი გზით: ვაჟკაცობით, მიმტევებლობით, თუ სისასტიკით ან ღალატით. მხოლოდ ამის მერე მოდიოდა კანონი, მოდიოდა თავისი აღმასრულებელი ჩინოვნიკებით, კანონი, რომელიც გაამართლებდა და დაამკვიდრებდა გამარჯვებულის ნებას. ამიტომაც სტადიონის ადმინისტრაცია მუდმივ გარდაქმნასა და რეფორმებს განიცდიდა. ახალ გამარჯვებებს ახალი სახელები მოჰქონდათ და საჭირო ხდებოდა გარდასულთა ნებას მორგებული კანონის ხელახალი ფერიცვალება.

●

კვირას ნისლიანი დილა გათენდა. თითქოს სველი ზეწარი გადაეფარეს შემოდგომის ჭკნობაშეპარულ ცას. კირილე და თეიმურაზი უთენია თავს დაადგნენ სანდროს. ბიცით ღვინო შემოიტანეს და მაშინვე ჩაუჯდნენ.

— ერისთავების ძღვენია, — ჭიქას მზის შუქზე გახედა კირილემ. — ოქროსავითაა. გასულია მაგათი ბოკვერი მეორე ტურშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რეპეტიციას როდის გავიელით? — ჭიქა განზე გასწია სანდრომ.

— ყველაფერს მოვასწრებთ. — ჩაიცინა კირილემ. — ჯერ ეს ჩავცალოთ...

კირილემ თეიმურაზს გადახედა. თეიმურაზმა თითქოს ღიმილი გამოსტაცა კირილეს და დამცინავი მზერა სანდროზე გადაიტანა.

— ოღესღაც მეც შენსავით მიდუღდა სისხლი. — ამოიოხრა. — რქებით გამქონდა ლელო!

— ჩვენი ჯეელობისა იყოს, — ჭიქა ასწია კირილემ.

სანდრომ ზურგი შეაქცია მათ. კედლიდან იარაღი ჩამოხსნა.

— მოიცა, — ხელი სტაცა თეიმურაზმა. — ცოტა თუ არ შეზარხოშდი, ვარჯიში ვერ გიშველის.

სანდრომ ხელი აუკრა და კარი მოიჯახუნა. უკანმოუხედავად გადაიარა მინდორი, მინდვრის კიდეზე ახალგაზრდა ქალი იდგა და ყვავილებს კრეფდა. ქალს საოცრად დაწმენდილი, ლამის გამჭვირვალე სახე ჰქონდა. მისი ოდნავ გაკვირვებული მზერა ძარღვებში თბილად ჩაეღვარა ბიჭს. მზეს გამოარღვია ზეცა, განათდა მიდამო. მზე შეერია სახეს, ამ სახის ნაოელი ჩამოდგა სულში და შეუფრთხა ეს დილაც ბავშვობის წარუშლელ დღეთა ქარავანს...

— დალი! — უნებურად აღმოხდა ბიჭს.

— გაწუმდი, — თითი აუფარა ტუჩზე,— ვიცი, რაც გინდა მითხრა, ვიცი ყველაფერი...

სანდრომ თავი ჩალუნა. ხელით მაინც ვერ შეეხო ამ სინათლისა და სიხარულის სათავეს.

— მძიმე დღეები გელის, — უთხრა დალიმ, — მაგრამ მე შენთან ვიქნები.

ქალი გაქრა. უფრო სწორედ, შუქი ისე გადათამაშდა, ყვავილნარი შორეულ ლაქად იქცა მინდვრის კიდეზე. ამ ყვავილ-მწვანე ლაქას შეერია ქალის სილუეტი.

სტადიონის სამრეკლოზე ზარს შემოჰკრეს. თვალის დახამჰებაში აიცხო ტრიბუნები ხალხით. ქვემოთ, წინ, მსაჯთა კოლეგია განლაგდა. სანდრო მიხვდა, რომ ზარს მისთვის შემოჰკრეს, რომ წამიც და გველეშაპის ღრიალი შთანთქავდა ხალხის ხმას. დაიბაბა. ხმალი ამოზიდა ქარქაშიდან, ფარი წინ გაიშვირა. სტადიონი გაიტრუნა ურჩხულის მოლოდინში. დარაჯმა ძმამედ დასძრა გალიის კარი და უეცრად ორმოცათასიანი კაცის სინუმე ჯერ გაოცების შეძახილებმა, შემდეგ კი სტვენამ და სიცილმა დაარღვია. ბნელი გალიიდან ძლივს გამობანცალდა გემოზე შეზარხოშებული ბატონი კირილე. ცდილობდა თავი ღირსეულად დაეჭირა, სწორად გაევლო, მაგრამ ფეხი ერეოდა, ქანაობდა და საყოველთაო სტვენა-ხარხარში ძლივს მიიწევდა მსაჯებისკენ.

— ურჩხული გაგვიფუჭდა! — ეცა მოსამართლის მანტიაში გახვეულ თეიმურაზს, შიგა და შიგ რომ ყვინთავდა.

— რაი? — წამოხტა ერთ-ერთი მსაჯი.

— რაც ნახევარგამტარებზე გადავეყვანეთ, წამდაუწუმ ფუჭდება, — ამოასლოკინა კირილემ.

— მოგვეჭრა თავი!

— არც იმდენად, — თვალი გაახილა თეიმურაზმა. — მთავარია ქაღალდები წესრიგში გვქონდეს. შევადგინოთ ბრძოლის ოქმი, ავღნიშნოთ ფრე პრეტენდენტის უპირატესობით, რაც მას მეორე ტურში გასვლის საშუალებას მისცემს, დავარტყათ ბეჭედი და ერთი გემოზე დავასველოთ ეს საქმე...

— უკვე შევადგინე! — კირილემ ჯიბიდან ქაღალდი ამოაფრიალა და მსაჯთა კოლეგიას წინ დაუდო. — აქ აღნიშნულია, რომ ჩატარდა უშედეგათო ბრძოლა, სადაც ორივე მხარემ ღირსეული მეტოქეობა გაუწია ერთმანეთს.

— ამ ქვეყანას ვერაფერი გაასწორებს, — ამოიოხრა მსაჯმა და ოქმს ჯვარი დაუსვა.

— ასევე, — ახლა თეიმურაზმაც მოაწერა ხელი, შემდეგ ხმალამოღებულ სანდროს გადახედა, კირილეს რაღაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუჩრჩულა და სიპი ქვა ჩაუდო ხელში.

კირილემ ჩაიღიმა, ზურგიდან შემოუარა ბიჭს და ქვა კეფაში ჩასცხო.

●

გონს რომ მოვიდა, თავის ლოგინში იწვა. კირილე თავს უხვევდა. მოშორებით, ოთახის სიღრმეში ნათესავები ღრეობდნენ. დედა გარს უვლიდა ლოგინს, მაგრამ თითქოს უხილავ კედელს ეჯახებაო, ვერა და ვერ ახერხებდა მასთან ახლო მისვლას. ბიჭმა ერთი კი გაიწია მისკენ, მაგრამ კირილემ ხელი სტაცა და ლოგინში ჩააბრუნა.

— არ გაინძრე! — დაუყვირა. — ჭრილობა არ გაგეხსნას!

— ნამდვილი ვმირი ვყოფილ! — ახლა ნათესავებს მიუბრუნდა. — ღომივით იბრძოდა, ღომივით! იმ საშინელ ურჩხულს სულ კუდით ქვა ასროლინა!

ატყდა ტაში. სანდროს ისევ წაეკრთვა სმენა. ხედავდა მხოლოდ ერთმანეთს მოწყვეტილ და მიტყეპებულ ხელისგულებს. შემდეგ ოთახი მოწითალო ბურუსში გაეხვია, სისხლის ფარდა ჩამოეფარა თვალს, ისევ დაკარგა გრძნობა...

მეორე დღეს უკვე ფეხზე იდგა და ცდილობდა იმის გახსენებას თუ რა მოხდა, რატომ ჩავარდა ასეთ დღეში.

— ბრწყინვალედ იბრძოდი! — ჩასჩურჩულებდა კირილე. — რა უნდა გაიხსენო, როცა შეუცნობლად მოქმედებდი. სწორედ ამან გიშველა. თავდავიწყებამ გახსნა შენში ზეკაცის ძალა.

— სტარტზე როდის გავალთ? — იკითხა მამამ.

— ხვალვე. მეორე ტური ხვალ იწყება.

კირილე უკუიქცა. ნათესავებმა ისევ დაიპყრეს ოთახი. მასთან ახლოს მაინც ვერავინ მოდიოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს არ არსებობდა უხილავი კედელი მათ შორის. ისინი ახლა ამაყობდნენ თავიანთი ვმირით, ვაუთავებლად კითხულობდნენ ორთაბრძოლის ისტორიას, ჩასცქეროდნენ იქმის გერბსა და ხელმოწერებს. თინა დედამ ბოხჩით საჭმელი შემოიტანა და პირდაპირ სუფრაზე დაყარა. ვიღაცამ დოქით ღვინო ჩადგა. მაშინვე სუფრის თავსა და ბოლოში თეიმურაზი და კირილე გაჩნდნენ. თეიმურაზი სადღეგრძელოს იწყებდა, კირილე აგრძელებდა და ავითარებდა თემას, ხარცითა და მწვანილით პირგამოტენილი ნათესავები კი თავს უქნევდნენ მათ.

— ჩვენ დიადი გარდაქმნების მიჯნაზე ვდგევართ! — ამბობდა თეიმურაზი. — ახლა გვჭირდება ვმირი, ვინც გაგვიძღვება უკეთესი ცხოვრებისაკენ!

სანდრომ ზურგი შეაქცია სუფრას და ფანჯარას გახედა. ქალაქი ხრჩოლავდა, იძირებოდა მანქანათა ბურუსში. ანარქია და ქაოსი ტრიალებდა ყველგან. ისევ საკუთარ თავში უნდა მოეძია საყრდენი, მაგრამ აქაც ვერ პოულობდა ვერაფერს. ვერ ხვდებოდა, რას ულოცავდნენ. ის, რასაც ერქვა ურჩხულის ძლევა, წყვდიადით იყო მოცული. განა მხოლოდ აზრისეული წყვდიადით, არ არსებობდა გამარჯვების ნაიელი, სასიხარულო განცდა; სინათლე სულ სხვა სიღრმიდან იღებდა სათავეს, სადაც არც შეუჯიბრი იყო და არც ბრძოლა. იქნებ არც არაფერი მომხდარა და ორთაბრძოლა შესაბამისი იქმებისა და დოკუმენტაციის ძალით არსებობდა მხოლოდ? ამ უაზრო ქვეყანაში ქალალდზე დაწერილს მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ნამდვილად მომხდარს. იქნებ არც ეს შეჯიბრი დაწყებულა, რადგან ის, რაც სიტყვის მოძრაობით იბადებოდა, აღარ მოითხოვდა არაფერს ამ მოძრაობის იქით. თუკი ინგრეოდა ქვეყანა, თუკი მორბენალთა ერთ მისწრაფებად ქცეული გუნდი გზად ყველფერს ანადგურებდა, ეს ნგრევა-ქაოსი განუყოფლად ერწყმოდა მისი სულის მთლიანობის რღვევას და არ არსებობდა არაფერი გარეგანი, რომელსაც ფესვები არ ჰქონდა გადგმული მისი სულის სიღრმეში, და ამიტომაც არ არსებობდა არავითარი ამბავი, ამ ამბის გადმოცემისა და აღქმის გარეშე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შემპარავად გაფაქიზდენ ღამენათევი ლანდები და განთიადის იასამანი გაიფურჩნა ჭვრნა და კედლებზე. სიზმარი იყო ეს თუ ცხადი? თუმცა აქ, სადაც ყველაფერი სიტყვისა და საგნის განურჩეველ მთლიანობაში არსებობდა, სიზმარ-ცხადს არ ჰქონდა ერთმანეთისგან მოწყვეტის უფლება. ბიჭი ჩაძირული იყო ყოფნა-არყოფნის აზრითმიუწვდომელ მთლიანობაში, სადაც სიტყვის ერთი შემობრუნება, ფიქრის ოდნავი მოძრაობა გარე სამყაროს ცელილებებს იწვევდა.

„ადექი! დაგვგვიანდა!“ — ზემოდან ჩამოდიოდა ხმა და მთელი ზეცა მამის მრისხანე სახით იყო დაფარული. თავიდან იწყებოდა ამბავი, თავიდან ემზადებოდნენ ახლობლები ბრძოლის დასაწყებად...

●

მამა-შვილმა შუადღემდე ძლივს მიაღწია სტადიონს. ტრიბუნები უკვე გაჭედა ხალხით. ფერადი ბუშტებითა და ქაღალდის ყველეშაპებით დაფარულ ცას აქა-იქ არღვევდა შემოდგომის მზე. სტარტზე რამდენიმე თავახდილი მანქანა იდგა. მძღოლები, ფერად კომბინეზონებში, იქვე ტრიალებდნენ. ფერებსა და მუზარადების ნიმრებს ბატონი კირილე ანაწილებდა.

— აქ ნუ დგეხართ, ხელს გვიშლით! — შორიდანვე შეუძახა მამა-შვილს.

— ჩვენ მონაწილეები ვართ!

— გვარი? — კირილემ უცხოსავით ჩაათვალიერა სანდრო და დავთარი გადაშალა.

— ლომიძე.

— ძირითადში არა ხარ. დამატებით სიას დაელოდე!

— კირილე ბიძია! — გაუღიმა სანდრომ და სახელოზე მოქაჩა. — დაგავიწყდა თინა დედას ხაჭაპური?

კირილემ ერთი შეუღრინა და ზურგი შეაქცია.

— თავი დაანებე, ასეა საჭირო — გააჩერა მამამ. — დღეს ჩვენ სრულიად უცხო უნდა ვიყოთ ერთმანეთისთვის. მიუკერძოებლობის ილუზია მაინც თუ არ შეიქმნა, ისე აზრი არ ექნება შეჯიბრების დაწყებას.

სანდრომ ვერც დამატებით სიებში იპოვნა საკუთარი გვარი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ურჩხულთან დაზავების იქმის საფუძველზე ცალკე გამოუწერეს უწყისი და ბოლოს გაიყვანეს სტარტზე. კირილემ ნაჩქარევად ჩააცვა სისხლისფერი კომბინეზონი და თავზე ჩაფხუტი დაახურა.

— ყური მიგდეთ, ყმაწვილებო, — მიუბრუნდა მონაწილეებს. — დღეს ვეაქვს ჯგუფური მარათონი, სადაც ყოველი თქვენგანის ინდივიდუალური სწრაფვა გუნდურ ძალისხმევაში უნდა გადაიზარდოს. კომბინეზონთა ფერების მიხედვით თქვენ შექმნით სხვადასხვა პარტიებს და განლაგდებით შესაბამისი ფერის ავტომობილებში. არავითარი თანაგრძნობისა და დახმარების იმედი გარედან არ უნდა გქონდეთ! მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მიაწეროთ გამარჯვებაც და მარცხიც!

გაისმა სასტვენის ხმა. რვა ავტომობილი ერთდროულად მოსწყდა ადგილებს და ბურუსით მოცულ ბილიკებზე გაფრინდა.

●

სანდრო ერისთავის ბიჭთან ერთად მოხვდა სისხლისფერთა პარტიის მანქანაში. რაღა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ ესკიზურად იყო მონიშნული ტარიელის ბუნდოვანი სახე. შემდგომი მათი ურთიერთობა შესძენდა ამ სახეს გარკვეულ ნაკვთებსა და იერს. სამაგიეროდ მძღოლი, ძია ვოვა გახლდათ ყველასთვის ნაცნობი და მობეზრებელი! მის ნაცვეთ, დაჩამიჩებულ სახეზე ნათურებივით ფეთქებდნენ და ქრებოდნენ თვალები.

— ყველა ეკიპაჟს ერთი მიზანი გვამოძრავებს! — დასჭექა ვოვამ. — ყველა მივისწრაფით რაღაც ნა-ნა-ნა... — აქ ენა დაბორკა, მზერა ჩაუქრა, თითქოს ჩაქრა გადამწვარი თოჯინასავით, მაგ-

რამ უცვნ გამოერკვია და განაგრძო: — ...რადაც ნათელისაკენ, მაგრამ გზა ყველას საკუთარი გვაქვს და ჩვენი ვიწრო-პა-პა-პარტიული წარმოდგენებიც ამ ნათელი მიზნის შესახებ არ უნდა ეთხვეოდეს ერთმანეთს.

— მიაწექი, თუ ძმა ხარ, არ ჩამოვრჩეთ, — შეუძახა ტარიელმა.

ვოვას არ სჭირდებოდა შეძახილი. ისედაც გიჟივით მიაქროლებდა მანქანას. წესი და კანონი არ არსებობდა მისთვის. ვისაც ვერ ეწეოდა, მოსახვევში გზას უჭრიდა. ერთი-ორი ავტომობილი ზედ ტრიბუნებზე შეაგდო! გადასწრებას ყინით შეჭერობილმა სულ დაკარგა თავგზა, გვერდზე გადაუხვია და ლურჯების მანქანას კუდი გაკრა! საშინელმა დარტყმამ შეაზანზარა სალონი, ტარიელი ყვირილით ქვემოთ ჩაცურდა, ნამსხვრევებად ქცეული მძღოლი მოგლეჯილ კარში გაფრინდა! სანდრომ მოასწრო და საჭეს სტაცა ხელი, მანქანა შემოაბრუნა. ახლა ცხვირწინ ამოიზარდა ეშვებალესილი ავტო, შემხვედრი მძღოლის გამხეცებული სახე. გონება უკვე ვეღარ წარმართავდა მოვლენებს, სამაგიეროდ ხელი მოქმედებდა ელვის უსწრაფესად, ზუსტად, ხელმა შემოატრიალა და ლურჯებისკენ წარმართა სისხლისფერთა პარტიის საჭე.

ბღავილი წამიერად ამოსკდა განწირულთა მხრიდან, შემდეგ შეჯახებისგან ჩამობნელდა და მიჩუმათდა არე...

რამდენ ხანს ეყარნენ გზისპირა თხრილში? აზრი არ ჰქონდა ამ კითხვას, რადგან ტრასიდან ამოვარდნილნი აღარ ეკუთვნოდნენ მსაჯის წამზომით მომდინარე დროს. ლურჯების პარტიას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ანდა, სისხლისფერთა შორის კი მხოლოდ ძია ვოვა გადავიდა უკედავებაში. მისი დამსხვრეული სხეულიდან ათასნაირი ლამფები და მავთულები იყო გადმოყრილი.

— წესის თანახმად, ძეგელი უნდა ავუგოთ. მაგრამ ეჰ, — ხელი ჩაიქნია ტარიელმა, — როგორც ვატყობ, აქაური კონსტიტუცია იდიოტებისთვის არის დაწერილი.

— ვერც ამ უბედურებს გავაცოცხლებთ და ვეღარც მანქანას ავაწყობთ, — თავი გაიქნია სანდრომ.

— ფერს თუ ვიცვლიან და ახალ პარტიას შევქმნით, ახალ მანქანას გავშანსავ, — თქვა ტარიელმა. — რადიკალიზმი რომ არ დაგვწამონ, ოდნავ გავამუქოთ დროშა და შინდისფერზე შეეჩერდეთ. წამო!

ტრასაზე სიარული საშიში აღმოჩნდა. ამიტომ გვერდით, საცალფეხო ბილიკს დაადგნენ. შორს, მტვერსა და ბუღში, სისწრაფისაგან სახეგაფლაშული მოდელები ერწყმოდნენ ერთმანეთს.

— ჩვენი დროც დადგება! გამოიღვიძებს ერი! — შესძახა ტარიელმა. — შინდისფერი დროშა დაფარავს ამ ფერთა ქაოსს!

დაღამებამდე საჯარიმო მოედანი გადაიარეს და გაღმა დაბანაკებულ ავტომობილებს მიაღწიეს. კემპინგის ჭიშკარზე აბრა ეკიდა.

დღეს:

დღეს ლურჯების სისხლისფერთა პარტიას შეასკდნენ. დაღუპულია სამი წევრი. ორი იძებნება.

— თქვენი საუთები! — მოესმა სანდროს ნაცნობი ხმა. ჭიშკართან სახეგამკცრებული ბატონი კირილე იდგა.

— გვეძებდით და გვიპოვნეთ! — გაუღიმა ტარიელმა. — ჩვენ ყოფილი წითლების შინდისფერთა ფრაქციის წევრები გახლავართ.

— ესაა, ბიჭო, შინდისფერი? — კირილემ მის დაფლეთილ-ჩატალახებულ კომბინიზონს შეხედა. — შაკვეს უფრო ვევზართ.

— ფერს ვიღა ჩივის, რაკი ცოცხლები დავრჩით. ჩვენი გადარჩენისა ვვინდა ავღნიშნოთ, თქვენნან ერთად, რა თქმა უნდა! — შეეპატიჟა სანდრო.

— უსაბუთოდ მაინც ვერ გაგატარებთ. ისე კი ეეერ, ეეე, გარღვეულია ღობე. თუ შეძერებით, თვალს დავხუჭავ. აჰა, შეეტრიალდები კიდევაც.

კირილემ ზურგი აქცია მათ და უდარდელი სტვენით, ნათურებმოელვარე ნაძვებზე გადაიტანა მზერა.

ზედ საცეკვაო მოედანთან გაძვრნენ. ღმერთო, რა ხდებოდა ირგვლივ! ესტრადის ნიჟარაში ვერცხლისფრად ფეთქავდა ჯაზი და სიძველისაგან დამტკბარი მელოდია ფირფიტასავით ატრიალებდა მოედანს. აღარ არსებობდა ზღვარი ეკრანზე ნანახსა და მახსოვრობაში ცოცხლად აღბეჭდილს შორის და ეს ყველაფერი ეკუთვნოდა მარადისობას — ცხოვრების რბოლაში სასწაულებრივ ბგერათა ხიბლს...

სანდრომ მთვარეულივით გადახერა აცეკვებული მოედანი და ნაძეის ხეს მოხვია ხელი. არ იცოდა, გულმა რატომ გამოუწია აქეთ, შემდეგ ღრმად ჩააკვირდა ნაძეის ჩრდილში განაზებულ ქალს და უცებ ისევ სითბო ჩაეღვარა ძარღვებში, წამით გამოანათა წყვდიადდან ცრემლით აბრჭყვიალებულმა სახემ. ის იყო! ბიჭმა ვეღარ გაუძლო ამ გამონათებას, წინ წაიწია და ფრთხილად შეახო ხელი; თითქოს ეშინოდა, ხელში არ ჩამემსხვრესო, ასევე ფრთხილად წამოაყენა და მასთან ერთად შეცურა ნელი თავდავიწყებით მბრუნავ სივრცეში...

— აქ მხოლოდ ნამეცია იმის, რაც ასე ძლიერად გიყვარს! — ეჩურჩულებოდა დალი, — გავყვეთ ამ ბგერებს, ისინი თოვლით შეეცისფრულ ხეობაში შედიან, სადაც ყველაფერი სამუდამოდ არსებობს, არსებობს არა ერთმანეთის ჯიბრზე, არამედ თავისთვის. იქ არის ცხოვრების სათავე, როცა მომავლის სიხარულით სავსე მოლოდინი სულ სხვა ფერსა და გემოს აძლევს ოდესღაც მყოფს. გავყვეთ ამ სერენადას მზე--ური ველისაკენ...

ამ ფიქრებად ქცეულნი, თანდათან შორდებოდნენ საცეკვაო მოედანს და უცნაურია! სერენადა კი არ ქრებოდა, უფრო სავსედ და ცოცხლად იღვრებოდა, თითქო საკრავები კი არ გამოსცემდნენ მას, არამედ ეს მთვარის შუქზე მოელვარე ჯაზი იყო მხოლოდ ღია კარი, საიდანაც იწყებოდა და ძალას იკრეფდა ხსოვნის შუქ-ჩრდილში გახვეული მუსიკა.

ასე მიიწევდნენ ბაღის სიღრმეში და მერე ზევით, მთვარის სხივებით მოქსოვილი ფერდობებისკენ, სადაც თანდათან იფანტებოდა ღამე და ახლოვდებოდა თვალისმომჭრელი, მზიური ველი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მზად ბიჭი ამ ველზე გასავლელად, ეჭვი მაინც ტრიალებდა მის გულსა და გონებაში და თვალიც განზე გაურბოდა ამღვრეული ლაქებისაკენ. „არ მიიხედო, — ემუდარებოდა დალი, — წინ იყურე“, მაგრამ მას არ შეეძლო წინ გახედვა, ჯერ კიდევ ფეთქავდა მასში გარდასული დღე, ბიჭმაც მოიხედა უკან და ამ შემოხედვამ ხორცი შეასხა აღეკნებულ ჩრდილს.

— გაქცევას ხომ არ აპირებ? — მოესმა ნაცნობი ხმა.

სანდრო შეჩერდა. გზას მას კირილე უღობავდა.

— გეყოფა გართობა, — უთხრა კირილემ. — ჭიშკართან ახალი მანქანა გელოდება. — აქ უცებ დალის მიუბრუნდა და ხელი სტაცა: — თქვენისთანა ქალბატონს რომ ეკადრება ისეთი.

ამ სიტყვებით კირილემ ქალი თავისკენ მიიზიდა და წელზე მოხვია ხელი. ლანდივით განაზებული ქალი ხელიდან დაუსხლტა. ქალთან ერთად გაქრა ფერთა თამაშით შექმნილი ბაღიც.

სანდრო გონს რომ მოვიდა, კირილე მის ფეხქვეშ ეგდო. ბიჭი ვეღარ ჩერდებოდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ურტყამდა. შემდეგ ყელში წაუჭირა ხელი. მთელი ამქვეყნიური ბოროტება მისთვის ახლა ამ სახედაღრეჯილ არსებაში იყო მოქცეული...

●

მეორე დილით მოედანზე აღმოჩენილ იქნა შუახნის მამაკაცის გვამი. უცნაურია! სისხლის ნაცვლად ნახერხი იყო გადმოყრილი მისი პირიდან. მალე ამოიცნეს, რომ ეს გახლდათ ავტორბოლის ზედამხედველი, ბატონი კირილე. საქმე მაშინვე აღიძრა და ეჭვიც შინდისფერთა პარტიის ერთ-ერთ წევრზე იქნა მიტანილი, მაგრამ იმ ხანად მოწითალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელემენტები განაგებდნენ ქალაქის ცხოვრებას, რომელთა ერთ-ერთ ვარიაციას შინდისფერიც შეადგენდა, ამიტომ საგამომძიებლო ორგანოებმა ვერ გაბედეს საქმის წარმოება, უფრო ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების მოლოდინში მათ უბრალოდ დაფიქსირეს და გაყინეს ეს საქმე.

— მეორედაც შეგრჩა, — თითი დაუქნია თეიმურაზმა სანდროს. — კარგია, რომ არ ეგუები ზედმეტდველებს და კერპებს, მაგრამ იცოდე, ცოდვით დამძიმებული სული ვერ ეზიარება თავისუფლებას.

— გელანდებათ, ბატონო! — ადგილიდან წამოხტა ალისფერი ელემენტი. — ცოდვილებს რა უნდათ ჩვენს დაუგუფებათა სპექტრში?

— მთელი თქვენი შემადგენლობა კრიმინალურია, — ჩაილაპარაკა მსაჯმა, — მაგრამ ძალა თქვენს ხელშია და რას ვიზამთ?

— მოკლედ, ახალი მეთვალყურე გეჭირდება. უფრო დაზეგზილი, უფრო შემპარავი, უფრო გაქნილი, — თქვა თეიმურაზმა.

ასე გაჩნდა კუკური ავტორბოლის ბილეკებზე. სანდრომ მაშინვე იგრძნო, ამ ახალ როლსაც ძველი მსახიობი, თამაშობდა, თუმცა გრიმი და მოხატულობა ამჯერადაც სრულიად განსხვავებულ პერსონაჟს ქმნიდა.

დაწინაურებულ პარტიათა მოდელები უკვე მაღალმიაინ გზებზე ებრძოდნენ ერთმანეთს. ეს თავაორიანი ტრასა ქალაქიდან შორს მდებარეობდა, მაგრამ ოდესღაც ვიღაც რეგვენს გაეფორმებინა როგორც სტადიონის შუაგულში გაძავალი გზა; ამიტომაც რბოლა ერთი მხრივ ალაურ საძოვართა ფონზე იყო გამართული, მეორე მხრივ კი გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ ხდებოდა. მეორე რეგვენმა იცოდა, რომ ტრასა სოფ. ჯუთაზე გადიოდა და წინამდებარე აღწერილობის საფუძველზე გამოეტანა ფრიად საინტერესო დასკვნა, რომ ხსენებული სოფელი სტადიონის ცენტრში მდებარეობდა. ასე რომ იმ სოფლის მაცხოვრებლებს დედა-ბუნების ჩვეულ ხმებს შორის სტადიონის სტვენა-ღრიალიც ჩაესმოდათ, რამდენიმე მათგანი კი მართლაც წაადგა ულრან ტყეში ხალხით სავსე ტრიბუნებს. ბგერა-ვიზუალურ ელემენტთა ასეთი აღრევის გამო სოფლის უზუცესებმა პროტესტიც კი განუცხადეს სტადიონის კანცელარიას, მაგრამ ვინაიდან უკვე გაფორმებულისა და დანმარილის გაუქმება და გადაფორმება წარმოუდგენელ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და, რაც მთავარია, ეჭვის ქვეშ აყენებდა დღიის ადმინისტრაციის ქმედებას, პროტესტი უარყოფილ იქნა. ასე რომ ეს შეუსაბამობა მალე ნორმად იქცა და შემდგომმა თაობებმაც ირწმუნეს, რომ გარკვეული ძალისხმევის შედეგად მართლაც შეიძლებოდა სტადიონის შუაგულიდან მაღალმთიანი სოფლის გზაზე გასვლა.

— აღწერილობის თანახმად, — მიუბრუნდა კუკური შინდისფერთა მანქანის მგზავრებს — ეს მწვანე ველი სიხმარია. სინამდვილეში თქვენ დგახართ მთაზე, უფსკრულის პირას. ერთი არასწორი მოძრაობა, საჭის გაქცევა და სული არ დაგყვეპათ მიწამდე. ამ მოჩვენებით სიმწვანეში უნდა მოძებნოთ ხიდი ყოფნასა და არყოფნას შორის, უფსკრული გადალახოთ და მიაღწიოთ ნამდვილ გზას, აქვე რომ გადის, ყურისძირში, და ამავე დროს აქედან შორს მდებარეობს, სადღაც, ჩვენი ცაფირუზხმელეთზურმუხტოვანი ქვეყნის კიდეზე.

— ფიქრი ნუ გაქვს, სამშობლოს არ შევარცხვენთ! — დასჭექა ტარიელმა. სანდრო საჭეს მიუჯდა.

— მარცხნივ დაიჭირე, თუ მოცურდი, არ დაამუხრუჭო, პირიქით, გაზი მიეცი! — დაუყვირა კუკურიმ.

მანქანა ძმიმედ დაიძრა. ბორბლებქვეშ ჯერჯერობით იგრძნობოდა მწვანე გრუნტი, მაგრამ გაჩნდა შიში, რომ სადღაც, რწმენის ამ ფუნდამენტზე, ღალატი იყო მოსალოდნელი.

— როგორ ფიქრობ, — მიუბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელი სანდროს, — განწირულები ვარო?

— მე არაფერს ვფიქრობ, — უპასუხა სანდრომ. — ფიქრი მაჩერებს, ფიქრი მბოჭავს, ფიქრი მღუპავს. რაც მოსახდენია, მოხდება. ჩემი არჩევანი მხოლოდ ამაშია, თუ როგორ შეხვდები მოსახდენს — ღირსეულად თუ შიშით. თუმცა არც ამას აქვს აზრი!

სანდრომ სიჩქარეს უმატა. უეცრად იგრძნო, ამაოდ ატრიალებდა საჭეს, მისგან დამოუკიდებელი ძალა მიაფრენდა მანქანას, მიაფრენდა უვზო-უკელოდ, მწვანედ მობიბინე იდუმალების ჩუმ ბილიკებზე. თუმცა მთლიანად უცნო არ იყო ეს ძალა. იგი სულის სიღრმეში ისახებოდა, ჩნდებოდა თავისთავად და ჰგავდა მეწყერმორღეველ ნაღვარს, როცა ინგრევა ფიქრით ნაგები გზა და რაღაც შეუცნობელი, უსახელო გადმოხეთქავს არსთა წიაღიდან. ძირითადი თემა, რომელსაც ებღაუჭებოდა ამ ნაღვარში, იყო თვალისმომჭრელი, მზით სავსე ველი, მეხსიერებაში გამუდმებით მბრუნავი ბავშვობა, არც ერთი იყო ეს და არც მეორე და ორივე ერთად და კიდევ მრავალი სხვა, რომელსაც ვერ ანაწევრებდა ფიქრი, მხოლოდ ყელს მიბჯენილი ცრემლი იჭერდა ცოცხლად... და ველზე გასული ბიჭიც აღარ იკავებდა ცრემლს, საამთო მისტიროდა იმას, რაც იყო და აღარც იყო მის ირგვლივ და გრძნობდა, რომ ეს ცრემლი გადაარჩენდა მას კვდომისა და ქვაღეცვისაგან...

დაცემისაგან მძლავრად შეზანზარდა მანქანა, წამით ჩამობნელდა და ისევ განათდა გზა, საშინელი სისწრაფით რომ იკეცებოდა ბორბლებქვეშ...

— ფანტასტიურად მართავდი! — აღტაცებას ვერ მალავდა ტარიელი. — ხიდს ავცდით, მაგრამ როგორც კი მიწა გამოგვეცალა, ისეთი გზნებით მიაწექი, რომ უფსკრულს გადავახტი და აქეთ, ზედ გზაზე დაეფრინდით! ღმერთო! ასეთი არაფერი მინახავს!

მალე უკანასკნელი მოსახვევიც წელში გასწორდა და გზის ბოლოს სოფელი გამოჩნდა.

— ვიცოდი, რომ არ მიმტყუნებდით! — დროშა აუქნია კუკურამ. — უკვე დაეწეთ ლიდერთა გუნდს!

სოფლის კიდეზე, სასადილოსთან ს

აგორდ მასში სიძულვილი. მტერი აშკარად ჯობნიდა ძალითაც და სიმარჯვითაც, მაგრამ სანდრო უფრო ბოღმიანი იყო, მეტი გააფთრებით უტკივდა. ყოველი მხრიდან მუშტი ზვდებოდა და მაინც არ ეცემოდა, თვალდაბინდული, სახესისხლიანი მაინც წინ მიიწევდა, უკან დასახევი არც ჰქონდა, სიბრაზის ზვავმა ჩახერგა მზიური ველისკენ მიმავალი ხეობა, გადაასხვაფერა მისი სული.

— მიდი, მიდ! — მაყურებელი უკვე მას უჭერდა მხარს. კოსტას დაღრეჯილი სახე კი თანდათან კარგავდა სიმძაფრეს და გამომსახველობას. სანდრომ თავური დარტყმით შეუნგრია ცხვირპირი. წინააღმდეგობას აღარავინ უწევდა. კოსტა უკვე უაზროდ იქნევდა ხელფეხს, სანდრო კი ვეღარ ჩერდებოდა. მაგიდისქვეშ ჩავარდნილსაც მიწვდა. ურტყამდა და ურტყამდა, რადგან ამ გასაცოდავებულმა არხეგამ საკუთარი თავი დააკარგვინა, მოსწყვეტა და ააგორა მასში ისეთი ძალა, რომელმაც ჩახერგა მზიური ველისკენ მიმავალი გზა.

— მოაშორეთ, მოკლავს! — ყვიროდა თამადა და სანდროს რამდენიმე კაცი დაეკიდა მკლავებზე. როგორც იქნა, მოსწყვიტეს მისიკვდილებულ მტერს და მიათრიეს მაგიდასთან.

— ხედავთ, რა ბიჭი გავზარდე! — ჭიქა ასწია თეიმურაზმა. — თავიდან აქლემივით უშნო და მოუხეშავი გაზლდათ. დროშეჭშული ტრადიციებითა და მოვალეობებთ დატვირთული მოვიდა ჩვენს მოედანზე. მაგრამ დღეს, ძველ ფასეულობათა მსხვრევისა და გარდაქმნის ეპოქაში, მან მოიშორა ტრადიციათა საპალნე და ფერი იცვალა! აქლემი იქცა ლომად, რომელმაც ბრძოლისა და თავისუფლების სული უნდა დაამკვიდროს ჩვენს სამშობლოში! ლომს გაუმარჯოს!

— უფრო კატას მაგონებს ეგ თქვენი ლომი, თანაც გაქუცულს. — წამოდგა შავებში ჩაცმული კაცუნა, არყისგან შეწითლებული სახე რომ ჰქონდა.

— ხმა არ გასცე, — ჩასჩურჩულა სანდროს კუკურიმ. — ეგ კოსტას მწვრთნელია. ჩემპიონია ბოღმასა და დაუნდობლობაში. ჯერ არცერთი ბრძოლა არ წაუგია.

სანდრო ჩააცქერდა ქერათმიან კაცუნას. იმანაც იგრძნო მისი დაჟინებული მზერა, წამით ასწია სახე და შეათვალიერა. დამცინავი ღიმილი გაკრთა მის სახეზე, ნიღაბივით რომ გადაეფარა რაღაც უძრავ, გაქვავებულ, ავთსმაუწყებელ ფიქრს. კაცუნა ერთხანს იდგა, შემდეგ შეტრიალდა და უკანმოუხედავად სასადილოდან გავიდა.

— არ გაყვე, — ჩააფრინდა კუკური, მაგრამ სანდრომ ხელი აუკრა და დარბაზიდან გასულს მისდია.

ზედ ხრამის პირას აღმოჩნდა. მთავარემ სახეში შეანათა და მზესავით მოსჭრა თვალი. წინ კაცუნას ლანდი გამოიკვეთა, ხხივებმოელვარე ქარაფიდან რომ გადასცქერიოდა ბნელ შერეულ ქვეშეთს. სანდრო გაქანდა იმ ლანდისაკენ, კაცუნა ელვისებურად გაიზნიქა და საყრდენდაკარგული ბიჭი ხის მიწაგამოცლილ ფესვებს დაეკიდა. მოასწრო და ისევ კლდეზე აცოცდა. ახლა ისინი პირისპირ იდგნენ. სიბრაზის ტალღა კაცუნას თვალთა სიმშვიდეს შეემხვრა. რადაცთ, მასზე მეტი იყო ეს ავთსმაუწყებელი სიმშვიდე. ამ გაყინულმა თვალებმა აირეკლეს ცაზე ვერცხლისწყალივით დაღვრილი მთვარე. ახლა ისინი პირისპირ იდგნენ. დანის ერთი გაქნევა ჩააქრობდა კაცუნას შეფარულ ღიმილს, მაგრამ მის სიმშვიდეში ჩაქსოვილი ძალა უხილავ კედლად აღიმართა სანდროს წინ. პირველად იგრძნო, ამღვრეული სულის ეს ბრმა ქმედებაც თამაში იყო. თამაში სჭვალავდა როგორც მის არსებას, ასევე ამ არსებიდან გადმომსკდარ ქვეყანას და სიფერულიც და სიძულვილიც ემორჩილებოდა თამაშის გარკვეულ წესს და ქრებოდა იმ ძალის წინაშე, რომელიც მასზე უკეთესად მისდევდა ამ წესსაც და თამაშსაც...

სიბრაზე ახლა უძლურებაში გადაიზარდა. უღონოდ, მოწყვეტით ჩამოუვარდა ხელი, თითები გაიშალნენ და დანა წკრიალით ქვებზე დაეცა. კუნთიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შერხეული კაცუნას სახეზე. ისევ ის ავი ღიმილი და უმეტყველო მზერა, რომელიც ოხვინთ ტერფამდე სჭვალავდა მას, რენტგენის სხივივით გადა-გამოდიოდა მის ხორცსა და ძვლებში, რომ ხელშესახებისა და ხილულის მიღმა ჩაწვდნოდა რაღაც უხილავს და შეუცნობელს, რომელსაც ერქვა სული, ამოეტრიალებინა ის, ხელისგულზე დაედო და ამოეცნო საიდუმლო მისი მთლიანობისა. და რაწამს იგრძნო, თუ როგორ ვახცდა კაცუნას მზერა ხორციელ საზღვრებს, როგორ ჩაწვდა მასში რაღაც საკრალურსა და უხორცოს, ძალა მოიკრიბა და მოახერხა შემობრუნება, მოახერხა მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ რბილი, ხავერდოვანი სინათლით იფეთქა მასში მზით სავსე ველმა და ამ ხილვამ უკან ჩაიირია, გარდასულ დროთა ტალღებში.

—ამჯერად გადამარჩი! — ეშვები შეანათა კაცუნამ, — მაგრამ ზედმეტად ამაყი ხარ, პირველ კაცობას ეძებ და ისევ ჩამიკარდები ხელში.

— მაგასაც ვნახავთ! — თქვა სანდრომ. — შენც პატივმოყვარეობა გკლავს. ვერაფრით ეგუები, რომ ეს ქვეყანა ჩემია და ჩემი ძალისხმევის შედეგად არსებობს.

— ეჰ, ლომო! — თავი გააქნია კაცუნამ. — თამაშია ეს ქვეყანა. თამაშია იქაც, სადაც მივდივარო, ამ ქვეყნისა და წუთიერების გაელით. ვერც შენ, ვერც მე ვერ ვიტყვით, ვინ გვითამაშებს, რადგან ერთმანეთს წაფენილ ნიღბებს ბოლო არ უჩანს...

ამ სიტყვებით კაცუნა შეტრიალდა და თავისი მანქანის საჭეს მიუჯდა.

— თენდება, ბიჭებო! — გამოხტა სასადილოდან კუკური. — მანქანებში! ამ სოფლიდან პირდაპირ სტადიონზე შეიძლება ჩასვლა!

ოთხი მანქანა ერთდროულად აღმუვლდა. სანდრომ ჩაფხუტი ჩამოიფარა სახეზე. სათვალის შუშაში დაიბრიცა გზა. გაისმა სროლის ხმა, ბორბლებმა ქვები გამოაფრქვიეს, მანქანები ყალყზე შედგნენ და გავარდნენ.

თავიდან ლურჯები დაწინაურდნენ. გემოზე ნაცემი, თვალებშეშუპებული კოსტა ბრმად მიიკვლევდა გზას. მას შინდისფერი მანქანა სდევდა, მერე მწვანეები მოდიოდნენ, სულ ბოლოს კი, შავებად მოელვარე ერთადგილიანში კაცუნა იჯდა.

გზამ გაივაკა, შემდეგ ნელ-ნელა დაშვება დაიწყო. სანდრომ მკვეთრად შემოატრიალა საჭე და მანქანა პირდაპირ ხრამზე მიუშვა. მანქანა გადაახტა გზის კიდეს, ნაშალზე ჩაგორდა, ჩაცურდა, ორ ბორბალზე შედგა, ახე გასრიალდა და ლამის მუცლით დაახტა ქვედა გზას.

ლურჯებმა მხოლოდ ახლა შემოუხვიეს, სტადიონზე გადმოსული ბრბო გაფანტეს და სარეზერვო ძრავი ჩართეს, მაგრამ შინდისფერ ავტომობილს უკვე ველარავინ მიეწვიოდა. სანდრო დანახვას ძლივს ასწრებდა, ისე სწრაფად იკვეთებოდა და უხვევდა გზა. გვერდზე ბუნდოვნად მონიშნული, ერთმანეთს შერწყმული სახეთა კედელი მიყვებოდა, შემდეგ მოედანი გაქრა და გზა ტყეში შეიჭრა. ახლა ხეები სდევდნენ, შემდეგ კი უეცრად ბუჩქებიდან შავი მანქანა გადმოხტა, ველრდიდან შეეჯახა მას და გაკვეთა მისი კარი.

გონს რომ მოვდა, ტყის პირას ეგდო. შორს, ტრიბუნებზე ჩამწკრივებული ხალხი გარკვეული განწყობილებით და აზრით ავსებდა ბრძოლის ველს. მაყურებელთა სტრიქონები მართალია ვერ წვდებოდნენ სიტყვას, რომელსაც ის თავის თავში ატარებდა, მაგრამ ქმნიდნენ მოლოდინს ამ სიტყვის ირგვლივ. სანდრო ვერ არჩევდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ათასი თვალი მას მისჩერებოდა, რადგან ეს ყველაფერი მისგან იღებდა სათავეს და სათავის მოშლა ამ ჭყეტელა მდინარესაც მოუღებდა ბოლოს. სანდროს უნდა ებრძოლა არა საკუთარი თავის, არამედ მთელი ქვეყნის გადასარჩენად, ამიტომ ძალა მოიკრიბა, გზამდე მიხოხდა და მინდორზე გადმო-

კიდებულ ხეს შეაცოცდა. სამი მანქანა გრიგალივით ტრიალებდა მოედნის გარშემო. ამ ქარში მხოლოდ კაცუნას სახე იყო გაცხადებული. დანარჩენ სახეებს ვერ არჩევდა თვალი, არც იყვნენ ისინი გამორჩეულად არსებობის ღირსნი, რადგან ხალხის მსგავსად ქმნიდნენ მხოლოდ ბუნდოვან ფონს, რომელზედაც თამაშობდა სიტყვა, სიტყვა, რომელიც ხორცს ასხამდა მისალოდნელსა და გარდასულს.

ერთ, სახედ, უფრო კი ერთ გაქვავებულ მზერად ქცეული ქარი სამხრეთ ტრიბუნიდან ამოვარდა და აქეთ წამოვიდა. ბიჭი გაწვა ტოტზე, მოემზადა ნახტომისათვის. ვიდრე გაუსწორდებოდნენ, მანამდე ჩახტა და ზუსტად პირველ, შავ მანქანას დაეფრინდა. კაცუნას უცებ გაექცა საჭე, მანქანა ჯებირს შეეჯახა, უკან გადმოვორდა და გზიდან მინდორში გაიტყორცნა. ისინი ახლა მანქანაში ებრძოდნენ ერთმანეთს. სანდროს მუშტი ამ შემპარავ დიმილს დაეძებდა, საიდუმლოს რომ ფარავდა თავის თავში. კაცუნა ვერცხლისწყალივით მოუხელთებელი აღმოჩნდა. თითქოს წვდა კიდევაც ხელით, მაგრამ ხელმა ხმეულში, როგორც სიცარიელეში, ისე გაატანა. ნუთუ ხორციელი უხორცოს ებრძოდა? კაცუნა ისე სწრაფად იცვლიდა ფერსა და ადგილს, რომ სანდროს გარშემო თითქმის ერთდროულად მისი რამდენიმე სახე ეკიდა. ერთი ისევ ულიმოდა, მეორე გაავებული შესცქეროდა, მესამეს გაქვავებული მზერა ჰქონდა. მტრის მარაოსავით გაშლილი სახე გარს შემოერტყა მას... სანდროს თავბრუ დაეხვა, აუჭრელდა თვალი და სწორედ ამ დროს რამდენიმე მუშტი გამოფრინდა მისკენ, ყოველი მხრიდან თითქმის ერთდროულად დარტყმამ ფარდა ჩამოაფარა გონებას...

ფარდა რომ გაიხსნა, მინდორში იწვა. თავს ორი კაცი ადგა. ორივე კუკური იყო.

— მაინც და მაინც პირველი გინდა ᲮᲐᲠ? — გაუღიმა ახლოს მდგომმა კუკურიმ.

— ბუნებრივი სურვილია, — თქვა მეორემ, უფრო შორს მყოფმა. — ამ ქვეყანას ძალაუფლების ნება წარმართავს.

— ძალა სადღა აქვს ამ უბედურს? უფლებას კი ძალის გარეშე ვინ მიაშვებს?

— მოგვყიდოს თავისი სული და პირველი გახდება. — ამ სიტყვებით მეორე კუკური წინ წამოვიდა და უფრო გაცხადდა.

სანდრო რის გაჭირვებით წამოდგა. მძლავრად დაბერტყა თავი, თითქოს წუთიერი სიზმარი ჩამოიფერთხა სახიდან. ორი კუკური ერთმანეთს შეერწყა.

— მოიცა, სად მიდიხარ! — ზზა გადაულობა კუკურიმ. — არ გვიჯერებს, ბატონო თეიმურაზ!

— უნდა დაგვიჯეროს! — გადმოხტა ტრიბუნებიდან თეიმურაზი. — უნდა დაგვიჯეროს!

— თავს არ დამანებებთ? — დაიღრიალა სანდრომ და უეცრად ყრონტში ჩაავლო ხელი კუკურს, ააყლიჯა ცხვირპირზე შემოტკეცილი ნიღაბი... უკან დაიხია. მის წინ ახლა სრულიად უცნობი მსახიობი იდგა.

— რას მერჩი! — დაიღრიჯა მსახიობი. — მე პატარა კაცი ვარ. რასაც მავალებენ, იმას ვაკეთებ. აი ვინაა, თავის ჭკუაზე რომ გვთამაშებს! — აქ მან თეიმურაზს გადახედა, შემდეგ ისევ სანდროს მიუბრუნდა: — წადი, გაასწარი აქედან, ვიდრე...

თეიმურაზმა სიტყვის დამთავრება აღარ აცალა, უბიდან რვეული ამოიღო და ფურცელი ამოდღლიზა. მსახიობი გაქრა.

— ვერსადაც ვერ წახვალ, — უთხრა სანდროს. — აქ ყველაფერი მიწერია: როგორ მოხვედი, როგორ იმსხვერპლა შენი ოცნება პირველობის ენიმა, როგორ იქეცი ლომად, როგორ შეახკდი იმ შავ, გაქვავებულ სახეს, როგორ გახვედი ხეზე, როგორ დაახტი მანქანას, როგორ დგახარ აქ და გამოსავალს ეძებ... ეს ყველაფერი დაწერილია, მაგრამ დაწერილია ᲯᲘᲠᲯᲘᲠᲝᲑᲘᲗ ფანქრით, რომელსაც ბოლოში საშლელი აქვს დატანებული. გესმის, საშლელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომყიდე შენი სული, შემომიერთდი და გადაიწერება ეს ისტორია, გადაიწერება ისე, როგორც ჩვენ გვაწყობს!

— იქნებ არა ხარ ის, ვინც გგონია შენი თავი? — ჰკითხა სანდრომ.

— ახლა არ გაჩვენე, რომ ისა ვარ? თუ გინდა, კიდევ გაჩვენებ. უკან დავაბრუნებ დროს. შენ ოღონდ ერთგულება შემომფიცე. ოქმა თუ გეზარება, უბრალოდ თავი დაუქნიე, თუმცა თავის დაქნევაც არ გინდა, შენ ხომ ისედაც ჩვენთანა ხარ, ჩვენთანა ხარ მას მერე, რაც ხანჯალი აიღე ხელში და ასო-ასო აკუწე შენი ადმზრდელი.

— მაშ ასე... — თეიმურაზმა ფანქარი ამოიღო და რვეული გადაშალა. — შევცვალოთ აქცენტები, გადავთამაშოთ სიტყვები....

●

სანდრომ ხმის ამოღება ვეღარ მოასწრო. საშინელმა ძალამ ციბრუტივით დააბრიალა, უკან გასტყორცნა და ისევ ზეზე შეაგდო. უკან-უკან წავიდნენ წინ გავარდნილი მანქანები, სამხრეთ ტრიბუნასთან შეჩერდნენ და ხელახლა წამოვიდნენ. ბიჭი გაწვა ტოტზე, მოეშვა და ნახტომისათვის, ვიდრე გაუსწორდებოდნენ, მანამდე ჩახტა და ზუსტად პირველ, შავ მანქანას დაეფრინდა. კაცუნას უცებ გაექცა საჭე, მანქანა ჯუბარს შეეჯახა, უკან გადმოვორდა და გზიდან მინდორში გაიტყორცნა. ისინი ახლა მანქანაში ებრძოდნენ ერთმანეთს. სანდროს მუშტი, როგორც იქნა, მიწვდა მიზანს. კაცუნას სახე კი არ დაიერიხა, გაიბზარა და დასკდა დარტყმისაგან. შიშმა ჩამოურეცხა შემპარავი ღიმილი. რაღაცა ძალამ შებოჭა და გააქცევა მისი სხეული. სანდრომ ერთი დარტყმით გადმოაგდო სავარძლიდან, მანქანა შემოაბრუნა და ფინიშისკენ გააქანა. „კიდევ შევხვდებით!“ — მუშტი მოუღერა კაცუნამ, მაგრამ ბიჭს აღარ ესმოდა არაფერი. კი არ მიქროდა, მიფრინავდა დასასრულისკენ. ლურჯი მანქანა მაშინვე ჩამოიტოვა, მწვანეებმა სცადეს გაბრძოლება, მაგრამ შავი მაჩქანა ისე გაუბახუნა მათ, მართვა დაკარგეს და პირდაპირ მაყურებელთა სტრიქონებში შეიჭრნენ!

როგორც იქნა, მიაღწია ფინიშს! ნათესავები მოედანზე გადმოცვივდნენ. თინა დედა ფეხებს უკოცნდა, მამა კვარცხლბეკზე ამოსვლას ლამობდა. მხოლოდ დედა იდგა შორს, ეულად. გამარჯვებული ვერ არჩევდა მას, მაგრამ გრძნობდა, რომ ის შორეული ლანდი დედა იყო, თუმცა ანგარიშს აღარ უწევდა ამ გრძნობას. მის ირგვლივ იმდენი რამ ხდებოდა, იმდენი ვინმე ულოცავდა! მთელი ქვეყანა მისი იყო, ყოველივე ხილული, ხელშესახები, გარეგანი მას სცემდა თაყვანს. მისი სახე აღბეჭდა გაზეთებში, შეიქმნა მის მიმდევართა საზოგადოება და აი, უაზრო, იმედგაწყვეტილ ქვეყანას ისევ მიეცა აზრი, ისევ შეემატა ხალისი, მაგრამ რაღაც მომნუსხავი იყო ეს აზრი, უზომოდ მოჭარბებული იყო ხალისი; აღგზნებული ბრბო დენთივით ფეთქდებოდა მის დანახვაზე. სანდრო საყვარულს ეძახდა ამას, მაგრამ საშინლად დამანგრეველი და გამომფიტავი იყო ეს საყვარული! ზოგჯერ ვეღარ უძლებდა მას და გარბოდა, თუმცა გასაქცევი არც ჰქონდა. ხერხაღებით მოქსოვილი ველი აღარ ეძლეოდა მის გრძნობა-გონებას. თაყვანისმცემელთა ტალღა კი აზანზარებდა მის სახლს. ცვიოდა ბაიჭაში, ირღვეოდა კედელი. სანდრო იმალებდა საწერი მაგიდის ქვეშ, მაგრამ იქაც პოულობდნენ. მაშინ კარადაში ძვრებოდა, შიგნიდან რომ ჩაკეტილიყო, იქაც უკვე ვიღაცა იყდა და მის პერანგებს კოცნიდა... და სანდრომაც თანდათან ირწმუნა, რომ არ არსებობდა ამ ხალხის გარეშე, განუყოფელი იყო მათგან, ვინც მას აღმერთებდა.

ძვირად დაუჯდა ქვეყანას ეს თაყვანერება. ჯერ იყო და შინდისფერთა პარტიამ საპორტესტო აქციები წამოიწყო, რადგან გამარჯვებული, მათი წევრი, შავი მანქანით ავიდა დიდების მწვერვალზე. ფერთა ასეთი აღრევა შაევბის ორდენსაც ანაჭებდა გარკვეულ უფლებებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შინდისფერთა საბჭოს უსამართლობად მიაჩნდა. გაიმარჯვა კაცმა და არა მანქანამ და, მაშასადამე, ამ კაცის ელფერთა სპექტრს გადამწყვეტი უპირატესობა ენიჭებოდა სხვა ფერთა და ტონალობათა მიმართ. შავები, რაღა თქმა უნდა, არ ეთანხმებოდნენ ფერთა ასეთ იერარქიას. მათი არგუმენტების ძირითადი აზრი ის იყო, რომ დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური აღმავლობის ეპოქაში, ადამიანი და მანქანა ერთ განუყოფელ მთლიანობას შეადგენდა და საზღვარი მათ შორის ფრიად პირობითი რამ გახლდათ. უფრო მეტიც: ამ ერთიანობაში მანქანას ეძლეოდა უპირატესობა, რადგან ადამიანის განზრახვებსა და მიზნებს სწორედ მანქანა ასახამდა ხორცს, მანქანა აძლევდა შეუხერებელი, რიტმული დაუფლების ძალასა და სიმძლავრეს. ამიტომ, ამ უპირატესობის აღსანიშნავად, ქვეყნის შინდისფერ დროშას შავი ზოლიც უნდა ჰქონოდა გადაკრული.

სანდრო, ამჟამად უკვე ბატონი ალექსანდრე, მონაწილეობას არ ღებულობდა ამ დებატებში. ცდილობდა ობიექტური და მიუკერძოებული ყოფილიყო მოწინააღმდეგე პარტიათა მიმართ, მაგრამ ჭეშმარიტების ძიება კი არ იყო ამ ობიექტურობის საფუძველი, არამედ, ის, რომ გულის სიღრმეში ფეხებზე ეკიდა, თუ რომელი პარტია მოიყრიდა თავს მისი კვარცხლბეკის ირგვლივ. პარტიათა მრავალფეროვანი პროგრამები მხოლოდ იმდენად იპყრობდნენ მის ყურადღებას, რამდენადაც ისინი მისი ძალაუფლების წისქვილზე ასხამდნენ წყალს. სხვა აზრი მათ არც ჰქონდათ, რადგან ერთმანეთის ჯიბრზე არსებულ ქვეყანას თავს აღარ ადგა ჭეშმარიტების ნათელი. საბოლოო ჯამში მასთან ახლო მყოფი ფერებიც ერთმმართველობის სიკაშკაშეში დაკარგავდნენ მხურვალებას და სიმკვეთრეს და მათი მოციქულნიც ჩაინთქმებოდნენ დავიწყების ბურუსში. ისტორიას შერჩებოდა მხოლოდ ერთი სახელი, სახელი ალექსანდრე, რომელსაც ჟამთა სიშორე ჩამოაცლიდა ყოველივე ბნელსა და გაურკვეველს და შთამომავალთა წარმოსახვა მიაწერდა ყოველივე ნათელსა და მკვეთრს. ამიტომ სანდროსთვის უკვე აღარ არსებობდა არავითარი საზღვარი. მხოლოდ დალი იდგა ძალაუფლების უკიდეგანო სამყაროს მიღმა, როგორც სულ სხვა სიცოცხლისკენ გაჭრილი კარი...

პირველ რიგში თავისი ყურმოჭრილი თანამებრძოლი უნდა მოეშორებინა თავიდან. ტარიელი, მისი თავგადასავლის მოწმე, სხვებზე მძაფრად ხედავდა და განიცდიდა მეგობრის გაუცხოებას. მართალია არ ებრძოდა, მაგრამ თვით მისი არსებობა უკვე სინდისის ქენჯნა იყო მისთვის. ვიდრე ტარიელი არსებობდა, ალექსანდრე ხაზს ვერ გადაუსვამდა თავის წარსულს, ვერ წაშლიდა იმას, რაც ახლა უკან აბრუნებდა და საკუთარ სულში ახედებდა.

— ხელს მიშლის ტარიელი, — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ. — ხმას არ იღებს, მაგრამ თვალებში შური აქვს ჩაღვრილი ჩემი განდიდების გამო.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — თავი დაუქნია თეიმურაზმა. — ყოველივე, რაც ხელს გვიშლის, აღკვეთილ იქნება.

●

ასე დაიწყო დღის ისტორიის უკვე მესამე გადაფორმება, საიდანაც პირწმინდად იქნა ამოგდებული ტარიელის სახელი. მესამედ გადაწერილი ისტორია ცარცის ქაღალდზე იქნა გამოცემული, ხავერდის ყდაში ჩასმული და მრავალათასიანი ტირაჟით გავრცელებული. და რადგანაც ამ ქვეყნად ქაღალდზე დაწერილს მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ნამდვილად მომხდარს, ტარიელს საერთოდ წაერთვა არსებობის უფლება. სტადიონის გამგეობის დადგენილებით ის, ვით არარსებული, კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. ტარიელი, მართალია უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ შეეძლო მოქმედება და, აქედან გამომდინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე, ზიანის მოტანა. მოედნის გარეთ ტყეს შეფარებული, დღე და ღამე ფიქრობდა, როგორ დაბრუნებოდა ამ ქვეყანას, თუნდაც იმისთვის რომ შური ეძია. მას ისეთი რამ უნდა ჩაედინა, რაც შეცვლდა არსებულ საგანთა კომპოზიციას და წესრიგს, რასაც დაემხნეოდა მისი, როგორც არსებულის კვალი. და აი, შურისძიების და კვალის დატოვების მოტივები ერთ თემაში შეიერწყა! ერთ მშვენიერ დღეს ტარიელი გამოვიდა ტყიდან, შეუმჩნეველად მივიდა სასახლემდე, შეუმჩნეველად გაძვრა მცველთა შუა და ჩრდილოეთი შემოსრიალდა მთავარმართებლის ოთახში.

ორივე ხელით იარაღს ჩაფრენილი, ერთ ხანს გაუნძრეველად იდგა, სიბნელეს აჩვევდა თვალს, შემდეგ უეცრად იფეთქა სამაგიდო შუქმა და შურისმაძიებლის წინ სავარძელში მჯდომი ალექსანდრე გამოიკვეთა.

— გელოდებოდი, ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. იმასაც ვხედავ, თუ რას მიპირებ, — ალექსანდრეს მზერა იარაღზე შეერდა — მაგრამ ჩემი აღსასრული შენც მოგიღებს ბოლოს.

— მირჩევნია მოვკვდე, ოღონდ ქვეყანას მოვაშორო შენისთანა ურჩხული! — დაიყვირა ტარიელმა.

— ჩემი წასვლა ქვეყანას ვერ იხსნის. ის ისეა მოწყობილი, რომ ახალ ურჩხულს წარმოშობს თავის თავში. რაღა სხვა იყოს, ბარემ მე ვიქნები!

— იქნები კი შენ? განა რამე საერთო გაქვს იმ ბიჭთან, რომელსაც მზის აბლაბუდეში გახვეული ველისკენ მიუწევდა მზერა?

— რა აბლაბუდები, რისი ველი, — მხრები აიჩეჩა ალექსანდრემ. — ეს ყველაფერი ლირიკაა, საქმე კი გვერდზე გვრჩება. სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ძველი სახით ვეღარ ვიარსებებთ. დღეს სულ სხვა თამაშია საჭირო.

ამ სიტყვებით ალექსანდრემ კარადა გამოაღო და ტარიელს შავი ცილინდრი და შინდისფერი მანტია გადაუგდო.

— დღეიდან ჩემი ფინანსთა მინისტრი იქნები. ოღონდ უნდა დაიბეწყო, ვინ იყავი აქამდე და რა გამოძრავებდა. შენი სახელი ამოშლილია ისტორიიდან, ისტორიას კი, მოგეხსენება, ვერ შეცვლი.

ასე იქცა ტარიელი ბატონ სიკოდ. მართალია, ეს ფერიცვალება უმტკივნეულოდ არ მომხდარა; ტარიელმა, როგორც ქვეყნისთვის თავდადებულმა გმირმა თავიდან გაბრძოლებაც კი სცადა; საკუთარი თავის დაკარგვას, ურჩხულთან ერთად დაღუპვაც კი ამჯობინა, მაგრამ ფარდებიდან გამოვარდნილმა მცველებმა უცებ წაართვეს იარაღი, შემოაგლოჯეს ძველი სამოსი და თანამდებობის პირის მოწიფალო მანტიაში გაახვიეს. ფერშეცვლილი ვმირი ერთხანს საკუთარ გარეგნობასაც ებრძოდა, მაგრამ გამოაგდეს თუ არა მთავარმართებლის ოთახიდან, სასახლეშ და შემდეგ მთელმა ქვეყანამ ის სწორედ ამ გარე სამოსელის მიხედვით აღიარა და სცნო. საკუთარიელი ისე უცებ შეიყვანეს ახალ როლში, იმდენი გადაუდებელი საქმე დაატეხეს თავს, რომ დღის ბოლოს მას მართლაც აღარ ახსოვდა არაფერი — ვინ იყო და საიდან გაჩნდა ამ მოფუსფუსე საქმესნებს შორის.

რაც შეეხება სხვა პერსონაჟებს, მათ მიმართ ასეთი მკაცრი ზომების გატარება არ აღმოჩნდა საჭირო. თეიმურაზი ისევ მწერლისა თუ გადამწერლის მაგიდას მიუჯდა, თინა დეიდამ და ნათესავებმა საკვანძო ადგილები დაიკავეს მუქ-წითელ ფრაქციათა სპექტრში. მხოლოდ ქალაქის მერს დასჭირდა პლასტიკური ოპერაცია. მისი ძალიან ეროვნული სახე უკვე აღარ შეეფერებოდა თანამედროვეობას, ამიტომ ქირურგმა რამდენიმე კოსმოპოლიტური შტრიხი შეიტანა მის გარეგნობაში: ღაბაბი ჩამოსწია, კეხი ოდნავ გაქლიბა, ყბებზე შემოტკეცილ ლოყებს კი მეტი ლიბერალური სიხალვათე მისცა.

მოკლედ, მასალა ჯერჯერობით ექვემდებარებოდა მთავარმართებლის ხელს. მართალია შავები განზე იდგნენ, ლამაზ ფერებში არ აღიქვამდნენ ახალ რეფორ-

მებს, მაგრამ შავებზე უფრო ბნელი და ბრძა ძალა ალექსანდრეს სცემდა თავ-ვანს. ეს ძალა შეადგენდა დენთივით ფეთქებად მასას, რომელიც ტრიბუნებიდან გადმომსკდარი, ჯერჯერობით მის ხელი იყო, მაგრამ რაც უფრო ბრძა და ფანატიკური იყო ეს ერთგულება, მით უფრო მოუხელთებელი და უმართავი ხდებოდა იგი და წარღვნით ემუქრებოდა არაფუ ქვეყანას, ამ ქვეყნის წარმომშობ გრძნობა-გონებასაც.

ამიტომ ალექსანდრემ უმკაცრესი ფარგლები დუსახა ხალხის გრძნობათა ყოველგვარ გამოვლინებას. ამ მიზნით მან შექმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ფერთა თავისუფალ მოძრაობას, გარე სამყაროს უკეე დამდგარ და სრულიად გარკვეულ ფორმებთან აკავშრებდა. ფაქტიურად ეს ნიშნავდა წმინდა ფერწერიდან რეალისტურ მანერაზე გადასვლას, როცა სულის მოძრაობას უერთდებოდა, უფრო კი ეტმასნებოდა რაღაც უცხო, სხეულებრივი რამ. ფაქტიურად ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ფერთა სიუხვით განთქმული ქვეყანა დაკარგავდა საღებავთა სისავსეს და თავისი შავთეთრი ჩინჩხის გრაფიკით შეიძენდა ციხის ბნელ, სულისშემხუთავ კონტურებს. ასეთ ქვეყანაში მომწყვდეული სული ვეღარ შეინარჩუნებდა სიმსუბუქეს და იქცეოდა მძიმე, დამორგუნველ გრძნობებად. ასეთი მძიმე და დამანგრეველი იყო ის, რასაც ხალხის სიყვარული ერქვა ხელისუფლების მიმართ და საბოლოო ჯამში ფერთა და საგანთა ვერანაირი კოორდინაცია ვერ შეაჩერებდა მას. ამიტომ ქვეყანაც ვეღარ ეტეოდა დასახულ საზღვრებში. რაც უფრო უჭერდა მართვის სადავეებს ხელს, მით მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა ალექსანდრე. განსაკუთრებით შავები ბობოქრობდნენ. ბნელ კოლორიტს ქმნიდნენ სასახლის გარშემო. მათი ლიდერი, კაცუნა თვლიდა, რომ ალექსანდრეს სული მას ეკუთვნოდა, რადგან ამ სულის საფასურად მოიპოვა მან თავისი ტახტი. ალექსანდრე კი არ სცნობდა მათ უფლებებს. მან მკვეთრად შეამცირა შავ საღებაკთა ოდენობა სხვა ფერთა და ტონალობათა შორის. ამ შემცირების გამო შავი ფრაქცია უკეე ვეღარ ქმნიდა დამოუკიდებელ ფორმებსა და დაჯგუფებებს. ისინი მონაწილეობდნენ მხოლოდ ჩრდილთა მიმოქცევებში და ოდნავ თუ ამუქებდნენ ლანდებს. მაგრამ მათი მოუსვენრობა მაინც არ ცხრებოდა. სადღაც მაინც შეძლეს ძალთა კონცენტრაცია და ქალაქის ერთ-ერთი უბანი წყვდიადმა მოიცვა. ალექსანდრემ ნათესავებს შორის მობილიზაცია გამოაცხადა და თინა დეიდას თავკაცობით საგანგებო რაზმი ჩამოაყალიბა. კბილებამდე შეიარაღებულმა ნათესავებმა „ვაშას“ ძახილით იმავე დღეს ჩაურეს სასახლეს და გეზი ქალაქის ჩაბნელებული უბნისაკენ აიღეს. გზადაგზა მათ რამდენიმეჯერ მოუწოთ ჩრდილებთან შეტაკება. ბნელი ქუჩები ლანდებს აფრქვევდნენ და სიმკვეთრეს უკარგავდნენ სასახლიდან წამოსულ ტალღას. თუმცა ეს ნამდვილი ბრძოლის მხოლოდ უვერტიურა იყო. შეტაკება შუქისა და სიბნელის საზღვარზე იყო მოსალოდნელი.

ნათესავებმა დღის ბოლოს მიაღწიეს ამ საზღვარს. თინა შავების კოშკთან შეჩერდა. დანარჩენებიც ირგვლივ განლაგდნენ. კიდევ უფრო ჩამუქდა, მოღუშა ცა.

— წესით, უთენია უნდა შევუტაოთ, — თქვა თინამ, — მაგრამ იქნებ მანამდე გვეცადა ბედი? მით უმეტეს, არ გვეღოდებიან. რას წარმოიდგენს კაცუნა, რომ სრულ სიბნელეში გავბედავთ ბრძოლას?

კოშკში იმ დამეს თავდასხმას მართლაც არავინ ელოდა. იცლებოდა სასმისები, ფეთქავდა მუსიკა, ცეკვისაგან ზანზარებდა კოშკი... ვიღაცა ჩამობანცალდა ქვემოთ, ხეს მიეყუდა ჭიქით ხელში. მთვარემ ვერცხლი გადაფინა სახეზე. თინამ უმალ შეიცნო ბატონი თეიმურაზი, ალექსანდრეს „ერთგული“ მრჩეველი. თეიმურაზმაც დაინახა ქალი, შიშით შეჰყვირა და სიბნელეში დაყვინთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესავები უკვე შევარდნენ კოშკში. მაგიდა ცერად ჭრიდა დარბაზს. იქით, ნიკარანავით ჩაზეული დინამიკთან ლანდები როკავდნენ. თინამ ავტომატი შემართა და ტყვიების ჯერი დაახალა მოცეკვავეებს. ამავე დროს მისმა რაზმელებმა გარედან ფანჯრები ჩალეწეს და მოქეიფეებს ცეცხლი გაუხსნეს. თამადას ხელში შეაცივდა ტუჩმიდებული ყანწი. გადარჩენილებმა მაგიდა გადაყირავეს და დარბაზის კუთხე გადაკეტეს. თინა ახლა იქით მიიწევდა. ბნელში განსხეულებულნს, არ ეკარებოდა ტყვია. მაგიდას გადაახტა და შავ საღებავთა მორევში ჩაეშვა. კოშკში ახლა მისი რაზმელები ტრიალებდნენ. ტყვიების ცეცხლი ანათებდა წყვდიადს. მტერი გარბოდა. კარი გადაკეტილი იყო და ფანჯრებიდან მიძერებოდნენ, ზედ ჩასაფრებულებზე გადაღიდნენ.

ამბის წამღებიც კი არ გადარჩენილა. გვამებით გადაშავებულ სივრცეში თინა კაცუნას დაეძებდა, მაგრამ შავების ლიღერი არ აღმოჩნდა მათ შორის. ვიდრე ნათესავები აქაურობას მუსრს ავლებდნენ, კაცუნა ძირითადი ძალებით სასახლეზე დაიძრა! ეს ქეიფიც მტრის მასატყუებლად იყო გამართული! ყველაზე უმაქნისი ნაწილი, ბნელს შერეული ელემენტები, რომლებსაც ოვალი ძარცვასა და ჭამა-სმაზე ეჭირათ, კაცუნამ აქ, კოშკში გაამწესა და თავის ჩანაფიქრს შესწორა. ვიდრე თინა თავისი ჯარით გაიელიდა ქალაქს, ვიდრე შეაღწევდა მის ბნელ წიაღში, კაცუნამ ძალები შემოკრიბა და სასახლეს შეუტია.

თინაზ ელდა ეცა, როცა წარმოიდგინა, რა საშინელება ტრიალებდა ახლა სასახლეში. მოწითალო ელფერთა ფრაქცია ვერ მოასწრებდა ალექსანდრეს ირგვლივ კონცენტრაციას. სასახლის მცველები კი, ირაჩენიდა ბუტაფორიებს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე მეომრებს, ვერ შეაჩერებდნენ გარს მოწოლილ წყვდიადს.

ეს ყველაფერი ცაზე ეწერა. სასახლიდან ამოვარდნილი ცეცხლი ანათებდა ალაინოს სისხლად ქცეულ ღამეს. შემპარავად ნათდებოდა ქალაქი და ბზე უკვე დაეხეტებოდა მის ჩაზუმებულ და ჩამკვდარ ქუჩებში. თინა პირველი მიიჭრა სასახლის ჭიშკართან, პირველი ავარდა გვამებით მოფენილ კიბეზე და დარბაზში შევიდა.

ღმერთო, რა ხდებოდა ირგვლივ! კაცუნას, ეტყობა, არავინ დაუზოგავს, არც დიდი, არც პატარა. სად თავი ეგდო, სად ხელი, სად ფეხი! ეს უკვე სიკვდილის სასახლე იყო, სასახლე, რომელშიც ჩამქრალი იყო ყველა ელფერი. შინდისფერთა გარკვეულმა ნაწილმა ეტყობა მაინც მოასწრო წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ეს მცირე ძალა ვერ შეაჩერებდა სასახლის წამლეკავ ღვარცოფს, რომელსაც უძრავი სახე და გაქვავებული ღიმილი უძღოდა წინ. და ამ ქაოსში, ამ სისხლსა და ფერხორცის ნაფლეთებში იდგა სასწაულებრივად გადარჩენილი ტახტი და ამ ტახტზე იჯდა ალექსანდრე და უცნაური ღიმილით შესცქეროდა დგვიანებულ მშველელს. მისი არ იყო ეს ღიმილი. უცხო იერი დასდებოდა მის სახეს. ალექსანდრე იჯდა ტახტზე და შესცქეროდა ნათესავებს, რომ ვერ ბედავენენ მასთან მიახლოებას. მხოლოდ თინა შემოეხვია ტახტს, მაგრამ ალექსანდრემ ზემოთ აცოცება აღარ აცალა, უხეშად ჩამოიშორა, ზედ გადაამაჯა და ზურგი შეაქცია. დარბაზიდან გასვლისას ერთიც მოიხედა და ამ შემოხედვაში თინამ იგრძნო, რა უბედურება იყო მის თავს. რაღა თქმა უნდა, მტერმა გაიმარჯვა! შინდისფერთა შრეებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს შეტევაზე გადმოსულ ძალებს. შეტაკება ხანმოკლე აღმოჩნდა. ვერანაირი ძალა ვერ დაბრკოლებდა ურიცხვ მტერთაგან გადაშავებულ ტალღას! შემოსეულთა ნაკადი ყველანაირ ზღვიეს ანგრევდა! და იღვრებოდა სიბრაზე და ჟინაგდა ნაპრალებში და სჭვალავდა სასახლის შიდა სივრცეს და წვეთავდა, იპარებოდა ალექსანდრეს გულში და ისიც ფერს იცვლიდა! და მოხდა ის, რისიც ეშინოდა ყველას! გამარჯვებულმა დამარცხებული შეიერთა,

ალექსანდრე თოჯინად იქცა! წყალობა-სავით გადმოუგდეს ტახტი, მაგრამ გადმოუგდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ამიერიდან შავი ბაირაღი შეცვლიდა შინდისფერ დროშას.

ასე რომ ალექსანდრემ კიდევ ერთხელ იცვალა სახე. ის უკვე აღარ იყო თაკვე-იფა მმართველი, მის უკან შავების მაფია იდგა! მართვის ინსტიტუტი ფორ-მალურად შეუნარჩუნეს, თანამდებობებს იგივე პირები ფლობდნენ, მაგრამ აღრე რეალური ძალაუფლება ახლა ბუტაფო-რიად იქცა. ყოველი სიტყვა, ყოველი გადაწყვეტილება და ბრძანება დუბლი-რებული იყო. შავებმა, ჩაანნელეს რა ფერთა მთელი კომპოზიცია, მოსწყვი-ტეს სიტყვა საკანს და ამით შინაარსი დუკარგეს მას. ალექსანდრე ფლობდა სამყარის შექმნისა და წარმართვის ძველ ენას, მაგრამ ეს ენა უკვე აღარ შეესაბამებოდა სინამდვილეს: არსებითი სახელები და ზმნები მოკლებულ იყვნენ მატერიას და მოძრაობას და ეს შეუსა-ბამობა, ეს განუზღვრელობა საფუძველს აცლიდა ქვეყანას.

მოკლედ გადატრიალების შემდეგ ალექსანდრეს ჩრდილი-ღა შერჩა ტახტს. უფრო ჩაბნელდა, ჩაკვდა მისი მზერა. მის ირგვლივ თავმოყრილ ქვე-ყანას უცებ გამოეცალა ღერძი. ის ახლა თავის ნებაზე ტრიალებდა. სიტყვას აღარაფერი მოჰქონდა და ალექსანდრეც თანდათან მოსწყდა ქვეყანას, სასახლი-დან გამოიქცა და განმარტოებული, კვლავ მოგონებებს მიეცა...

●

რა ემართება დროს? რა წარუშლელი ხიბლი აქვს იმას, რაც აღარ არის? თი-თქოს ყოფნა-არყოფნა ერთდება მასში და წუთიერი, მოუხელთებელი, მარადი-სობას იძენს. ასე დგას ველზე შორეუ-ლი, თითქმის ხელუხლებელი წარსუ-ლი — ხსოვნის შუქ-ჩრდილში გახვეუ-ლი ბაღი და კირით შეღებილი პატარა სახლი...

სანდრო ახლა ვერის უბნის ქუჩაზე არბოდა. ქუჩა მიიწევდა მაღლა და მაღ-ლა, ქრებოდა და ისევ ნათდებოდა თვა-ლთა საწიერს მიღმა. შავები ამაოდ აწ-ყდებოდნენ ამ უბანს, წარსულის ხილვე-ბით დანაღმულს. ხან უთენია მემაწვნე ჩამოიელდა და ყოველ ეზოსთან სავსე ქალებს სტოვებდა, ხანაც ეკლესიის ზარი შეიფართხალებდა და ჰაერში გა-მოკიდებული ლოცვა განაგდებდა ბნელს. უცებ საიდანღაც ყვავილების ნაიავარი გადმოსკდა და ამ ნაიავარმა მოიტანა მაისის დღე, სიხარული სავსე დღე, ახლადნაყიდ ველოსიპედს რომ ეხვეო-და გარშემო...

შავების ბანაკში კი ისევ არეულობა დაიწყო, რადგან მოგონების გასაფანტა-ვად ჯერ უნდა გაიგო, გახსნა მისი საი-დუმლო, მდევარს კი დაკარგული ჰქონ-და ზნა ამ შეცნობისაკენ, არ ესმოდა თუ რატომ ვერ წვდებოდა ტყვია მაისის სურნელებით სავსე ბაღს, რატომ ვერ ანგრევდა ყუმბარა გულის კედელში ფესვებგადგმულ შენობას.

— თონე დავნგრიოთ! თონე! — ყვი-როდა თეიმურაზი, რადგან იცოდა, რომ სანდროს დღესაც ახსოვდა იქ ჩაკრუ-ლი პურის სურნელი.

— თონე დანგრეულია! — პასუხობდა კაცუნა. — ახლა ბაღის განადგურებას ვიწყებთ!

და შავი ლანდებიც ერთმანეთზე გა-დადიოდნენ, ახტებოდნენ ღობეს. ბაღი კი იდგა თავისთვის, გადაგორებული დღის სიღრმეში და ელოდა ფერიცვა-ლებას, რომ აზიდულიყო ზემოთ, შერ-წყმოდა მთაწმინდას, გადაზრდილიყო ნაძვნარში და მწვანე ხავერდზე ყვავი-ლებად დაღვრილს, რადაც დაუვიწყარი მოეტანა თან და აღედგინა შორეული თბილისი, ქალაქური სიმღერებით სავ-სე და სასტუმრო „საქართველო“, სა-დაც რენტგენის ფირფიტებზე რიგ-ენ-რილებს იწერდნენ და ყოველი ჩანაწე-რი ისმოდა დაუსრულებლივ, ვიდრე მთელი ქალაქი არ იწყებდა მის რიტმში სუნთქვას და ჰანგები, ფესვებგადგმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნ, შორეულ წლებში, სეედისმომგვრელად აფერადებდნენ ძველ მელოდიათა ჩარჩოებიდან გადმოღვრილ თბილისს და ეს ყველაფერი იდგა ვით შეუვალი კოშკი, რომელსაც ვერაფერს აკლებდა შავთის ლაშქარი. უსასტიკესი ბრძოლები იყო გაჩაღებული ვერის უბნის ქუჩებში, ნაღვრებად მოსწქეფდა სისხლი და მაინც გაუგებარი იყო, ვის ან რას ებრძოდნენ აზვირთებული ფერები. მათი შემოტევა, მათი ყვირილი ვერ არღვევდა წარსულის სიმშვიდეს. ზემოთ კი, მლეთის ქუჩაზე — „ყვავლების მიწა“ დაჰქონდათ; დაჰქონდათ ისე, რომ არად მიაჩნდათ აფეოქება და სროლა და თეთრხალათიანი, შოკოლადისფერი ქალი ნაყინს ურიგებდა ბავშვებს. კიდევ უფრო ზემოთ კი, კლასებჩანელებულ სამუსაკო სასწავლებელში გაუთავებლად უკრავდნენ გამეხსა და არპეჯიოებს. ჭირივით მეჯავრებოდა აკორდების ეს გაუთავებელი ტრიალი, მაგრამ ეს სიმულვილი ახლა ნოსტალგიის სამსუბუქეში იყო განზავებული და გამქრალი. გაუცხოების ძალები ამაოდ აწყდებოდნენ წარსულის ქუჩებს. ბარიკადები, პიკეტები ვერ აკავებდნენ ბავშვური მიამიტობით და უდარდელობით მოწყვეტილ ხალვებს. დარტყმები აზანზარებდნენ ასანთის კოლოფივით დამდგარ სასტუმროს, მაგრამ ვერ აღწევდნენ ცისფერ იავნს, ახალედიანის ფუნჯით ჩახატულს შადრევნების ნისლში, რომელიც ალარც კი არსებობდა და სწორედ ამ არარსებობის ძალით იყო მიუწვდომელი და წარუშელელი.

ვინ იცის, საიდან მოვარდნილი სიბრაზე კი გზად ყველაფერს ანადგურებდა, მაგრამ ვერ აღწევდა დასახულ მიზანს, ჯადოს ვერ უკარგავდა ზნოვნაში ჩარჩენილს და ტყვიების ცეცხლში ისევ დასეირნობდნენ მაღალფარდოვანი ქალბატონები, ისევ მაცდუნებლად ციმციმებდა „ბავშვთა სამყაროს“ ვიტრინა, რომლის ჭერში, ცდაზიდულ ლიანდაგზე მატარებელი დაქრილა. აწ არარსებული სკოლისკენ მიმავალი გზა კი, გზა, სავსე სეირნობით, შეხვედრებითა და განშორებებით, არ იგუდებოდა, არ ხრჩოლავდა ბენზინის ბოლქვები... და მზეს ეფიცხებოდა გაკვეთილებს გამოქცეული ქუჩა, კაპიკ-კაპიკ შეწებებული სახნიკლე და კიბეებჩავარდნილი კინო. და ისევ მიხმობდა თავისკენ დაწმენდილი, ლამის გამჭვირვალე სახე, როგორც მზით სავსე ველისკენ გაჭრილი ფანჯარა, რომლის წიაღში ქრებოდა და ნათდებოდა პატარა სახლი და ასევე ნათელ-ბნელში ფეთქავდა წარსულის გრძელი, უდარდელი, თამაშით სავსე ღღე...

— გეყოფა, ნუ გარეკე! — დამიღრიალა თეიმურაზმა და რეული დახურა. — ცოდვა იმდენი გაწევს, ბავშვობას მაინც ვერ დაუბრუნდები!

— მე აღარა ვარ ის, ვინც შენს ნებაზე თამაშობს. — ვუპასუხე.

თეიმურაზს რეული ხელიდან გამოვგლეჯე და სტრიქონებს ჩავხედე. და აქ თეიმურაზთან ერთად სანდროს ნიღბიც ჩამემსხვრა ხელში. სხვა ნიღბებიც ნაცვალი სახეებივით ნაპირს შეეტოვე და შევცურე ფიქრის ანკარა, თავბრუდამხვევ ნაკადში, რომელშიც ერთხელ თუ შეიძლება შესვლა, და უცებ, პირველივე ტალღის სიღრმეში დაიბრიცა და დაიმსხვრა ლომის სახე, წრეებად გაიფანტა და მე ვიხილე ის, ვისაც არა აქვს სახელი და ამ უსახელომ დამატრიალა, ჩამითრია ფიქრის მორევში და წამოვიდა ჩემკენ ჯერ ახლო, შემდეგ კი უფრო შორეული ბავშვობა და ეს ყოველივე ახლა მენვენა, როგორც გულიდან ამომსკდარი სიტყვა, რომ დაილექა სახეებად, საგნებად, რომ გაქვავდა და ისევ მოწყდა, ისევ განსხეულდა, რადგან სული, რომელმაც განიძარცვა სხეულის სამოსი, ვერ იტანდა ვერაფერს მყარს, მოწვენებითად მყარს, მისი სამყარე ზეცაში იდგა, აქ კი არ იყო არაფერი, და მოირღვა სტადიონი და ნანგრევებად იქცა ქალაქი და უფსკრულს ჩაყვნენ გაცოფებული სახეები და აღარ იყო არაფერი, არაფერი შეთხზული, გამოგონილი, მხოლოდ ნამდვილი, მტკივნეულად ნამდვილი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ეს სინამდვილეც, რამდენადაც შემეძლო მისი დანახვა, მისი შეცნობა და რამდენადაც გზას მივეკვლევდი მასში, აღმოჩნდა ჩემი, ჩემი გრძნობის, გონებისა და სიტყვის სადარი და ამატომ ასე მსუბუქად, ასე თავისუფლად გადადიოდნენ სახე-სტრიქონები ნამდვილ ამბებში და ასევე იოლად ილექებოდა ფურცელზე ჩემს გარეშე არსებული, ჩემი წინამორბედი და ჩემს შემდგომ მყოფი ქალაქი. და ეს ყველაფერი თამაში აღმოჩნდა, სიტყვის თამაში, ოღონდ ზოგჯერ ეს თამაში, ბრძოლად ქცეული, სპობდა რაღაც ნამდვილს, ზოგჯერ კი, ზვავივით მოწყვეტილი, ყველანაირ ზღუდეს ანგრევდა და მაშინ იწყებოდა ნამდვილი თამაში, სადაც ზღვარი ჰქონდა დაკარგული ცხადსაც და სიზმარსაც, სიკვდილსაც და სიცოცხლესაც და ყოველივე უერთდებოდა რაღაც ერთიანსა და წარუშლელს და ეს წარუშლელი იყო მზით სავსე ველი და ამ ველზე მდგომი პატარა სახლი, რომლის სარკმლებში ათასი ფერით და სურნელით ცოცხლობდა — ფეთქავდა და ტრიალებდა ჩემი ბავშვობა და მე, უკვე დღის ბილიკებზე დაღვრილს, აღარ შემეძლო მისვლა იმ სახლთან, აღარ შემეძლო მის სარკმელში შეხედვა, ვიღაცამ ფარდა გადაფარა იქ ოდესღაც მყოფსა და დღესაც მფეთქავ სიცოცხლეს და იქნებ მხოლოდ ერთხელ, სიკვდილის წინ, მომცეს განგებამ ძალა, წამით გავარღვიო გესლითა და ამაოებით ჩაკეტილი ხორცის გალია, მივიდე, შევიხედო იმ სახლში, სადაც ტრიალებს, ფეთქავს ან სულაც უდარდელი სიმშვიდით სუფევს ჩემი მარადისობას შერწყმული, პირველარძნობათა თამაშებში გაჩერებული, დღის გზებზე დაკარგული და სიტყვით ხელახლა მოპოვებული დრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპოლონ ჯინჯოლია

●

მახსოვს (ის ყოფა ჟამივით გაქრა),
როს წლები ბინდად აღარ მებურა, —
მეფე მეფურად ცხოვრობდა, მაგრამ
ცხოვრობდა ბევრი მონაც მეფურად.

მომკვდარა ვინ,
ვინ ქცეულა ლანდად,
გადარჩენილა ზოგიც უვნებლად.
მე არაფერი არ მიწილადა
არც მონობამ, არც თავისუფლებამ.

ჩემი სახლია...

ჩემი სახლია ახლა სასტუმრო,
ჩემი მაღალი სახლი — „მესხეთი“.
ტბა, ევკალიპტი, ქედები ჭრელი...
მე შემიყვარდა უკვე ეს ხედი.
ესურს შევეჩვიო შეუჩვევ ქუჩებს,
უჩვევ სახლებს — „ურეხი“, „ზოფა“...
ამინდის მუდმივ ცვალებადობას
და ჩემს ერთნაირ და უცვლელ ყოფას;
ხალხმრავალ ქალაქს, მოვაჭრე ბაზარს
კუპონ-მანეთით, დოლარით, ცენტით.
მგონია, მე ვარ ეს ქარდაკრული
ბალმა მაღალი, სუსტი და კენტი.
დამგროვებია დღეს რაც სათქმელი, —
მოთხრობამ, ლექსმა, თუნდაც ბარათმა
ვერ დაიტიოს, მაგრამ გამგები?

მაგრამ შემსმენი? — სჯობს თქმას
არა თქმა.
ბზინავს გარემო, როგორც ფოლადი,
ქარით ნარბევი, წვიმანაკური.
ჯერ არ ვყოფილვარ მე მოლოდინით
ასე მოცული და უსაქმური.
ხვალ რა იქნება? ხვალ რა მოგველის?
რა სივრცე, რა გზა სამოგზაუროდ?
შენ მიმანიშნე, ცავ ღრუბლიანო,
ქარის შრიალო და ზღვის ხმაურო!
ჩემი სახლია ახლა სასტუმრო,
ჩემი მაღალი სახლი — „მესხეთი“.
ტბა,
ევკალიპტი,
ქედები ჭრელი...
მე შემიყვარდა უკვე ეს ხედი.

ბათუმის პორტი

ჰა, ამწეები თავაღერილი
და მოვარდნილი ზვირთი, ვით ელდა.
შორეულ დროში თურმე გემები
შემოდიოდნენ აქ რომაელთა.
ბევრჯერ მოეჭრნენ ხმლით ამ
ნაპირებს...
ბოლოს ხომ მაინც გაგვიმარჯვნია
და ხომალდები მიდი-მოდიან
და ნაკვალევი ზღვას არ აჩნია.
ვით სველი წერო, დგას შპილაწვდილი
სადგური, უტევს წვიმა და ქარი.
დღეს კრიალოსნის მარცვლით,
ცბიერი,

არ დასეირნობს აქ სოვდაგარი.
პორტს უცხოური მოადგა გემი,
აატორტმანა მიდამო ყურის,
დგას და თითქოსდა მთელ ყურეს
ავსებს
ანძებმაღალი და მედიდური.
ძველ მოგზაურთა მრავალჯერ გვაქეს,
ვართ მადლიერნი ჩვენაც ამ ქებით,
მაგრამ... ვიქნებით განა ქვეყანა
ასეთი მძლავრი გემის ამგები?..
მგონია, თვლემენ სეინერები
და თვლემს ხიფათიც გზებზე განცდილი.
თითქოს ეს ყურე არის ზღვის ხელი
და ჩემკენ იძვრის ზღვა ხელგაწვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აეროდრომზე

აეროდრომზე ტიროდა ქალი,
იდგა ხმაური და ქროდა ქარი.
იქნებ ამ გზაზე დატოვა ვინმემ,
იქნებ მოუკვდა მამა ან ქმარი?

და დილის ბინდში ქალს მოქვითინეს
შემოსჯაროდნენ გზები მწუხარე.
შორს თვითმფრინავი მიქროდა თეთრი
და ცას ეკიდა, ვით ცრემლის წვეთი.

●

ცა დამისერავს, მთებზე მივლია,
ზღვა გამიცურავს და თუმც ვეცადე,
ვერ გამიგია — რა მანძილია
უდაბლესიდან უმაღლესამდე,
ან ჩემზე ხშირად რატომ განმგებლობს

სევდა უმიზნო და უსარგებლო.
იდუმალებავ სამყაროისა,
ვფიქრობ და ლამის დარდმა დამნისლოს:
რასაც კი ვიძენ, ვიძენ დროებით,
რასაც კი ვკარგავ, — სამარადისოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ტალახაძე

დანაშაული და განაჩენი

მოთხრობა

გზა „მკვდარი სახლისკენ“

წამოჭარხლულ სახეზე ღვართქაფად ახხმადა იფლი. სველი პერანგი გულთან გადაეღინა. მკერდიდან წამოსული ლურჯი ძარღვები იობას ქსელივით ეხვეოდა დაკუნთულ კისერს. მას კი მაშინ ეს არც შეუმჩნევია. არც ველურად ჩასისხლიანებული ქუთუთოებდაბერილი თვალები დაუნახავს. თავდახრილი იდგა მის წინ და ზემოთ ახედვას ვერ ბედავდა. გავარვარებული ხახა ვულკანივით აფრქვევდა ხრინწიან ბგერებს. სიტყვებს ვერ არჩევდა, ნათქვამის აზრს კი ხვდებოდა რაღაცნაირად. გრძნობდა, აშმორებული ცხელი ჰაერის ნაკადი ფურთხის თეთრ წინწკლებთან ერთად როგორ ეფრქვეოდა სახეზე — რაღაც, „ოდეკალონის“, პაპიროსის, იფლის, მონელებული და მოუნელებელი საჭმლის და კიდევ ვინ იცის, რისი ნაზავი. ხან ნაყვითლებული, მეჩხერი კბილები, ხან მოცახცახე ტუჩები უღობავდნენ გზას ხახიდან ამოვარდნილ ამ ფეელფს და მოხრიალე სიტყვების ფორმას აძლევდნენ.

— კიდევ ერთხელ გეკითხები: ვინა ხარ, ხელს რატომ გვიშლი და სად მუშაობ?

ეს მას ეკითხებოდნენ. ცოტა გონება რომ მოიკრიბა, ასეთი აზრი გამოიტანა.

— მე... მეცნიერ-მუშაკი ვარ. ძმა ვარ მალხაზის. კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობ...

უკეთესად ვერც დაალაგებდა.

— მეცნიერ-მუშაკი!

მილიციის უფროსმა გაშლილი მარჯვენა ხელი ნერვულად შემართა და შუბლში რამდენჯერმე ჩასცხო. ნაჯახივით.

— მეცნიერ-მუშაკი!

მორიდებით უკან დაიხია. ერთხელ კი ახედა, მაგრამ ცოფიანი ხახის მეტი მაინც ვერაფერი დაინახა.

— მეცნიერ-მუშაკი!

ისევ სახეზე სცემდა გულისამრევი ოხშივარი და ცდილობდა თავი აერიდებინა.

— საკვლევ ინსტიტუტში, არა?

აქეთ-იქით იხედებოდა გაკვირვებული, ერთი ამას დამიხედეთო და გადაეხარხარებდა კიდეც, ძალიან გაბრაზებული რომ არ ყოფილიყო.

— მეცნიერ-მუშაკი კი არა, ეს რა არის?

კოტტა, ბანჯგვლიანი თითებით ყელში სწვდა და სწრაფი მოძრაობით ააგლიჯა გულზე დაკიდებული ლითონის პატარა ჯვარი.

— აი, ვინა ხარ შენ!

ჯვარი თითებში მოიქცია და მახვილი ბოლოთი შიგ თვალში ატაკა მოულოდნელად.

— აი ვინ!

თავის გადაწევა მოასწრო უკან. ინსტინქტურად, მაგრამ ზედა ქუთუთოსთან მაინც ივრძნო ტკივილი. თითქოს ბზიკმა უკბინაო.

— შენც ქურდულს აწვები, შენს ძმასავით, შე ძალღიშვილო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებზე ხელები მიიფარა და უკანუკან წავიდა.

— აბა, ჯვარი რად გინდა, თუ ქურდი არა ხარ?

ახლა ხელებზე კბენდნენ თითქოს ბზიკები.

— მიპასუხე-მეთქი, რად გინდა ეს!

ისე იღრიალა, ეგონა, მეტს ველარაფერს გაიგონებდა. ვერასდროს.

— შე... შეამოწმეთ, პატივცემულო...

კარს მიეყრდნო ზურგით. ახლა ველარსად წავიდოდა.

— შეავამოწმოთ?!

პირი გააღო და სისხლიანი ყრონტი ამოარწყია თითქოს.

იცინოდა.

— ჭკუასაც გვასწავლი?

საკინძეში ჩაავლო ხელი. მოქაჩა. მეორე ხელით კარი გამოაღო და გარეთ უბიძგა.

— აქ აღარ დაგინახო, შე ნაბიჭვარო! მუშაობაში ხელს ნუ გვიშლი!

კიდევ ერთხელ გაიელვა სისხლიანმა ხახამ.

— შენისთანა მეცნიერ-მუშაკების!..

და ხის მასიური კარი მოჯახუნდა.

— წადი რა, ბიჭო, აქედან. წადი, რაა! — ესტაფეტასავით გაიგრძელა მორიგე მილიციონერმა, იმავე კილოთი.

— ხომ გითხარი, გრაშაევინს ნუ აწუხებ-მეთქი!

ცოტა შეშინებული იყო ისიც. ამის აქ ყოფნა მე არ დამბრალდესო.

— გაიგონე, რა გითხრა? აქედან წაეთრიე, თორემ შენც იქ ჩაგყუდებ, შენს ძმასავით!

ქვემოთკენ ანიშნა, რომელიღაც თითით.

— მაჩვენეთ-მეთქი, ერთი წუთით. არაფერს არ ვეტყვი. მარტო შემახედეთ... როგორ არის...

ძლივს ლუღლუღებდა.

— როგორ უნდა იყოს? იქ არის, სადაც მაგნაირები უნდა იყვნენ!

კარისკენ მიჰყავდა თან. ჯიკავ-ჯიკავით.

— თირკმლები სტკივა, ავადმყოფია, მაგის გაცივება არ შეიძლება...

დერეფანში გამოაგდეს.

— გაცივდება, აბა რა მოუვა, კურორტზე კი არ არის!

მისაღების კარიც ჩაიკეტა, მჭიდროდ.

ძალიან ცივი და პირქუში იყო მილიციის დერეფანი. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული. ორივე მხარეს ჩამწკრივებული მუშამბაგადაკრული კარი წამდაუწუმ იღებოდა და იხურებოდა. გადიოდნენ და გამოდიოდნენ.თვითონაც მოძრაობდა, თავჩაღუნული. ცოტა უმისამართოდ. „დედაჩემს რა ვუთხრა?“ — აეკვეატა. ღია კარიდან ხან კვნესა ისმოდა, ხან ყვირილი. ცოტას გაიელდა და გამოიღებოდა რომელიმე. იქაც კვნესა და ტირილი. მერე ლაპარაკი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მერე ისევ ყვირილი და ჩხუბი. სხვადასხვა ხმაზე. მთელი გამა. მთელი ცხოვრება. ყველაფერი. შინსახკომდან მოყოლებული დღემდე.

არ იყო მხოლოდ სიცილი და სიმშვიდე. თითქოს ის კარი სამუდამოდ ჩაკეტა ვიღაც დაწყევლილს, სადაც რაიმე უხარიოდთ. მხოლოდ ხვები იღებოდნენ და იხურებოდნენ. დერეფანშიც გადიოდნენ და გამოდიოდნენ. ლანდებივით.

„დედაჩემს რა ვუთხრა?“

სისხლიანი ხელები გაიწმინდა ცხვირსახოცით. სახეზეც სისხლი ჩამოსდიოდა და პერანგსაც აჩნდა წითელ ლაქებად.

„დედაჩემს რა ვუთხრა?“

ისევ იღებოდნენ და იხურებოდნენ კარები. განუწყვეტლივ. ისევ ოხვრა და ვმინავ. ნესტიან, ნახევრადბნელ დერეფანში. მეტი არაფერი.

— ისე, დიდი ჯიბიდან გავარდნილი ვინმეა შენი ძმა. ყველაფერზე ატკაზზეა, მაგრამ სად წავავივა, ბოლოს ხომ მაინც დაფქვავს, თეთრსაც და შავსაც?

— პატივცემულო, ის დანა ჩემი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროსმა გამომძიებელმა, გვარად მასხარაშვილმა, გაკვირვებით ასწია დიდი, მაგრამ საკმაოდ მოტკლეპილი თავი.

— ისე, ხომ არ გინდა, შენც იმას რომ მიუჯდე გვერდით, ბიჭო?

თან გამომცდელად შეხედა.

— თუ მაგისთვის იჭერთ მარტო, გეუბნებით, ჩემი იყო-მეთქი. გამოუშვებთ?

ისევ უყურებდა. ცოტა ნიშნისმოგებით.

— მოდი, ერთი, შენ ეს დაწერე, ყველაფერი, რასაც ამბობ. ვის დავიჭერთ და ვის გავუშვებთ, მერე ვნახავთ!

ფურცლები და კალამი მიუწია მაგიდის კუთხისაკენ.

— უმაღლესდამთავრებული, მეცნიერმუშაკი...

გადი-გამოდიოდა ოთახში. ხანდახან ჩახედავდა ხელმე, სწორად თუ წერსო.

— შენს ძმასთან რომ დაგაპირისპირო, ხომ დაადასტურებ ამას?

ეჭვიობდა. თან უხაროდა კიდეც. ალბათ, ერთით მეტში უფრო მეტ ფულს აძლევდნენ, თუ რა იყო, არ იცოდა.

— აბა, ხელი მოაწერე! არა, მანდ არა, აქ!

ცხიმიანი, თეთრი თითი დაადო ფურცლის კიდეს.

— აქაც!

მერე მეორე ფურცელი გადმოუღო.

— ესე იგი, დაპირისპირების დროსაც იგივეს იტყვი?

ეჭვი ღრღნდა ისევ. გამომძიებელს, გვარად მასხარაშვილს.

— თუ იცი, რას აკეთებ ახლა შენ?

მაინც ვერ მოითმინა. ეტყობა, ცოტა უკვირდა კიდეც, მაგრამ ეგ არაფერი. ბავშვობაში შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი ჰქონდა წაკითხული ერთხელ და ხვდებოდა, გრაშა უფროსი საქმეში ჩაუთვლიდა ამას.

უფრო მეტი ხომ ყოველთვის სჯობიან უფრო ნაკლებს?

●

მეორე დღეს დიდხანს ელოდა გამომძიებელს. თითქმის დილიდან საღამოდე. კაბინეტის კართან ატუზული. თან ეშინოდა, მილიციის უფროსმა არ ჩამოიაროს, პირში წითელ ბურთგაჩრილმა, და არ გამაჯდოსო. დასაპირისპირებლად უნდა წაეყვანათ მალხაზისთან. ეშინოდა, მაგრამ, არა უშავს, მალხაზს ნახავდა. მერე შეიძლება არც კი გამოეშვათ დიდხანს. ისე მოულოდნელად წაიყვანეს სახლიდან. გაფიორებული. ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო. ხელები რომ გადაუგრიხეს, ოდნავ წინ გადიხარა და ქვედა ტუჩი ჩამოებურცა. ასე იცოდა ხოლმე ბავშვობიდანვე. როცა რაიმე სტკიოდა ძალიან და ითმენდა.

აივანზე გადმომდგარი დედა კივილით იკლებდა მთელ ეზოს. მაინც წაიყვანეს. ხელებდაბორკილი.

თირკმლები აწუხებდა ძალიან, არც უმკურნალია, არასოდეს.

●

როგორც იქნა, გამოჩნდა გამომძიებელი. საღამო ხანს. ნებართვაზე ვირბინე სამინისტროში. მერე პარტორგანიზაციის კრება იყო. ყველაფერი ერთად მოუნდებათო. კარი გააღო. შევიდა და მიიხურა. დამელოდე, ჩქარა გამოვალო.

— ჰა, რამე ხომ არ გადაიფიქრე, ბიჭო?

გამოვიდა. არც ისე ჩქარა, და ვაამხნევეთ. თან კარს კეტავდა გასალებით. იღლიაში ამორჩილი საქაღალდეები უშლიდა ცოტა ხელს.

— ხოდა, ძალიან კარგიი... წავიდეთ...

დერეფნის ბოლოს დიდი, რკინის კარი გააღებინა. თავი შეყო პატარა სარკმელში და რაღაცა უთხრა. მისი თავის ზომაზე იყო გამოჭრილი სარკმელი თითქოს. ქვემოთ დაეშვნენ, თეთრად შეღებილ ბეტონის კიბეზე. მერე ვიწრო დერეფანი გაიარეს და ერთ-ერთ ოთახში შევიდნენ. რკინის კარიანში.

— შენ ამ სკამზე დაჯექი! — მიუთითა ერთმანეთის პირისპირ მდგართაგან ერთ-ერთზე.

— მალხაზი იქ დაჯდება. ადგომის უფლება არ გაქვს. არც ლაპარაკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპასუხებ მხოლოდ ჩემს მიერ დასმულ კითხვებს. გაიგე?

არაფერი არ ესმოდა. კარს უყურებდა — როდის შემოიყვანდნენ. „ნეტა როგორ არის? ავადყოფობდა“.....

გამომძიებელი მაგიდას შემოუჯდა და საქაღალდე გაშალა.

კარი მაინც მოულოდნელად გაიღო.

ჯერ მილიციონერი შემოვიდა. ოთახი მოათვალიერა. მერე მალხაზი. შემოვიდა თუ არა, გაიღიმა. „ალბათ იმიტომ, რომ დავშშვიდე“. ცოტა გათეთრებული ეჩვენა. უმზეოდ. „ბავშვობადანვე ასე იყო. ან იღიმებოდა, ან მღეროდა შემოსვლისას“. ხელები უკან ჰქონდა შემოწყობილი. ისე მოდიოდა, თითქოს ძალიან საამოვნებს და იმიტომ აქეს ხელები უკანო. „მე კარგად ვარ!“ — უთხრა მაშინვე, თვალებით. „დედა როგორ არის?“ სინესტისა და შმორის სუნი შემოჰყვა. „ჩვენები?“ დაჯდომისას ისევ ჩამობურცა ქვედა ტუჩი, მაგრამ არხეინად შესწორდა სკამზე. „მაგრათ უნდა იყოთ, ყველაფერი კარგად იქნება!“ ორივე მხრიდან ბადრაგი ამოუდგა. „თვალზე რა მოგვიდა?“. სკამის ცოტა ახლოს მიჩორება უნდოდა, მაგრამ დაჭედებული აღმოჩნდა. „არაფერი, შემთხვევით გავიკაწრე“. ცოტა მოჭუტა, ნაჭრილობევი რომ დაეფარა როგორმე. გამომძიებლის შეკითხვებს არც უსმენდა. მექანიკურად პასუხობდა. „სისულელეს ნუ ამბობ!“ ცდილობდა უდარდელად გაეღიმა. „ნუ გეშინია, მე ვერაფერს მიზამენ. ამის გულისთვის მართალი ხომ არ დამიჭერენ?“ გამომძიებელი პასუხებს იწერდა და ისევ ეკითხებოდა. „მაგათი ნდობა არ შეიძლება, ნუ ლაპარაკობ!“ სკამზე ცმუკავდა ოკეკ- შეშფოთებული.„მე ისედაც გამომიშვებენ, ხომ იცი, დამნაშავე არა ვარ!“ თვითონ შეკითხვებზე არ პასუხობდა. ყველაფერზე „არას“ იძახდა. „დამშვიდდი. მე ვერ დამიჭერენ. შემჩნეულიც არასდროს ვყოფილვარ რაღაცაში“. თვითონაც აღარ სჯეროდა, მაგრამ იხტიბარს აღარ იტეხდა უკეკ. თან უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა თითქოს. „არ შეიძლება მაგის გაკეთება. არავინ დაგინდობს, იცოდე!“ გამომძიებელმა წერა დაამთავრა და ფურცლების ალაგებას შეუდგა. „ხელი არ მოაწერო არაფერს, არ გაგიჟდე!“ აზრი აღარ ჰქონდა უკეკ. ასე ეგონა.

— ესეც ასე...

საქაღალდეც დახურა. კმაყოფილმა.

— თბილი ტანსაცმელი თუ წამოიღე, ბიჭო?

მართლა შეაცივნა.

ბადრაგი შემოვიდა. მალხაზი სკამიდან წამოაყენეს. გაოგნებული. „ეს რა ჰქენი!!“ აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და კარისკენ წაიყვანეს. „ეეჰ, რა, ჰქენი?.. შენ მაინც ყოფილიყავი გარეთ...“ უცებ ჩაქრა. გარეთ გაიყვანეს, თავჩაქინდრული.

— ახლა ხომ გაუშვებთ? ხომ დარწმუნდით, რომ მისი არ ყოფილა დანა?

თვითონაც აღარ სჯეროდა უკეკ და შეშინებული შეჰყურებდა თვალებში გამომძიებელს.

— ენახოთ, ენახოთ!

თითებს ათამაშებდა საქაღალდეზე, სასიამოვნოდ ჩაფიქრებული. უმცროსი გამომძიებელი. გვარად მასხარაშვილი. რომელიც შერლოკ ჰოლმსობაზე ოცნებობდა ბავშობაში. ცისფრად.

●

ზემოთ რომ ავიდნენ, ცოტა იმედი მიეცა. მართალა ხომ არ დამიჭერენო, ფიქრობდა. თან მალხაზის სახე ედგა თვალწინ. შეცბუნებული და იმედგაკარგული. ეს ბადრაგიც რომ აღარ მოშორდა? თავიდანვე შემოჰყავთ ოთახში და ზის ახლა კუთხეში. გარეთ მოუნდა უცებ გასვლა. სინათლეზე გავლა-გამოვლა. სული ეხუთებოდა ამ შენობაში. სიბნელე იყო ყველაფერ და სინესტე. დიდი ფანჯარა კი ჰქონდა ოთახს. სარკმელიც გამოეღოთ სუფთა ჰაერისთვის. მაინც არა. გარეთ ჯობდა. ქუჩაში. ან სახლში. დედას ეტყვის, მალხაზი რომ ნახა. ჯანმრთელი. სულაც არ ეტყობა, ნაცემი თუ. ალბათ სახლში არ ურტყამდნენ. ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, არაბუნებრივად თეთრია და გამხდარი. ალბათ არ აჭმეევენ და მზეზეც არ გაჰყავთ. უფრო შეეშინდა. ნეტავ სულაც არ ენახა. ან, საერთოდ, რა უნდა აქ?! არა, დედას ამას არ ეტყვის. ერთი სული აქვს, ალბათ, როდის მივა და რაიმეს მოუყვება მალხაზზე. ისედაც ავადმყოფობს. „ნეტა დარეკვა თუ შეიძლება აქედან?“

ცერად გახედა ბადრაგს.

ფხიზლად იყო.

„ამას აქ რა უნდა?“ მაინც ეჭვობდა, სწორედ მოიქცა თუ არა. „მეც რომ დამიჭირონ?“ უნდოდა ტელეფონამდე მისულიყო როგორმე. მაგრამ ადგილიდან დაძვრას ვერ ბედავდა. „ასპირანტურა?“

ახლაღა შეამჩნია, ფანჯარას სქელი რკინის ცხაური რომ ჰქონდა გარედან მიდგმული. „დედა?“

არა, აშკარად არ ყოფილა ამისათვის მზად...

„მაინც რა ჩქარა და მოულოდნელად მოხდა ყველაფერი?“

ვამომძიებელიც დაბრუნდა. აღარც კი უნდოდა მისი დანახვა. ნეტა სულ არ მისულიყო აქ...

მან კი ოფლიანი შუბლი მოიწმინდა დიდ თავზე, ლურჯი პერანგის სახელოთი.

— ხომ გითხარი, თბილი ტანსაცმელი დაგჭირდება-მეთქი. აი, ნახე, უკვე პროკურორმაც მოაწერა ხელი!

რაღაც ქაღალდი აჩვენა. სანქციადადებული. როგორც თვითონ თქვა, „აღმკვეთ ღონისძიებაზე“.

— მე რა ვქნა, ძმაო. შენ თვითონ არა თქვი? მე რაღა შემიძლია?

თავს იმართლებდა გამომძიებელი მალხაროვილი. ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

— თანაც გრიშა უფროსიც რომ სულ გაგიგიჟებია?! დაიჭირეთ და ჩაკეტეთო, მიბრძანა. მე რა უნდა მექნა? მე რაც შემიძლია ვეხმარები, მაგრამ პროკურორმაც რომ სანქცია დადო?

ახლაღა შეამჩნია, სახაზინო პერანგის პატარა, მრგვალ ღილებზე ნამგალი და ურო რომ იყო გამოსახული.

— ძალიან უზრდელადაც მოქცეულხარ, — ეძებდა არგუმენტებს. ჰაერიდან. — რაღაც, მეცნიერ-მუშაკიო, გითქვია. გაგილანძღია. სულ ცოფებს ყრიდა გრიშა უფროსი. არ იცი, რა კაცია? როგორ გაპატიებდა?

იყოს მაინც. სიფრთხილისათვის. რა იცი, რა ხდებაო, ფიქრობდა გამომძიებელი მასხარაშვილი.

ის კი ისევ ღილებს უყურებდა და ეჩვენებოდა, ყელმოღერებულ უფროსს საცა თავს წაჭრიდა თითქოს ბასრი ნამგალი.

ქანცგაწყვეტილი ცხენის სიკვდილი

რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის წინასწარი პატიმრობის საკნიდან ციხეში გადაიყვანეს. „ჩორნი ვარონით“. ორ პატიმართან ერთად. ცეზარამ, რომელიც კანონიერი ქურდი ყოფილა, საკუთარი ღირსების სრული შეგრძნებით დაიკავა პატარა, გისოსებიანი სარკმლის ახლოს ადგილი. ხანდახან გაიხედავდა ხოლმე გარეთ. უინტერესოდ. ქუჩებს შეავლებდა თვალს.

— ვა! რა ლამაზი ქალები გამოეფინენ თბილისში! ხედავ, ბიჭო?

მოულოდნელად მოუბრუნდა. სერიოზული სახით. მაგრამ, ვერ ხედავდა.

— რას ვედავებიან, აბა ერთი, მომიყვეი!

უცებ გადააბრუნა „პლატინკა“. მაგრამ თან ყველანაირად იგრძნობოდა, მოლიანად რომ ფლობდა სიტუაციას. ცეკას მდივანივით.

— რა ვიცი... დანა მიპოვეს, და... ცივი იარაღიაო.

უხალისოდ უპასუხა.

— მერე, ყმა რად ვინდოდა, ძმაო? ვინმე უნდა მოგეკლა?

კინაღამ თვითონაც დაიჯერა.

— მალხაზზა მართლა შენი ძმაა?

ის საკითხი გადაწყვეტილად ჩათვალა, უკვე.

— მაგარი ბიჭია!

მეც არა ნაკლები ვარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას გეტყვი ძმაო, იცი? გამიგე... ის, რაც შენს გამომძიებელთან არ ითქმება, არავის არ უნდა უთხრა. გამიგე?

მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

— მე, შეგიძლია ყველაფერი მითხრა. ამით არაფერი დაგიშავდება. სხვას არავის, არაფერი. გამიგე? ბოზებითაა სავსე ციხე. გამიგე?

თავს უქნევდა, ჰოო.

— აბა ერთი, ძაკაცო აქეთ მოიწი!

შენ გეყოფა სწავლაო.

— შენ რადას გედავებიან, რა გაგიჭეო?

კუთხეში მიფუზულიყო, საცოდავად. არაბუნებრივად შეშინებული.

— მე გრიშა მქვია... გრიშა ძიას მეძახიან, ბიჭებო!

სამოც წელს იქნებოდა უკვე გადაცილებული.

— ვა! სეზნია ყოფილხარ, აა! მეც გრიგოლი მქვია, რა, დედაჩემმა ეგრე დამარქვა!

ბეჭზე დაჰკრა ხელი, შინაურულად. მაგრამ მოხუცს შიში სულაც არ განელებია.

— რა ვიცი, აბა, რა ეშმაკი უნდათ ჩემგან. რას გაუგებს მაგათ კაცი. მეც რა, გრიშა მქვია და მქვია... რას მერჩიან?

მაგრამ ცეზარამ ცოტა იმნაირად გადახედა.

— შენ რაღაც თუქსუსი კაცი ჩანხარ, პაპაჩემო!

თითიც მიაშვირა, შიგ სახეში. უზრდელივით.

— ძალიან თუქსუსი!

ხმასაც აუწია, მაგრამ მანქანა მკვეთრი მოძრაობით გაჩერდა.

— მგონი, მოვედით!

ისევ სარკმელში იყურებოდა, უკვე.

— აბა, ერთი, სიგარეტი მომაწევინეთ!

გამოიშვირა ორი თითი ზურგს უკან. გრიშა პაპამ მაშინვე თავისი „ბიჩოკი“ ჩაუდო თითებს შორის.

რაღაც იყო არაბუნებრივად საზარელი მასში. ეს შიშიც. ხაფანგში გაბმული თაგვის. ცხოველური.

— ჩემს ძმასაც მალხაზი რქმეევია, თურმე... — ამოიოხრა თითქოს.

— მერე, რა მოუვიდა, დაიღუპა?

ისე ჰკითხა. ცეზარა მაინც ფანჯარაში იყურებოდა.

— ის საცოდავი ისა... მერე მოგიყვებით...

გიოსებს მიღმა დარჩენილ ლურჯ ცას გახედა. თითქოს საბოლოოდ.

— თუ ვიცოცხლე კიდევ....

მანქანა უზარმაზარ, ბნელ და ნესტიან შენობაში შევიდა უკუსვლით და გაჩერდა.

მძიმედ მოიხურა რკინის ძველი, ჩაბოქლომებული ჭიშკარი.

●

ერთი კვირის შემდეგ „ქსივა“ მოვიდა მალხაზის საკნიდან. სიგარეტის ღერში ჩახვეული. გრიშა პაპა გაუშიფრიათ. მორგში მუშაობდა თურმე ფერშალად და უპატრონო მიცვალებულებს აუპატიურებდა, როგორც კი ხელში მოიგდებდა. მაშინვე ჯობიაო, უთქვია. თან რომ გრძნობ, როგორ ცივდება და მაგრდება, თანდათანო. ერთხელაც ზედ წაუსწრიათ და აქ გამოუმწესებიათ. მთელი ღამე ტუალეტის თავზე ჰყოლიათ დაკიდებული პატიმრებს. თაფდაღმა. დილით „ნადზორს“ ჩამოუხსნია და სანაწოლში წაუყვანიათ. მალხაზსაც მაგრად უშუბურია „რეჟიმთან“. „შტრაფნოიში“ ჩაუყვანიათ, „სმერტნიკებთან“.

ქურდები უკვე ჩავაყენეთ საქმის კურსში და პასუხს ველოდებითო.

●

მეორე დღეს გრიშა პაპაც მოიყვანეს. არაბუნებრივად მისუსტებული. თითი არავინ დაკაროს, თორემ, დაგალპობთ ველას კარცერშიო, — იბღვირებდა „ნადზორი“. — თქვენი თავი მაგაზე უკეთესები გგონიათო? ის ერთი კი გვყავს იქ, იმას კი ამოვიყვანთ ოთახში, იმასო. რა მაგის საქმეა, ვინ ვის ჟიმავს სვაბოდაზეო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტეს, მთელ ციხეში ფული შეეგროვებინთ მალხაზის გასათავისუფლებლდ. რეჟიმის უფროსს დიდი თანხა მოუთხოვია, მაგრამ ქურდებმა „პადდერუკა“ არ მისცეს. „პალაკენია“ გაფუჭდება ციხეშიო. ამდენი ფული რომ გავისროლოთ ერთი კაცის „შტრაფნოისთვის“, „სტუკა“ უცებ ავარდებაო.

და საერთოდ, ამ მალხაზამ რა „სამისუფლების“ გამართვა დაიწყო აქ, ჩვენს უკითხავად? ამაზე კიდევ ცალკე ვილაპარაკებთო.

●

— ჩემმა ძმამ ტყუილად ხომ არ გცემა, გრიშა პაპა?

ამოიკვნესა. წამოიწია და გამხმარი ხელი შეჰყო ქვეშაგების ქვეშ. რაღაცას ეძებდა.

— ვინდა რამე, გრიშა პაპა?

ჭუჭყიანი ცხვირსახოცი გამოაძვრინა ბოლოს.

— არა! არა!

უნდოდა გაცლოდა. თითქოს. კეთრიანივითი.

მერე წამოდგომა სცადა.

— წყალს მოგტან...

რაღაცა იყო მასში, არაბუნებრივად საცოდავიც.

— არა!.. არა! — წყალს მომიტან კი არა, მე რა საცოცხლებელი ვარ ამ ქვეყანაზე?

ონკანისკენ წაფრატუნდა, სვენებ-სვენებით. მაგრამ შუა გზიდან მობრუნდა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა. თავჩაქინდრული.

— წყალს მომიტან კი არა...

ერთიანად ცახცახებდა.

— გრიშა პაპა, როგორ მოგიკვდა ძმა? ხომ თქვი, მერე მოგიყვებითო.

რაღაც უნდოდა ეთქვა და იმიტომ.

— ხოდა, გაგვაკულაკეს...

თითქოს, ამ წუთში შეაწყვეტინეს თხრობაო.

— ყველაფერი წაგვართვეს, რაც გვებადა. სახლიც, საქონელიც. ბოსელიც. ძლივ მახსოვს. აქა-იქ. მამაჩემიც დაიჭირეს. ბებია გვყავდა ერთი, ლოგინად ჩავარდნილი. სხვა არავინ. ამას რა ვუყოთო, — უკითხათ რევკომისთვის. გეიყვანეთ და ეგერ დადგით, ხის ძირში, თავის კრაოტიანადო, — გაუცინეს. დაბრუნებულა ჩემი უფროსი ძმა შინ. მალხაზი. თორმეტი წლის ყოფილა და კლასში დადიოდა უკვე. უნახია ბებია ხის ძირში გამოდგმული. მშრალად მოსთქვამდა თურმე. ცრემლი დალევია თვალში. მეც იქვე ვიყავი. ჭინჭებში გამოკრული, სველ ბალახში. რა იყო, ბებია, რატომ ხართ აქ, მამა სად არისო, უკითხია. ასეა და ასე, შვილო, მამა დეიჭირეს, წეიღეს ყველაფერი და სახლიც წაგვართვესო.

ერთი ამოუკვნესია თურმე ბავშვს. ვული გახეოქია და იქვე მომკვდარა.

სისხლიც წასკდომია პირიდან. სხვებმა მომიყვეს. მე არც კი მახსოვდა წესიერად...

თვითონა მოსწყურდა ძალიან.

— კომუნისტებმა შემქმნეს მე. ისეთი, როგორიც ვარ. მაგათ დაანგრიეს ყველაფერი და ააშენეს ეს ციხე. მაგათ უნდოდათ, ასეთი რომ ვყოფილიყავი. ხოდა, ვარ ასეთი და მომიყვანეს ახლა აქ და მტანჯავენ. ცალკე ესენი, ცალკე ისინი.

დაიწყო იმანაც, ბებიასავით. მშრალად.

— ვიცი მე, ჩემნაირი კაცი არ უნდა დაიარებოდეს ამქვეყნად. თქვენია ეს ცხოვრება და თქვენ უნდა ეჩუბოთ მათ. მამაჩემს შეეძლო და მალხაზსაც, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო და გასკდა. ვაი, რომ მე არ შემეძლო ეს. თავიდანვე გამაფუჭეს და იმიტომ. შენი ძმის მომრევი კაცი არაა ქვეყნად, მაგრამ ფრთხილად უნდა იყოს. ოხრები არიან მაგენი და მუდრეგები. ძალიან. მაგრამ მათი განკითხვის დღეც დადგება ჩქარა, როგორც ჩემი დადგა და ყველაფერს მოჰკითხავენ, როგორც მე... ძალიან ჩქარა...

სულ ჩაუწყდა ხმა, მაგრამ მაინც მოსთქვამდა.

— მე მეგონა, მალხაზისნაირები აღარ იბადებიან-თქვა. მაგრამ ყველას ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოსპობენ, მაგენი გადაშენდნენ... უკუდმა რამე არ მოსწიონ მაგასაც...

მოსთქვამდა და მოსთქვამდა გათენებამდე. უხმოდ და უცრემლოდ.

●

დილით უნდა წაეყვანათ გრიშა პაპა. არ უნდოდა ალბათ. ან სულერთი იყო უკვე. ამიტომ მკვდარი დახვდა „ნადზორს", თავის საწოლში.

გულმა ვერ გაუძლო ალბათ და გასკდა.

უნაყოფო ბალი

— პატიეცემული გრიშა, იქნებ დღეს მაინც მოხერხდეს ამანათის შეგზავნა?

უფროსმა დაბიკვინებული, ოფლიანი სახე პერანგის სახელოთი ჩამოიწმინდა და ღრმად დაამთქნარა.

— შენ კიდევ აქა ხარ, კაცო? ხომ გითხარი, ხვალ მოდი-მეთქი...

თან, ძველი ნაცნობივით გაუღიმა და კაბინეტის კარი შეაღო.

— ვიფიქრე, იქნებ დღესვე მოხერხდეს-მეთქი... მეშინია, ეს პროდუქტებიც არ გაფუჭდეს ხვალემდე...

მოუთითა იქვე, კუთხეში მიყუდებულ დიდ ხელნართაზე.

— კარგი. დამელოდე. რაღაც საკითხს გავარკვევ და მერე ვნახოთ.

მილიციის "შენობის ეზოში მანქანებს ინერებდნენ თანაშრომლები. ეზოს შუაში პატარა ოთხკუთხა გაზონი იყო, ჭადრის ხეებით. ყოველი მხრიდან ასფალტით შემოსაზღვრული.

მწვანედ იყვნენ შეწინწკლულნი მაშინ, ახლადფეკვებული ჭადრები.

— ამბობენ, პატიმრებს აქ დიდხანს არ აჩერებენ, ცოხეში მიჰყავთო....

ეზოდან ჭადრის ყვავილის ბუსუსები შემოჰქონდა უკვე ნიავს და ოთახში ფანტავდა.

— შენ პატიოსანი კაცი ხარ, ვიცი. ბიჭები გაგიზრდია ქვეყნის ამომგდებად. დანისტებად და ჩხუბისტებად. მაგრამ არაუშავს. გამოვასწორებთ. აბა, რას ვაკეთებთ აქ ჩვენ? პერედაჩი გინდათ შეუტანოთ? არ არიან ღირსი. მაგათ სად გავუშვებთ? აქ იქნებიან. გუშინ ოპერატიულ ღონისძიებაზე გავედით და ვერაფერი მოვასწარი. რახან ასე ვინდა, ჯანდაბას. დამელოდე... მასხარაშვილს დამიძახეთ-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრათ!

ეზოში ერთი მანქანა ცხელი ასფალტი შემოიტანეს მუშებმა. გაზონზე დაყარეს, მოასწორეს და დატკეპნეს. ალბათ მანქანები აღარ ეტეოდა და იმატომ.

— შენ კიდევ აქ ხარ? არ გადასცეს? ხოო.... პროკურორის სანქცია ყოფილა საჭირო. შუამდგომლობა სამსახურიდან. დღესვე დავურეკავ. აქ თუა, საერთოდ.

იზრდებოდა და ყვაოდა მილიცია. ახალი კორპუსიც მოაშენეს ბევრდიდან.

— გუშინ კი დაგიბარე, მაგრამ მე თვითონ ვერ მოვედი. ოპერღონისძიება გვქონდა. ეშუშაობთ, აბა რა გგონია. მარტო შენ კი არ მუშაობ. გაიგსო ქვეყანა ქურდებითა და ჯიბგირებით, სისხლი გაგვაშრეს პირდაპირ. მაგრამ არა უშავს, არც ჩვენ ვაყრით კარგ დღეს. გუშინ კი დავანგრიე ძვლებში ერთი. კარტისტი თუ ანაშისტი. რა ვიცი. კისერზე ჯვარი კი ჰქონდა ჩამოკონწიალებული და...

სიყვითლე შეეპარათ ჭადრებს. ქარის შებერვაზე სხვანაირად შრიალებდნენ უკვე ფოთლები.

— კი მაგრამ, პერედაჩი პერედაჩად, მაგრამ, ამხანაგო! ამდენ დროს რომ აცდენ, სამუშაოზე არ დადიხარ, ჩვენც ხელს გვიშლი, რას ნიშნავს ეს? ააა, დღეს შაბათია? მერე რა, რომ შაბათია. აი მე ხომ მოვედი და ვმუშაობ!

გაიზმორა, მაგრამ უცებ არ დაამთქნარა.

— მარტო მე ხომ არ უნდა ვიმუშაო? მაგ ყაჩაღებს კი აჭმევენ უფასოდ, ჩვენ ვიკითხოთ, ვინც აქ ვართ, ჩვენ!

გაბრუებული თავი მიატრიალ-მოატრიალა გრიშაევიჩმა ღაყლაკა კისერზე. კრეხსერივით. მერე თვალები მოიფშვნიტა და ბოლოს მაინც დაამთქნარა.

— ჰოოო... ამ პროკურორსაც რომ ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარ დავუკავშირდი.... ხომ იცი, ახლა პერედინი აკრძალულია. კანონს ხომ არ დავარღვევთ?.. მასხარაშვილს დამიძახეთ!

ისევ იზრდებოდა და ყვაოდა მალიცია, მანქანების სადგომსაც უმატებდნენ. გვერდებშემოგლეჯილი ხეები ასფალტში რჩებოდნენ. ამოჩრილებივით. და უმატებდნენ.

— პროკურორმა, დახასიათება მოიტანოსო და ცხობები. სამუშაო ადგილიდან და სოცუზრუნველყოფიდანო. საერთოდ, ეს საკითხი მაგისი გადასაწყვეტია. რას დამდგარხარ აქ და მელოდები? შენც კიდევ! ბოლოს და ბოლოს!..

ეზოში ხმელ ფოთლებს მიხვეტიადა უკვე მეეზოვე დიდი ცოცხით და კუთხეში აგროვებდა თივის ზვინივით. ქარი ყოველდამე შლიდა და ასფალტზე აფენდა. დილით მეეზოვე ისევ ერთად აგროვებდა. ზედ ძველ საბურავებს და ფანერის ნაჭრებს აყრიდა, რომ დაეშაგრებინა. მაგრამ ქარი მაინც შლიდა და ფანტავდა. მთელ ეზოში. ყვითელ ხალიჩასავით. ზოგჯერ წვიმა მოდიოდა და ფოთლებს ასფალტზე აწებებდა. მეეზოვეს უჭირდა შეგროვება, მაგრამ მაინც აგროვებდა და აგროვებდა. ყოველდღე. ქარიც სულ შლიდა და შლიდა. ყოველდამე.

ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ

წელში მოხრილი, მორთხმით ზის თავის „ᲨᲔᲜᲙᲐᲨᲘ“ ჩაშავებულ კედელზე ზურგით მაყრდნობელი და წერს. მუხლებზე დიდი საკანცელარიო რვეული აქვს გადაშლილი. რუხი ფერის უხეში ფურცლები. შეგადაშიგ კედლად ზურგზე შემოცოცებული მწერი თუ აწ-ყვეტინებს წერას მცირე ხნით. მეტი არაფერი. საკანში ლანდად დაბორიალობენ სხვა პატიმრები. ოცდაათამდე კაცი. უკვირს, რატომ არის ყველაფერი შავი აქ. საწოლიც შავი და თეთრეულიც შავი; ტანსაცმელიც ყველას შავი აცვია. სხვა ფერიც არის თითქოს, მაგრამ მაინც შავად ჩანს აქ.

გამუქული ხმაურია საკანში. ერთფეროვანი. დღე და ღამე. ზოგი რაღაცას ყვება ან ოხუნჯობს. ანეკდოტებს აქ არასდროს არ ამბობენ, მაგრამ იციან რაღაც „კამერნი ᲨᲣᲢᲙᲔᲑᲘ“. ვიღაც იგინება, რაღაცაზე გაბრაზებული. ზოგი იბანს — ცივი წყლით ავსებს ვედროებს და უცებ თავზე ისხამს, მერე ხელებს იტყაპუნებს სველ ტანზე და „ოჰოჰოო“ — გაიძახის. ვიღაც ტუბიკანი განუწყვეტლივ ახველებს ზედა „შკონკიდან“. ვიღაც ნახეკრად ღია ტუალეტზე ჩამჯდარა დაძაბული სახით და ყეყეჩივით იყურება აქეთ-იქით, თან წამდაუწუმ აპურჭყება. იქვე ვიწრო და გრძელ მაგიდას რამდენიმე პატიმარი მისხდომია და სადილიდან მოტოვებულ ცივ ბალანდას ხვრეპს კოვზების რაკრუკით. სხვები ოვითნაკეთი სპირალის გარშემო შემომსხდარან, ჩეფირს ხარშავენ და შავი პურის ნატეხებს ასუხარებენ თან. ვიღაც „შკონკაზე“ მიგდებული და ხმამაღალი ხვრნიანეს ამ ალიაქოთში. „ქესტუმ“! — ისმის წამდაუწუმ. კუთხეში ზარს აგორებს რამდენიმე კაცი. „ქესტუმ!“ — იძახის ისევ ის. „ქესტუმ!“ — ნერვებია ცარიელი. უაზრო. „ქესტუმ!“ უკვე ღრიალებს, თავშეუკავებლად. თვითონაც არ იცის, რატომ. „ქესტუმ!“ — ოდესმე ხომ უნდა მისცეს სხვასაც გაგორების საშუალება!

როდემდე?

ის ერთი კი განუწყვეტლივ ახველებს და ხელში მოჭუჭყნული ᲨᲣᲭᲧᲘᲐᲜᲘ ნაჭრით იწმენდს ტუჩებს. ისევ „ქესტუმ!“ და უცებ ფერფენდან მოისმის რკინის ურიკის ბორბლების რახრახი — „ბალანდა!“ სხვა ტონში გადდის უცებ ყველაფერი. ნაზ მელოდიასავით გაისმის ალუმინის ჯამებისა და კოვზების რაკუნი. ᲭᲣᲭᲧᲘᲐᲜᲘ, მაგრამ მაინც შედარებით თეთრი ჯამები ლიცლიცით ირეკლავენ პატარა სარკმლიდან შემოდწეულ დღის მკრთალ შუქს. რიგი დგება „კორმუშკასთან“. რიგი, რომელშიც, აქაური წესების მიხედვით, ყველამ თავისი ადგილი იცის წინასწარ.

ისევ წერს. თითები სტკივა დაღლი-

ლობისაგან. მთელი ძალით უჭერს ოვლიან ხელს პლასტმასის წვრილ, ელასტიკურ ღერის. გუშინ გაუთავდა ბოლო პასტა, ეს ერთი ღერი დარჩა, ოდნავ მსხვილია და ფუტლიარში არ ეტევა. მერე დგება და ზედა მკოსკაზე ადის. ადრევე აქვს შემჩნეული საიზოლაციო ლენტი. ჭერში გახლართულ ელექტროსადენებზე დახვეული.

ფრთხილად იწყებს მორღვევას.

— ეი, პრაფესორ! მორრი მანტიიროობას. ჩამო, ჩეფირი მოგიხარშეთ!

ეძახის ვიღაც ქვემდან. — ბალანდა აგიღო.

ფრთხილად მოძვრება ქვემოთ.

— არ მინდა, საწერი მაქვს...

პირში ჩეფირის საშინლად მწკლარტე გემოს გრძნობს და აურჟოლებს.

ოხშივარი ასდის ცხელ ფინჯანებს.

— ჩემი ამბავიც დაწერე რა, პრაფესორ. აი ის, მაშინ რომ გითხარი.

ვვერდით უჯდება ერთი, ჯმუხი, გაუპარსავი. ეჭვობს, წერა-კითხვა თუ იცის, საერთოდ.

— დავწერე უკვე, ძმაო, დავწერე...

უძალობისგან თვალები ეწვის. ჩეფირი აფხიზლებს ცოტა.

— შენ გაიხსენე კიდევ, რამე, რუსეთის ზონებზე და მომიყევი...

იზოლაციის ლენტს ახვევს პასტის ღერის, ცოტა რომ გამსხვილდეს და წერა შეძლოს.

აწუხებს ის, რაც ჯერ არ დაუწერია და რაც აუცილებლად უნდა დაწეროს. ღამე არ აძინებს. როცა შაგნიდან მოაწვება, წამოჯდება და წერს. მერე ისევ ჩათვლემს. რვეულს ბამბის ბალიშის ქვეშ ინახავს. უცებ რაღაც ახსენდება. აუცილებლად უნდა ჩაუმატოს ტექსტში. ერთ ადგილას. „ახლა დავიძინებ და მერე ჩავუმატებ“, — თავს იმშვიდებს. მაინც ვერ ისვენებს. ვაითუ დავიწყდეს... ისევ ცდილობს დაიძინოს. თავს ძალას ატანს. ამასობაში სულ ფხიზლდება და ასე ჭკნნია, არასდროს აღარ დაეძინება საერთოდ. დგება და წერას აგრძელებს. ცოტა ხანში თვალები ეხუჭება ისევ და — ასე, განუწყვეტლივ, ძილფხიზლში გადის დრო. საათები უთავბოლოდ ებმიან ერთმანეთს და წარსულისკენ ინაცვლებენ. საათებს დღეები მოსდევს ზანტად. აწმყო შემოდის ხვალდან, დღეკანდელობად იქცევა და გუშინისკენ წავა ნელ-ნელა. მომავალი კვირაც ეს კვირა გახდება და მერე გასულ კვირად გადაიქცევა. შემდეგ თვე გამოჩნდება. დინჯად, მონოტონურად და მაინც დრო გადის. საკნის უთავბოლო ზურზუტში. ჯავრით, წუხილით, ჩხუბით და გინებით. დრო მიდის თავისი გზით.

დრო მიდის.

დრო ისევ მიდის...

და ეს ისეთი საკვირველი და სასიხარულოა, როგორც ათი თვის ბავშვის პირველად გადადგმული ნაბიჯი.

„სვაბოდაზე“ ხომ ვერავინ ამჩნევს და არავის უკვირს, რომ დრო მიდის. ისე, როგორც არავის უკვირს, ხუთი მილიარდი ადამიანი ორ ფეხზე რომ დადის, ჩვეულებრივად.

დრო ისევ მიდის...

მაგრამ ბოლოს, როდესაც აუტანელი ხდება ეს ყველაფერი, როდესაც უკვე გაგიჭეს დროის ეს მდორე შემოდინება და ნინააღმდეგობის გაწევის უნარიც წაგართვა უძალობამ, როდესაც ბაღლინჯოს კბენაზეც აღარ რეაგირებ, ერთბაშად ხვდება, რომ ის საერთოდ არ არ სებობს! და თქვენ წარმოიდგინეთ, არც მოძრაობს! რადგან შენა ხარ ადამიანი და შენში ყოველთვის ერთდროულადაა წარსული, აწმყო და მომავალი. გაქეს მეხსიერება — წარსულის შესანახად. შეგრძნება — აწმყოს აღსაქმელად. გონება — მომავლის განსაჭვრეტად. უფრო მეტიც! შეგიძლია ოცნება, რომელიც „მომავალზე“ უფრო შორია, ხოლო გენებით სწვდება წარსულზე უფრო უძველეს ქარებს...

და ხარ ასე, ცაში გამოკიდებული. უდროოდ და სამუდამოდ. თითქოს არც ყოფილა არასდროს „სვაბოდა“ და ზიხარ აქ დაბადებიდან. ხის ნარზე წამოგორებულს შეგიძლია შორიდან დაჰხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო შენს სხეულს. მუხლებს, ტერფებს, ხელებს. დაკვირვებით. იცი, რომ ეპილეპსიის ოხელი, სიფრიფანა აპკი ფარავს მოდუნებულ კუნთებს. კუნთებს შიგნით ძვლებია, ხაოიანი ფულროებით, რომლებიც ყავისფერი მასითაა გამოტენილი. ცხიმის თეთრ-ყვითელი ფენებიც იქნება ალბათ, ჯერ კიდევ აქა-იქ შერჩენილი. ობობას ქსელივით ახლართებიან ერთმანეთში ათასნაირი სისხლძარღვები და კაპილარები, მთში კი ზანტად მოძრაობს წითელი წებოვანი სითხე. მის მსუყე გემოსაც კი გრძნობ პირში, როცა ძალიან მოგწყურდება. ყველფერი ეს კი რაღაც წვრილი ძაფებით შენთან მოდის და შენში შემოდის. არის შენი და ხარ შენ. და შენ თვითონ ხარ იმნაირი. მართალია, ამ წუთში სანშილად ზედმეტი და უსარგებლო, ისე ზედმეტი, რომ გაღიზიანებს. აი ისე, რაქე რომ გაქეს, რომ ვერც გადაგიგდია და თანაც არ იცი, სად შეინახო. ძალიან გაღიზიანებს. ყველფერი. ქავილი. ბალნის ძირებში მტკივნეული, წითელი ბუსუსები. დამსკდარი და დანოჭებული კანი. ოფლის წვრილი მბზინავი წინწკლები. სიცხე და სიცივეც. ძელების ტკივილი. გინდა ჩაარტყა რაღაც და ჩაამტვრიო ყველა. გინდა, რომ ივრძნო ნამდვილი ტკივილი. საღი. არა ასეთი, აქაური, არამედ ჩვეულებრივი, ადამიანური, ბავშვობიდანვე რომ იცნობ....

მაგრამ არა. აქ არ მოგცემენ იმის საშუალებას, რომ თავი ადამიანად ივრძნო. თუნდაც ტკივილისას. ცემითაც უცნაურად და არაადამიანურად გცემენ. გაკოჭილს პირაღმა გაწვენენ. ფეხებით სკამზე მიგაბამენ და ფეხსახსულებზე გირტყამენ რეზინის ხელკეტს. ერთი რომ იღლება, მეორე ენაცვლება, — ჯალათებს რა გამოლეს აქვეყნად. ჯერ ღრიალებ და ტირიხარ. მერე ჩუმდები. გეჩვენება, რომ გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე დგახარ ფეხშიშველა. მწველი ქარი გიკლის მთელ ტანში.. ბორგავ. იცი, რომ უნდა გაიქცე. გაეცალო. საცაა ალი მოგედება მთელ ტანზე. მაგრამ ისე ხარ შებოჭილი, ვერც კი ინძრეოდ. ყველაფერს მისცემ, რაც გაბადია. ყველაფერზე ხელს მოაწერ. ყველაფერს იტყვი, რაც იცი და რაც არ იცი, ოღონდ შეწყვიტონ! მაგრამ არა. თითქოს აღარც აინტერესებთ რამე ჯალათებს. თითქოს უკვე დაავიწყდათ, რატომ გცემენ და შენც მხოლოდ ამიტომ მოგიყვანეს აქ. სხვა არაფრისთვის. გცემენ და გცემენ. უანგარიშოდ.

მაგრამ ეგეც არაფერი. ცოტა ხანს ფეხზე ვეღარ დგახარ. ეს არის და ეს. საარული არც გჭირდება აქ, მაინცდამაინც. ტუალეტამდე კი მიგიყვანენ რიგორმე, ვინმეს დახმარებით. ერთ ჯამ ბალანდასაც მოგაწვდიან. წყალსაც. შენ აღარც გაინტერესებს უკვე. აღარც კი კითხულის, რომელი საათია. დღეა თუ ღამე. ზამთარია თუ ზაფხული. რა მნიშვნელობა აქვს, დრო არ არის მაინც. და აი, მაშინ, საბოლოოდ, როცა დარწმუნდები ამ არარაობაში, როცა აღარც კი გახსოვს — იმედი, ძალიან მოულოდნელად, საიდანღაც დაჰბერავს — თავისუფლების სიი! ჯერ ოდნავ საგრძნობდ და უღიმღამო. ისეთი, რომ ჯერ არც კი ჰქვია სიოს — სიო და, მითუმეტეს, თავისუფლებას — თავისუფლება. მაგრამ ერთიანად შეგანძრევს და შეგაზანზარებს მაინც. დროც აღდგება, ნელ-ნელა. ჯერ ოდნავ შესამჩნევად. მიტრიალ-მიტრიალდება. გაგრძნობინებს, რომ არსებობს. გაგაკვირვებს. და რაც უფრო მოახლოვდება ის წამი, როდესაც უნდა გადაბიჯო ვახტას და გარეთ გახვიდე, მით უფრო მკაფიოდ ივრძნობ, რომ ის მართლა გაცოცხლდა! თვე კვლავ დანაწევრდება დღეებად. დღე საათებად. შემდეგ უფრო სწრაფად და სწრაფად: საათი წუთებად, წამებად და თითოეული წამი კიდევ მეათასებად. და თითოეული მეათასედი მოიითხოვს თავისას! ყველანი სათითაოდ გადალაგდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე. აუცილებლად სათითაოდ! ზანტად და უგრძნობლად. ძალიან გამოკვეთილად. თითო მარცვალი თითო უროს ჩარტყმაა თოქოს. და რაც უფრო ახლოვდება ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამი, მეათესედები კიდევ ათასეულად იყოფიან და ყველანი თავისას ითხოვენ! დაუნდობლად და ძალიან გამოკვეთილად! და ასე, დაუსრულებელად. რაც უფრო ახლოვდება ის წამი!

მერე ვიღაც ხარხარებს დერეფანში. უხილავი. რეკვიერ გრიშასავით. ხარხარებს და ხარხარებს. ხარხარით ივსება ციხის ბნელი დერეფნები. კამერებიც. ხელებით ცდილობს ჩახშობას. ასაცსავებ და ყურებზე იჭერ. მაგრამ არა — გაგაჯერეენ კიდეც. მთელი ძალით...

როგორც იქნა, გაახილა თვალი შეშინებულმა.

— რა მოგივიდა, პროფესორ, გაღვიძე. ეა! — ჩაესმა შორიდან.

— რა ახლოვდებაო. რა წამიო. რა გადალაგებაო... რეკის მიედ-მიედება?

ოფლი მოიწმინდა სახიდან. თანდათან გაარჩია.

— მალხაზი ხვალ ეტაპით პალასატში მიჰყავთ. ციმბირში. კარანტინში გადაუყვანიათ უკვე...

თავბრუ ეხმოდა მაინც.

— ქსივა მოვიდა. სვაბოდიდან. მილიციის უფროსს უწალიჩია მაგრად. მაგის გამოსწორება არ იქნაბაო და...

ყველანი იქ იყვნენ, ვისაც კი სიარული შეეძლო.

— ეეეხ... გაძლება მისცეს ღმერთმა... ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა.

— ძალიან შეუპოვარია, და...

ნელ-ნელა მატრიალდნენ და თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ ისევ. გაახსენდა, პატარა, ლამაზი ბიჭი შინ რომ დაბრუნდა და შეებუნებულმა იკითხა, მამა სად არისო? გამხდარი. დიდი თვალები ჰქონდა და ცისფერი. მალხაზივით. ისედაც მეგრძნობიარე. ახლა სულ გაურკვეველი შიშით ავსებული. „სად არის?" — იკითხა და რაღაცნაირად იცოდა, ვეღარასოდეს რომ ვერ ნახავდა მამას. იცოდა. ისე, თითქოს უთხრა ვიღაცამ.

როგორ შეფრთხიალდა. შვილს ნუკრივით. ასეთი სუსტი. დაუსრულებელი. უმწეო სიცოცხლე...

ის კი, ზედა, შკონკიდან, ისევ ახველებდა და ახველებდა. დაუსრულებლად.

ხვა მისაფუძენი

„ამ დღეებში გაგვიყვანენ ალბათ. ჩემზე არც იფიქრო. თირკმლებიც აღარ მაწუხებს (სულ არა!). ცეზარას არ ენდო. მე მგონი, ეგეც იმათი კაცია. ქურდები რომ არ ყოფილიყვნენ, კომუნისტები გამოივნენდნენ. მაინც. საერთოდ, ჯობია შენთვის იყო. ამათ მეც ვეყოფი.

გავიგე, მამაჩვენი უწვალებია მაგრათ, იმ სატანას. ატყუებდა თურმე, აქ არიან, კაპეზეშიო და პერედრჩებით უტარებია მთელი ზაფხული. დედაც ვერ ყოფილა კარგად. მიწერე, გრიშასთან ნუდა მივა, თავს ნუ იმცირებს. მაინც არაფერს გაუკეთებს. ასე ხომ არ უნდა იყოს მთელი სიცოცხლე? აღარ მოსწყინდა? ვეღარ გაიგო, სად ცხოვრობს, რომელ ქვეყანაში?

რა ბედნიერი ვიქნებოდი, მაგათი ჯავრი რომ არ მქონდეს...

მისწერე, რომ არაფერი ცუდი არ გაუკეთებიათ მის ბიჭებს და არც არასდროს არ გააკეთებენ. სათხოვარი არავისთან არაფერი აქვს. მოვა დრო და ჩვენისთანებით იამაყებენ. იცოდეს.

შენ, ეცადე ნურავისთან ნუ გაამწვავებ. მე მგონი, ჩქარა გაგიშვებენ. რაღაში სჭირდებათ შენი აქ ყოფნა?

ახლა მისმინე. რაც არ უნდა მოხდეს, შურისძიებაზე არც იფიქრო. მე მათ უკვე გამოვუტანე განაჩენი ჩემს გულში. არავის არაფერი არ შერჩება. არც ჩვენი ოჯახის გამწარება. შენ მშვიდად იყავი. გული მიერძნობს, მაგათი საქმე ისედაც წასულია. ერთს გაიფართხალებენ კიდევ და მორჩა. ახლა მთავარია ჩვენ გადავრჩეთ. შენ შენი ბზა გაქვს, უფრო მნიშვნელოვანი. დამიჯერე, ასე აჯობებს.

მოკითხვა ყველას, როცა ნახავ.

ეს მე ვარ, მალხაზი!"

ნაბიჯი არარსებობაში

გავიდა წლები და იმ დღეს რუსთაველზე დაეხეტებოდა.უსაქმოდ. რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიღაც სამინისტროში იყო შესასვლელი და ფეხს ითრევდა. არ უყვარდა ასეთ ადგილებში საარული. ყველგან ნიღბები. სახაზინო ღიმილი. ზაფხული იყო და ცხელოდა. „ფანტანთან“ წყალი დალია. იქვე, ტროტუარზე ჰატარა მაგიდები გამოედგათ და წიგნებით ვაჭრობდნენ. ყველაფერში დაეჭვებული გამვლელები მაინცდამაინც არც აქცევდნენ ყურადღებას. იქნებ აღარც წიგნები უნდა ვიკითხოთო? — ეწერათ გულგრილ სახეებზე და მიიჩქარ-მოიჩქარ-დნენ.

ლამაზი გოგონა შეჩერდა მაგიდასთან. თეთრი, ფერიასავით.

— დედა! მოდი რა, ახალი წიგნები ვნახოთ?..

ისიც მოტრიალდა. ძვირფას სამოსელში გამოწყობილი. მაღალი წრის ქალბატონი.

— არის რაიმე, კარგი, შვილო?

წიგნებს გადაავლო თვალი, ცნობილ ავტორებს ეძებდა ალბათ. შესაფერის.

კვლავ გადაულაპარაკეს რაღაც ერთმანეთს. წამით იმანაც შემოჰხედა. თამამად. კაცი არ დაუნახავს, ისე. დაანტერესა. თვითონაც არ იცის, რატომ. უცნაურად ჰაერივანი იყო და თითქოს ცოტა გაურკვეველიც. შეეცადა დაეფარა, ქალი რომ იგრძნო და მშვიდად მიუახლოვდა. ანგარაშმიუცემლად. მაგიდის კუთხეში გამოფენილ თავის ერთ-ერთ წიგნს დაადო ხელი, ახლახანს გამოცემულს.

— ეს იყიდეთ, ქალბატონო. ამბობენ, ძალიან საინტერესოაო!

გაიღიმა.

— მართლა? ვისი დაწერილია?

შინაურულად ჰკითხა. ცოტა დაეჭვებულმა. რადგან ავტორი მისთვის უცნობი იყო.

— თქვენ წაკითხული გაქვთ?

უცებ იგრძნო, რაღაცნაირად, რომ დიდი ხანია იცნობდა მათ. ისე, რომ არც ენახათ ერთმანეთი არასდროს და გაურკვეველი მოლოდინის ბურუსში გაეხვია.

მერეც, როცა ეს ახსენებოდა, ყოველთვის უკვირდა ამ პირველი წამის.

როგორ?

— დიახ, ჯერ კიდევ ხელნაწერში!

კიდევ კარგი, წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული.

— თქვენ მართლა ის ხართ?!

არც კი ცდილან დაეფარათ.

—აუცილებლად წავიკითხავთ!

— რა საინტერესო იქნება თქვენთან საუბარი!

ერთმანეთს აღარ აცდიდნენ უკვე.

— ძალიან სასიამოვნოა ყველენი გაცნობა. იქნებ სტუმრად მობრძანდეთ ჩვენთან, თუ დროს მოძებნით?

ცხოვრება უცნაურია და საკვირველი. ერთი შეხედვით. თორემ ისე, ყველაფერი მარტივია და ჩვეულებრივი...

ხშირად ისხდნენ საღამოობით ხალიჩებითა და ჩინური გობელენებით გაწყობილ მდიდრულ საცხოვრისში და ყავას შეექცეოდნენ. საუბრობდნენ. ხან პასიანსს შლიდნენ, ან მუსიკას უსმენდნენ. ქალბატონმა დარეჯანმა მშვენიერი მკითხაობა იცოდა. ნატაშაც კარგად იხედებოდა ყავაში. მანამდე ეზოც დაათვალიერებინეს.

— ეს ჩემი გრიგოლის დარგულია. თვითონ უვლიდა...

ქალაქის ცენტრში თუ ვინმეს ამხელა საკუთარი ეზო და ბაღი ექნებოდა, ოთხი გარაჟით, ადრე ვერც წარმოიდგენდა.

— ეს მაგიდა მამაჩემმა გააკეთა თავისი ხელით...

ნატაშა ძვირფასი ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

— ესეც თვითონ დაბეტონა. სულ ვეჩხუბებოდი, ნუ ეწევი ამ სიმძიმეებს, ნუ-მეთქი...

ხმა უწყდებოდა ქალბატონ დარეჯანს.

— უცნაური კაცი იყო ჩემი გრიგოლი. ძალიან უცნაური და ღვთისნიერი...

ერთხელ სარდაფშიც ჩაიყვანეს.

— ათას რამეს ჩუქნიდნენ გრიგოლს. ხან ვინ, ხან ვინ. თვითონაც უყვარდა ყიდვა, საწყალს...

ცეკავშირის საწყობში ეგონა თავი. ჭერამდე აელაგებინათ ათასნაირი უც-

ხოური შამპანურის, კონიაკისა და სამარკო ღვინოების მძიმე ყუთები. თაროები გაჭედილი იყო ფერად-ფერადი მატერიის თოფებით, კონსერვების, მურაბებისა და მარინადების ლამაზიარლეყიანი ქილებით. ერთ კუთხეში ფქვილის, ბრინჯის, ბურღულისა და შაქრის ფხვნილით გატენილი ტომრები დაეზვავებინათ. შუაში კი თავდახურული ხის დიდი კასრები იყო ჩამწკრივებული.

— ამაში ყველია. ზოგში დამარილებული თევზი და ლორი... აქ სხვადასხვანაირი თაფლი. აქ წვენები. ორცხობილა და კამფეტები...

ერთი მოზრდილი ოთახის კარი შეაღეს კიდევ.

— აქ სარეცხი ფხვნილი და საპონია სულ. ეს კი ფირმა სიგარეტებია, მუყაოს დიდ ყუთებში. ჩვენ არ ვეწევით არც ერთი და გვაქვს ასე, რას ვიზამთ...

შემდეგ კიდევ ქვემოთ ჩავიდნენ, ერთი სართულით.

— ძალიან უყვარდა გრიგოლს რაღაცების გაჩუქება. სულ ვეჩხუბებოდით. ყველას ყველფერს ჩუქნიდა. თავისთვის ვერ იმეტებდა ვერაფერს, საცოდავი. ათასი ამდენი გაჩუქებული ექნება. ეს რაც შემთხვევით გადარჩა, ან არავინ არ წაიღო...

ამ სართულზე სულ ჭურჭელი, ტყავეული და ხალიჩები ეწყო, განიერი თაროები აქაც კონსერვებითა და სხვადასხვა ფერის ქილებით იყო გამოტენილი. მერე მხარეს უცხოური წარმოების ჩაის, ყავისა და კაკაოს ფხვნილები უჭანგავი ლითონის ვებერთელა ჰერმეტულ ცისტერნებში.

ზაფხული მიილია. საღამოები დაგრძელდნენ და აგრილდნენ. თავისუფალ დროს თითქმის სულ მათთან ატარებდა. ტელევიზორს ერთად უყურებდნენ. ყავას სვამდნენ და ხილს შეექცეოდნენ. მერე ქალბატონი დარეჯანი და ნატაშა ერთმანეთის ჭიქებში იხედებოდნენ და მომავალს სწვრეტდნენ. დაბეჯითებით.

— ასი ენ-ი ამოვიედა. ნეტა ვინ არის „ნ“? ახალ ამბავს ვებულობ, კარგს... აგერ შავებში ჩაცმული ვიღაც მოდის და რაღაცა მოაქვს...

მერე მაინც ნაღელი შემოაწვებოდათ.

— სამი წელია, მის დანატოვარს ვჭამთ და ვსვამთ. ჯერ არაფერი ეტყობა.

მოსიყვარულე მამა იყო გრიგოლი. ჩვენს მეტი არავინ ახსოვდა. რესტორანში ისე არ დაჯდებოდა საქეიფოდ, რაც ჩვენ გვიყვარდა, რომ არ გამოეგზავნა. ან მანქანას გამოუშვებდა და ჩვენც თან მივყავდით. ერთი წუთით ვერ ძლებდა უჩვენოდ...

ნატაშა ზოგჯერ უკვე გრძნობდა კაცს და თითქოს თავის მოწონებასაც ცდილობდა.

— ახლა გავიგე, რა ყოფილა ადამიანი. ადრე თან გვყვებოდნენ ყველანი. აი, თუნდაც, გამომძიებელი მასხარაშვილი. ჩემი გრიგოლი სულ ამბობდა, მაგას გრიგოლი კი არა, გრიქული უნდა ერქვასო. მართალი ყოფილა. საერთოდ, ყველა თავისი სეზნია უყვარდა. მასხარაშვილს კი ყოველთვის დასცინოდა და ახი ყოფილა!..

— ახი, ჩვენში დარჩეს და არც გვჭირდება არავინ. უმაგათოდაც კარგად ვგრძნობთ თავს, არაფერი გვაკლია...

— შურთ ჩვენი ბედნიერება, არა დარეჯან?

სავარძელში ქანაობდნენ, ნებიერად.

— შემოველოს დედა. ზოგჯერ სახელით მომმართავს, ტოლივით. გვერდიდან არ ვიცილებდი ბავშვობიდანვე. როგორ უცემ გაიზარდა...

გვიან ღამით ბრუნდებოდა უკან. ჭიშკრამდე აცილებდნენ. იქ კიდევ დიდხანს იდგნენ და საუბრობდნენ, ლამპიონის თეთრ შუქში გახვეულნი. ეზოში ხმელ ფოთლებს მოხვეტავდა გამომშრალი ქარი და ფეხებზე აყრიდათ. თხოვდნენ, კიდევ მისულიყო ვახშმად. საერთოდ, ხშირად ველო მათთან. ოღონდ საღამოობით. დილით გვიან ეღვიძებდნენ. ნაშუადღევს დგებოდნენ ლოგინიდან. ისაუზმებდნენ და ჩაცმას იწყებდნენ. სვენებსვენებით. თან ნანახ სიზმრებს უყვებოდნენ ერთმანეთს. საღამოს უკვე ფორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იყვნენ, შეიძლება ვინმეს სწვეოდნენ. ან „ბეეშვეთი“ სეირნობდნენ, ან რომელიმე ცნობილ მკითხავთან შეიკრებოდნენ, უფრო ხშირად კი სახლში ისხდნენ და თვითონ მკითხაობდნენ. ხან ვინმე დარეკავდა ბოლოს და ბოლოს. შორეული ნათესავი ან ძველი ნაცნობი. საათობით ესაუბრებოდნენ. რიგრიგობით. ზოგჯერ მაღაზიებიდან სანოვაგე მოჰქონდათ. რაც მოენატრებოდათ და საფილს აკეთებდნენ. ან ნამცხვარს აცხობდნენ. განსაკუთრებით მაშინ თხოვდნენ ხოლმე, მისულიყო და მათი ნახელავი ეგემნა.

— სულ ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, ერთხელ თქვენც მოგვეყვეთო რამე საკუთარ თავზე?.. — თხოვდნენ ზოგჯერ. სხვათაშორის.

— თუმცა, თქვენ ცნობილი პიროვნება ხართ. ისედაც ყველა გიცნობთ...

და, ისევ თავისას აგრძელებდნენ.

— არაფერი ჩვენ არ გვაკლია ცხოვრებაში. ბედნიერებაც ესაა ალბათ, თუ არსებობს სადმე. აი, ერთი ნატაშა გათხოვდებოდეს კარგად, მეტი არაფერი გვინდა... — ეტყოდა ხოლმე ქალბატონი დარეჯანი.

— კარგი რა, დარეჯან, ძლიან დაელაგდით მამაჩემის სიკვდილის შემდეგ. რა დროს გათხოვებაა... აი, საზღვარგარეთ გათხოვებაზე კიდევ შეიძლება იფიქროს კაცმა... — გაინაზებოდა ნატაშა.

— ეგა მაქვს მხედველობაში, ვენაცვალოს დედა, თორემ აბა აქ ვინ არის, ვის უნდა გაჰყვე?..

ერთხელ, როგორღაც, სამუშაოზე მოწყობა შესთავაზა. ათას ვინმეს ვიცნობ. იქნებ თქვენც გსურთ, სადმე, კარგ ადგილას დაგაწყებინოთ მუშაობა, თან ცოტა გულსაც გადაყოლებთო. ხუმრობა ეკონათ და დიდხანს იცინეს. მერეც იგონებდნენ ხშირად და იცინოდნენ.

— დმერთმა ნუ გაგვიჭირვოს ასე... — პირჯვარის წერით დაყოლებდა ხოლმე ქალბატონი დარეჯანი.

— ბიჭი არ გვყოლია, მაგრამ ნატაშას მაინც იურიდიული დამთავრებინა. იმიტომ კი არა, რომ სადმე ემუშავა. სამაგისო რა გვჭირს. უბრალოდ. ასე უნდოდა...

ზამთარი მოახლოვდა. დღე სულ დამოკლდა. როცა იღვიძებდნენ, თითქმის უკვე დაღამებული იყო, როცა იძინებდნენ, ჯერ კიდევ არ იყო გათენებული.

ისევ დადიოდა მათთან სტუმრად. თითქმის ყოველ საღამოს და გვიანობამდე რჩებოდა. გამომშვიდობებისას ისევ ეხვეწებოდნენ, როგორმე მოეცალა და კიდევ შემოვლო ვახშმად. ისევ ყავას სვამდნენ და კარტს შლიდნენ, გაუთავებლად. ბედნიერ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ერთმანეთს და ისედაც ძალიან ბედნიერად გრძნობდნენ თავს.

ზოგჯერ, როცა მისვლას ვერ მოახერხებდა, ტელეფონით რეკავდა. ბოლო დროს ყურმილს აღარ იღებდნენ საერთოდ. ნაცნობ-მეგობრები გვაწუხებენ უსაგნო საუბრებითო. ამიტომ შეთანხმდნენ, ზარის ათჯერ გასვლის შემდეგ უნდა ეპასუხათ მხოლოდ. ხხვები, ბუნებრივია, ამდენს არ ელოდებოდნენ. დიდხანს საუბრობდნენ. ყვებოდნენ ძველს და ახალს. უფრო ხშირად ძველს, რადგან ახალი ცოტა რამ ხდებოდა. იმდენ ხანს ეჭირა ყურმილი, სანამ ხელი არ ჩამოუვარდებოდა დაღლილობისაგან. მეორე მხარეს კი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნატაშა და ქალბატონი დარეჯანი.

ბოლოს ვიღაც თავხედმა მაინც მოახერხა დაკავშირება. ნატაშა ენახა სადღაც და მოსწონებოდა. მერე კიდევ ვიღაცამ გაიგო მათი ეშმაკობა. ამიტომ სულ გამოთიშეს ტელეფონი. აზრი აღარ ჰქონდა უკვე.

— რეკონ ახლა, რამდენიც უნდათ. შეგვიწუხეს გული... შურთ ჩვენი და არ იცათ, როგორ გვიკბინონ და გავკამწარონ... რა იმისი შესაფერისია ნატაშა. ჭკუა ხომ არა აქვს და არა აქვს, მაგრამ სარკე მაინც აღარ აქვს სახლში, შიგ რომ ჩაიხედოს? — ბუზღუნებდა ქალბატონი დარეჯანი.

— იშოვეს ორი კაპიკი და უკვირთ.

დოლარების ზღვა იდგა ჩვენს სახლში. მაშინ, როცა ვალიუტჩიკობაზე აჭერდნენ სხვებს... ხოდა, მოუნდათ ახლა ნატაშა... ვერ მიართვეს!

აცივდა. ყველა მოწყენილი და მოღუშული დადიოდა თითქოს ქალაქში. თვითონაც გაუფუჭა ხასიათი გაუთავებელმა წვიმამ და თოვლჭყაპამ. სამუშაოც ბევრი ჰქონდა. ძალიან მნიშვნელოვანი. ამატომაც ხშირად ვეღარ ახერხებდა მეგობრებთან სტუმრობას. სწყინდათ და ცოტა ებუტებოდნენ კიდეც. ეკითხებოდნენ, ნეტა როდის იქნება, შენი ნიჭისა და მონდომების წყალობით, მიაღწევ ისეთ მდგომარეობას, როცა თავს ბოლომდე ბედნიერად და უზრუნველად იგრძნობო. მაგალითად, ისე, როგორც ჩვენო. როცა არ იქნება აუცილებელი დილით ადრე ადგომა, მთელი დღე აქეთ-იქით სირბილი და ნერვების შლა. ჩვენ ღმერთმა გვარგუნა ბედნიერება, ჩვენი გრიგოლის წყალობით... ღმერთო, ღმერთო, რა კაცი იყო, რა ღვთის მოშიში... იმდენი სანთლები დაგვიტოვა, არც გეჭირდება ეკლესიაში საარული... ხატები, სულ ოქრის ჩარჩოებში ჩასმული... აბა, მართლა იმ გაიძვერა მღვდლებს ხომ არ ვეტყვით აღსარებას? აქაც კარგად ვილოცებდით, რომ გვინდოდეს. ჩვენზე მეტი რამე აქვთ ეკლესიაში, თუ რა?.

ძველი ნაიარვევები თითქმის აღარ ეტყობოდა თვალის ქუთუთოზე და მაჯებზე, მაგრამ მაინც აწუხებდა ხოლმე. რაღაცნაირად.

იშვიათად, როცა ეწვეოდა, არაბულ ტახტზე ჩამოაჯექნდენ, ოთახის შუაში. აქეთ-იქიდან მოუსხდებოდნენ და ცდილობდნენ მხოლოდ თვითონ ელაპარაკათ.

— რა საშინელ რამეებს წერთ პატიმრებზე, ციხეებზე და კომუნისტებზე. ვეღარც კი ეკითხულობი. უკვე ცუდად ვხდებით ხოლმე. რა კარგადაა დაწერილი... ასე გვგონია, თქვენ თვითონ ნახეთ ეს ყველაფერი და თვითონ განიცადეთ...

— ნეტა, მართლა ასე ხდებოდა თუ მწერლები და პოლიტიკოსები იგონებენ?.

— ნუთუ მართლა არსებობენ ამისთანა ბორიტი ადამიანები? — არ ეშვებოდა ნატაშა.

— დაანებე, შეილო, თავი. ნიჭიერი კაცია და იმატომ. ფანტაზია აქვს. ყველას კი არ შეუძლია ეს! — უხსნიდა ქალბატონი დარეჯანი.

ბეჭებზე ჩამქრალ სიგარეტებს კი აშკარად გრძნობდა ხოლმე, მაგრამ ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა.

— რა მაგის პასუხია და ნატაშას ქორწილში თამადა თქვენ უნდა იყოთ. აი, ამ ყანწებით უნდა სვათ ღვინო... გრიგოლს გამოუგზავნეს სვანეთიდან. სულ სისხლიანი იყო. ყარდა!.. ყარდა!..

გახსენებაზე, ცხვირსახიცი ამოიღო და ნაზად მიიფარა ნესტოებზე.

—გრიგოლმა გაასუფთავებინა და ვერცხლით მოაჭედინა. ნატაშას ქორწილში თამადას უნდა ვაჩუქოო, ამბობდა...

მართლა მშვენიერი და ფერმკრთალი იყო ნატაშა. ფერიასავით.

— კარგი რა, დარეჯან, რა დროს ქორწილია, ისედაც კარგად ვგრძნობ თავს. თანაც, ხომ იცი, ჩემი ქორწილი საზღვარგარეთ რომ იქნება? დავავიწყდა, რა ამომავდა გუშინ ყავაში? ვის რაში სჭირდება იქ შენი ყანწები?

შემდეგ ქალბატონი დარეჯანი ისევ დანაღვლიანდებოდა.

— როგორი კაცმოყვარე იყო გრიგოლი, რამდენი პატივი აქვს ნაცემი სხვისთვის. აი, თუნდაც, მასხარაშვილისთვის. როგორ გაბედა, მაგ გრიქულამ, მაგან. მიყვარხარო, კინალამ შეაცდინა გოგო...

ნატაშას გადაუსვა თავზე ხელი.

— ეს უნდა გაეკეთებინა ჩვენთვის? — დანანებით აქნევდა თავს

— ამიტომაც აერია ცხოვრება. ერთი ცოლი გაექცა და მეორემაც საყვარელი გაიჩინა. ის ბავშვიც, თავისია თუ სხვისი, ვეღარ გაუგია... რაღაცას კი ჭორაობდნენ ადრე, მაგრამ გრიგოლი რა შუაში იყო? თვითონ აძალებდა თურმე თა-

ვის ცოლს. დაწინაურება ხდომებია და იმიტომ, გრიგოლსაც რა ენადგებოდა? ერთი ვარსკვლავი კი მიაკერა ბოლოს და...

ერთხელ, მდიდრულ გარნიტურიან საწოლ ოთახში გავიდნენ ლაპარაკ-ლაპარაკით.

— აი, ამ ტახტზე იწვა გრიგოლი. ბოლო ექვს თვეს ლოგინად იყო ჩავარდნილი. ძალში სულ ყვიროდა საცოდავი. რაღაცები ელანდებოდა ალბათ... სულ აქ ეუფექით. თავთით. არსად არ გვიშვებდა. რაღაცის ეშინოდა. ბოლოს ისე შეშალა, ჩვენც ვეღარ გვცნობდა საცოდავი. ყვიროდა და ღრიალებდა სულ...

ტახტს შემოუარა. ისე დასცქეროდა, თითქოს ახლაც იქ წოლილიყო გრიგოლ გრიგოლიჩი, პაგონებიანად.

— ისე არ უნდოდა სიკვდილი... ისე ეშინოდა... ახლაც თვალწინ მიდგას მისი ჩასისხლიანებული თვალები...

ზოგჯერ, როცა ქალბატონი დარეჯანი რაღაცას საქმიანობდა, მარტო რჩებოდა ნატაშასთან. ასეთ დროს ნატაშაც უფრო ხშირად გრძნობდა კაცს, მაგრამ მალევე ეკარგებოდა. პერიოდულად, საკუთარი ცაკლეთით. თითქოს რაღაც უნილავი უშლიდა ხელს. გასაქანს არ აძლევდა. ჩანასახშივე.

— შემოგვევლის დედა, წამოწექი, დაისვენე. დღეს გადაიღალე უკვე. ისეთი ამინდია მაინც...

მერე ისევ აცილებდნენ და დიდხანს ემშვიდობებოდნენ.

— ხვალ შაბათია. ალბათ ვერ მოხვალთ. ვიცით, რომ შაბათობით სადღაც დადიხართ და დრო არა გაქვთ. არც კი გვეუბნებით, სად... — საყვედურობდა ქალბატონი დარეჯანი.

— ისე, ამ ბოლო დროს სულ გამოვითიშეთ, ვეღარც ტელევიზორს ვუყურებთ — რაღაც სასულელებს გადმოსცემენ. იქაც, კიდევ. გუშინწინ კი ჩავრთეთ ჩვენი „პანასონიკი“. ოცი წუთით. მაგრამ ვეღარ გავუძელით და გამოვრთეთ...

დღე სულ დამოკლდა. ყველაფრის ხასიათი დაიკარგა თითქოს. საღამოობითაც არავისთან აღარ დადიოდნენ სტუმრად და არც არავის იღებდნენ. მკითხავთან გასვლაც ეზარებოდათ და ლოგინიდანაც აღარ დგებოდნენ საერთოდ. გვიან ღამით თუ წამოიზლაზნებოდა რომელიმე. ყავას მოხარშავდა და ისევ მიწვებოდა. ფინჯნებსაც იქვე ატრიალებდნენ. ლოგინში. ყველაფერს გებულობდნენ უცებ და ისევ ტკბილად მიძინებდნენ.

მერე სულ დაბნელდა და ჩამოიქუფრა. ქუჩაში დარჩენილ გაყინულ მანქანებს სულ ათოვდა და ათოვდა. გადაუღებლად. თოვლის ციმა გროვებმა დაფარეს მთელი ქალაქი. აღარაფერი ჩანდა. ხეებმაც თითქოს თეთრი ფოთლები დაისხეს. ყინვის.

— ჩვენ რა, მთელი წელი რომ ითოვოს, საჭმელ-სასმელიც გვექნება და სითბოც. სხვებმა იკითხონ, თორემ... — ქალბატონი დარეჯანი ცდილობდა არ დაეძნარებინა, და თვალებს იფშვნეტდა.

— ისე, ამ ბოლო ხანს სულ გვეძინება და გვეძინება. არ ვიცი, რა დაგვემართა. გვეძინება და გვეძინება... მაგრამ, რაღაც, ისე ვერ მძინავს, როგორც მინდა. გემრიელად. ეეხ, არა უშავს. მთავარია კარგად ვიყოთ. აი, ნატაშა გათხოვდება და მერე, ერთი კარგად უნდა გამოვიძინო...

ბოლოს, მაინც დაამთქნარა.

ნატაშაც აჰყვა. ფშტვენით. ნებიერად. მთქნარება გადამდებია, საერთოდ.

ᲭᲘᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲝᲚᲔᲑᲘ

როგორც იქნა მიიწურა მეხუთე შვიდეული და დაუჯდომლის შაბათიც გათენდა. ცისფრად. შვიდგზის ჩამორეკეს სიონის წმინდა ზარებმა და ლოცვად მოუხმეს მორწმუნეთ. თვითონაც გარეთ გამოვდა და აღმართს შეუყვა. ფეხები ეფლობოდა უკვალავ თოვლში, ციოდა უკაცრიელ ქუჩაში, მაგრამ უკვე გრძნობდა ხასხასა ბალახს თოვლის ქვეშ. კვირტებიც ძალუმად აწვებოდნენ გაყი-

ნულ ტოტებს შიგნიდან და სახლში რა გააჩერებდა?

სიარულში გახურდა. ღილის სუსხმა გამოაფხიზლა. გონებაც დაეწმინდა. უცნაური ნათელით გაბრწყინდა ირგვლივ ყველაფერი. თითქოს პირველად გათენდაო დღეს, და ტაძარიც გამოჩნდა.

კართან მძინარე მათხოვარს ჩაუგდო ფული კალთაში. იმდენი, რამდენიც ჰქონდა. პირჯვარი გადაიწერა და მოწიწებით შეაბიჯა. ხელჯოხი კუთხეში მიაყუდა. იქვე. ჯიბიდან წყვილი თაფლის სანთელი ამოიღო და კოჭლობით მიეახლა მაცხოვრის წმინდა ხატს.

ჯერ ერთი სანთელი აანთო. ფრთხილად. შანდალზე დაამაგრა. გაუჭირდა ცალი ფეხით დაჩოქება. მეორე არ ემორჩილებოდა საერთოდ. ხელი შეაშველა. მექანიკურად მოხარა და როგორც იქნა, ჩაიმუხლა.

ცოტა ხანს ასე იყო გარინდული. ყურს უგდებდა ტაძრის მყუდროებას. სადღაც, კუთხეში, შავკაბიანი მორჩილი ნახევრადდამწვარ სანთლებს აგროვებდა. ნაღვენთებსაც აცლიდა იქროსფერ შანდლებს და პატარა მუყაოს ყუთში ყრიდა. მეტი არაფერი.

დაიღალა. წინ გადაიხარა და თვითრი მარმარაილოს იატაკს დაეყრდნო ხელებით.

„განუსვენე, ქრისტე ღმერთო, სულთა გარდაცვალებულთა მონათა შენთა: მშობელთა ჩემთა და ძმასა ჩემსა...“

მუხლისთავი ეტკინა. ცოტა შეიძრა და ადგილი მოუნაცვლა.

მორჩილი ახლა იატაკიდან ფხეკდა სანთლის წვეთებს. ძალიან მონდომებით. ძველი, გატეხილი დანის პირით. ერთად აგროვებდა და მათაც იმ ყუთში ყრიდა.

„განუსვენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა“...

წამოდგა. წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა ცალ ფეხზე. შანდალთან მივიდა მაინც. მეორე სანთელიც აანთო და ისევ დაიჩოქა.

„მერმეცა, აცხოვნე, უფალო და შეიწყალე, მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი...“

მორჩილს შეგროვებული სანთლის ნარჩენები თავის კელიაში მიჰქონდა ყოველ დილით და იქ დიდ ტომარაში ყრიდა. შემდეგ მათგან ისევ სანთლებს ასხამდნენ.

„ხოლო მე, უფალო, მონასა შენსა, მომმადლე სული სიწმინდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა და მომანიჭე მე განცდა ჩემთა ცოდვათა და არა ნიჭი განმკითხვად სხვათა...

რამეთუ, შენი არს მეუფება, ძალი და დიდება აწ და მარადის და უკუნეთი უკუნისამდე.

ამინ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო გოგიშვილი

მერე რა

მერე რა, რომ გული ისევ მტკივა,
მერე რა, რომ თვალში სევდა ცრის,
მერე რა, რომ ხეს ფოთლები სცვივა,
მერე რა, რომ უშენობა მჭირს...

წვიმასავით გადაიღებს დარდი,
ყინულივით ჩამოდნება წყენა,
თუკი გუშინ მოღრუბულ ცას ვგავდი,
ხვალ ნიავქარს ვემსგავსები, მჯერა.

მერე რა, რომ დღეს მთელი დღე
ბარდნის,
მერე რა, რომ მწყრალად გავცქერ
ზეცას,
მერე რა, რომ დრო ლოდინში გარბის,
მერე რა, რომ ზოგჯერ ეჭვიც
მკენწლავს —

წვიმასავით გადაიღებს დარდი,
ყინულივით ჩამოდნება წყენა,
თუკი გუშინ გაბუტულ ცას ვგავდი,
ხვალ ნიავქარს ვემსგავსები, მჯერა.

მერე რა, რომ გული ისევ მტკივა,
მერე რა, რომ თვალში სევდა ცრის...

დარდის ხროვა

მათხოვარის კაბასავით
ჩამოძონძილ ზეცას უმზერ,
მგელშესეულ ფარასავით
სევდამოგაბლავლა გულზე,

ჯარასავით დატრიალდა
თვალში დედამწა უცებ,
ტკივილები განგიახლდა,
მათ სიმრავლეს ვეღარ უძლებ,

ვეღარ უძლებ ჭირსა შიგან,
ლაჟვარდისფერს ვეღარ იხდენ,
გაწბილებულს ყოველმხრიდან
ვარსკვლავებიც გადგიდგნენ;

წვიმით დაკაწრული ღამე
სიდუხჭირის აკვანს გირწევს,
სატკივარი ვერ დამალე —
მტერი ნასუფრალზე გიწვევს.

მათხოვარის კაბასავით
ჩამოკონკილ ზეცას უმზერ,
მგელშესეულ ფარასავით
დარდის ხროვას ვეღარ უძლებ.

სად არის ნეტავ

სიმღერით ვცდილობ შიშის განდევნას,
შიშს ხვალინდელი დღის,
მომქრალ სურვილთა მკვდრეთით
აღდგენა
კვლავ უსაშველოდ მღლის.

დღესა და ღამეს შუა მავალი
ობლის ცრემლივით ვორთი,
საწუთრო — ავი დედინაცვალი —
ტანჯვით კვლავ თვალებს მთხრის...

ვარ განძარცვული წმინდა ტაძარი,
თავშესაფარი მწირთ,
საჩემო მრევლი ნეტავ საღ არის,
თვალი მევსება მტკრით...

სული ვერაფრით ვერ დავაპურე,
ყველგან სუნი მცემს მკვდრის...

ვერსად ვერ ვპოვე საჩემო ყურე,
მესმის ქირქილი მტრის.

სიმღერით ვცდილობ შიშის განდევნას,
შიშის ხვალინდელი დღის,
მიმქრალ სურვილთა მკვდრეთით
აღდგენა
კვლავ უსაშველოდ მღლის.

საღამოს დამლევს

გავებუტები ცასა და მიწას,
რანდვას დაეუწყებ ჩემს კუბოს ფიცარს,
ცრემლი ცვეხლივით მთელ სახეს
მიწვავს,
რადგან სიცოცხლე სიკვდილად მიჩანს.

გავებუტები დღესა და ღამეს,
შენ, მთვარეს, წვიმას, შფოთიან ქარებს,
მზე ჩამავალი მკვდრის კაბას მაცმევს
და უკანასკნელ იმედებს მართმევს...

გავებუტები ბედნიერ წამებს,
ტკბილ მოგონებებს, ღმერთსა და
ხატებს,
ყველას უჩუმრად, საღამოს დამლევს
გადავურაზავ სიცოცხლეს კარებს...

უფალო, მეჩვენე

სიკვდილის ფერი აქვს დღევანდელ დღეს,
სიკვდილის სუნი აქვს ჩემს ფარდებს თეთრს,
ნისლივით ჩავუელი დაქანცულ ხეთ,
უცნობებს, ნაცნობებს, მოყვარეთ, მტერთ...

როდემდის ვუყურო გაუშლელ ვარდს,
როდემდის ვადარო მე თავი მკვდარს,
როდემდის ვემსგავსო ჩამავალ მზეს,
როდემდის ვუწამლო ტკივილებს ჩემს.

უფალო, გეეედრება, მეჩვენე, მითხარი —
როდემდე ვეწამო, ვეხეტო, ვით ქარი...

სიკვდილის ფერი აქვს დღევანდელ დღეს,
სიკვდილის სუნი აქვს ყვავილებს ჩემს...

●

ოღონდ შენ მყავდე კარგად,
ოღონდ შენ მყავდე ისევ,
ვულს იფარვიდე ფარად,
მტერს კბილს გაკრავდე მგლისებრ;

ოღონდ გაუძელ ახლა,
ოღონდ არ გატყდე ხმლისებრ,
რა ვქნათ თუ დრონი წახდა,
თუ აღარ ვბრწყინავთ მზისებრ.

ოღონდ გნახავდე ჩქარა
ბედნიერს, ამაყს, ძლიერს,
ო, ნუთუ აღარ კმარა —
რაც გტანჯეს, დაგაქცეს.

ოღონდ შენ მყავდე კარგად,
ოღონდ შენ მყავდე ისევ,
ოღონდ გაუძელ ახლა,
ოღონდ არ გატყდე ხმლისებრ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ კოდუა

ზბრალოდ—სიკვდილ

(ჩანახატი)

სანამ ნუცუბიძის პლატო-ფერდობებიან დასახლებას გავცდებოდეთ, ჩვეულებრივ, დილაადრიან შინდან სასეირნოდ გამოსული მე და ჩემი „გრანდად“ წოდებული დობერმან-პინჩერი ჯერ გაუქმებული საბავშვო ბაღის ეზოს გადაეჭრით, მერე ხევის პირას განმარტოებით მდგარ საკვამლ(ებ)ამოსხმულ მუდმივად ბბოლავ კორპუსებს ავუვლით გვერდს და ქვანაი ხევის იმ ვიწრო მონაკვეთს მივადგებით, სადაც საკვებსა და საქმეს მონატრებული თბილისელები გამუდმებით ინიჩქნებიან მიწაში. სინოტივეშეზარნუნებულ მიწას თუ მორწყვას აღირსებს, ამ ადგილს მათთვის ესოდენ აუცილებელ კომბოსტოს, სტაფილოს, ბოლოკს, კარტოფილს და დაშეული ოჯახისთვის სხვა საჭირო ბოსტნეულს უკვე ივლისის შუა რიცხვებისთვის ვეარიანად მოიწევს კაცი. წყლის „წიკვას“ დაუფლებული პლატოელები აღრე გაზაფხულიდან მოყოლებული ყოველ დილა-საღამოს ვედრიებით ხელში ეზოეზოკ ხევ-ხევ, აღმა-დაღმა მიილალებიან, ბედს შერიგებულნი და იმ მცირედითაც კმაყოფილნი, რომ სხვებს დასწერეს და ნაკლებად ქვაინ მიწის ნაჭერს დაეპატრონენ.

ხევ-ფორებში მოფუსფუსეთა გაწამებულ ყოფას ერთვვარად ავსებს მარტოსული „ელიოზების“ გამოჩენა; ამათ, ხილის, სოკოს თუ სამკურნალო ბალახების მოძიებით გართულთ, ვინ იცის, ეგეს ნატვრისთვალის პოვნის იმედიც ასულდგმულებთ, ამიტომაც თუა, უხმოდ ტკბებიან ბუნების სიმშვენიერით და, ოცნების სამყაროში ჩაძირულნი არასასურველ ყოფას, მძიმე რეალობას თითქოს ფაზიკურად ემიჯნებიან.

ახლაც სისხამი დილაა. მე და გრანდი ნელა ვუახლოვდებთ ფორკებს. ირგვლივ უჩვეულო სიწყნარეა — ქარიანტყიანი მაღლობიდან აღარ მოისმის ტყისთვის ასე დამახასიათებელი შრიალ-ჩურჩული. მივხვდი, ამიხდა ავი წინათგრძნობა: ფორკაის მთელი გავაკების მშვენიერი წიწვოვან-ფოთლოვანი კორომების ნაცვლად თვალწინ დაჩეხილ-დანაფოტებული კუნძებისა და ტოტების ხერგილები გადამშალა. ტყე პირწმინდადაა გაკაფული. როგორ ვთქვი? წინათგრძნობა-მეთქი. ანკი რაღა წინათგრძნობა, როცა, აგერ, უკვე რამდენი წელია, მძვინვარებს ჟამი თბილისისა და სრულიად საქართველოს უკუმოქცევის; ჟამი, როდესაც მიმაქცეველთა მიზეზით ვერც ქართველობით და ვერც თბილისელობით ვეღარ იამყებ. ზამთრობით უშუქოდ და უგაზოდ დარჩენილი თბილისელები დროულად მიხვდნენ: მათი ჯიბე ვერაფრით აუვიდოდა რვალარიანი გაზის ბალონის და ორმოც თეთრად ღირებული ლიტრი ნავთის შეძენას. მიხვდნენ და... ქალაქის შემოგარენი შეშის მომარაგებას მსურველებთ აივსო. ხალხი გადარჩა, მწვანე საფარი — ვერა!

გულმოკლული შევყურებ ჩემს წინ გადაშლილ სანახაობას. ეფიქრობ, ეფიქრობ და, თუმცა ვიცი, მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი თითქოს არ ჩანდა, მაინც მიმძიმს, თავს არ გამოვუტყდე, — ტყე-პარკების ასე განადგურებას ვერაფერი გაამართლებს. სამოცდაათწლიანმა უღმერთობამ ღრმა კვალი დაატყო მოქალაქეთა ცნობიერებას,

გაზშირდა სულის სიცარიელე და გონის სიმწარე, ადამიანურობის მსაზღვრელი *ამ ნიშნების გარეშე კი* საზოგადოება დიდი ხნითაა განწირული. მივეცეი გორმახებს და ისევ ჩემს ფიქრს ვეკამათები: თუ სიკეთე შემორჩა სადმე, მაშ, სულიერებაც გადარჩენილა. არ უნდა გაქრეს იმედის ნაპერწკალი სიკეთის გამოჩენისა და... ღმერთო, აი, ისიც გამოკრთა! კუნძების საუფლოს გულშეძრული მიეუახლოვდი. ძირშივე ჩაჭეხილი რეტილები, დაუნღიბლად დაჭრილ-დაკაფული შინდი და პანტა, კედარი თუ ფიჭვი. ველობის ნაწილი კედრების აკუწული გირჩებიანი ტოტებით იყო დაფარული. გროვებიდან კურცხლებად გადმოღვრილი საკმლის განუმეორებელი სურნელი ფუჭად ილეოდა და სამუდამოდ იკარგებოდა ჰაერში. ნაგვემ მცენარეთა ეს უთანაბრო მწყობრი უდანაშაულოდ მოკვდინებულ ადამიანებს მაგონებს, გული კიდევ უფრო მიმძიმდება და სწორედ აქ აღმოვაჩენ იმ საოცრებას: გადაძეძგვილი კუნძების განაპირას, შეუმნიშველ, დაფრდებულ ადგილას, ჩემდა გასაკვირად და ინელად დასაჯერებლად, მკვიდრად ამოზიდული ორი დიდი, ზრდასრული ვაშლის ხე. საღ-სალამათი ხეები ისე კოხტად გაუსხლავთ, კალმით დახატულს ჰგვანან. ჯიშიან ტანთა კენწეროებზე ხარ-ირმის აბურდული რქებივით გაფარჩხული ახლად შემოკვეცილი, მაჯის სისხო ტოტები, თითქოს მამაზეციერს თანამომძეთა ზიარებას შესთხოვენ. იდუმალად აიაზმანაკკურებნენ, უეჭველია, გაზაფხულის პირველივე გაკვესებაზე აყვავდებიან და აკვირტდებიან, მერე დაიყლორტებიან და... იქვე მოჰყვება ნაყოფი და ზეკად ამაღლება.

ნაწვიმარზე დარის მახარობლად გადაჭიმული ცისარტყელას დანახვა რომ გაგიხარდება და დაგამშვიდებს, დაახლოებით ისეთი სიხარული განვიცადე. ბუნებაში ჩახატული ეს ლამაზმანები — მაღლები და ტანკენარები, მოცეკვავე ქალის სხეულივით უძრაობას ვერ ჰგუობდნენ. *თუ ცოტა ბანს დაკვირდებოდი*, მაღლა, ნაფლეთებად მცურავი ღრუბლების საპირისპიროდ აღმართაღმართ მიდიოდ-მისწრაფოდნენ, განწყობაშეცვლილებს უჭირისუფლო, გადთელილი კუნძების სასაფლაოდან უნდა გაეღწიათ. უდავო იყო, ასეთ სრულყოფას მათ მარტო ბუნება ვერ მიანიჭებდა. ჩემს წინ იყო ბუნებისა და ადამიანის ნახელავ-ნაჩუქურთმევი, ორთავეს შესაძლებლობათა უმაღლესი გამობრწყინება, ხილვად ქცეული „ადამიანისა და ბუნების ურთიერთჰარმონია“.

მთელი დილის უგუნებობის შემდეგ ზღვა სიხარული ვიგრძენი: დიახაც, კიდევ შემორჩენილა კაცი, ვინც ერთიორი დღით საკუთარი საცხოვრისის და სხეულის გათბობას არ ანაცვალა ეს ლეთაებრივი ნაყოფის მომცემი, ქართველისგან გამორჩეულად ჰატივცემული ხეები. სათვალავში ჩასაგები არცაა, თუ მან განასხლავი ტოტები თან წაიღო — ღერო-ტანი, ვარჯები ხომ უნებელი დატოვა. თანაც როგორი საყვარულით გაუსხლავს, მოფერებია, საღვთო ლვაწლიც დაუდვია: ეს მან გაკეთილშობილია ისედაც სიკეთისთვის შობილნი, რათა ყველაზე მკაცრი ადამიანის გულიც მოელბოთ და შემართული ნაჯახი ხელში გაეშეშებინათ.

იზეიმა კეთილმა. მომხდურმა ულმობელმა მსახვრალმა თითქმის მთელი ტყე გაჩეხა, ამ ნაფერებ-ნაკეთილარ ხეებზე კი ხელი ვერ აღმართა. ისეთი დროა, ავთსმქმნელი სჭარბობდეს იქნებ სიკეთის მოეხველს, მაგრამ დროებით — ქვეყანა წელში იმართება. მომრავლდებიან მინდიები და კეთროვანთა სულებსაც უმკურნალებენ;

თუმცა ისინი — ერთიცა და მეორეც, შეგინებული და აწ ავადმოსაგონარი დროების ჭირვამოვლილ თაობას დაურჩებიან საკუთარ კეთროვნად და მინდიად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლ ვერლენი

შემოდგომის სიმღერა

მტირალი ნოტი
ვიოლინთა,
შემოდგომური...

მეჭრება გული
ხმით გაბმულით,
მონოტონურით.

არე მხუთავი...
საათი ავი
ოროს ამხელს რეკვით.

ჟამი ვნებათა
მაგონდება და
ვნუგეშობ ცრემლით.

მივალ დაცლილი...
თითქოს დამცინის
ქარის ფარფაში...
წამიღებს ბოლოს,
ვით მკვდარ ფოთოლს,
თამაშ-თამაშით.

გიიომ აპოლინერი

მირაბოს ხიდი

მირაბოს ხიდქვეშ წყნარად დის სენა
და სიყვარული — ყოფის ხარება
მე ისე მახსოვს რომ სიხარული
სულ ცვლიდა სასჯელს და მწუხარებას
და მოდის ღამე დრო-ჟამის ნებით
მიდიან დღენი და მე კი ვრჩები
ხელებს ხელები ეჭდობა რიდით
და ქვეშე ჩვენის მკლავების ხიდის
ეუცქერით ტალღას დაუსრულებლად
დაუსრულებლად რომელიც მიდის
და მოდის ღამე დრო-ჟამის ნებით
მიდიან დღენი და მე კი ვრჩები
ტრფობას მდინარი წყლის აქვს იერი
ო სიყვარული მიედინება
ნელა ვით ყოფა ეს მიწიერი
და იმედივით არის ძლიერი
და მოდის ღამე დრო-ჟამის ნებით
მიდიან დღენი და მე კი ვრჩები
რბიან დღეები მიდის მიდის კვირათა
წყება
ღრო არ ბრუნდება
და არ ბრუნდება წასული ვნება
და სენა ხიდქვეშ მიედინება
და მოდის ღამე დრო-ჟამის ნებით
მიდიან დღენი და მე კი ვრჩები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟაკ პრევერი

ბარბარა

გახსოვს
ბარბარა
იმ დღეს აწვიმდა ბრესტს განუწყვეტლივ
შენ მოდიოდი გაღიმებული
აყვავებულ-აღტაცებული
სხეულზე წვიმის ნაკადულებით
შენ გიხმობ ბარბარა
ო ბრესტს აწვიმდა განუწყვეტლივ
მე შეგიერეხე სიამის ქუჩაზე
შენ იღიმებოდი
და მეც გიღიმოდი ასევე
შენ ვისაც მანამ მე არ გიცნობდი
შენ ვინც მანამდე მე არ მიცნობდი
გიხმობ შენ
გიხმობ შენ ისე ვით მაშინ
არ დაივიწყო
კაცი შესასვლელში თავშეფარებული
ვინც დაიძახა შენი სახელი
ბარბარა
და შენ გაიქეცი წვიმაში მისკენ
წვიმის ნაკადულებით
აყვავებულ-აღტაცებული
და მის მკლავებში აღმოჩნდი
ამად მოგიხმობ ბარბარა
და უნებურად შენობით მოგმართავ
მე ხომ შენობით მივმართავ მუდამ
როდესაც მიყვარს
მანამ ერთხელაც რომ არ მენახოს
მე ხომ შენობით მივმართავ ყველა
შეყვარებულს
რომც არ ვიცნობდე
გიხმობ ბარბარა
არ დაივიწყო ეს ბრძენი წვიმა
და ბედნიერება
შენს ბედნიერ სახეზე
ამ ბედნიერ ქალაქზე
როგორ აწვიმდა
ზღვას და არსენალს
აწვიმდა გემებს
ო ბარბარა
რაც შეიცანი რა არის ომი
ვინა ხარ ეხლა რა შესცვალეს
ცეცხლის წვიმებმა
ცეცხლი სისხლის გამქვავებელი
და ის რაიც შენ იქნებოდი
ამ მკლავებში მოტრფიალეში
მოკვდა თუ მაინც მხნეობს და
ცოცხლობს
ო ბარბარა
აწვიმს ბრესტს განუწყვეტლივ
როგორც აწვიმდა წინათ
მაგრამ აქ არაფერი არ ჰგავს
მაშინდელს
დანგრეულია ხელყოფილი აქ
ყოველივე
აქ არის წვიმა საშინელი
დამთრგუნველ გლოვის
აწ ადარ არის ის გრიგალი
ცეცხლი სისხლის გამქვავებელი
ის სიმარტივე ღრუბლების
გულისმომკვლელი
ვით გამქრალი ყეფა ძაღლების
რომლებიც უკვე წასულან შორს
შორს ბრესტიდან ამ ქალაქიდან
რადგან აქ უკვე ადარ დარჩა
ალარაფერი.

ფრანგულიდან თარგმნა
ბადრი თევზაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ გარსია მარკესი

გენერალი თავის ლაბირინთში

„სიმართლე თუ გინდათ, აქ მხოლოდ ორი პარტია არსებობს, ჩემი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეებისა, რაც თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ“. დაასკვნა. „ჩემზე ლიბერალი ადამიანი კი მეორე არ მეგულება“.

მთავრობის ემისარმა მოგვიანებით მანუელა საენსის ზეპირდანაბარები ჩამოუტანა. თურმე იმიტომ არ მიუწერია ბარათი, რომ ფოსტა მკაცრად იყო გაფრთხილებული, არ მიეღო მისი წერილები. მანუელამ პროტესტით მიმართა პრეზიდენტს და სწორედ იქიდან დაიწყო მთელი რიგი პროვოკაციები, რასაც მოგვიანებით მისი გადასახლება და მეგზურება მოჰყვა.

პოსადა გუტიერესის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რომელიც საკმაოდ კარგად იყო ჩახედული ამ ყოვლისწამლეკავ სასიყვარულო ისტორიაში, გენერალმა მხოლოდ გაიცინა და — ასეთი კონფლიქტები ჩემი ძვირფასი ვიჟმაყოსთვის ჩვეულებრივი ამბავიაო, გამოაცხადა.

ხოსე პალასიოსმა უკმაყოფილება ვერ დამალა, როცა გაიგო, რა უპატივცემულოდ იყო დაგეგმილი ონდაში სამდღიანი ვიზიტის პროგრამა. ყველაზე უაზროდ ქალაქიდან ექვს ლიეზე მდებარე სანტა ანას ვერცხლის საბადოების დათვალიერება მოეჩვენა. საოცარი ის იყო, რომ გენერალი დათანხმდა, ის კი არა, მაღაროშიც ჩავიდა. უკან დაბრუნებისას კიდევ უფრო დაუჯერებელი ამბავი მოხდა: დიდი სიცხისა და თავის აუტანელი ტკივილის მიუხედავად, გენერალი მდინარეში გადაეშვა საცურაოდ. კარგა ხანი იყო წარსულს ჩაბარდა ის დღეები, როცა გენერალი, სანამძღვეზე, ადდებულ მორევში ხტებოდა და ცალხელშეკრულიც კი ჯანიდა საუკეთესო მოცურავეებს. იმ დღეს ხანვარი საათი დაჰყო წყალში და ვინც კი მისი გაძვალტყავებული ძალლის მსგავსი ნეკნები და რაქიტიანი ფეხები იხილა, გაოცდა, როგორ ედგა სული.

ბოლო ღამეს, მუნიციპალიტეტში, მის საპატივცემულოდ ცეკვები გაიმართა, რომელსაც გენერალი დაღლილობის გამო ვერ დაესწრო. საღამოს ხუთი საათიდან ოთახში ჩაკეტილმა ფერნანდოს გენერალ დომინგო კისედოსადმი მისაწერი ბარათი უკარნახა და ხმამაღლა წაკითხა რამდენიმე ეპიზოდი ლიმას მაღალი საზოგადოების ცხოვრებიდან, თუმცა ზოგიერთი ამბის მონაწილე თვითონ იყო. შემდეგ თბილი აბაზანა მიიღო და გაუხმრეელად ჩაწვა ჰამაკში, თან მის საპატივცემულოდ გამართული საღამოდან დროდადრო ნიავის მოტანილ მუსიკის ფრაგმენტებს უგდებდა ყურს. ხოსე პალასიოსს უკვე ჩაძინებული ეგონა, როცა მისი ხმა მოესმა.

„გახსოვს ეს ვალსი?“

მაყორდომის მეხსიერების გამოსაცოცხლებლად გენერალმა რამდენიმე ტაქტი დუსტვინა, მაგრამ ამაოდ. „ამ ვალსს უკრავდნენ, როცა ჩუკისაკადნ ლიმაში დავბრუნდით“, თქვა გენერალმა. ხოსე პალასიოსს მუსიკა არ ახსოვდა, მაგრამ 1826 წლის 8 თებერვალს

გაგრძელება. დასაწყ. იხ. „ცისკარი“, № 5-6, 1996 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერაფერი დაავიწყებდა. იმ დღეს ღიმამ შეფური შეხვედრა მოუწყო გენერალს, ხოლო მის მიერ წარმოთქმული ფრაზა: მთელს თვალუწვდენელ პერუში ერთი ესპანელიც აღარ დარჩაო, ყველა მომდევნო სადღეგრძელოში განმეორდა. იმ დღეს დასრულდა ვეებერთელა კონტინენტის განთავისუფლება, რომელიც გენერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, იქამდე არსებულ მსოფლიოში უდიდეს, ჯერარნახულ და უძლიერეს ერთა ლიგად უნდა ექცეოთ. იმ საღამოს გამარჯვულ ზეიმს უვალოდ ვეღარც იგონებდა, რომელიც თვალავჯერ გაამეორებინა მუსიკოსებს, სანამ ღიმას ყველა ქალბატონთან არ იცეკვა. საუცხოო ფორმებში გამოწკეპილმა მისმა ოფიცრებმაც მიბაძეს გენერალს, სანამ ძალები ეყოთ. ყველა საუკეთესოდ ცეკვავდა. მათი პარტნიორი ქალბატონები წლების შემდეგ იმ ვალსს უფრო დიდი სიამოვნებით იგონებდნენ, ვიდრე გამარჯვების სიხარულს.

ონდას ბოლო ღამის წვეულებაც გამარჯვების ვალსით გახსნეს და ჰამაკში ჩაწოლილი გენერალი მის გამეორებას დაელოდა. მაგრამ მუსიკა რომ არ გაიმეორეს, მხნედ წამოხტა, ოგივე ტანსაცმელი ჩაიცვა, რითაც მაღაროები მოინახულა და გაუფრთხილებლად გამოცვნადდ საცეკვაო დარბაზში. თითქმის სამი საათი იცეკვა და ყოველი ახალი პარტნიორისთვის ვალსის გამეორებას ითხოვდა, — ამგვარად თუ ცდილობდა ნოსტალგიის ფერფლიდან ძველი დიდების აღდგენას. წარსულს ჩაბარდა წლები, როცა ირგვლივ პანტაპუნტით ცვიოდნენ ძალაგამოცლილი მოცეკვავეები და ცარიელ დარბაზში გენერალიღა რჩებოდა ბოლო პარტნიორთან ერთად. ცეკვა ისე უჯვარდა, როცა პარტნიორი არ ჰყავდა, მარტოკა ცეკვავდა; როცა მუსიკის საშუალებაც არ იყო, თვითონ უსტვენდა, ყველაზე დიდ სიხარულს კი სასადილო მაგიდაზე ცეკვით გამოხატავდა. იმ საღამოს, ონდაში ისეთი დასუსტებული იყო, რომ შესვენებებზე, ძალის მოსაკრებად, ოდეკოლონში დასველებულ ცხვირსახოცს ყნოსავდა, მაგრამ ისეთი ენთუზიაზმითა და ახალგაზრდული ოსტატობით ცეკვავდა, რომ თავისდაუნებურად გააბოლა მოსაზრება, სასიკეთილოდაა გადადებული.

ნაშუადამევს შინ დაბრუნებულს მოახსენეს, რომ სასტუმრო ოთახში უცნობი ქალბატონი უცდიდა. ელეგანტურსა და ამაყად ყელმოღერებულს გაზაფხულის სურნელი დაპკრავდა, გრძელსახელოიანი ხავერდის ტანსაცმელი და ტარსიკონის ჩექმები ეცვა და შუასაუკუნეებისეული პირადიანი ქუდი ეხურა. სტუმრობისთვის შეუფერებელი დროითა და უცნობის ვინაობით დაინტერესებული გენერალი რევერანსით მიესალმა. ქალმა უსიტყვოდ მიუტანა თვალებთან ყელზე ჩამოკიდებულ გრძელ ჯაჭვზე დკიდებული მედალიონი და გენერალი ყველაფერს მიხვდა.

„მირანდა ლინდსეი!“ ამოთქვა გაოცებულმა.

„დიახ, მე ვარ“, უპასუხა ქალმა, „ოღონდ შეცვლილი და გადასხვაფერებული“.

ვიოლონჩელივით თბილმა და ძლიერმა ხმამ, რომელსაც ოდნავდა ეტყობოდა მშობლიური ინგლისურის კვალი, გენერალს დაუვიწყარი მოგონებები გაუღვიძა. ხელის აქნევით დაითხოვა მცველი, რომელიც კართან დარაჯობდა, ქალის პირდაპირ ჩამოჯდა, ისე ახლოს, რომ მუხლებით შეეხნენ ერთმანეთს და ხელები დაუჭირა.

მათ ერთმანეთი თხუთმეტი წლის წინათ გაიცნეს ინგლისელი ვაჭრის, მაქსველ ჰისლოპის სახლში გამართულ სადილზე, კინგსტონში, სადაც გენერალი მორიგ გადასახლებაში იმყოფებოდა. მირანდა სერ ლინდონ ლინდსეის ერთადერთი ასული იყო. მამამისი, პენსიაზე გასული ინგლისელი დიპლომატი, იამაიკის შაქრის პლანტაციებში დასახლებულიყო ექვსტომიანი მემუარების საწერად, რომელსაც არავინ წაიკითხავდა. მირანდას უცილობელი სილამაზისა და ახალგაზრდა გადასახლებულის ფიცხე-

ლი გულის მიუხედავად, ეს უკანასკნელი ისე იყო საკუთარი იდეებთა და სხვა ქალაქტინით გატაცებული, რომ ირგვლივ ვერავის ამჩნევდა.

მირანდას იგი თავისთან შედარებით ოცდაათ წელზე უფროსად მოეჩვენა. ძვლებგამოჩრილსა და ფერმკრთალს მულატივით უხეში ბაკენბარდები და ულაკაში ჰქონდა. გრძელი თმა მხრებამდე სცემდა და კრეოლ არსიტოკრატთა მსგავსად, ინგლისურ ყაიდაზე ეცვა. თვრო ჰალსტუხი ეკეთა. ღილკალოში კი რომანტიკოსივით ბაერჭო გარდენია, მაგრამ მისი მუნდირი საკმაოდ ცხელი ჩანდა იქაური კლიმატისათვის. სწორედ ამგვარად იყო გამოწყობილი 1810 წლის, ერთ საღამოს, როცა ლონდონის ბორდელში ვიღაც კოხტაპრუწას ერთ ბერძენ პედარასტში აერია.

ის ყველგან გამოირჩეოდა ანთებული თვალებითა და გაუთავებელი, დამქანცველი ლაპარაკით. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ თვალებს ზემოთ არ სწევდა და მოსაუბრეს არასდროს უსწორებდა მზერას. კანარის კუნძულელთათვის დამახასიათებელი ტემპითა და დიქციით ლაპარაკობდა, თუმცა საუბარში მადრიდულ ნატიფ დიალექტსაც იყენებდა. იმ დღეს კი დამტვრეული, თუმცა გასაგები ინგლისურით მეტყველებდა სტუმრების პატივსაცემად, რომლებმაც ესპანური არ იცოდნენ.

სადილობისას ყურადღება არავისთვის მიუქცევია, საკუთარი სიტყვების გარდა. შეუსვენებლად და გამოთქმით ლაპარაკობდა და ჯერაც დაუმშვიდებელ, წინასწარმეტყველურ სენტენციებს აფრქვევდა. მათი უმეტესობა მოგვიანებით ეპაკურ პროკლამაციაში მოათავსა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გამოაქვეყნა კინსტონის გაზეთმა და რომელმაც ჩვენამდე ისტორიული სახელით — „წერილი იამაიკიდან“ — მოაღწია. ჩვენი მონობის მიზეზი ჩვენს შორის არსებული განხეთქილებაა და არა ესპანური იარაღი, ამბობდა. ამერიკის სიდიადეზე, შესაძლებლობებსა და ტალანტებზე საუბრისას ხშირად იმეორებდა: „ჩვენ კაცობრიობის მცირე მოდგმა ვარ“. შინ დაბრუნებულ მირანდას მამამისი შეეკითხა, როგორ გამოიყურებოდა შეთქმული, რომელიც ასე აწუხებდა კუნძულის ესპანელ აგენტებს და გოგონამ ერთი წინადადებით უპასუხა:

„He flels he's Bonaparte“.[1]

რამდენიმე დღის შემდეგ ბოლივარმა უცნაური ბარათი მიიღო, რომელშიც დაწერილებით უხსნიდნენ, როგორ უნდა მისულიყო მირანდასთან შესახვედრად, შაბათს, საღამოს 9 საათზე, ერთ უკაცრიელ ადგილას, მარტო და ფეხით. ეს ავანტიურა მარტო მის სიცოცხლეს კი არა, ამერიკის ბედსაც უქმნიდა საფრთხეს, რადგან დამარცხებულ აჯანყებულებს ისღა ეგულებოდათ უკანასკნელ იმედად. იმხანად, ხუთწლიანი მონურებითი დამოუკიდებლობის შემდეგ, ესპანელებმა ისევ დაიბრუნეს ახალი გრანადისა და ვენესუელის ტერიტორიები, რომელთა მოსახლეობამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია მშვიდობის მთხოვნად წოდებულ გენერალ პაბლო მორილიოს თავდასხმას. ისინი ერთადერთი პრინციპით მოქმედებდნენ: სახრჩობელაზე აგზავნიდნენ ყველას, ვინც კი წერაკითხვა იცოდა.

განათლებულ კრეოლთა იმ თაობიდან, რომელიც თავისუფლების იდეის მარცვლებს თესდა მექსიკიდან რიო დე პლატამდე, ბოლივარი ყველაზე შეუპოვარი, ჯიუტი და შორსმჭვრეტელი იყო და ყველაზე უკეთ უთავსებდა ერთმანეთს ბრძნულ პოლიტიკასა და სახრძოლო ინტუიციას. იამაიკაზე ნაქირავებ ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა თავის სამხედრო თანაშემწეებთან — ორ ახალგაზრდა მონასთან, რომლებმაც განთავისუფლების შემდეგაც მის სამსახურში დარჩენა ამჯობინეს, და ხოსე პალასიოსთან ერთად. ღამე, თანმხლებ პირთა გარეშე, ფეხით პაემანზე გაპარვა, მარტო უაზრო რისკი კი არა, ისტორიული დაუდევრობაც იყო. და თუმცა ბოლივარი საკუთარ სიცოცხლეს და საქმიანობას საკმაოდ აფასებდა, მაინც ვერ

---

1 თავი ბონაპარტე ჰგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუშვებდა, რომ ამოუხსნელი დაეტოვებინა ლამაზი ქალის საიდუმლო.

მირანდა მარტო, ცხენზე ამხედრებული უცდიდა დათქმულ ადგილს. ბოლივარი უკან მოისვა და უხილავი ბილიკით წაიყვანა. ზღვის თავზე გამკრთალი ელვა და შორეული ჭექა-ქუხილი წვიმის მოახლოებას მოასწავებდა. დროდადრო მირანდა თბილი ინგლისურით აწყნარებდა აღელვებულ ძაღლებს. ორ ნაბიჯზე ჩაურეს სახლს, სადაც ხერ ლინდონ ლინდი მემუარებს წერდა, რომლებსაც მის გარდა არავინ წაიკითხავდა. მოკრწყლული ბილიკი გაიარეს და ფიჭვნარში აღმინდნენ, რომლის სიღრმეში მიტოვებული სამლოცველი ჩანდა. იქ ცხენიდან ჩამოხტნენ და მირანდამ ხელჩაყიდებული შეიყვანა სტუმარი ბნელ სალაროში, რომელსაც მკრთალად ანათებდა კედელზე დამაგრებული ჩირაღდანი. ოთახში ნაჯახით გამოჭრილნი ორი კუნძის გარდა არაფერი ჩანდა. მხოლოდ მაშინ შეხედეს ერთმანეთს სახეში. ბოლივარს გრძელსახელოიანი ჰერანგი ეცვა და თმა კეფაზე ცხენის კუდივით ჰქონდა შეკრული. მირანდას იგი უფრო ახალგაზრდა და მიმზიდველი მოეჩვენა.

ბოლივარს ინიციატივა არ გამოუჩენია, რადგან ქალების შეცდენის მისეული მეთოდი არანაირ წესს არ ეშორებოდა. ყოველი ახალი შემთხვევა დანარჩენებისგან განსხვავდებოდა, განსაკუთრებით — საწყის ეტაპზე. სიყვარულის პრეამბულაში დაშვებული ყოველი შეცდომა გამოუსწორებელიაო, იმეორებდა ხშირად. იმ ღამეს დარწმუნებული იყო, წინააღმდეგობა არც შეხვდებოდა, რადგან სურვილი ქალისგან მომდინარეობდა.

მაგრამ შეცდა. უეჭველი სილამაზის გარდა, მირანდას ღირსების შეგრძნებაც უნვად ჰქონდა მიმაღლებული, რის უგულებელყოფა არაფრით შეიძლებოდა. ამიტომ კარგა ხანი გავიდა, სანამ კაცი მიხვდებოდა, რომ აქაც თვითონ უნდა აეღო ინიციატივა. მირანდამ დაუდიმა შესთავაზა და ზუსტად ისე ჩამოსხდნენ, როგორც თხუთმეტი წლის შეშლილ, ისდაში. ბოლივარი ქალის პირდაპირ მოთავსდა გამოჭრილილ კუნძზე, ისე ახლოს, რომ ლამის მუხლებით შეეხნენ ერთმანეთს, ხელები დაუჭირა, თავისკენ მიიზიდა და სცადა ეკოცნა. მირანდამ მიახლოების ნება დართო, მაგრამ როცა სახეზე მისი ცხელი სუნთქვა იგრძნო, შეაჩერა.

„ყველაფერს თავის დრო აქვს“, უთხრა.

იმავე ფრაზით ჩაახშო კაცის განმეორებითი მცდელობა ნაშუადამევს, ხოლო როცა ამომტვრეულ სახურავში წვიმამ გაჭონა, ისინი კვლავ ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ ხელიხელჩაკიდებულები და ბოლივარი ხმამაღლა უკითხავდა ნაწყვეტებს პოემიდან, რომელსაც იმ დღეებში წერდა. მშვენივრად გაზომილ, გარითმულ სტრიქონებში ერთმანეთში ჩახლართულიყო სიყვარულის ფიცი და საბრძოლო ყიჟინა. ქალს ნაწარმოები მოეწონა და სამი საკარაუდო ავტორი დაასახელა.

„სამხედროს ეკუთვნის“, აუხსნა ბოლივარმა.

„მოქმედ თუ სალონის სამხედროს?“ დაინტერესდა მირანდა.

„ორივეს ერთად“, უპასუხა მან, „უდიდესსა და მარტოსულს“.

მირანდას გაახსენდა, როგორ დაუხასიათა მამამისს ბოლივარი ბატონ ჰასლოთან სადილის შემდეგ და თქვა:

„ავტორი მხოლოდ ბონაპარტე შეიძლება იყოს“.

„თითქმის გამოიცანით“, უპასუხა გენერალმა, „ოღონდ, მათ შორის უზარმაზარი მორალური სხვაობაა. პოემის შემქმნელს გვირგვინი არასოდეს დაუდგამს“.

იმ ღამეს მირანდას ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა: დილამდე შეეყოვნებინა სტუმარი ისე, რომ მის შეტევებს არ დანებებოდა, რაც ალაინის მოახლეებისას საგრძნობლად გახშირდა. საბოლოოდ რამდენიმე მსუბუქი კოცნით შემოიფარგლნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველაფერს თავისი დრო აქვს“, ხშირად იმეორებდა ქალი.

„სამ საათზე ჰაიტის ფოსტას მივყვები სამუდამოდ“, თქვა ბოლივარმა.

მაგრამ მირანდამ მხიარული სიცილით გაუბათილა ტყუილი.

„ჯერ ერთი, ფოსტა პარასკევამდე არ გადის“, უთხრა, „ამის გარდა, ტორტი, რომელიც ქალბატონ თერრერს შეუკვეთეთ, დღეს, საღამოს იმ ქალის ვახშმაზე უნდა აღმოჩნდეს, რომელსაც სანშილად ვძულვარ“.

ქალი, რომელსაც მირანდა სძულდა, ამამიკაში, თავის სახლში გადასახლებული, ლამაზი და მდიდარი დომინიკელი ხულია კობე იყო, რომელთანაც, როგორც ამბობდნენ, გენერალს არაერთხელ გაუტარებია ღამე.

იმ საღამოსაც მარტინი აპირებდნენ ქალის დაბადების დღის აღნიშვნას.

„ოქვენ ჩემს ჯაშუშებზე უკეთ ყოფილხართ ინფორმირებული“, თქვა გენერალმა.

„უმჯობესია ჩათვალოთ, რომ მეც თქვენი ერთ-ერთი ჯაშუში ვარ“, უპასუხა მირანდამ.

ბოლივარი ამ სიტყვების მნიშვნელობას მხოლოდ დილის ექვს საათზე მიხვდა, როცა შინ დაბრუნებულს, თავისი მეგობარი, ფელიქს ამესტოი საკუთარ ჰამაკში სისხლისგან დაცლილი დახვდა: რომ არა მოწვენებითი სასიყვარულო ჰამანი, ფელიქსის ადგილას თვითონ უნდა წოლილიყო. ამესტოის მისთვის სასწრაფო ბარათი მოუტანია და გენერლის ცდაში მის ჰამაკში ჩასძინებია. ესპანელთა მიერ მოსყიდულ მსაზურს სტუმარი ბოლივარი ჭიონებია და თერთმეტჯერ ჩაურტყამს დანა. მირანდამ იცოდა შეთქმულების ამბავი და მის ჩასაშლელად სხვა ვერაფერი მოიგონა. გენერალმა სცადა პირადად გადაეხადა მადლობა მხსნელისთვის, მაგრამ მირანდამ მის ბარათებს არ უპასუხა. პუერტო პრინსიპეში მეკობრული შხუნით გამგზავრებამდე გენერალმა მირანდას, თავისი დედის დანატოვარი ძვირფასი მედალიონი და ერთსტრიქონიანი წერილი გაუგზავნა ხოსე პალასიოსის ხელით: „ჩემი ბედი თეატრზეა დამოკიდებული“.

მირანდამ ვერც დაივიწყა და ვერც ვერასოდეს გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა. ახალგაზრდა მეომარი სამშობლოში დაბრუნდა ჰაიტის თავისუფალი რესპუბლიკის პრეზიდენტის, გენერალ ალექსანდრე პეტიონის დახმარებით, ფეხშიშველა თანამემამულეებთან ერთად ანდები გადალახა, ბოიაკაში როიალისტების არმია დაამარცხა და მეორედ, ამჯერად საბოლოოდ გაათავისუფლა ახალი გრანადა, თავისი სამშობლო — ვენესუელა და ბრაზილიის საზღვრამდე გადაჭიმული სამხრეთის მიწები. მირანდა თავლს ადევნებდა მის ცხოვრებას და ინტერესით უსმენდა ხოლმე მოგზაურებს, რომლებიც გაუთავებლად ჰყვებოდნენ მისი გმირობის ამბებს. ძველი ესპანური კოლონიების განთავისუფლება რომ დასრულდა, მირანდა ინგლისელ მიწისმზომელს გაჰყვა ცოლად, რომელმაც პროფესია შეიცვალა და ახალ გრანადაში დფუძნდა, რათა ონდას ახლომახლო იამაიკური შაქრის ლერწის პლანტაციები გაეშენებინა. სწორედ იქ შეიტყო მირანდამ, რომ მისი ძველი ნაცნობი, კინგსტონელი დევნილი მისი სახლიდან სამიოდე ლიეზე იმყოფებოდა. მაგრამ ვერცხლის საბადოებში მისულს გენერალი ონდაში დაბრუნებული დახვდა და ნახეკარი დღე ცხენის ჭენებამ მოუწია მის დასაწევად.

ქუჩაში რომ შეხვედროდა, ალბათ ვერც იცნობდა ახალგაზრდული ბაკენბარდებისა და ულვაშის გარეშე, თეთრი, შეთხელებული თმითა და ბოლომოღებული გამომეტყველებით, რის გამოც ეგონა, მკვდარს ელაპარაკებოდა. მირანდას განზრახული ჰქონდა საუბრისას პირბადე აეხადა, მაგრამ შეეშინდა, რომ გენერალიც აღმოაჩენდა მის სახეზე დროის მსახვრალი ხელით მოხდენილ ცვლილებებს. რამდენიმე ფორმალური ფრაზის შემდეგ ქალმა პირდაპირ გაუმხილა სტუმრობის მიზეზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან“, უთხრა.

„თქვენს განკარგულებაში მიგულეთ“, გულწრფელად უპასუხა გენერალმა.

„ჩემი ხუთი შვილის მამა გრძელვადიან სასჯელს იხდის მკვლელობის გამო“.

„საქმე ღირსებას ეხებოდა?“

„ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა, პატიოსან დუელში.“

„უსაფუძვლო ეჭვიანობა იქნებოდა“, დაუზუსტა გენერალმა.

„საფუძვლიანი იყო“, უპასუხა ქალმა. მაგრამ უკვე ყველაფერი წარსულს ჩაჰბარებოდა, მათ შორის მისი რჩეულიც, და მხოლოდ იმას სთხოვდა გენერალს, თავისი გავლენა გამოეყენებინა და ქმარი გაეთავისუფლებინა.

„მე ერთი ავადმყოფი და უილაჯო კაცი ვარ, როგორც თავად დარწმუნდით“, სიმართლე არ დაუმალავს გენერალს, „მაგრამ ქვეყანაზე საქმე არ არსებობს, თქვენი გულისთვის რომ არ გავაკეთო“.

შემდეგ კაპიტანი იბარა გამოიძახა. საქმის ვითარება გააცნო და მირანდას დახმარება აღუთქვა. იმავე ღამეს გენერალ ბოსადა გუტიერესს ესაუბრა, თუმცა წერილობითი მითითება არ დაუტოვებია. და მაინც, ახალი თავრობის ჩარევამდე, საკითხი ღიად რჩებოდა. მირანდა პატიომდე მიაცილა, სადაც მისი ექვსი მსახური იცდიდა და ხელზე ამბორით დაემშვიდობა.

„შესანიშნავი ღამე იყო“, თქვა ქალმა.

„ეს თუ ის?“ ცდუნებას ვერ გაუძლო გენერალმა.

„ორივე“, უპასუხა მან. ძვირფასი აღკაზმულობით მორთულ ცხენზე შეჯდა და უკანმოუხედავად გააჭენა. გენერალი ჯერ ჰორიზონტზე ხედავდა მირანდას, შემდეგ — სიზმრებში, სანამ ალიიოზე ზოსე პალასიოსმა არ გაალვიძა მდინარეზე გზის გასაგრძელებლად.

ექვსი წლის წინათ გენერალმა უამრავი პრივილეგია უბოძა ვერმანელ კომოდორ ხუან ბ. ელბეს მდინარეში ორთქლის გემებით ნავიგაციის განსავითარებლად. ერთხელ, ოკანიოში მიმავალმა, თვითონაც იმოგზაურა ასეთი გემით ბარანკა ნუევადან პუერტო რეალამდე და დარწმუნდა, რომ ეს მგზავრობის საიმედო და მოსახერხებელი საშუალება იყო. დ მანც, კომოდორი ელბესი ამტკიცებდა, რომ საქმიანობის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა მისთვის ექსკლუზიური უფლებების მიუნიჭებლად, რაც უბარობდე უბოძა კიდეც გენერალმა სანტანდერმა, როცა თვითონ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. ორი წლის შემდეგ, როცა ეროვნულმა კონგრესმა ბოლივარს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა, მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ხსენებული ხელშეკრულების გაუქმება იყო, რასაც თავისი მორიგი წინასწარმეტყველური ფრაზა მიაყოლა: „თუკი ახლა გერმანელებს დავუთმობთ მონოპოლიებს, ისინი მალე ამერიკელთა ხელში აღმოჩნდება“. მოგვიანებით მთელს ქვეყანაში თავისუფალი სამდინარო ნავიგაცია გამოაცხადა. ასე რომ, რიცა მდინარეზე სამოგზაუროდ ორთქლის გემი დასჭირდა, უამრავი წინაალდეგობა შეხვდა, რაც შურისძიებას უფრო ჰგავდა, და იძულებული გახდა, საბოლოოდ ჩვეულებრივ ნავს დასჯერებოდა.

ნავსადგური დილის ხუთი საათიდან ბაივსო ძველებური გაცილების ილუზიის შესაქმნელად მეზობელი სოფლებიდან გუბერნატორის მიერ მორეკილი ხალხით. ნავმისადგომთან მოფუთფუთე კანოებიდან ქალები მხიარული ყვირილით ცდილობდნენ ჯარისკაცების გახელებას, რაზეც ისინი უხამსად პასუხობდნენ. გენერალი თავისი ამალით ექვს საათზე ვამოცხადდა ნავსადგურში. გუბერნატორის სახლიდან აუჩქარებლად მოსეირნობდა პირზე აფარებული ოდეკოლონში დასველებული ცხვირსახოცით.

მოღრუბლული დღე იდგა. საკაჭრო ქუჩის დუქნები დილაადრიან გაეღოთ, ზოგიერთი კი პირდაპირ ღია ცის ქვეშ ვაჭრობდა ოცი წლის წინათ. მიწისძვრით დანგრეული სახლების წინ. გენერალი ცხვირსახოცის ქნევით პასუხობ-

და ხალხს, რომელიც ღია ფანჯრებიდან ესალმებოდა, თუმცა მისი ავადმყოფური იერით გაოცებული მოსახლეობა ძირითადად უზმოდ აფეკებდა თვალს ნავსადგურისკენ მიმავალს. გრძელსახელიანი პერანგი და თავისი ერთადერთი წყვილი ფეხსაცმელი ეცვა, თავზე კი ჩალის თეთრი სომბერერო ეხურა. ეკლესიის შესასვლელთან მღვდელი სკამზე ავიდა მოსაწყენი სიტყვის წარმოსათქმელად, მაგრამ გენერალმა კარენიომ დაუშალა. გენერალი მღვდელს მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა.

მოსახეკეში ყველასათვის ცხადი გახდა, რომ უკანასკნელ ღამრთოს ველარ აივლიდა, მაგრამ გენერალი კარენიოს ჩაებღაუჭა და ნაბიჯი არ შეუნელებია, სანამ მიხვდა, რომ მეტი აღარ შეეძლო. მაშინ გადაწყვიტეს გუბერნატორ პოსადა გუტიერესის მიერ წინასწარ მომზადებულ სკამზე დაესვათ და ხელით აეყვანათ, მაგრამ შეძრწუნებული გენერალი კარენიოს შეეკვეფა, ეხსნა ამ დამცირებისგან. უკანასკნელი ძალების დაძაბვით ათავა აღმართი და იმდენი მოახერხა, რომ სხვის დაუხმარებლად მიაღწია სანაპირომდე. იქ გულთბილი სიტყვებითა და ნაძალადევი ღიმილით დაეშვიდობა გამცილებლებს, რათა არავის შეეშინაა, რომ გარდუვალი ვარდების მოძლოდინე 15 მაისს არსათიკენ მიმავალ გზას ადგებოდა. გუბერნატორ პოსადა გუტიერესს საკუთარი პროფილის გამოსახულებანი ოქროს მედალიონნი უსახსოვრა, გარშემომყოფთა გასაგონად ხმამაღლა გადაუხადა მადლობა მასპინძლობისთვის და გულწრფელად გადაეხვია. ნავზე ასული სომბერეროს ქნევით დაეშვიდობა შეკრებილთ, თუმცა კონკრეტულად არავისთვის შეუხედავს, არც ნავის გარშემო უწესრიგოდ მოფუფფუთე კანიები შეუშმნეია და არც წყალში თევზებივით მოფართხალე შიშველი ბავშვები. უაზრო გამომეტყველებითვე განაგრძო სომბერეროს ქნევა, სანამ ეკლესიის კოშკურა მიეფარა თვალს. მაშინ ჩარდახში გაკიდულ ჰამაკში ჩაწვა და ფეხები გაჭიმა, რათა ხოსე პალასიოსი ფეხსაცმლის გახდაში დახმარებოდა.

„იქნებ ახლა მაინც დაიჯერონ, რომ მართალი მივდივარო“, თქვა.

მისი ფლოტი რვა სხვადასხვა ზომის ნავისგან შედგებოდა. ერთი მთავანი, ცხვირთან დამაგრებული საჭითა და რვა მენიჩით, სპეციალურად მისთვის იყო აღჭურვილი. დანარჩენი ნავებისგან განსხვავებით, რომლებსაც შუაში პალმის ფოთლებით გადახურული საჩრდილოებელი ჰქონდათ, გენერლის ნავის შუაგულში ჩითის ფარდებითა და ჭილოფებით დამშვენებული ტილოს კარავი მოეწყოო, რომელსაც ოთხი ღია ფანჯარა ჰქონდა დატანებული ვენტილაციისთვის და სინათლის შემოსაშვებად. კარავში იდგა მაგიდა, საწერად კი ბანქოს სათამაშოდ, წიგნების თარო და თოხის დოქი.

ფლოტის უფროსად სამდინარო ნავიგაციის საუკეთესო კაპიტანი კასალდო სანტოსი იყო დანიშნული. მსროლელთა გვარდიის ყოფილ კაპიტანს ძარღვებში სისხლვამყინავი ხმა და მარცხენა თვალზე აკრული მეკობრული სახვევი ჰქონდა.

მაისიდან კომოდორ ელბესის გემებისთვის საოცნებო სეზონი იწყებოდა, მაგრამ ნავებისთვის სახარბიელო არაფერი იყო. აუტანელი პაპანაქება, ბიბლიური ხორშაკი ქარები, ვერაგი დინებები და მტაცებელ ცხოველთა ღამეული ღმეული, თითქოს სპეციალურად ერწყმოდა ერთმანეთს მგზავრობის ჩასამწარებლად. მდინარეზე მოგზაურობას მიუჩვეველი, ჯანმრთელობაშერყეული გენერლისთვის განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა დამარილებული ხორცისა და შებოლილი თევზის მყრალი სუნი, რომლებიც შემოხვევით ჩამოკიდეს მისი ნავის კიდეზე. კაპიტანი სანტოსი მიხვდა, რომ გენერალს საჭმლის სუნიც კი გულს ურევდა და ბრძანა კვების პროდუქტები ბოლო ნავზე გადაეტანათ, რითაც ცოცხალი ქათმები და გოჭები გადაჭავდათ. და მაინც, ცურვის პირველ დღეს გენერალმა დიდი სიამოვნე-

ბით მიირთვა ორი თეფში სიმინდის ფაფა და განაცხადა, რომ მთელი მოგზაურობის მანძილზე მეტს არაფერს დაიკარებდა ყირს.

„ფერნანდა მეშვიდეს ჯადოსნური ხელით მომზადებულს ჭამენ“, თქვა.

ასეც იყო. მისი პირადი მზარეული, კეტოელი ფერნანდა პარიგა, რომელსაც გენერალი ფერნანდა მეშვიდეს ეძახდა, რადგან ზშირად ძალით აჭმევდა ხოლმე ამა თუ იმ კერძს, ნავზე იმყოფებოდა სხვებთან ერთად. ეს მშვიდი, მსუქანი და მორატრატე ინდიელი ქალი ოსტატობაზე მეტად იმით იყო განთქმული, რომ გუმანით გრძნობდა, რა ესიამოვნებოდა გენერალს სადილზე. ბოლოვარმა ივი სანტა ფეში დაუტოვა მანუელა სანენს, მაგრამ გენერალმა კარენიომ სასწრაფოდ გამოიძახა გუადუასიდან, როცა შეშფოთებულმა ხოსე პალასიოსმა აცნობა, რომ მოგზაურობის დაწყების დღიდან გენერალს ერთხელაც არ ეჭამა წესიერად. ფერნანდა გამთენიისას ჩავიდა ონდაში და ჩუმად დამალეს ნავზე, საკუჭნაოში, შესაფერის შემთხვევამდე. ასეთი შემთხვევა კი მოსალოდნელზე სწრაფად, მოგზაურობის პირველივე დღეს მიეცათ, როცა გენერალმა თავისი საყვარელი კერძი, სიმინდის ფაფა იგემა.

მგზავრობის პირველი დღე კინაღამ უკანასკნელი აღმოჩნდა. შუადღის ორ საათზე მოულოდნელად ჩამობნელდა, წყალი აიმღვრა, დედამიწა ჭექა-ქუხილმა შეძრა და მენიჩებები თავგანწირვით შეეერკნენ აქოჩრილ ტალღებს. გენერალი კარვიდან ადევნებდა თვალს ეკიპაჟის თავგანწირულ მოქმედებას და ყურს უგდებდა კაპიტნის ყვირილს, რომლის გამოცდილება აშკარად არ კმაროდა გაჭირვების ჟამს. თავიდან მხოლოდ ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდა, შემდეგ ეშხში შევიდა და რომელიღაც კულმინაციურ მომენტში აღმოაჩინა, რომ კაპიტანმა არასწორი ბრძანება გასცა. ინსტინქტებს აყოლილმა ქარ-წვიმაში ეზა გაიკვლია და კაპიტნის ბრძანება შეცვალა.

„მაქეთ არა“, დაიყვირა, „მარჯვნივ, მარჯვნივ-მეთქი, ოხრებანო“.

მენიჩბეები დამემორჩილნენ მისუსტებულ, მაგრამ უზომო ავტორიტეტით გაჯერებულ ხმას და გენერალმაც თავისდაუნებურად განაგრძო ბრძანების გაცემა, სანამ საფრთხემ გაიარა. ხოსე პალასიოსმა მოსასხამი გადააფარა. უილსონი და იბარა მხარში ედგნენ, რომ არ წაქცეულიყო. დარცხვენილი კაპიტანი სანტოსი, რომელმაც მარცხენა და მარჯვენა ბორტი აურია ერთმანეთში, შიშჩამდგარი თვალებით, მოთმინებით იცდიდა, როდის მიაქცევდნენ ყურადღებას.

„მაპატიეთ, კაპიტანო“, თქვა ბოლოს გენერალმა.

იმ ღამეს, სანაპიროზე დანთებულ კოცონთან, ხადაც პირველი ღამის გათევამ მოუწიათ, გენერალი გაუთავებლად ყვებოდა ნოსხნობაში საკუთარი გამოცდილების შესახებ. მოყვა, როგორ დაეღუბა ძმა, ფერნადოს მამა ხუან ვისენტე ნაზღვაო კატასტროფაში, როცა ვაშინგტონიდან ბრუნდებოდა პირველი რესპუბლიკისთვის შეძენილი იარაღით და ტყვეა-წამლით. მოყვა, როგორ მოუკვდა ცხენი ფეხებშუა, ადიდებული არაუკას გადაცურვას რომ ცდილობდა, როგორ გაეხლართა ფეხი უზანგში და დინება ჩაითრევდა, რომელიღაც გამყოლს რომ არ ემარჯვა და ღვედი დანთი არ გადაეჭრა. მოყვა, როგორ იხალი ანგოსტურას გზაზე, ახალი გრანადის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ორინოკოს სწრაფ დინებაში მოტრიალე ნავი და უცნობი ოფიცერი, რომელიც ცურვით მოარღვევდა ტალღებს ნაპირისკენ. მოახსენეს, გენერალი სუკრეიაო. „არანაირი გენერალი სუკრე არ არსებობს“, თქვა მაშინ. უცნობი მართლა ანტონიო ხოსე დე სუკრე იყო, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ მიეღო გენერლის ჩინი განმათავისუფლებელ არმიაში და რომელიც მისი განუყოფელი მეგობარი გახდა.

„მე ვიცოდი ამ შეხვედრის შესახებ“, თქვა გენერალმა კარენიომ, „მაგრამ ნავის ამბავი პირველად მესმის“.

„შეიძლება იმ კატასტროფაში ამერია, როცა სუკრე კარტახენადან გამოექცა მორიდეოს და ოცდაოთხი საათი მოუწია ცურვაშ“, თქვა გენერალმა და დამატა: „ყველაფერს ამას იმიტომ ვყვები, რომ კაპიტანმა მაპატიოს ჩემი თავხედური გამოხტომა“.

გამთენიისას, როცა ირგვლივ ყველას ეძინა, ჯუნგლები გულიდან ამოხეთქილმა სიმღერის ხმამ შესძრა. გენერალი ჰამაკში წამოიწია. „იტურბიდეა“, ჩაიბურტყუნა ხოსე პალასიოსმა. ამის თქმა იყო და ვიღაცის უხეშმა ხმამ მომღერალს დადუმება უბრძანა.

აგუსტინ დე იტურბიდე მექსიკელი გენერლის უფროსი ეკაი იყო, რომელმაც თავი იმპერატორად გამოაცხადა და ერთი წელი გაძღო ამ პოსტზე. გენერალს აგუსტინი ნახვისთანავე შეუყვარდა, როცა ბავშვობის კერპთან შეხვედრით აღელვებული ბიჭი მონდომებით გაიჭიმა მის წინ. მაშინ უმცროსი იტურბიდე ოცდაორი წლის იყო. ხუთი წლის წინათ კი გადასახლებიდან რამდენიმე საათის დაბრუნებული მამამისი მექსიკის ერთ-ერთი პროვინციის ცხელ და მტვრიან სოფელში დაბრიტეს. იმ უბედურს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ დაუსწრებლად გასამართლეს და სამშობლოს ღალატისთვის დახვრეტა მოუსაჯეს.

აგუსტინის გაცნობისას გენერალი სამმა ფაქტმა გააოცა. პირველი ის იყო, რომ ბიჭს დასახვრეტ კედელთან მდგომი მამამისის მიერ გამოგზავნილი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს საათი ყველას დასანახად ეკიდა ვულზე; მეორედ, მისმა ულამაზესმა ნაამბობმა შეძრა — თუ როგორ ცდილობდა გლეხის ტანსაცმელში გადაცმული მამამისი გვარდიელების გაცურვას, მაგრამ ცხენზე ჯდომის ელეგანტურმა მანერამ გასცა; მესამე — მისი სიმღერა იყო.

მექსიკის მთავრობა ყველანაირად უშლიდა ხელს მის დაბრუნებას კოლუმბიის ჯარში, რადგან ეგონათ, სამხედრო საქმის ცოდნას მონარქისტული შეთქმულებისთვის გამოიყენებდა, რათა მოგვიანებით, მემკვიდრეობითი პრინციპის გათვალისწინებით, მექსიკის იმპერატორად დაეხვეთ. გენერალი სერიოზულ დიპლომატიურ ინციდენტსაც არ მოერიდა და ახალგაზრდა აგუსტინს მარტო სამხედრო წოდებები კი არ მიანიჭა, საკუთარ ადიუტანტადაც დანიშნა. იტურბიდემ გაამართალა ნდობა, თუმცა მამამისის სიკვდილის შემდეგ თავს ძალზე უბედურად ეჭრნობდა და მხოლოდ სიმღერა უამებდა ხოლმე ტკივილებს.

ამიტომ, როცა ვიღაცამ მაგდალენას ჯუნგლებში ახალგაზრდა კაპიტანს დადუმება უბრძანა, მოსასხამში გახვეული გენერალი ჰამაკიდან წამოდგა, კოცონით განათებული ბანაკი გადაჭრა და მდინარის პირას ჩამომჯდარ იტურბიდეს შეუერთდა.

„იმღერეთ, კაპიტანო“, უთხრა, გვერდით ჩამოუჯდა და ნაცნობ სიტყვებს დროდადრო თავის მისუსტებულ ხმასაც აყოლებდა. ქვეყნად არავინ მღეროდა ასეთი სიყვარულით, და არც არავინ ეუალებოდა იტურბიდესავით ნაღვლიანი, რომელსაც ამავე დროს გარშემო მყოფთათვის ბედნიერების მინიჭება შეეძლო. ჯორჯთაუნის საბჭდრო სკოლის თანაკლასელებთან, ფერნანდოსა და ანდრესთან ერთად იტურბიდემ მხიარული ტრიო ჩამოაყალიბა და ახალგაზრდული ხალისი შეიტანა გენერლის პირქუშ, ყაზარმულ გარემოცვაში:

აგუსტინი და გენერალი დილამდე მღეროდნენ, სანამ ჯუნგლებში ახმაურებულმა ცხოველებმა ნაპირზე ჩაძინებული კაიმანები არ გააღვიძეს. მიწაზე დამჯდარი გენერალი გაოცებული ადევნებდა თვალს ბუნების ბაღვიძებას. როცა ჰორიზონტზე ფირფიტლისფერი სხივები ამოიწვერა და არემარე განათდა, გენერალი იტურბიდეს მხარს დაეყრდნო და წამოდგა.

„გმადლობთ, კაპიტანო“, უთხრა, „კიდევ ათი კაცი მაინც რომ მღეროდეს თქვენნაირად, სამყაროს ვიხსნიდით“.

„ეჰ, გენერალი“, ამოიოხრა იტურბიდემ, „რას არ მიცემდი, რომ ეს სიმღერა დედაჩემს მოესმინა“.

ცურვის მეორე დღეს ნაპირზე კარგად მოვლილი, ცისფრად შეღებილი სახლები და ლაღად მოხავარდ მშვენიერი ცხენები გამოჩნდა, შემდეგ კვლავ ჯუნგლები დაიწყო და პეიზაჟი ერთფეროვანი გახდა. უკან მოიტოვეს ხის უზარმაზარი მორებისგან დამზადებული ტივები, რომლებიც ადგილობრივ ტყისმჭრელებს კარტახენა დე ინდიასში მიჰქონდათ გასაყიდად. ტივები, რომლებზეც პალმის ფოთლებისგან გაკეთებულ საჩრდილობელს შეფარებული ტყისმჭრელები ცოლ-შვილითა და შინაური ცხოველებით მოგზაურობდნენ, კუს ნაბიჯით მიიწევდნენ წინ და ხშირად შუა მდინარეში უძრავად გაჩერებულს ჰგავდნენ. ჯუნგლებს აქა-იქ უკვე ანნდა ორთქლის გემების მეზღვაურთა ხელი, რომლებიც უმოწყლოდ ჩეხდნენ ტყეს გემის ღუმელებისათვის.

„მალე წყალიც დაშრება და თევზებს მიწაზე საარული სწვალა მოუწევთ“, თქვა გენერალმა.

მთელი დღის განმავლობაში აუტანელი პაპანაქება იდგა და მაიმუნების ყიჟინა და ჩიტების ჟრიამული იქაურობას იკლებდა. სამაგიეროდ, ღამე წვებოდ სიჩუმე და სიგრილე. პეპლების დასაჭერად პირდაბჩენილი კაიმანები საათობით, გაუნძრეველად იწვნენ სანაპიროზე. უკაცრიელი სახლების წინ სამინდის ყანები შრიალებდა, ტაპირების დასაჭერი მახეები და მზეზე გასაშრობად გაფენილი ბადეებიც ჩანდა. გაძვალტყაევებული ძაღლები ნავებს უყეფდნენ, მაგრამ ადამიანი არსად ჭაჭანებდა.

გაუთავებელი ომების, უაზრო მთავრობებისა და უმარილო სიყვარულების შემდეგ ირგვლივ ტკივილისმომგვრელი უსაქმურობა გამეფებულიყო. დილით გაღვიძებულ გენერალს მცირეოდენი ძალები ჰპოვეს საფიქრელადღა ყოფნიდა. პრეზიდენტ კაისედოს შემდეგ წერილი არავისთვის გაუგზავნია, თუმცა, ხანდახან, დროის გასაყვანად კარნახობდა ხოლმე წერილებს. პირველ დღეებში, ფერნანდომ თავიდან ბოლომდე წაუკითხა ლიმას ქრონიკები და ჭორები, სხვას კი ვეღარაფერს დაუდო გული.

მას შემდეგ წიგნი აღარ წაუკითხავს. თავის დროზე კი ხარბ ჭკთხვევად ითვლებოდა. კითხულობდა ბრძოლის ველზე თუ სასიყვარულო თავგადასავლებასა, ნებისმიერ დროს და სულ მცირე შუქზე. კითხულობდა ხის ქვეშ ჩამოჯდარი, ეკვატორული მზის ქვეშ ცხენზე ამხედრებული, ქვაფენილზე ეტლში მოუჯდაჯაყე და ჰამაკში მონანავე. ერთი ლიმელი ბუკინისტი გააოცა გენერლის მრავალფეროვანმა კატალოგმა, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ეწყო ბერძენ ფილოსოფოსთა თხზულებები და ქრონმანტიის სახელმძღვანელო. ახალგაზრდობაში თავისი მასწავლებლის, სამონ როდრიგესის გავლენით რომანტიკოსებს კითხულობდა, თუმცა მერეც ხარბად ნთქავდა მათ ნაწარმოებებს, რომლებიც კარგად ესადაგებოდნენ მის ნაქეფ, იდეალისტურ ტემპერამენტს. ეს ჩვეულება მთელი ცხოვრება გაჰყვა თან. კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელში ჩაუვარდებოდა. ერთი საყვარელი ავტორი არასოდეს ჰყოლია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა მწერლით იყო გატაცებული. მის ბინებში თაროები წიგნების სიმძიმით იზნიქებოდა, საწოლ ოთახსა და დერეფნებში გროვებად ეყარა წიგნები და უამრავი დოკუმენტი, რომლებიც ბოლოს მის არქივში იდებდნენ ბინას. მაინც ვერასოდეს კითხულობდა იმდენს, რამდენიც სურდა. როცა ქალაქიდან ქალაქში გადასვლა უწევდა, წიგნებს სანდო მეგობრებს უტოვებდა, თუმცა შემდეგ მათი კვალიც ეკარგებოდა. გაუთავებელ ომებში, ბოლოვიიდან ვენსუელამდე, ოთხას ლიეზე დატოვა წიგნების კვალი.

ჯერ კიდევ მხედველობის გაუარესებამდე გადამწერებს აკითხებდა ხოლმე წიგნებს, რაც მალე ჩვეულად ექცა, რადგან თვითონ სათვალეს ვერ ჭეუობდა. მაგრამ ბოლო წლებში ნელ-ნელა დაკარგა კითხვისადმი ინტერესი და როგორც ყოველთვის, ამაშიც სხვა დაადანაშაულა.

„საქმე ისაა, რომ რაც დრო გადის, უფრო ნაკლები საინტერესო წიგნი იწერება“, გამოაცხადა.

ხოსე პალასიოსი ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც მგზავრობის ძმიმე პირობების გამო ერთხელაც არ დაუწუწუნია. სიცხე და ათასგვარი გაუთვალისწინებელი უხერხულობა არც მის დახვეწილ მანერებზე ახდენდა გავლენას, არც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე. გენერალზე ექვსი წლით უმცროსი, ბოლივარის მშობლების სახლში დაბადებულიყო აფრიკელი მონა ქალისა და ერთი ესპანელის შემთხვევითი კავშირის შედეგად. მამამისისგან მემკვიდრეობით სტაფილოსფერი თმა, სახეზე და ხელებზე დაფრილი ჭრრფლი და ცისფერი თვალები ერგო. ყველაფერში თავშეკავებულს გენერლის მთელს ამალაში ყველაზე ძვირფასი და ნარჩევი ტანსაცმელი ჰქონდა. ბოლივარს დაბადებიდან არ მოსცილებია, თან ახლდა ორივე გადასახლებაში და ყველა ბრძოლის წინა ხაზზე, თუმცა გაგანია ომშიც კი არასოდეს ჩაუცვამს სამხედრო ფორმა.

მგზავრობაში განსაკუთრებით აუტანელი იძულებითი უმოძრაობა იყო. ერთ საღამოს გენერალი ისე გამწარდა კარვის შიგნით ბოლთის ცემით, რომ ნავი ნაპირთან მიაყენებინა, რათა მყარ მიწაზე გაემართა ფეხი. ჭუჭყიან, გაქვავებულ სანაპიროზე უზარმაზარი, სირაქლემას ზომის ფრინველის ხარის ნაფეხურივით ღრმა ნაკვალევს წააწყდნენ. მენიჩბეებს არ გაჰკვირვებიათ და სხვებსაც აუხსნეს, რომ ამ მიგდებულ მხარეში მუხასავით აღნაგი და მამლის დეზებიანი კაცები ცხოვრობდნენ. გენერალმა სასაცილოდ აიგდო მინაყოლი, როგორც ყველა ზებუნებრივი მოვლენა, მაგრამ გათვალისწინებულზე დიდხანს დარჩა სანაპიროზე და ბოლოს ღამის გათევაც იქ მოიწადინა კაპატნისა და ადიუტანტების სურვილის საწინააღმდეგოდ, რომლებსაც იქაურობა არასაიმედო და საშიში მოეჩვენათ. სიცხითა და კოღოებით შეწუხებულს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და ჯუნგლებში პუმას ბრდღვინვას უდგებდა ყურს. ღამის ორ საათზე გუშაგებთან ერთად ჩამოჯდა კოცონთან, სასაუბროდ. უძილობის მიზეზი მხოლოდ გამთენიისას ახსნა, რაცა მზის ოქროსფერ სხივებში გახვეული, თვალუწვდენელი ჭაობების ცქერით ტკბებოდა.

„აქედან ისე მივდივართ, რომ მამლისფეხება მეგობრები ვერ ვნახეთ“.

ის იყო წასასვლელად გაემზადნენ, რომ ნავზე მუნიანი და გაძალტყვიებული, ცალფეხთრეული ძაღლი ამოხტა. გენერლის ძაღლებმა უცნობს შეუტიეს, მაგრამ ხეიბარი თავგანწირვით იბრძოდა და ჭრილობებიდან სისხლგამდინარიც კი არ ნებდებოდა თავდამსხმელებს. გენერალმა ბრძანა ძაღლისთვის მიეხედათ და ხოსე პალასიოსმა, რომელსაც ქუნის ძაღლების მოვლის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ნავის ახალ ბინადარს ჭრილობები მოჰპანა.

იმავე საღამოს აიყვანეს ერთი გერმანელი, რომელიც თავის ეკიპაჟს ქვაშის კუნძულზე დაეტოვებინა მენიჩბეებთან უხეში დამოკიდებულების გამო. ნავზე ასვლისას თავი ასტრონომად და ბოტანიკოსად გაასაღა, თუმცა საუბარში იოლად გაირკვა, რომ არც ერთი საქმისა გაეგებოდა რაიმე, არც — მეორის.

სამგზეიერდ, საკუთარი თვალით ენახა მამლისდეზებიანი კაცები. ის კი არა, სურდა ერთი მათგანი დაეჭირა და გალეიით წაეყვანა ევროპაში, სადაც ერთი საუკუნის წინათ დიდი აუზური გამოიწვია ამერიკიდან ჩამოყვანილმა ობობა-ქალმა.

„მე წამოყვანეთ“, შესთავაზა გენერალმა, „გარწმუნებთ, ხალხი უამრავ ფულს გადაიხდის ისტორიაში ყველაზე სულელი ადამიანის სანახავად“.

გენერალს უცნობი თავიდან სიმპათიურ გაიძვერად მოეჩვენა, მაგრამ, როგორც კი გერმანელმა ბარონ ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტზე უღირსი ანეგდოტების მოყოლა დაიწყო, მაშინვე შეეცალა წარმოდგენა. „ისევ კუნძულზე უნდა დავტოვოთ“, უთხრა ხოსე პალასიოსს.

საღამოს ფოსტის კანიეს შეხვდნენ, რომელიც ადმა მიუყვებოდა მდინარეს და გენერალმა მთელი თავისი მომხიბვლელობა გამოიყენა, რათა აგენტს შეკერა გაეხსნა და მისი კორესპონდენცია დაეტოვებინა. ბოლოს სხოვა, გერმანელიც გაეყოლებინა პუერტო დე ნარემდე და თუმცა კანიე ისედაც გადატვირთული იყო, უარი არ უთქვამთ. იმ ღამეს, სანამ ფერნანდო წერილებს უკითხავდა, გენერალმა ჩაბაურტყუნა:

„რას არ მისცემდა ის უბედური, რომ ჰუმბოლდტის ფეხის ფრჩხილად მაინც ღირდეს“.

ის ჯერ კიდევ გერმანელთან შეხვედრამდე ფიქრობდა ბარონზე, რომელიც მრავალი წლის წინათ გაიცნო, პარიზში, რომელიღაც მოგზაურობიდან დაბრუნებული. გონიერებასა და განსწავლულობასთან ერთად გენერალი მისმა ქალურმა სილამაზემაც გააოცა, თუმცა ეჭვი შეეპარა მისი სიტყვების სიმართლეში: ამერიკა მზადაა დამოუკიდებლობისთვისო. გენერალს ეს იდეა აუხდენელ ოცნებად მიაჩნდა, ბარონმა კი დარწმუნებით წარმოთქვა: ყველაფერი მზადაა, მხოლოდ კაცია საჭიროო.

გენერალმა ეს ამბავი წლების შემდეგ უამბო ხოსე პალასიოსს კუსკოში, როცა ისტორიამ ცხადჰყო, რომ ასეთი კაცი თვითონ იყო. მეტი არავისთვის გაუმხელია, მაგრამ ყოველთვის, როცა ბარონზე ჩამოვარდებოდა საუბარი, შემოხვევას არ უშვებდა ხელიდან — მისი ნათელხილვის უნარი არ შეექო. ჰუმბოლდტმა თვალები ამიხილაო, ამბობდა.

მდინარე მაგდალენაზე მეოთხედ მგზავრობდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წარსულის ნამსხვრევებს აგროვებდა. მდინარე პირველად 1813 წელს გადაცურა. მაშინ თავისი ქვეყნიდან განდევნილი მილიციის პოლკოვნიკი იყო და კურასაოში გადახლების შემდეგ კარტახენა დე ინდიასში მიდიოდა ბრძოლის გასაგრძელებლად საჭირო სახსრების მოსაძებნად. იმხანად ახალი გრანადა ავტონომიურ ფრაქციებად იყო დაყოფილი, დამოუკიდებლობის იდეას მკაცრად ახშობდნენ ესპანელები და საბოლოო გამარჯვება მეტად სათუო საქმე იყო. მესამედ ორთქლის ნავით იმოგზაურა, როგორც თვითონ უწოდებდა ორთქლის გემს. მაშინ განმათავისუფლებელი ომები უკვე დასრულებული იყო, მაგრამ გენერლის მანიაკალურ სურვილს — კონტინენტის ინტეგრაციას განსახორციელებელი პირი არ უჩანდა. ამ უკანასკნელი, მეოთხე მოგზაურობისას უკვე მშვენივრად ხედებოდა, რომ მისი ოცნება ოცნებად იყო დარჩენილი, მაგრამ დაუღალავად იმეორებდა: „ჩვენს მტრებს დიდი უპირატესობა ექნებათ, სანამ ამერიკის ერთიან მთავრობას შეექმნით“.

ხოსე პალასიოსის მებსიერებაში დარჩენილი უამრავი მოგონებიდან ყველაზე ღირსშესანიშნავი პირველი მოგზაურობა იყო, როცა მდინარის სანაპიროს ათავისუფლებდნენ. გენერალი რის ვაივაგლახით შეიარაღებულ ორას კაცს ჩაუდგა სათავეში და იც დღეში მაგდალენას ახლომახლო ერთი ესპანელი მონარქისტიც აღარ ჭაჭანებდა. მგზავრობის მეოთხე დღეს ხოსე პალასიოსმაც შეამჩნია, როგორ შეცვლილიყო იქაურობა, როცა სანაპიროზე ნავების მომლოდინე შაოსანი ქალების მწკრივი დაინახა. „ქვრივები არიან“, გამოაცხადა.

გენერალმა კარვიდან გაიხედა და მის მისასალმებლად გამოსული, თაკარა მზის ქვეშ გველებივით ჩაფიქრებული, ძაძებში გამოწყობილი ქალები დაინახა. გენერალი დიეგო იბარა, ანდრესის ძმა, აბბობდა ხოლმე, მართალია გენერალს შვილები არა ჰყავს, მაგრამ მთელი ქვეყნის ქვრივთა მშობელიაო. ისინი ყველგან ხვდებოდნენ ბოლივარს და მასაც არავისთვის ენანებოდა სანუკვეშო სიტყვა. იმ დღეს კი საკუთარ თავზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე მდინარისპირა სოფლების ქვრივებზე. „ახლა ჩვენ თვითონ ვართ ქვრივები, ობლები, დასახიჩრებულები და დამოუკიდებლობის მსხვერპლნი“, თქვა.

მომპოქსამდე მხოლოდ პუერტო რეალში შეერდნენ, რომელიც ოკანიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთებდა მაგდალენასთან. იქ შეუერთდა ვენესუელელი გენერალი ხოსე ლაურენსი სილვა, რომელმაც აჯანყებული ბრენადერები მიაცილა თავისი ქვეყნის საზღვრამდე.

ბოლივარი საღამოდე დარჩა ნავზე, სადაც ქვრივთა და ინვალიდთა დელეგაცია მიიღო. საოცარი ის იყო, რომ თითქმის ყოველი მათგანი ახსოვდა. ისინი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, საღამ დარჩენილები საარსებო სახსრების მოსაპოვებლად ახალი ომების საძებნელად ან შარაგზაზე საყაჩაღოდ წასულიყვნენ, როგორც განმანთავისუფლებელი ჯარიდან დათხოვნილთა უმეტესობა. რომელიღაც სტუმარმა ერთ ფრაზაში მოაქცია დანარჩენთა წუხილი: „აპა, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, გენერალო, ახლა გვითხარით, რა ჯანდაბა ეუფოთ მას?“

გამარჯვებათა ეიფორიაში თვით გენერალმა მიაჩვია თავისი ჯარისკაცები სიმართლის თქმას, მაგრამ ახლა სხვაგვარად იყო საქმე.

„დამოუკიდებლობა ომში გამარჯვებით მოდის“, თქვა გენერალმა, „მთავარი მსხვერპლი ჯერ კიდევ გასაღებია ერთიანი სამშობლოს შესაქმნელად“.

„მსხვერპლის გადების მეტი არაფერი გვიკეთებია“, ამბობდნენ ისინი.

„არ კმარა“, პასუხობდა ბოლივარი, „ერთობ ფასდაუდებელია“.

იმ დამეს, სანამ დასაძინებლად მოწყობილ ბარაკში სცემდა ბოლთას, იქვე, ახლოს ქალმა ჩაუარა და მოხედა. გენერალს გაუკვირდა, რატომ არ შეაჩქაფა ჩემმა სიშიშვლემ. ქალი ისე ახლოს იყო, რომ მის ჩუმ ღიღინში სიმღერის ტექსტიც კი გაარჩია. „მითხარ, რომ არასოდეს გვიან არაა სიყვარულთან სიკვდილი“. სახლის პატრონი ეზოში ფხიზლობდა.

„ აქ გყავთ რომელიმე ქალი?“ ჰკითხა გენერალმა.

„თქვენნ ბრწყინვალების შესაფერისი არც ერთი“, უპასუხა კაცმა.

„ჩემი ბრწყინვალებისთვის შეუფერებელი?“

„არა“, თქვა ზედამხედველმა, „ერთ ლიეზე არ არის ქალის ჭაჭანება“.

გენერალი დარწმუნებული იყო, რომ საკუთარი თვალით იხილა ქალი, ამიტომ მთელი სახლი გადააქოთა და ადიუტანტებიც ჩართო ძებნაში, მაგრამ ამაოდ. ამ თემაზე კრინტი აღარ დაუძრავს, მაგრამ ყოველთვის, როცა ის საღამო აკოცდებოდა, რწმუნდებოდა, რომ მართლა ნახა ქალი. ხოსე პალასიოსმა კიდევ მრავალი წელი იცოცხლა და საკმარისი დრო დარჩა, რათა გულმოდგინედ გადაეკლო თვალი გენერალთან გატარებული ცხოვრებისთვის და თვით ყველაზე უმნიშვნელო დეტალებიც გაეანალიზებინა. ერთადერთი, რასაც ახსნა ვერ მოუძებნა, პუერტო რეალში გამოცხადებული ქალი იყო, რომელიც ან მოწვევნება უნდა ყოფილიყო, ან გენერლის სიზმრის ვნილი.

გზაში აყვანილი ძაღლი არავის ახსოვდა და ისიც მშვიდად იშუშებდა ჭრილობებს, სანამ ერთ-ერთმა მოსამსახურემ აღმოაჩინა, რომ სახელი არ ჰქონდა. მაშინ კარბოლმჟავას ხსნარით დაბანეს, ჩეილი ბავშვის ტალკი შეაფრქვიეს, მაგრამ ვერც აბურძგნული ბალანი გაუსწორეს და ვერც მუნის სუნი მოაშორეს. გენერალი ჰაერზე ისვენებდა, როცა ხოსე პალასიოსმა ქეჩოთი მოუთრია ცხოველი.

„რა დავარქვათ?“ ჰკითხა.

გენერალი არც დაფიქრებულა.

„ბოლივარი“, უპასუხა.

●

ნავსადგურში გაჩერებული ქვემეხიანი უცხო ნავების დანახვაზე მაკკენ დაიძრა. ხოსე პალასიოსმა კარვიდან გაიხედა და ჰამაკზე დაიხარა, სადაც თვალდახუჭული გენერალი ისვენებდა. „სენიორ“, უთხრა, „მომპოლსში ვარო“.

„ღვთის მიწა“, ამოოქვა გენერალმა თვალის გაუხელად.

თავქვე დაშვებისას მდინარე უკიდეგანო ჭაობივით ფართო ამშვიდა ხედბოდა, სიცხე კი ისე მკვრივდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხელით შეიძლებოდა შეხება. გენერალი უკვე აღარ ტკბებოდა მოულოდნელი განთიადებითა და ამაღელვებელი საღამოებით, როგორც მოგზაურობის პირველ დღეებში. უიმედობის გრძნობადაუფლებული არც წერილებს კარნახობდა, არც წიგნები აინტერესებდა, აღარც კითხვებს სვამდა და, საერთოდ, ცხოვრებისადმი არანაირ ინტერესს არ ამჟღავნებდა. ყველაზე სულისშემხუთველ სიცხტებზეც კი გადასაფარებელში ეხვეოდა და თვალდახუჭული იწვა ჰამაკში. ხოსე პალასიოსმა იფიქრა, ვერ გაიგოო და ნაოქვამი გაუმეორა. „მიმპოქსი არ არსებობს“, თვალი არ გაუხელია გენერალს, „დროდადრო გვესიზრრება ხოლმე, სინამდვილეში კი არ არსებობს“.

„ყოველ შემთხვევაში, სანტა ბარბარას კოშკი ნამდვილად არსებობს“, თქვა ხოსე პალასიოსმა, „აქედანაც მოჩანს“.

გენერალმა შეშინებული თვალები გაახილა, წამოიწია და შუადღის ალუმინისფერ ნათებაში ოქმ დანგრეული, რესპუბლიკის უწესრიგობით გარყვნილი, ყვავილის ეპიდემიით განახევრებული, ძველისძველი და დათრგუნული ქალაქის, მომპოქსის სახურავები დაინახა. იქაურთა გამოუსწორებელი დაუდევრობის გამო მდინარე კურსს იცვლიდა. ქვის ჯუბრებიდან, რომელსაც ყოველ წყალდიდობის შემდეგ თავდან აშენებდნენ ხოლმე კოლონიზატორები, უწესრიგოდ მიმოფანტული, გახეხილი ქვები და ნაგავიღა დარჩენილიყო.

პატრული ქარავანს მიუახლოვდა და ჯერ კიდევ მეფისსაცვლისდროინდელ პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ზანგმა ზარბაზანი მოაშვირა.

„რამ გადაგრია, ზანგო!“ უყვირა კაპიტანმა კახილო სანტოსმა.

მენინჰიკები გაჩერდნენ და ნაცები ტალღებზე აქანავდნენ. ამალის გრენადერებმა ბრძანების მოლოდინში თოფები მიუშვირეს დამხვდურებს. ოფიცერს წარბიც არ შეუხრია. „პასპორტები!“ დაიყვირა, „კანონის სახელით მოვითხოვ!“

უცებ ზანგმა კარვიდან გამოსული გაძავალტყავებული კაცი დაინახა, რომლის საცოდავი იერიც ვერ ნიღბავდა უდიდეს ავტორიტეტს. უცნობმა ჯარისკაცებს იარაღის დაშვება უბრძანა და ოფიცერს მიუბრუნდა.

„ძნელი დასაჯერებელია, კაპიტანო, მაგრამ პასპორტი არ მაქვს“.

ოფიცერმა ვერ იცნო, მაგრამ როგორც კი ფერნანდოსაგან მისი ვინაობა შეიტყო, წყალში გადახტა და სირბილით განაგრძო გზა ნაპირზე, რათა ხალხისთვის სასიხარულო ამბავი ემცნო. მეორე ნავმა, რომელზეც განუწყვეტლივ რეკავდნენ ზარს, ქარავანი ნავსადგურამდე მიაცილა. მდინარის მოსახვევამდე გაწოლილი ქალაქის რვავე ეკლესიაში ზარების რეკვა ატყდა.

სანტა კრუს დე მომპოქსი კოლონიურ ეპოქაში ცნობილი სავაჭრო ცენტრი იყო, რომელიც კარიბის სანაპიროს ქვეყნის ცენტრალურ რაიონებთან აკავშირებდა, რამაც განაპირობა კიდეც მისი აყვავება. კრეოლ არისტოკრატთა ეს ბუდე აქტიურად ჩაერთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, შემდეგ ქალაქი კვლავ ეხპანელებმა დაიბრუნეს, მოგვიანებით კი თვით გენერალმა გააათავისუფლა. ქალაქში მდინარის პარალელური სულ სამი ფართო, სწორი და მტვრიანი ქუჩა იყო, ერთსართულიანი, დიდფანჯრებიანი სახლები, სადაც ორი გრაფი და სამი მარკიზი ცხოვრობდა. აქაურ ოქრომჭედლობას კი სახელი საქეყნოდ ჰქონდა გაგდებული.

ცხოვრებით იმედგაცრუებული და მთელი სამყაროს წინააღმდეგ განწყობილი გენერალი ნავსადგურში მის შესახვედრად გამოსული ბრბოს დანახვაზე, ცოტა არ იყოს, გაოცდა. მას ველვეტის შარვალი და მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა, აუტანელი სიცხის მიუხედავად წამოსასხამში გახვეულიყო და ღამის ჩაჩის ნაცვლად ფართოფარფლებიანი სომბრერო ეხურა, რომლითაც ონდას მოსახლეობას გამოეთხოვა. ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქში დაკრძალვა იყო და ამიტომ მთავარი ეკლესია გაევსოთ გამოსასვლელ, კრების ტანსაცმელში გამოწყობილ სამოქალაქო თუ საეკლესიო პირებს, სკოლის მოსწავლეებსა და რელიგიური საზოგადოების წევრებს. ზარების რეკვა რომ ატყდა, ყველას ხანძარი ეგონა, მაგრამ იგივე ალეუასილმა,[1] რომელიც ეკლესიაში შემოიჭრა და ქალაქის თავს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ახლა ყველას გასაგონად დაიყვირა: „პრეზიდენტი ჩამოვიდა!“

საქმე ის იყო, რომ პირველმა არც იცოდა ბოლოვარის გადადგომის შესახებ. გასულ კვირას ონდადან მომავალმა ფოსტალიონმა ჭორები კი დაყარა მდინარისპირა დასახლებაში, მაგრამ დანამდვილებით არაფერი იყო ცნობილი. ამიტომ, როცა ხალხმა პრეზიდენტის დასახვედრად იხუელა, ჭირისუფლები მიხვდნენ, რომ სულ მალე მარტო დარჩებოდნენ კუბოსთან. საბოლოოდ მიცვალებული ახლობელთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მიაცილა სასაფლაოდ მაშხალების ტკაცუნსა და ზარების რეკვაში.

მაისის მშრალი ამინდის გამო მდინარის წყალი გაჩერებულიყო, ამიტომ ნავსადგურში მოსახვედრად მგზავრებს წყალში ამოჩრილ ქვებსა და ნაგვის გროვებზე მოუხდათ ხტუნვა. გენერალმა უარი თქვა ადიუტანტებს ხელში აყვანილი გადაყვანაო, კაპიტან იბარას მკლავს დაეყრდნო და ბორძიკით, მაგრამ ღირსეულად მიაღწია ნაპირამდე.

ნავსადგურში შეკრებილ ქალაქის მესვეურთ ხელის მტკიცე ჩამორთმევით მიესალმა, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მის დაუძლურებულ სხეულსა და ვაძალტყავებულ ხელებს. ვისაც წინა სტუმრობიდან ახსოვდა გენერალი, თვალებს არ უჯერებდა: იგი მამამისივით დაბერებული ჩანდა, თუმცა იმდენი ძალღონე კი შერჩენოდა, რომ თვითონ გაეცა ბრძანებები. გენერალმა უარი თქვა მისთვის გამზადებულ საკაცეზე და გადაწყვიტა ფეხით მისულიყო ეკლესიამდე, მაგრამ ბოლოს მაინც შეჯდა ჯორზე, რომელიც ქალაქის თავმა მოაყვანინა გენერლის საეალალო მდგომარეობის ნახვის შემდეგ.

ხოსე პალასიოსმა ნავსადგურში შეკრებილ ხალხში ყვავილისგან აჭრელებული სახეები გამოარჩია. ეპიდემია მაგდალენას ქვედა წელს მოეფო და ბოლოს პატრიოტებს მისი უფრო ეშინოდათ, ვიდრე ესპანელებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეპიდემიამ სანახევროდ გაწყვიტა მდინარის დასახლებათა გასათავისუფლებლად გამოგზავნილი არმია. მაშინ ეპიდემიით შეშინებულმა გენერალმა ერთ მოხტიალე ფრანგ ნატურალისტს სთხოვა სოფლის მოსახლეობისათვის ის ვაქცინა მაინც გაეკეთებინა, რითაც საქონელს იცავდნენ ყვავილისგან. მაგრამ ამის შემდეგაც იმდენი ხალხი დაიხოცა, რომ უკვე ალარავინ ენდობოდა ძროხის წამალს, როგორც ხალხში უწოდებდნენ ნემსს, ხოლო დედები ამყობინებენენ საერთოდ არ აიცრათ ბავშვები, რითაც დიდი საფრთხის წინაშე აყენებდნენ მათ. გენერლისთვის გავზავნილ ოფიციალურ შეტყობინებაში კი ნათქვამი იყო, რომ ეპიდემიას სძლიეს. ამიტომ როცა ხოსე პალასიოსმა ბრბოში ვამორჩეული დაკენკილი სახეები აჩვენა, გენერალმა ამოიოხრა:

„ყოველთვის ასე იქნება, სანამ მცდარ ინფორმაციებს მომაწვდიან, მხოლოდ იმიტომ, რომ მასაამოვნონ“.

დამხვდურთათვის თავის ნაღვლიანი განწყობილება არ გადაუდვია. დაწვრილებით მოუყვა მათ თავისი გადადგომისა და სანტა ფეში გამეფებული უწესრიგობის შესახებ და სთხოვა ყველას, მხარი დაჭერათ ახალი მთავრობისათვის. „სხვა გზა არ არის“, გამოაცხადა, „ერთობა ან ანარქია“. თქვა, რომ უკანმოუბრუნებლად [მიემგზავრებოდა, არა, იმდენად სხეულის მრავალრიცხოვანი ჭრილობების მოსაშუშებლად, რამდენადაც იმ გულისტკივილის გასაქარწყლებლად, ყოველი მხრიდან რომ აყენებდნენ

[1] ალეუასილი — ბოლიციელი.

შინაურები თუ გარეულები. არ უთქვამს, როდის ან საით მიემგზავრებოდა და თავისდაუნებურად რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ქვეყნიდან გასვლისთვის ჯერ პასპორტიც კი არ ჰქონდა. მადლობა გადაუხდა მომპოქსელებს იოწლიანი კეთილი დამოკიდებულებისათვის და სთხოვა, თვითონაც რიგით მოქალაქედ მიეღოთ.

სამკლოვიანიერ მორთულ ეკლესიაში ჯერ კიდევ ტრიალებდა დაკრძალვის ყვავილების სუნი, როცა გენერლის პატივსაცემად თაუმყრილმა ხალხმა ღვთის სადიდებელი ლოცვა აღავლინა. ამალის დანარჩენ წევრებთან ერთად ხის მერხზე ჩამომჯდარმა ხოსე პალასიოსმა შეამჩნია, რომ გენერალი სკამზე თავს ძლივს იკავებდა. სამგაეიროდ მის გვერდით ლიმის გამომეტყველებაინი მეტისი ალკალდი[1] თავს მშვენივრად გრძნობდა. ბენხუმეას ქვრივმა, რომლის კრეოლურმა სილამაზემ თაეის დროზე თვით მაღრიდის მაღალი საზოგადოება მოხიბლა ძველფას სტუმარს ტანჯვის შესამსუბუქებლად საკუთარი მარაო ათხოვა. გენერალი უიმედოდ ინიავებდა, მაგრამ რიცა სიცხეში სუნთქვაც კი აუტანელი შეიქნა, ალკალდს ჩასჩურჩულა:

„მერწმუნეთ, არ ვიმსახურებ ასეთ სასჯელს“.

„ხალხის სიყვარულს თავის ფასი აქვს, თქვენო ბრწყინვალებავ“, უპასუხა ალკალდმა.

„საუბედუროდ, ეს სიყვარული კი არა, ცნობისმოყვარეობაა“, თქვა გენერალმა.

ლოცვის დამთავრებისთანავე ბენხუმეას ქვრივს რეკვრანსით დაეშვიდობა და მარაო დაუბრუნა. ქალს გამორთმევა არ უნდოდა.

„იმ ადამიანის სამახსოვროდ შეინახეთ, რომელსაც ძალიან უყვარხართ“.

„უბედურება ისაა, რომ ბევრი დრო აღარ დამრჩა მოგონებებისთვის, სენიორა“, თქვა გენერალმა.

ეკლესიიდან წმინდა პეტრეს სახელობის კოლეჯისკენ მიმავალ გზაზე მღვდელმა ანაფორა შესთავაზა სიცხისგან თავდასაცავად. ორსართულიან, მიხაკებისა და გვიმრების ქოთნებით დამშვენებულ შენობას შესანიშნავი, ხეხილიანი პატიო ჰქონდა. თაღებიან, დახუთულ დერეფნებში ღამითაც არ შეიძლებოდა გაჩერება, სამაგეიროდ დიდი მისაღების გვერდით განლაგებულ ოთახებში შემოდგომის სიგრილე იდგა.

ხოსე პალასიოსი გენერლის ოთახის მოსაწესრიგებლად დაწინაურდა. კირით ახლადშეთეთრებულ საწოლ ოთახს მკრთალად ანათებდა მწვანე ფარდებჩამოკიდებული ფანჯრიდან შემოსული შუქი. ფანჯარა ბაღში გადიოდა და ხოსე პალასიოსმა საწოლი გადაადგილებინა, რათა გენერალი ყვითელი გუაიავას ცქერიოთ და მათი სურნელით დამტკბარიყო.

ფერნანდოს მკლავზე დაყრდნობილი გენერალი ოთახში მღვდლის თანხლებით შევიდა, რომელიც ამავე დროს კოლეჯის რექტორიც იყო. კარის დახურვისთანავე ზურგით მიეყრდნო კედელს და გაოცებულმა შეისუნთქა ოთახში გამეფებული, ფანჯრის რაფაზე ჩამოდებულ თასზე დაწყობილი გუაიავას სურნელი. კარგა ხანს იდგა თვალდახუჭული, გულგანმგმირავ მოგონებათა სურნელით დათრგუნული. შემდეგ თვალი გაახილა და ისეთი ყურადღებით მოათვალიერა ოთახი, თითქოს დიდ აღმოჩენას აკეთებსო. ფარდიანი საწოლის გარდა, ოთახში წითელი ხის კომოდი, ამავე მასალისგან დამზადებული, მარმალილოთი მოპირკეთებული ღამის მაგიდა და წითელი ხავერდის სავარძელი იდგა. ფანჯრის გვერდით, კედელზე რვაკუთხა საათი ეკიდა რომაულციფრებიანი ციფერბლატით. ისრები ორის შვიდ წუთზე გაყინულიყვნენ.

„ეს მაინც დამზედა უცვლელი“, თქვა გენერალმა.

მღვდელი გაოცდა.

„მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ“, თქვა, „მაგრამ რამდენადაც მახსოვს, აქ არასოდეს ყოფილხართ“.

[1] ალკალდი — ქალაქის თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსე პალასიოსსაც გაუკვირდა, რადგან ამ სახლში პირველად იყვნენ, მაგრამ გენერალმა ისე დაწვრილებით გაიხსენა აქაურობის ყველა წვრილმანი, რომ გაოცებისგან ყველას ხმა ჩაუვარდა. ბოლოს გენერალმა ჩვეული ხუმრობით სცადა დაძაბულობის განმუხტვა.

„შეიძლება წინა ცხოვრებიდან მახსოვს", თქვა, „ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს ქალაქში, სადაც ეკლესიისგან მოკვეთილი კაცი ანაფორით დადის".

ცოტა ხნის შემდეგ ჭექა-ქუხილი ატყდა და ისეთი თავსხმა წამოვიდა, რომ ქალაქი საზღვაო კატასტროფაში მოყოლილს დამგვანა. გენერალმა ამით ისარგებლა, გრილ ოთახში პირაღმა წამოწვა ჩაცმული და თავი მოიმძინარა, თუმცა წვიმის შემდეგ ჩამოწოლილ, დამამშვიდებელ სიჩუმეში მარილა ჩაეძინა. ხოსე პალასიოსი ამას მაშინ მიხვდა, როცა გენერალი ახალგაზრდული, წვრილაკა ხმით ალაპარაკდა, რასაც იმახნად მხოლოდ ძილში ახერხებდა. ლაპარაკობდა კარაკასზე, დანგრეულ ქალაქზე, რომელიც მისი აღარ იყო, მის წინააღმდეგ მიმართული პროკლამაციებით აჭრელებულ კედლებსა და ადამიანთა განავალით სავსე ქუჩებზე. ხოსე პალასიოსი საკარძელში ფხიზლობდა, რათა გენერლის ზმანებები არავის მოესმინა. შემდეგ ოდნავ გამოღებული კარიდან პოლკოვნიკი უილსონი მოიხმო და სთხოვა, ბაღში მობოდიალე ჯარისკაცები იქაურობისთვის გაერიდებინა.

„აქ არავის ვუყვარვარო, კარაკასში არავინ გვემორჩილება", ლაპარაკობდა გენერალი ძილში, „ჩვენი საქმე წასულია". ახე მისტიროდა თვალსა და ხელს შუა გაცამტვერებულ დიდებას, რომლის საცოდავ ნარჩენებს საკვდილის ქარი მიაფრიალებდა. თითქმის ერთსაათიანი ბოდვის შემდეგ დერეფანში ამტყდარმა აურზაურმა და ვიღაცის ვამყინავმა ყვირილმა გაალვიძა. მაშინ ერთი-ორჯერ ამოიხვრინა და თვალდახუჭულმა ჩვეული მისუსტებული ხმით იკითხა: „რა ჯანდაბა ხდება?"

ხდებოდა ის, რომ განმანთავისუფლებელი ომების ვეტერანი, პარქუში გენიოსი და უხორცოსავით უშიშარი გენერალი ლორენსო კარკამი არ თანხმდებოდა მიღებისთვის გთავალისწინებულ დრომდე დაეცადა და ძალით ცდილობდა საწოლ ოთახში შეჭრას. ძან ზედ გადაუარა პოლკოვნიკ უილსონს, ხმალი მოსცხო ერთ გრენადერ ლეიტენანტს და მხოლოდ მდგელს ვერ მოუხერხა ვერაფერი, რომელმაც ტკბილი სიტყვით შეიტყუა მეზობელ ოთახში. უილსონმა გენერალს მოახსენა მომხდარის შესახებ.

„უთხარით კარკამოს, რომ მოვკვდი, დიახ, პირდაპირ უთხარით, რომ მოვკვდი!" დაიყვირა გაბრაზებულმა.

პოლკოვნიკი უილსონი მეზობელ ოთახში შევიდა, რათა საპარდო ფორმაში გამოწყობილი, საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებული კარკამოსთვის დანაბარები გადაეცა. მაგრამ მისი სიფიცხე სადღაც გამქრალიყო, თვალები კი ცრემლით ჰქონდა სავსე.

„არაფერი მითხრათ, უილსონ", ამოოხრა, „ჩემი ყურთი მოვიხმინე".

როცა გენერალმა თვალები გაახილა, საათის ისრები ისევ ორის შვიდ წუთს უწევნებდა. საათი მომართა, ვარაუდით გაასწორა და თავის ორ ჯიბის საათს რომ შეადარა, დარწმუნდა, ისრები ზუსტად დაეყენებინა. ცოტა ხანში ფერრანდა ბარიგა შემოვიდა და სცადა გენერლისთვის სამინდის ფაფა ეჭმია. გენერალი უარზე იყო, თუმცა წინა დღის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩაედო. თეფში მაინც დაიტოვა ოთახში, რათა ვიზიტების დროს ეჭამა. მალე ცდუნებამ სძლია და თასიდან ერთი გუაიავა აიღო. ცოტა ხანს მისი სურნელით ტკბებოდა, მერე ხარბად ჩაკბიჩა, ბავშვური ნეტარებით დაღეჭა, კარგად დაგემოვნა და მოგონებებით აღელვებულმა ნება-ნება გადაყლაპა. შემდეგ ჰამაკში ჩაჯდა, თასი მუხლებშუა მოიქცია და სულმოუთქმელად, სათითაოდ შეჭამა ხილი. ხოსე პალასიოსმა უკანასკნელ გუაიავას მოუსწრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოკვდებით ასე“, თქვა.

„ამაზე უარესი არაფერი მოგვივა“, გაეპასუხა გენერალი.

ზუსტად დათქმულ დროს, ოთხის ნახევარზე ბრძანა, ორ-ორად შემოეშვით მნახველები, რათა ერთიმეორის ხათრით იოლად მოეშორებინა თავიდან. ერთ-ერთმა პირველმა სტუმარმა, ექიმმა ნიკასიო დელ ვალიემ გენერალი ფანჯარასთან ზურგშექცევით დამჯდარი იხილა, საიდანაც მთელი მამული და მოშორებით ოზშივარადენილი ჭაობები მოჩანდა. ხელში ფერნანდა ბარიგას მოტანილი ფაფიანი თეფში ეჭირა: თუმცა ერთი კოვზიც ვერ გასინჯა, რადგან უკვე აწუხებდა შეჭმული გუაიავა. მოგვიანებით ექიმმა დელ ვალიემ სამ საიტყვაში მოუყარა თავი შთაბეჭდილებას: „ორი პარასკევიდა დარჩენია“. იგივე იფიქრეს დანარჩენმა მნახველებმაც, მაგრამ მისი გასაცოდავებული იერით ყველაზე მეტად შეძრულნიც კი დაუნდობლად სთხოვდნენ, მეზობელ სოფლებში გაეარა, ბავშვები მოენათლა, სამოქალაქო დაწესებულებები გაეხსნა ან, უბრალოდ, საკუთარი თვალით ენახა, რა სიდუხჭირეში ცხოვრობდა ხალხი მთავრობის დაუდევრობის წყალობით.

ერთ საათში გუაიავამ მუცელში თავის საქმე გააკეთა და გენერალი იძულებული გახდა მთხოვნელთა მიღება შეეწყვიტა, თუმცა სულით და გულით სურდა, დილიდან მოძლოდნე სტუმრები არ გაეწყინებინა. პატიო გაივსო საჩუქრად მოყვანილი ბოჩოლებით, თხებით, ქათმებითა და სხვა შინაური ცხოველებით. მალე გრენადერების ჩარევა გახდა საჭირო, რომ ხალხს იქაურობა არ წაელეკა. ცოტა ხანში წვიმამ დასცხო, რომლის წყალობით სტუმრებიც დაიფანტნენ და ჰაერიც გაგრილდა.

გენერლის უარის მიუხედავად, შუადღის ოთხ საათზე, მეზობელ სახლში საზეიმო სადილი გაწყვეს, რომელიც უიმისოდ ჩატარდა, რადგან გუაიავამ ღამის თერმეტ საათამდე ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. მთელი საღამო ჰამაკში იწვა მუცლის გვრემითა და გაზებით შეწუხებული და ისეთი შეკრნეება ჰქონდა, რომ სულიც გაზებთან ერთად ეპარებოდა. მღვდელმა ადგილობრივი აფთიაქრის მიერ დამზადებული წამალი მოუტანა, მაგრამ გენერალმა არ დალია. „ერთი გულისამრევი წამლის გამო ძალაუფლებას გამოვეთხოვე, მეორე – ბოლოს მომიღეს“, გამოაცხადა. მარტო დარჩენილსა და ძალებგაოფლილს მხოლოდ სიმებიან საკრავთა ხმა ჰკვრიდა ნუგეშს, მის საპატივცემლოდ გამართული სადილიდან რომ მოჰქონდა ნიავს. მოგვიანებით მუცლის გვრემა ნელ-ნელა ჩაცხრა და მუსიკაც რომ ჩაწუმდა, გენერალი თავდავიწყებაში გადაეშვა.

მისი წინა ვიზიტი მომპოქსში კინაღამ უკანასკნელი გამოდგა. მაშინ კარაკასიდან ბრუნდებოდა, სადაც მხოლოდ პროვინული ღირსებების წყალობით მიაღწია საჭირო შერიგებას გენერალ ხოსე ანტონიო პაესთან, რომელიც ბოლომდე მაინც არ თმობდა გამოყოფის იდეას. სანტანდერთან უთანხმოება უკვე ალარავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს. გენერალი ადარ ენდობოდა მის ზრახვებსა და ზნეობას, მისი წერილების კითხვით თავს ადარ იწუხებდა და ისიც კი მისწერა, დრო დაზოგეთ და მეგობრად ნუღარ მიხსენებთო. სანტანდერისტთა საბოლოო რისხვა მაშინ დაიმსახურა, როცა კარაკასელთათვის მიმართულ წერილში აღნაშნა, რომ კარაკასის დამოუკიდებლობისა და დიდებისთვის იღწვოდა. ახალ გრანადაში დაბრუნებულმა შეცდომის გამოსწორება სცადა კარტახენასა და მომპოქსის მოსახლეობასთან შეხვედრისას, „თუკი კარაკასმა სიცოცხლე მაჩუქა, თქვენგან დიდებით ვარ დავალებული“, გამოაცხადა, მაგრამ სანტანდერისტები არ დაკამაყოფილა ამ რიტორიკულმა ფრაზამ.

საბოლოო მარცხის თავიდან ასაცილებლად, გენერალი სანტა ფეში დაბრუნდა ჯარის ნაწილთან ერთად, რომლის შეკრებასაც ჭზადაგზა აპირებდა, და კიდევ ერთხელ სცადა ქვეყნების გაერთიანება. სწორედ მაშინ განაცხადა, გადამწყვეტი დღე დადგაო, თუმცა იგივეს ამბობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარაკასისკენ მიმავალიც, რათა ვენესუელის გამოყოფისთვის შეეშალა ხელი. მოგვიანებით დაუფიქრდა და აღმოაჩინა, რომ ბოლო ი

ლური წყაროები ატყობინებდნენ, სანტანდერი შეთქმულებას აწყობდა მისთვის ძალაუფლების ჩამოსართმევად და კოლუმბიაში გადასასახლებლად, მაგრამ მაინც დარჩა, და ერთი კი არა, მთელი ათი ღამე. ისე ბედნიერად გრძნობდნენ თავს, რომ ორთავეს ეგონა, ასე არასოდეს არავინ მყვარებიაო.

ქალმა ოქროს პერანგი დაუტოვა, „შენი ომებისთვის იყოს", უთხრა. გენერალს მორთულობა არ გამოურთმევია, რადგან საწოლში მოპოვებულ ნადავლს ავის მომასწავებლად თვლიდა, ამიტომ შესანახად რომელიღაც მეგობარს მიაბარა და მალე გადაავიწყდა კიდეც. მომპოქსში, მუცლის ტკივილი რომ ჩაუცხრა, გენერალმა ზანდუკი გაახსნეინა შიგთავსს შესამოწმებლად და ყველფერი ნათლად წარმოუდგა თვალწინ.

სასწაულებრივი ხილვა იყო. ზანდუკში ხოსეფა საგრარიოს ოცდაათგირვანქიანი, ნატიფი ოსტატობით დამზადებული ოქროს პერანგის გარდა ოქროსავე ოცდასამი ჩანგალი, ოცდაოთხი დანა, ოცდაოთხი დიდი და ოცდასამი ჩაის კოვზი ეწყო. იქვე აღმოაჩინა სხვადასხვა დროს მეგობრებისთვის მიბარებული და დავიწყებული შაქრის ასაღები მაშა და სხვა საოჯახო ნივთები.

კარვა ხანი იყო აღარავის უკვირდა ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელ ადგილებში აღმოჩენილი გენერლის ნივთები. ბოლივარმა ბრძანა, დანა-ჩანგალი თავის ბარგში გადაეწყოთ, ოქროს პერანგი კი პატრონისთვის დაებრუნებინათ, მაგრამ წმინდა პეტრეს სახელობის კოლეჯის რექტორმა გასაოცარი ამბავი ამცნო: ხოსეფა საგრარიო იტალიაში გადაესახლებინათ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით.

„სანტანდერის ხრიკებია, რა თქმა უნდა", თქვა გენერალმა.

„არა, გენერალო", შეეპასუხა რექტორი, „თქვენ თვითონ გაეცით ეს ბრძანება ოცდარვა წლის არეულობაში".

საქმეში გარკვევამდე ზანდუკი ხელუხლებლად დატოვა და მეტი აღარც უფიქრია ხოსეფა საგრარიოს გადასახლებაზე, რადგან, როგორც ხოსე პალასიოსმა აღნიშნა, დარწმუნებული იყო, ქალი მის გადასახლებულ ძმრეთთან ერთად დაბრუნდებოდა, როგორც კი თვითონ კარტახენას ნავსადგურიდან ღია ზღვაში გავიდოდა.

„კასანდრო ალბათ უკვე ბარგს ალაგებს", თქვა.

მართლაც, როგორც კი გენერლის ევროპაში გამგზავრების ამბავი გახმაურდა, უამრავი გადასახლებული გაემართა სამშობლოსკენ. მაგრამ ფრთხილი და წინდახედული გენერალი სანტანდერი ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი დაბრუნდა. გენერლის გადადგომის ამბავი რომ შეიტყო, ჩუმად მოემზადა, მაგრამ ნაჩქარევი გადწყვეტილება არ მიუღია და მშვიდად განაგრძო ევროპაში მოგზაურობა, რაც მისი ერთადერთი საქმიანობა გახდა მას შემდეგ, რაც გასულ წელს გემმა ჰამბურგში ჩამოსვა. 1831 წლის 2 მარტს, ფლორენციაში ყოფნისას „კომერციული ჟურნალიდან", გენერლის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, მაგრამ სამშობლოში მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდა, რაცა ახალმა მთავრობამ წოდებები და სამხედრო ჯილდოები აღუდგინა, კონგრესმა კი დაუსწრებლად აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტად.

მომპოქსიდან გამგზავრებამდე გენერალი დანაშაულის გამოსასყიდად თავის მეელ თანამებრძოლს, ლორენსო კარკამოს ესტუმრა. მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ ძმამედ ავადყოფი კარკამო წინა დღეს მასთან შესახვედრად ამდგარიყო საწოლიდან. ავადყოფობას ბოლომდე ვერ დაეხუსტებინა ვეტერანი გენერალი, მისი ხმა კი მეხის გრგვინვასავით ისმოდა, სანამ თვითონ ბალიშის ყურით იწმენდდა თვალსმომდგარ ცრემლებს.

ერთმანეთს თავიანთ სნეულებაზე შესჩივლეს, ხალხის გულცივობასა და უმადურობაზე იწუწუნეს და როგორც ყოველთვის, ერთსულოვნად აგინეს სანტანდერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა ხანი იყო, გენერალს გული არავისთან მოეთხებინა. 1813 წლის ომში კარკამი გენერალსა და სანტანდერს შორის მწვავე განხეთქილების მოწმე გახდა, მას შემდეგ, როცა სანტანდერი არ დაემორჩილა ბრძანებას — გადაელახა საზღვარი და მეორედ გაენთავისუფლებინა ვენესუელა. კარკამის აზრით, სწორედ იქიდან დაიწყო ფარული შუღლი, რაც დროთა განმავლობაში წარმოუდგენლად გამწვავდა.

გენერალი, პირიქით, თვლიდა, რომ ის ინციდენტი მათი მეგობრობის დასაწყისი იყო და არა დასასრული. მისი აზრით, უთანხმოების მიზეზი არც გენერალ პაესისთვის მინიჭებული პრივილეგიები იყო, არც ბოლივიის ყბადაღებული კონსტიტუცია, არც კოლუმბიის სენატი და არც ადმილუტური უფლები, რაც ბოლივარმა მიიღო ოკანიას კონვენციის შემდეგ. არა, არც ერთ მათგანს არ გამოუწვევია ის საშინელი მტრობა, რაც წლების მანძილზე კიდევ უფრო გამწვავდა და 25 სექტემბრის შეთქმულებით დასრულდა. „სინამდვილეში, სანტანდერი ვერაფრით შეეგუა აზრს, რომ ეს კონტინენტი ერთი ქვეყანა ყოფილიყო“, თქვა გენერალმა, „ამერიკის ერთიანობა მისი გონებისთვის წარმოუდგენელი ამბავი იყო“.

შემდეგ საწოლზე დამხობილ კარკამის შეხედა, წაებეული ბრძოლის ველზე უპატრონოდ მიგდებულ გვამს რომ ჰგავდა, და წამოდგა.

„თუმცა სიკვდილის შემდეგ ყველაფერი კარგავს აზრს“, თქვა.

კარკამმაც შეათვალიერა ნაღვლიანი და მარტოსული სტუმარი და მიხვდა, რომ ორივეს ერთნაირად აწუხებდა მოგონებათა სამძიმე. რიცა გენერალს ხელი თავისაში მოიქცია, შეატყო, რომ ორივეს მაღალი სიცხე ჰქონდა და გაიფიქრა, ნეტა პირველად რომელს გვიწერია სიკვდილიო. „უკუღმა წავიდა საქმე, ბებერო სიმონ!“ ამოიოხრა.

„ისევ დაგვრჩენია, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ“, თქვა გენერალმა.

„დავიწყებთ კიდეც“, უპასუხა კარკამმ.

„მე ვეღარ“, აღნიშნა გენერალმა, „მე ნაგავში გადახძახებლად თუ გამოვდები“.

გამოთხოვებისას ლორენსო კარკამმ წითელი ატლასის ფუტლიარში შენახული ორი დამბაჩა აჩუქა. იცოდა, რომ გენერალს ცეცხლსასროლი იარაღი არ უყვარდა და ახალგაზრდობაში გამართულ მცირეოლიტოვან დუელებში ხმალს არჩევდა, მაგრამ ეს დამბაჩები სიყვარულის მიზეზით შემდგარ დუელებში იყო გამოყენებული და გენერალმაც სიამოვნებით მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ, ტურბაკოში, გენერალ კარკამის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს.

მგზავრობა კვირას, 21 მაისს განაახლეს. მშვენიერი ამინდი იდგა და დინება მენიჩვეების დაუხმარებლადაც მშვენივრად მიაქანებდა ნავებს გაჭიმული პლაჟების გასწვრივ. ახლა უფრო ხშირად ხვდებოდათ მორეხისგან შეკრული ტივები, რომლებიც თითქოს უფრო სწრაფადაც მოძრაობდნენ. მათზე პატარა სახლები იდგა ყვავილების ქოთნებითა და ფანჯარაში გასაშრობად გაკიდული სარეცხით. ტივის ბოლოში მავთულით შემოღობილი საქათმე და მეწველი ძროხა ჩანდა, ბავშვები კი მხიარულად და დიდხანს უქნევდნენ ხელს ნავებს. თოელი ღამე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰნათოდათ. გამთენიისას მზის პირველი სხივებით გაცისკროვნებული სამბრანოს დასახლება გამოჩნდა.

ნავსადგურის უზარმაზარი სეიბას ქვეშ დონ კასტელო კამპილიო, მეტსახელად ნენე უცდიდათ, რომელსაც გენერლის პატივსაცემად გემრიელი სანკორი[1] მოემზადებინა სახლში. მოარული ლეგენდის მიხედვით სამბრანოში პირველი ვიზიტისას გენერალ სანაპიროს კლდეებში შეფუფულ ფუნდუკში უსადილია და უთქვამს, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა აქ „თუნდაც საკუთარ

---

[1] სანკორი — ხორცითა და ბოსტნეულით დამზადებული კერძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვენში მოთუხთუხე უგემრიელესი სანკოჩოს შესაჭმელად". ფუნდუკის პატრონ ქალს სტუმრის ვინაობა გაუგია თუ არა, ბიჭი ჭურჭლის სათხოვნელად კამპალიოებს სახლში გაუგზავნია. გენერალს ბევრი არაფერი ახსოვდა იმ სტუმრობიდან. ხოსე პალასიოსის ვარაუდით, იქაური სანკოჩო ბევრი არაფრით განსხვავდებოდა ვენესუელური ჩაქაფულისგან. სამაგიეროდ, გენერალი კარენო ამტკიცებდა, რომ ეს ორი კერძი მართლა ერთი და იგივე რეცეპტით მზადდებოდა და რომ სანკოჩო მართლა მიართვეს ფუნდუკში, ოღონდ მდინარის სანაპიროთა განმანთავისუფლებელ ბრძოლებში კი არა, სამი წლის წინათ, ორთქლის გემით მგზავრობისას. მეხსიერების გუარესებით შეშფოთებული გენერალი მორჩილად დაეთანხმა კარენოს.

გრენადერთათვის სადილი კამპალიოთა ძერფასი სახლის პატიოს ვეება ნუშის ხეებქვეშ გაშალეს ხის მაგიდებზე, რომლებზეც სუფრის ნაცვლად ბანანის ფოთლები ეფინა. პატიოს თავზე, ტერასაზე მკაცრ, ინგლისურ ყაიდაზე გაწყობილი საუცხოო სუფრა უცდიდა გენერალს, მის ამალასა და რამდენიმე საპატიო სტუმარს. სახლის პატრონმა აუხსნა, რომ მომპოქესდენ მხოლოდ ღამის ოთხ საათზე მიიღეს ცნობა და ძლივს მოასწრეს ნახარიდან საუკეთესო საქონლის დაკვლა, რომლის გემრიელი ნაჭრები ნაირ-ნაირ ბოსტნეულთან ერთად მხიარულად თუხთუხებდა.

დუგეგმავი ვიზიტის შესახებ რომ აცნობეს, გენერალს გუნება მოეშხამა და ხოსე პალასიოსმა ძლივს დაითანხმა ნავიდან გადასვლაზე. მაგრამ სასიამოვნო წვეულებისა და სტუმართმოყვარე მასპინძლების ყოფილობით მალე გამოუკეთდა განწყობილება. გულწრფელად შეაქო გემოვნებით გაწყობილი სახლი და ოჯახის ახალგაზრდა წევრები, ძველებური მოკრძალებით რომ ემსახურებოდნენ სუფრას. განსაკუთრებით მოეწონა ჭურჭელი და ახალი დროების მორევში ჩანთქმული რომელიღაც ოჯახის ჭერალდიკური ნერგბით დამშვენებული წმინდა ვერცხლის დანა-ჩანგალი, თუმცა თვითონ საკუთარი დანა-ჩანგლით მიირთვა.

მცირედი უსიამოვნება მხოლოდ კამპალიოების ოჯახს შეფარებულმა ფრანგმა განაცდევინა, რომელსაც ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა — გამორჩეული სტუმრისთვის დაემტკიცებინა თავისი უნივერსალური ცოდნა ამა და იმ ცხოვრების შესახებ. იგი გასულ წელს საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილიყო და იქიდან მოყოლებული, მოსამსახურეებითა და თანაშემწეებითურთ, კამპალიოთა სახლის ნახევარი ეკავა ახალი ორლესანიდან საუჭვო დახმარების მოლოდინში. ხოსე პალასიოსმა შეიტყო, რომ ფრანგს დიოკლე ატლანტიკი ერქვა, მაგრამ ვერაფრით დაადგინა, რა მისიით იმყოფებოდა ახალ გრანადაში. რომ გაგეშიშვლებინათ და ხელში სამკბილი ფიწალი მიგეცათ, ნეპტუნს დაემგვანებოდა. იქაურებში უხეში და ბინძური კაცის სახელი ჰქონდა გაგდებული, მაგრამ გენერალთან მოსალოდნელმა სადილობამ ისე აღაფრთოვანა, რომ დაბანილი და ფრჩხილებდასუფთავებული გამოცხადდა სუფრაზე. მაისის პაპანაქების მიუხედავად, პარიზის ზამთრის წვეულებებზე მიღებული მოოქროვილლილებიანი ცისფერი მუნდირი და მოდიდან გადასული, ზოლიანი შარვალი ეცვა.

მისალმებისთანავე ენციკლოპედიური სიტყვა წარმოთქვა წმინდა ესპანურ ენაზე, მოყვა, რომ მისმა კლასელმა, გრენობლის დაწყებითი სკოლის მოსწავლემ, თოთხმეტწლიანი უძალო ღამეების შემდეგ ეგვიპტური იეროგლაფები გაშიფრა, რომ სიმინდი მექსიკური კი არა, მესოპოტამიური წარმოშობის იყო, სადაც ის კოლუმბის მიერ ატლანტიის აღმოჩენამდე მოჰყავდათ, რომ ასირიელებმა დაამტკიცეს პლანეტების გავლენა სხვადასხვა ავადმყოფობებზე, რომ ახალგამოცემულ ენციკლოპედიაში მცდარი ინფორმაცია იყო იმის შესახებ, თითქოსდა ბერძნები ჩვენს წელთაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვამდე ოთხასი წლის წინათ იცნობდნენ კატებს. ასე ხტებოდა ერთი თემიდან მეორეზე და მხოლოდ იმიტომ ჩერდებოდა დროდადრო, რომ კრეოლთა სამზარეულოზე გამოეთქვა შენიშვნები.

მის პირდაპირ მჯდარი გენერალი მხოლოდ თავაზიანობის გამო უსმენდა და თვეშიდან თავს სწევდა, ვითომ ჭამით იყო გართული. ფრანგმა მშობლიურ ენაზე სცადა საუბრის წარმართვა, მაგრამ გენერალი ზრდილობისთვის წარმოთქმული რამდენიმე ფრაზის შემდეგ სასწრაფოდ გადავიდა ესპანურზე. ხოსე ლაურენსო სილვა გააოცა მისმა სიმშვიდემ, რადგან მშვენივრად იცოდა, როგორ სძულდა ბოლივარს ევროპელთა აბსოლუტიზმი.

ფრანგი ხმამაღლა მიმართავდა ხან ერთ, ხან მეორე სტუმარს, მაგრამ ცხადი იყო, რომ მხოლოდ გენერლის ყურადღებას მიპყრობა სურდა. უცვნ, როგორც თვითონ აღნიშნა, მამლიდან ვირზე გადახტა და პირდაპირ ჰკითხა გენერალს, მართვის როგორი სისტემა შეეფერებოდა ახალ რესპუბლიკებს.

„თქვენ როგორღა ფიქრობთ?“ თეფშიდან თავაუწევლად შეუბრუნა კითხვა გენერალმა.

„ჩემი აზრით, ბონაპარტეს მაგალითი მარტო თქვენთვის კი არა, მთელი მსოფლიოსთვის მისაღებია“, თქვა ფრანგმა.

„არა მგონია ასე ფიქრობდეთ“, აღნიშნა გენერალმა ირონიულად, „ევროპელები თვლიან, რომ მსოფლიოს მხოლოდ ევროპული ბოლოდ ბოლოდ გამოადგება და სხვა ყველაფერი საძაგლობაა“.

„რამდენადაც ვიცი, თქვენი ბრწყინვალება მონარქიაში ხედავდა გამოსავალს“, თქვა ფრანგმა.

„ცუდად გიცოდნიათ“, პირველად ასწია თავი გენერალმა, „მე არასოდეს დამიდგამს ვეირგვინი“. თითი ადიუტანტებისკენ გაიშვირა და დასაკვნა: „იტურბიდე დამემოწმება“.

„ჰო, მართლა“, განაგრძო ფრანგმა, „იმპერატორის დახვრეტის შემდეგ თქვენს მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ევროპელ მონარქისტებს იმედი ჩაუსახა“.

„ჩემი ნათქვამიდან ერთ სიტყვასაც არ წავიღებ უკან“, თქვა გენერალმა, „მე მხოლოდ ის მაოცებს, რომ იტურბიდესავით ჩვეულებრივმა ადამიანმა ასეთი საოცარი ამბები ჩაიდინა. ღმერთმა დამიფაროს მისი ბედისგან. მისი კარიერისგან, საბედნიეროდ, უკვე დამიფარა“.

მაშინვე სცადა შეერბილებინა ნათქვამი და აღნიშნა, რომ რესპუბლიკებში მონარქისტული რეჟიმის დამყარების მცდელობა გენერალ ხოსე ანტონიო პაკისის ინიციატივა იყო, თუმცა ერთი პირობა, სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტად არჩეულს, თვითონაც მონარქია ამერიკის ერთიანობის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა, თუმცა მალე დარწმუნდა ამ იდეის უსაფუძვლობაში.

„ფედერალიზმზე პირიქით მომივიდა“, აღნიშნა, „ის ზედმეტად სრულყოფილი მომეჩვენა ჩვენი ქვეყნებისთვის, მაგრამ ასეთი წყობა ჩვენზე შეგნებულ და ჭკვიან მოსახლეთას მოითხოვს“.

„ყოველ შემთხვევაში“, ჩაურთო ფრანგმა, „ისტორიას სისტემები კი არა, ცალკეული შემთხვევები აფუჭებენ“.

„ვიცით ეგ სიმღერა“, არ დაუთმო გენერალმა, „საერთოდაც ბენჟამინ კონსტანტია საჭირო, რომელიც ჯერ რევოლუციის წინაღმდეგი იყო, შემდეგ მისი მომხრე, რომელიც ჯერ ნაპოლეონს დაუპირისპირდა, შემდეგ მასვე ამოუდგა მხარში. ასეთები რესპუბლიკელებად ითვლებენ და მონარქისტებად იღვიძებენ, ან პირიქით და თან ყოველისშემძლე ევროპის გამოცდილებას გეჩრიან“.

„კონსტანტს საკმაოდ ყურადსაღები არგუმენტები ჰქონდა ტირანიის წინააღმდეგ“, თქვა ფრანგმა.

„ბატონი კონსტანტი, როგორც ნამდვილ ფრანგს შეეფერება, აბსოლუტური ინტერესების იყო“, უპასუხა გენერალმა, „ერთადერთი ღირებული სიტყვა იმ პოლემიკაში აბატმა პრადტმა

წარმოთქვა, როცა აღნიშნა, რომ პოლიტიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ სად და როდის კეთდება იგი. გადამწყვეტ ბრძოლაში მე თვითონ გავეცი ბრძანება ერთ დღეში დაეხვრიტათ 800 ესპანელი ტყვე, გუაიარას ჰოსპიტალში მოთავსებული დაჭრილების ჩათვლით. დღეს, მსგავს პირობებში ხმაც არ ამიკანკალდებოდა იმავე ბრძანების გასაცემად და ევროპელებს არანაირი მორალური უფლება არ ექნებოდათ ჩემს გასაკიცხად, რადგან, თუკი რომელიმე ისტორია სისხლით, უღირსობითა და უსამართლობითაა სავსე, ეს სწორედ ევროპის ისტორია გახლავთ".

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო ერეოდა ბრაზი და მისი სიტყვები მრისხანედ გაისმოდა დადუმებულ სოფელში. შეჩქვიფებულმა ფრანგმა სცადა მონოლოგში ჩართულიყო, მაგრამ გენერალმა ხელის აწევით შეაჩერა და ევროპის ისტორიის სისხლიანი ფურცლები გაიხსენა. წმინდა ბართლომეს დამეს, ორ საათში ორი ათასი კაცი დახოცეს; ალორძინების დიად ხანაში თორმეტი ათასმა დაქირავებულმა მეომარმა რომი დაარბია, გაძარცვა და რვა ათასი კაცი აკუწა, და ბოლოს, სრულიად რუსეთის მეფემ, ივანე მეოთხემ, რომელსაც სამართლიანად უწოდეს მრისხანე, ოცდათასი კაცი გაჟღეტინა მოსკოვსა და ნოვგოროდს შორის, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა.

„ასე რომ, ნუ შეიწუხებთ თავს იმის სწავლებით, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ", დასასკვნა, „ნუ ცდილობთ გვასწავლოთ, როგორები უნდა ვიყოთ, ნუ გსურთ, რომ თქვენ დავემგვანოთ, ნუ გვაიძულებთ ოც წელიწადში გავაკეთოთ ის, რისთვისაც თქვენ ორი ათასი წელი დაგჭირდათ".

შემდეგ დანა-ჩანგალი თეფშზე გადაადგვარედინა და პირველად ჩახედა ფრაგს თვალებში.

„დაგვაცადეთ, გეთაყვა, მშვიდად გავიაროთ ჩვენი შუა საუკუნეები".

ამის თქმა იყო და, ხვლების საშინელი შეტევა დაემართა, მაგრამ სული რომ მოიოქვა, ბრაზის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ნენე კამპილიოს მიუბრუნდა და მხიარულად გაუღიმა.

„მაპატიეთ, ძვირფასო მეგობარო", უთხრა, „ეს ამდაუბდა სულაც არ შეეფერებოდა ამ შესანიშნავ სადილს".

პოლკოვნიკმა უილსონმა ეს ეპიზოდი მემატიანეს მოუთხრო, მაგრამ იმას თავეც არ შეუწუხებია მისი ჩაწერით. „წასულია საწყალი გენერლის საქმე", თქვა. დაახლოებით ამგვარად იფიქრა ყველამ, ვისაც გენერლის ნახვამ მოუწია ბოლო მოგზაურობაში და ალბათ ამატომაც არავის შეუდგენია ამ დღეების ქრონიკა. ზოგიერთი მისი თანმხლები პირი იმასაც კი ფიქრობდა, რომ გენერალი ისტორიაშიც ვერ შეეიდოდა.

ესპანურიდან თარგმნა **ოია ვეასალიამ.**

გაგრძელება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭურღულია

„რაოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი...“

(გიორგი შარავაძის დაბადებიდან 150-ე წლისთავის გამო)

გახული საუკუნის დასასრულისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის საქართველოში გიორგი შარავაძეს გამორჩეული ადგილი ეკავა. ძნელია, მოინახოს მეორე მწერალი და ხაზოგადო მოღვაწე, რომლის ცხოვრება და საქმიანობა ისე მჭიდროდ იყოს გადახლართული ურთულეს ეპოქალურ მოვლენებთან, როგორც ეს გიორგი შარავაძესთან შეინიშნება. ამიტომ იგი უთუოდ ეპოქალური პიროვნებაა. მართალია, ცხოვრებისეული სირთულე და გასაჭირი ბაუშობიდანვე დაეტეხა, მაგრამ დიდი ადამიანური პრინციპიანობისთვის — ქვეყნისა და ხალხის ერთგულებისათვის — არასოდეს უღალატია.

საშართლიანად წერდა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი მკვლევარი, დიდი მეცნიერი და ხაზოგადო მოღვაწე აკად. ს. ჯანაშია:

„გიორგი შარავაძის ნაწერებიდან დიდი ნაკლოსნიტა და საერთო ცოდნა ჩანს. ერთი სიტყვით, გიორგი დასრულებული ევროპელი ეპალელებით არის აღქმული, მაგრამ ამ განათლების საფუძველი შინაური ქართული მწიკონრული აღზრდაა. ამ მხრივ ის იმ ქართულ თაობას ეკუთვნის, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ოჯახია პირველდაწყებითი სასწავლებელი, ხალ მასწავლებელი — დედა ან სხვა ახლობელი ქალი. ამ თაობის კაცი შინაური მოშზადებით შემდეგ რუსულ სკოლაში მიდის, მაგრამ მას თან მოაქვს გარკვეული ჩვევები, სიმპათიები, ცოდნა, თავისებური შეხედულებანი, რომელნიც, მსოფლმხედველობის წარმოქმნისას თავის საპატო როლს თამაშობენ“ (გ. შარავაძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით და ნარკვევით, სოხუმი, 1946, გვ. 24).

გიორგი შარავაძე იყო უგანათლებულესი პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, მართალი, პირდაპირი, პატიოსანი, შემართებული ბუნების მრავალმხრივი მწერალი და მოღვაწე, რომლის სიტყვა და საქმე არასოდეს დასხვავებია ერთმანეთს. მის მხატვრულ ნაწარმოებებში, სტატიებში, თეატრალურ მოღვაწეობაში, ზეპირ გამოსვლებში, მთავრობისადმი დამოკიდებულებაში, პრაქტიკულ საქმიანობაში — ყველგან ნანს უსაზღვრო ტოლერანტობა, ჰუმანიზმი, სიყვარული ერთიანი, განუყოფელი საქართველოსადმი, მოყვასისადმი.

გიორგი შარავაძეს არასოდეს დაცდენია ხმა ერის აუგი. მან, ფარო თვალსაწიერის მოღვაწემ, ნინებულად უწყოდა, რომ ხალხი სოციალურად მართველი ფენომენია და მისი სიაუკარგე მის ხელმძღვანელებზე, მმართველებსა და ბელადებზეა დამოკიდებული. მწერალს ღრმად სწყვრდა, რომ არ არსებობენ კეთილი და ბოროტი ერები. მათ კეთილად ან ბოროტად განაწყობს თავმოსწავლული იდეოლოგია. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი სასრულამი წერილი „ძმური სიტყვა ძმობის მსურველი“ (გაზ. „ეკერი“, № 67, 1904). ეროვნებათშორის ურთიერთობის შესახებ აქ გატარებული იდეა გამოძღინარეობს იმ საერთო კონცეფციიდან, რომელიც შეიმუშავეს ქართველმა სამოციანელებმა. მეცარედი ამონარიდი:

„ჩვენ არც ერთ ერს არ ვეშტკერებით. საქართველო იმთავიდანვე ფუნარებდა და ითვისებდა ყოველ ტომს, მოდგმას, ყველას აძლევდა ბინას, საფარელს, საზრდოს და ეკელიებსაც კი... ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ მახინჯი ვაჯბატონები: ინგი, ძე, შვილი, ოვი, ადი თუ ოღლი. ურცხვს ჩვენ ვვმობთ, სამაგალი გვეზიზღება. გულწრფელად, ნებით თუ უნებლიეთ, შემცდარს ჩვენ გულწრფელად ვამბელთ“.

ეს წერილი საპროგრამოა არა მარტო გიორგი შარავაძისათვის, არამედ იმ პროგრესული, ეროვნულ-დემოკრატიული თაობისათვისაც, რომელსაც ეკუთვნოდა მწერალი; მეორე, დაიბეჭდა არა სადმე, არამედ სწორედ „ეკერაში“, მეამე, ამ წერილში გამოხატული აზრი პირდაპირ ეხმიზეკა ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის შეხედულებებს ერთაშორისი ურთიერთობის საკითხებზე.

გახული საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მიმდინარეობდა ჭაცრი ბრძოლა ძველ, ღრმოშემუსილ იდეოლოგიასა და ახალ, პროგრესულ თვალთახედვას შორის, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ძველი და ახალი საქარ-

თველო, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მამები და შვილები და საქართველოს მომავლის ბედი წყდებოდა, გიორგი შარვაშიძემ უყოყმანოდ დაიჭირა შვილების – პროკესელი მოღვაწეების მხარე, გვეფდა ამოუდგა მათ და თავისი მომავალი ბრწყინვალე სამხედრო კარიერა (ის ხომ იმპერატორ ალექსანდრე III-ის სიყრმის მეგობარი იყო), ზვარაკად შესწირა მამეულს, სრულიად საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. მისი კავშირი და თანამშრომლობა ქართველ მოღვაწეებთან არ ყოფილა ეფემერული, მომენტური. იგი მთელი მისი ცხოვრების შინაარსს წარმოადგენდა. სხვა გზით ვერ იელდა „ვარდასა“ და „ეიორგი მესამის“ ავტორი.

გიორგი შარვაშიძე გულისტკივილით წერდა თავისი თანამედროვე საქართველოს დაკნინებას, დაუძლურებას, ზნეობრივად დაცემის შესახებ, სამაგალითოდ, სიამაყით იკონებდა დიდებულ წარსულს, როდესაც ქართველი ხმლით თავდადებულად იცავდა მამულს, ერის სინდისსა და ღირსებას. იგი გაზეთ „საქართველოში“ 1917 წელს (№ 1371140) წერდა:

